ინიციატივა ცვლილებისათვის

სათემო და სამოქალაქო

თვითორგანიზების მაგალითები თანამედროვე საქართველოში

წიგნი მეოთხე

ინიციატივა ცვლილებისათვის

(სათემო და სამოქალაქო თვითორგანიზების
გამოცდილება თანამედროვე საქართველოში)

წიგნი მეოთხე

„ინიციატივა ცვლილებისათვის – სათემო და სამოქალაქო თვითორგანიზების გამოცდილება თანამედროვე საქართველოში“
წიგნი მეოთხე

პროექტის ხელმძღვანელი
ანა მარგველაშვილი / სათემო განვითარების ცენტრი

პროექტის კონსულტანტი
ნინო ვასაძე / სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

მკვლევართა გუნდი
ირაკლი ირემაძე, დიანა კაკაშვილი, თამარ სიხარულიძე,
ანა მარგველაშვილი

სტილი და კორექტურა
მედეა იმერლიშვილი, ქეთევან კურტანიძე

დიზაინი
მანანა არაბული/zangodesign

დაკაბადონება
მაგდა ცოცხალაშვილი

კვლევით-საგანმანათლებლო სერიის „ინიციატივა ცვლილებისათვის“ მეოთხე წიგნი გამოცემულია პროექტის „საქართველოში 2019-2020 წლებში მოქმედი სათემო ჯგუფების აღწერა“ ფარგლებში ჩატარებული კვლევების საფუძველზე. პროექტის მხარდამჭერები არიან ღია საზოგადოების ფონდი და საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი.
გამოცემის მხარდამჭერია ღია საზოგადოების ფონდი.
წიგნში გამოთქმულია ავტორთა მოსაზრებები. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.
დაუშვებელია გამოქვეყნებული მასალის გამოყენება სათემო განვითარების ცენტრის თანხმობის გარეშე.

© სათემო განვითარების ცენტრი (CDC), 2022.
ყველა უფლება დაცულია.
satemocdc@gmail.com

ISBN: 978-9941-8-4423-2

სარჩევი

გვ. 9 სათემო ჯგუფები ადგილობრივი თემის განვითარებისათვის
ანა მარგველაშვილი

გვ. 21 სათემო განვითარება - ხედვა და გამოცდილება
ეკა ურუშაძე

გვ. 29 სათემო ორგანიზაცია „ლელი“ - განვითარების გრძელი გზა
თამარ სიხარულიძე

გვ. 55 განათლებისა და განვითარების ცენტრი „თოლისკური“
ირაკლი ირემაძე

გვ. 67 სამოქალაქო ინიციატივა - წნორის „ცოდნის კაფე“
დიანა კაკაშვილი

გვ. 83 ახალი აზროვნების ინსტიტუტი. მეგობარი ინიციატორები მოლაოღლიდან და ხულდარადან
ირაკლი ირემაძე

გვ. 97 სოციალური საწარმო „გუმბათი“
ირაკლი ირემაძე

გვ. 109 ინიციატივები სოფელი ფარის განვითარებისათვის
დიანა კაკაშვილი

გვ. 127 თუშების სათემო საბჭო
დიანა კაკაშვილი

გვ. 143 თეთრიწყაროს ახალგაზრდული ცენტრი
ანა მარგველაშვილი, ირაკლი ირემაძე

ვვ. 157 „მთის ამბები“ მთის თემისთვის
დიანა კაკაშვილი

ვვ. 173 სათემო კავშირი ნუკრიანი სოფლის სამსახურში
ანა მარგველაშვილი

ვვ. 189 სამოქალაქო პლატფორმა „სალამი“
დიანა კაკაშვილი

ვვ. 203 საქართველოში 2019-2020 წლებში მოქმედი სათემო ჯგუფების აღწერა
ანა მარგველაშვილი

სათემო ლიდერთა ფორუმი, 2019 წ.

ფოტო: „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა
და განვითარების ცენტრი“

სათემო ჯგუფები ადგილობრივი განვითარებისათვის

[ანა მარგველაშვილი]

„კაცი თუ გონიერია, სოფელი ღონიერია“.
ქართული ხალხური ანდაზა

სიღარიბე, უმუშევრობა, მოშლილი და დაძველებული სასოფლო ინფრასტრუქტურა, ხევების, მდინარეების დაბინძურება და თვითნებური ნაგავსაყრელები, დაბალი გარემოსდაცვითი ცნობიერება, სამეურნეო უნარების სიმწირე, საჯარო, თავშეყრის სივრცეების არარსებობა, მოძველებული ბიბლიოთეკა და ამორტიზებული კლუბის შენობა, არაფორმალური განათლებისა და კულტურის სერვისების არქონა – ეს მხოლოდ ნაწილია იმ პრობლემებისა, რომელთაც საქართველოს სოფლებში მოუყრიათ თავი და რომელთა შესახებაც ხშირად (გვ)წერენ ადგილობრივი საზოგადოებრივი, სათემო ჯგუფები თუ ინიციატორები. ისინი, ვინც საკუთარი თემის სასიკეთოდ მოქმედებენ და ადგილზე იბრძვიან არსებული პრობლემების გადასაჭრელად, არ ელოდებიან ადგილობრივ ხელისუფლებას, რომლის უშუალო კომპეტენციაშიც შედის ამ პრობლემათა დიდი ნაწილის მოგვარება. გასაკეთებელი მართლაც ძალიან ბევრია, ადამიანური, ფინანსური თუ დარგობრივ-პროფესიონალური რესურსი კი – ცოტა. ცოტაა საქართველოში მოქმედი სათემო ინიციატივაც და, ამ მხრივ, იმ სოფლებს, სადაც ესა თუ ის ჯგუფი ან პიროვნება იწყებს საკუთარი დროის და ძალისხმევის გაცემას და თემის სასიკეთოდ მოქმედებას – ნამდვილად გაუმართლათ.

2019-2020 წლებში, სათემო განვითარების ცენტრის და საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების

ცენტრისა და ღია საზოგადოების ფონდის მხარდაჭერით ჩატარებული სათემო ჯგუფების აღწერის მიხედვით, საქართველოში, სოფლებისა და მცირე დასახლებების დონეზე მოქმედი, 120-მდე სათემო ორგანიზაცია (რეგისტრირებული და არარეგისტრირებული) მოინიშნა. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე სოფლების რაოდენობა ამჟამად დაახლოებით 3600 ერთეულს შეადგენს, სათემო ორგანიზაციებისა და სოფლების რაოდენობრივი შეფარდება ქვეყანაში არსებულ დაბალ სათემო ჩართულობაზე მიუთითებს, რასაც უამრავი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს.

მიზეზთა შორის აღსანიშნავია მოსახლეობის ერთგვარი უნდობლობა ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ და დისტანცირება მიმდინარე განვითარების თუ საზოგადოებრივი პროცესებისგან. ნდობის მშენებლობას და მოქალაქეების ჩართულობის წახალისებას, კანონის მოთხოვნის მიუხედავად, წლების განმავლობაში, არც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უწყობდნენ ხელს; როგორც წესი, ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხს, ფორმალურად, ხანდახან უგულისყუროდაც კი ეკიდებოდნენ, რაც კიდევ უფრო მეტად რიყავდა პროცესებიდან ადგილობრივ მოსახლეობას. „ჩვენ ვინ გვეკითხება“, „მაინც ყველაფერი წინასწარ აქვთ გადაწყვეტილი“, „აბა, ჩემს გამოსვლას რა აზრი აქვს, მაინც ვერაფერს შევცვლი“, „არც კი გამიგია, კრება რომ ტარდებოდა“, „შეკითხვა რომ დავსვა, ოპოზიციონერი ხარო, მეტყვიან“ და ა.შ. ამ პასუხებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოისმენთ. საკუთარი, როგორც მოქალაქის როლის და მნიშვნელობის აღქმის შეუძლებლობის გამო, სოფლად მცხოვრები ჩვენი მოქალაქეების დიდი ნაწილი, ხშირად უარს ამბობს ჩართულობის თუნდაც ფორმალურ ფორმატებში მონაწილეობაზე, სადაც ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრაზე უნდა იმსჯელონ და რამაც სამომავლოდ მონაწილეობის კულტურის განვითარებას უნდა შეუწყოს ხელი.

მოქალაქეთა ასეთი გულგატეხილი თუ გულგრილი დამოკიდებულება ადგილობრივი პროცესების მიმართ, მათი პა-

სიურობა და თვითორგანიზებასთან დაკავშირებული სირთულეები იქცა ბიძგად „სათემო განვითარების ცენტრისთვის“, შეესწავლა საქართველოში თემის განვითარების, თვითორგანიზების ისტორიული მაგალითები და ეს მაგალითები ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გაეხადა.

კვლევით-საგანმანათლებლო პროექტს, „ინიციატივა ცვლილებისათვის“, სათემო განვითარების ცენტრი (CDC) სხვადასხვა პარტნიორ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით 2015 წლიდან ახორციელებს. თვითორგანიზების და სამოქალაქო ჩართულობის ისტორიული კვლევის შედეგად შედგენილი პირველი ორი წიგნი (2016-2017) – „ინიციატივა ცვლილებისათვის. თემის თვითორგანიზებისა და თანამშრომლობის გამოცდილება საქართველოში საბჭოთა ოკუპაციამდე“, სათემო თვითორგანიზების და ადგილობრივი განვითარების პროცესებში კერძო ინიციატორების, სათემო ლიდერების როლის შესახებ არსებულ ოცამდე ისტორიულ მაგალითს აერთიანებს. მესამე წიგნი - „ინიციატივა ცვლილებისათვის. სათემო და სამოქალაქო სოლიდარობის მაგალითები საქართველოში საბჭოთა ოკუპაციამდე“, რომელმაც დღის სინათლე 2021 წელს იხილა, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ვიდრე 1921 წლამდე საქართველოში საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის მიერ ურთიერთდახმარებისა და ქველმოქმედების მაგალითებზე მოგვითხრობს. აქ თავმოყრილია ამბები იმისა, თუ როგორ ახერხებდნენ განსხვავებული შეხედულებების და ფინანსური შესაძლებლობების მქონე ადამიანები ან საზოგადოებრივი ჯგუფები საერთო მიზნისათვის შეკავშირებას, თვითმოქმედებას და პრობლემის მოსაგვარებლად საჭირო თანხების შეგროვებას და კრიზისის დროს პასუხისმგებლობის გადანაწილებას.

ისტორიული კვლევების და შესაბამისი საგანმანათლებლო წიგნების გამოცემის პარალელურად, სათემო განვითარების ცენტრი, მეგობარ ორგანიზაციებთან ერთად, წლებია, მუშაობს სათემო თვითორგანიზების თანამედროვე მაგალითების შესწავლასა და ანალიზზე. ორგანიზაცია, უშუალოდ მუშაობდა სხვადასხვა სოფელში ადგილობრივი თემის მობილიზებისა

და განვითარების საკითხებზე. CDC ასევე მონაწილეობდა სათემო განვითარების შესახებ მიმდინარე იმ დისკუსიებსა და განხილვებში, რაც ძირითადად 2010 წლიდან დაიწყო, ამ საკითხებზე, ეროვნულ დონეზე მომუშავე რამდენიმე საზოგადოებრივი ორგანიზაციის მონდომებით; ამ პროცესის შედეგად შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა (არაფორმალური კავშირი – სათემო განვითარების კოალიცია), 2012 წელს გამოსცა დამხმარე სახელმძღვანელო „თემთან მუშაობა და თემის განვითარება". თანამედროვე საქართველოში, სოფლების, მცირე ქალაქების და თემის დონეზე მიმდინარე განვითარებისა და თვითორგანიზების პროცესები, მათი ანალიზი და შესწავლა სწორედ ამ პერიოდიდან მოექცა „სათემო განვითარების ცენტრის" სამუშაო ფოკუსში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალური სათემო კვლევებით არც ახლა ვართ განებივრებულები და ამიტომ, როგორც ზოგადად ვითარების შესწავლა, ისე ცალკეული წარმატებული თუ წარუმატებელი სათემო მაგალითების ანალიზი, საშურ საქმედ მიგვაჩნია.

მიუხედავად იმისა, რომ სათემო ჯგუფებზე, მუნიციპალურ განვითარებაში მათი წვლილის შესახებ, ბოლო ათწლეულში შედარებით მეტი დაიწერა და გაშუქდა, ეს საკმარისი მაინც არ აღმოჩნდა, კარგი იქნება, უფრო მეტი ყურადღება მიექცეს საქართველოს სოფლების და იქ მოქმედი ინიციატორების ყოველდღიურობას, რათა უკეთ გავიცნოთ ის ადამიანები, რომლებიც ხშირად რეგიონებში გამეფებულ უძრაობას ებრძვიან; ინიციატორები, რომლებიც არ უშინდებიან საზოგადოების ნიჰილისტურ განწყობას და საკუთარი საარსებო სივრცის გაუმჯობესებისათვის იწყებენ მოქმედებას, დგამენ პირველ ნაბიჯებს. საქმიანობის დასაწყისში, არც თუ ისე იშვიათად, ვითარება რთული და უიმედო ჩანს ხოლმე, თუმცა გადის დრო და ცხადდება, რომ შედეგი ნელა, მაგრამ მაინც დგება.

საქართველოში მოქმედი სათემო ჯგუფების წინაშე მდგარი პრობლემების და მათი საქმიანობის უკეთ წარმოჩენის სურვილი დაედო საფუძვლად წინამდებარე გამოცემას – „ინიციატივა ცვლილებისათვის – სათემო და სამოქალაქო თვითორგანიზების მაგალითები თანამედროვე საქართველოში",

რომელიც ზემოთ ნახსენები კვლევით-საგამომცემლო სერიის, „ინიციატივა ცვლილებისათვის“, მეოთხე წიგნია. თუ წინა ნაწილებში, თხრობა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება და დაინტერესებულ მკითხველს იმუამინდელი საზოგადოებრივი თვითორგანიზების პროცესების შესახებ მოუთხრობს, აქ თემის განვითარების თანამედროვე გამოცდილებაა აღწერილი.

წიგნის პირველ ნაწილში მოთხრობილია დღეს მოქმედი თერთმეტი საზოგადოებრივი, სათემო ჯგუფის საქმიანობის შესახებ. ეს ჯგუფები ერთმანეთისგან მთელი რიგი მახასიათებლებით განსხვავდებიან, თუმცა თითოეული მათგანი თემის თვითორგანიზებასა და კეთილდღეობაზე მუშაობს და სხვადასხვა მიდგომით სწორედ ამ სფეროს განვითარებაში შეაქვს თავისი წვლილი. საქართველოში მოქმედი დაახლოებით 120-მდე სათემო ორგანიზაციიდან[1], წიგნისთვის მხოლოდ 11-ის შერჩევა ადვილი საქმე არ იყო. ჩვენი მხრივ, გვინდოდა მაქსიმალურად გვეჩვენებინა ის მრავალფეროვნება, რაც სათემო საკითხებზე მომუშავე საზოგადოებრივ ჯგუფებში შეინიშნება გეოგრაფიულად, ეთნიკურად, ასაკობრივად, თემატურად თუ მიდგომებისა და სამუშაო ფორმატის თვალსაზრისით. ასევე, გვინდოდა წარმოჩენილიყო თემის, როგორც ვიწრო გეოგრაფიული, ისე მისი ფართო გაგება, სადაც საქმიანობა ინტერესთა ჯგუფის სასიკეთოდაა წარმართული და გეოგრაფიულ საზღვრებს სცდება; წინ წამოგვეწია საქართველოს მთიანეთში მიმდინარე სათემო პროცესები ან სოციალური მედიის როლი – სათემო საკითხების გაშუქების და საზოგადოებრივი აზრის ფორმირების მხრივ; შეგვერჩია მაგალითები, რომლებმაც უკვე გაიარეს რთული გზა და გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს მიზნობრივი თემის სასიკეთოდ ან ახლა გადიან ამ პროცესს და მათი ხმა ჩვენამდე არ აღწევს, გვსურდა, მაქსიმალურად დაგვეფარა საქართველოს სხვადასხვა კუთხე.

[1] 120 სათემო ჯგუფი მოინიშნა 2019-2020 წლებში განხორციელებული კვლევის დროს. დღეს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბაზაში უკვე 190-მდე სათმო ჯგუფი ფიქსირდება.

შესაბამისად, შერჩეული მაგალითები მოიცავს, როგორც უშუალოდ სოფლის დონეზე მოქმედ სათემო ორგანიზაციებს, ასევე თემის განვითარებაზე მომუშავე მედია და საზოგადოებრივ პლატფორმებს; ორგანიზაციებს, რომლებმაც ბოლო წლებში განსაკუთრებით დაგვამახსოვრეს თავი საკუთარი აქტიურობით, მიზანსწრაფულობით, სოციალური კამპანიით და სათემო მობილიზაციის კუთხით საინტერესო მაგალითების შექმნით. ასევე წარმოდგენილია ისეთი ჯგუფები, რომელთა საქმიანობაც ცენტრიდან არ ჩანს, არადა, თავიანთი ძალისხმევით უდავოდ საინტერესო მაგალითებს ქმნიან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ვიმედოვნებთ, რომ გამოცემაში შესული გამოცდილი ორგანიზაციების საქმიანობის, მათ მიერ განვლილი გზის გაცნობა, დამწყებ ჯგუფებს სტიმულისა და შთაგონების წყაროდ გამოადგებათ. ვფიქრობთ, ეს მაგალითები ასევე დაეხმარება სათემო განვითარების და თვითორგანიზების საკითხებით დაინტერესებულ მკვლევრებს, სტუდენტებს, ადგილობრივ პოლიტიკოსებსა თუ ხელოვანებს.

წიგნის მეორე ნაწილში წარმოდგენილია „სათემო განვითარების ცენტრის“, „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG)“ და „ღია საზოგადოების ფონდის (OSGF)“ თანამშრომლობით ჩატარებული კვლევის „საქართველოში 2019-2020 წლებში მოქმედი სათემო ორგანიზაციების აღწერა (CBO Mapping)“ მთავარი მიგნებები და რეკომენდაციები. კვლევის მიზანი მოქმედი სათემო ჯგუფების აღწერა და შესწავლა იყო. აქ მკითხველი გაეცნობა თანამედროვე საქართველოში არსებულ სათემო განვითარების ქრონოლოგიას, თემის განმარტებას, მოქმედი სათემო ჯგუფების სტრუქტურას, მათ წინაშე მდგარ ძირითად პრობლემებსა და ასევე, სათემო ჯგუფების გაძლიერებაზე მიმართულ რეკომენდაციებს.

„ინიციატივა ცვლილებისათვის“ იმთავითვე საგამომცემლო სერიად იყო მოაზრებული, რომლის ცალკეული წიგნი, მისი თემატიკიდან გამომდინარე, სხვადასხვა პარტნიორებთან თანამშრომლობით მუშავდება და გამოიცემა. პირველი ორი წიგნი სათემო განვითარების ცენტრის, საბჭოთა წარსულის

კვლევის ლაბორატორიის, საერთაშორისო ხელოვნების ცენტრის, თბილისისა და საქართველოს სამოქალაქო პედაგოგთა ფორუმის ერთობლივი გამოცემაა, რასაც მხარი ღია საზოგადოების ფონდმა დაუჭირა. მესამე წიგნი ისევ საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიასთან თანამშრომლობით და ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით გამოიცა. წინამდებარე წიგნის შინაარსზე კი, 2019 წლიდან მუშაობენ სათემო განვითარების ცენტრი და საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, გამოცემის მხარდამჭერი ისევ ღია საზოგადოების ფონდია.

იმედს ვიტოვებთ, რომ კვლევითი-საგამომცემლო სერია „ინიციატივა ცვლილებისათვის“ სხვადასხვა თემატურ პარტნიორთან თანამშრომლობით სამომავლოდაც გაგრძელდება და დაინტერესებულ მკითხველს დღეს საქართველოში მოქმედ სხვა სათემო ორგანიზაციებსაც გავაცნობთ, სათემო განვითარების საკითხებზე მომუშავე სპეციალისტების გამოცდილებასაც გავუზიარებთ და ამ კუთხით, კვლავაც წინ წამოვწევთ ისტორიულ მეხსიერებას. განსაკუთრებით გვაინტერესებს ის ადგილობრივი ინიციატივები, სადაც სოფლის პრობლემების მოსაგვარებლად, თანხების მობილიზების განსხვავებული პრაქტიკებია დანერგილი, მაგალითად, სოფლიდან წასული ემიგრანტების მონაწილეობით ან ადგილობრივი „სასოფლო ყულაბების“ შექმნით. ამ მხრივ, საინტერესოა ჯავახეთის სოფლებში (ეშტია, აბათხევი და სხვ.) მოქმედი ჯგუფები, რომელთა მოცვაც პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების და სხვა დაბრკოლებების გამო ამ ეტაპზე ვერ მოვახერხეთ და შემდეგი გამოცემებისათვის მოვინიშნეთ. **კრებულში თავმოყრილი მასალა კი სათემო ჯგუფებისა თუ ორგანიზაციების ისტორიას 2021 წლის შემოდგომის მდგომარეობით წარმოაჩენს.** რამდენადაც წიგნის გამოცემა დაგვიანდა, შესაძლოა მათ უკვე არაერთი სიახლე ჰქონდეთ მოსაყოლი.

ჩვენ, სათემო განვითარების ცენტრში, გვჯერა პატარა ინიციატივების და ნაბიჯების ძალის, რადგან ხშირად მათ ზრდის და მრავალმხრივი განვითარების პერსპექტივა აქვთ. სოფლის, თემის განვითარებაც, როგორც უაღრესად კომპლექსური

საკითხი, უამრავი პატარა ნაბიჯისა თუ სოციალური, ეკონომიკური, საგანმანათლებლო, კულტურული ინიციატივების ერთობლიობას საჭიროებს. სათემო ლიდერებისა და ჯგუფების გამოცდილების, დადებითი მაგალითების გაზიარებით და ფართო საზოგადოებამდე მიტანით, შესაძლოა, საქართველოს მეტმა მოქალაქემ ირწმუნოს ინიციატივის მნიშვნელობის და დაიჯეროს, რომ ერთ ადამიანსაც შეუძლია დიდი და სასარგებლო ცვლილებების დაწყება, თან სულ მცირე ნაბიჯებით.

სათემო განვითარების პროცესები გაცილებით შედეგიანი სწორედ მაშინ არის, როდესაც სხვადასხვა სექტორი საერთო მიზნისთვის ერთიანდება და თანამშრომლობას ახერხებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილობრივ თვითმმართველობასა და საზოგადოებას, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობაა. ამ მოსაზრებას მრავალწლიანი გამოცდილება ამტკიცებს, თუმცა სამწუხაროდ, დღემდე სუსტია კავშირი ამ ორ სექტორს შორის და თანამშრომლობაც ხშირად ან პოლიტიკურ კონიუნქტურას ექვემდებარება, ან ინდივიდების კეთილგანწყობაზეა დამოკიდებული და არა ინსტიტუციურ ხედვასა და მიდგომებზე. დაბალი პოლიტიკური კულტურა საზოგადოებას „ჩემიანებად და სხვისიანებად“ ყოფს. კრიტიკის მიუღებლობა და პოლიტიკურ ჭრილში გადატანა, აფერხებს კონსტრუქციულ, საერთო მიზანზე მიმართულ თანამშრომლობას. თანამშრომლობას, რომლის შედეგადაც ადგილობრივი თემის სასარგებლოდ გაცილებით მნიშვნელოვანი და მდგრადი შედეგების მიღწევა იქნებოდა შესაძლებელი.

ნათქვამია, „კაცი თუ გონიერია, სოფელი ღონიერიაო“. თანამშრომლობისთვის, ხშირად, არაკეთილგანწყობილ გარემოში, ჩვენი მხრივ, დავამატებდით: დღეს სათემო აქტივიზმს გონიერებასთან ერთად, გამბედაობაც სჭირდება. გამბედაობაა დაუპირისპირდე წლების განმავლობაში თითქოს მიზანმიმართულად ჩაკირულ სინამდვილეს - უიმედობას და უძრაობას. სწორედ ამ გამბედაობისათვის, სათემო განვითარების ცენტრი, მადლობას უხდის ყველა მოქმედ სათემო ჯგუფს

თუ ინიციატორს, მიმოფანტულებს მთელ საქართველოში, რომლებიც მიუხედავად დაბრკოლებებით სავსე გარემოსი, არ ნებდებიან და იბრძვიან საკუთარი თემის და შესაბამისად, მთლიანად ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის. თქვენი არსებობა იმედით გვავსებს.

სათემო ლიდერთა ფორუმი, 2019 წ.

ფოტო: „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა
და განვითარების ცენტრი“

სათემო განვითარება - ხედვა და გამოცდილება

[ეკა ურუშაძე]

სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა თემის განვითარების მხარდამჭერი საქმიანობა დაახლოებით 23 წლის წინ დაიწყო და ეს მიმართულება დღემდე ჩვენი ორგანიზაციის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად რჩება. ჩვენ არაერთი საინტერესო პროექტი და ინიციატივა განვახორციელეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, განსაკუთრებით, სოფლად, თემის დონეზე სამოქალაქო აქტივიზმის ხელშეწყობის, ადგილებზე სათემო ჯგუფებისა და ორგანიზაციების შექმნისა და/თუ მათი ინსტიტუციური გაძლიერების მიმართულებით.

ჩვენი დევიზია ნიკოლოზ ბარათაშვილის უკვდავი სიტყვები – „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს“.

ორგანიზაცია, წლების განმავლობაში ეძებს და მხარს უჭერს აქტიურ ადამიანებსა და ჯგუფებს, – თავიანთ სოფელზე, დაბასა და/თუ თემზე მზრუნველ, ცვლილების მოსურნე, სწავლასა და განვითარებაზე ორიენტირებულ იმ მოქალაქეებს, რომლებიც სოფლად არსებული სტერეორეტიპული აზროვნების, პოლიტიკური კონიუნქტურის, გამეფებული ნიჰილიზმის ფონზე, მაინც ინდომებენ შეცვალონ გარემო, მოძებნონ თანამოაზრეები, გადატეხონ და გაალღონ, ზოგჯერ გარკვეული უნდობლობით სავსე, ცინიკური დამოკიდებულება მოსახლეობის, თვითმმართველობის წარმომადგენლებისა და/თუ სხვათა მხრიდან, დაარწმუნონ ისინი გასაკეთებელი საქმის სიკეთეში და თავადაც ირწმუნონ, რომ დადებითი ცვლილებები შესაძლებელია. და თანაც, ეს ყველაფერი აკეთონ მეტწილად სრულიად მოხალისეობრივად.

თუ გავიხსენებთ თბილისსა და რეგიონებს, ადმინისტრაციულ ცენტრებსა და სოფლებს შორის არსებული სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური თუ კულტურული განვითარების არათანაბარ დონეს, კიდევ უფრო კარგად წარმოვიდგენთ, როგორი რთულია ადგილზე დამკვიდრებული სხვადასხვა სტერეოტიპის დარღვევა იმისათვის, რომ თუნდაც სულ უმნიშვნელო, მაგრამ ხელშესახებ ცვლილებას მიაღწიო.

ჩვენს საზოგადოებაში სახელმწიფოებრივი აზროვნების დიდი დეფიციტია, და სწორედ ამგვარი აზროვნების და დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში შეაქვს თავისი წვლილი სათემო ლიდერს და/თუ სათემო ჯგუფს, რადგან სახელმწიფოებრივი აზროვნება, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა სწორედ საკუთარი უბნის, სოფლის, ქალაქის, რეგიონის და ქვეყნის სიყვარულიდან, მასზე ზრუნვიდან იწყება, და ეფუძნება სწორედ იმას, რომ პირად ინტერესებზე მაღლა საკუთარი თემის, ქალაქის, რეგიონის თუ ქვეყნის ინტერესებს ვაყენებთ.

სოფლად მოქმედმა ინიციატორებმა, თემის ლიდერებმა არაერთხელ გვიჩვენეს ადგილებზე სათემო აქტივიზმის, საოცარი მობილიზაციის, მწვავე პროცესების, კრიზისული სიტუაციების მართვის და მისი დაძლევის საუკეთესო მაგალითები, – კარგი მოქალაქეობის მაგალითები. ისინი ქმნიან სწორედ იმ ძალას, რომელსაც ჩვენი ქვეყანა სასიკეთო ცვლილებებისაკენ მიჰყავს.

თემის ლიდერთა წრფელი გულით წამოწყებულ პატარა საქმესა თუ ინიციატივას გადამდები ძალა აქვს საზოგადოებისათვის და დიდი ცვლილებების მოტანაც შეუძლია ადგილებზე, პატარა თემში თუ ქვეყნის მასშტაბით, ეს განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა ბოლო წლების იმ საერთო გამოწვევების ფონზე, რომელთა წინაშეც მსოფლიო ქვეყნებთან ერთად აღმოჩნდა ჩვენი ქვეყანაც. სათანადო შეფასებას საჭიროებს თემის ლიდერთა გამორჩეულად მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და სოლიდარობის ძალა, რამაც თავი სწორედ იმ განსაკუთრებულად უჩვეულო კრიზისულ ვითარებებში იჩინა.

დღესდღეობით, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, ქვეყნის მასშტაბით 190-მდე სათემო ჯგუფი და/თუ ორგანიზაცია მოქმედებს, თუმცა ეს, შესაძლოა, არ იყოს სრული ციფრი. მათი საქმიანობა, ცალკეული თუ ერთობლივი ინიციატივები კი, საკმარისად მაინც არ არის აღიარებული, შეფასებული და დაფასებული საზოგადოების სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლების მხრიდან. არადა, მათი როლი საკუთარი თემის, საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესებასა და კეთილდღეობაში, თუნდაც სიახლეების და ღირებულებების დამკვიდრებაში, მენტალური ცვლილებების მიღწევაში, განუზომელია.

და სწორედ ამიტომაც, დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ასეთი ადამიანების, სათემო ინიციატივებისა და/თუ ჯგუფების საქმიანობის გრძელვადიანი მხარდაჭერა როგორც სახელმწიფოს, ისე სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივი პროგრამის, ბიზნესისა თუ ცალკეული მოქალაქეების მხრიდან.

მათ მიერ გაწეული შრომის სწორად შესაფასებლად და დასაფასებლად, სხვათა ინსპირაციისა და მოტივაციისათვის, ასევე, თემის განვითარების მიმართულებით ისტორიული მეხსიერების შესაქმნელად, ძალიან მნიშვნელოვანია სათემო ინიციატივების, საქმიანობების, საინტერესო ისტორიების, დადებითი მაგალითების, გამოწვევების უფრო აკადემიურად და სიღრმისეულად წარმოჩენა და ფართო საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანა.

სათემო და სამოქალაქო თვითორგანიზება ისტორიულად ყოველთვის იყო ჩვენი კულტურის ორგანული ნაწილი, ის არსებობს და კიდევ უფრო ძლიერდება უკვე დამოუკიდებელი საქართველოს თანამედროვე ცხოვრებაშიც. ამიტომ, შემთხვევითი არ არის, რომ გამოცემათა ჯაჭვს კვლევითი-საგამომცემლო სერიიდან, „ინიციატივა ცვლილებისათვის“, ლოგიკურად აგრძელებს პარალელი დღევანდელობასთან ამ სერიის უკვე რიგით მეოთხე გამოცემაში – „ინიციატივა ცვლილებისათვის – სათემო და სამოქალაქო თვითორგანიზების მაგალითები თანამედროვე საქართველოში“, სადაც

თემის განვითარების თანამედროვე გამოცდილებაა წარმოჩენილი.

ეს გამოცემა ეძღვნება სწორედ მათ – სათემო ლიდერებს, სათემო ჯგუფებსა თუ ორგანიზაციებს, რომლებიც უანგაროდ მუშაობენ საკუთარი უბნის, სოფლის, ქალაქის, რეგიონის და ქვეყნის საკეთილდღეოდ. დიდი მადლობა მათ იმ თავდაუზოგავი შრომისათვის, რასაც ჩვენი ქვეყნის განვითარებისათვის ეწევიან.

ჩვენ კი ჩვენის მხრივ ვცდილობთ ხელი შევუწყოთ როგორც სათემო ჯგუფების შექმნასა და გაძლიერებას, ისე მათ ქსელურ მუშაობას და სათემო ლიდერების პიროვნულ განვითარებას. სხვადასხვა სახის ტექნიკური თუ ფინანსური მხარდაჭერის გარდა, უკვე მრავალი წელია, სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ყოველწლიურად ატარებს სათემო ლიდერთა ფორუმს – რაც სწორედ ქსელების მშენებლობის და სათემო ჯგუფების წინაშე მდგარი პრობლემების წინ წამოწევის, გააზრების და შესაბამისი რეაგირების ერთგვარ პლატფორმას წარმოადგენს.

ასევე დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ ქალბატონ ანა მარგველაშვილს, საგამომცემლო სერიის, „ინიციატივა ცვლილებისათვის“, სულისჩამდგმელს და ყველა იმ მკვლევარსა თუ ორგანიზაციას, ვინც ამ კვლევით-საგანმანათლებლო პროცესში იყო და არის ჩართული.

Peppa Pig

სათემო ორგანიზაცია „ლელი“ - განვითარების გრძელი გზა

[თამარ სიხარულიძე]

ფესტივალი ლელიანში, 2016 წ.

ფოტო: სათემო ფონდი „ლელი“

სოფელი ლელიანი კახეთში, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მდებარეობს. სოფელი საქართველოს ისტორიული მხარის, ჰერეთის შემადგენლობაში შედიოდა. გვიანფეოდალურ ხანაში, საქართველოში რთული ისტორიული პროცესის, სპარსელთა შემოსევებისა და ლეკთა გაუთავებელი თარეშის გამო, ბევრმა სოფელმა შეწყვიტა არსებობა, მათ შორის იყო ის დასახლებაც, რომელიც ლელიანის ადგილზე მდებარეობდა. სოფლის ხელახალი აღორძინება მეოცე საუკუნის დასაწყისს უკავშირდება. ქართულ პერიოდულ გამოცემებში, „ლელიანის საზოგადოების" სახელით ხშირად იბეჭდებოდა ცნობები ახლად დასახლებული სოფლის მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის, ოსებისა და იმერლების თანაცხოვრების, გლეხთა შორის მიწების გადანაწილების შესახებ და სხვ. 1910 წლის გაზეთი „ახალი სხივი" შემდეგს გვაუწყებს:

„ლელიანის საზოგადოება ჯერ კიდევ ისე ნორჩია, რომ მას მკითხველი, ვერც კი იცნობს, ამ ოთხი, თუ ხუთი წლის წინათ ეს გაუვალი ჭალა მხოლოდ გარეულ მხეცთა საბუდარი იყო, იქ არავინ ცხოვრობდა. 1906 წლიდან, როდესაც იმერეთში ქრონიკული შიმშილობა დაიწყო, იმერეთის გლეხკაცობამ იწყო აქ გადმოსახლება".[1]

სოფელში დღემდე არსებობს ამ პერიოდში განაშენიანებული უბნები თავდაპირველი სახელებით: „ბებურიანი", „აბაშისწილი", „ბალთა" და სხვ. საინტერესოა, რომ სახლ-კარის მოწყობის პროცესში მყოფი, ახლად დაარსებული სოფელ ლელიანის მოსახლეობა იმთავითვე გამოთქვამს წუხილს სკოლის, ბიბლიოთეკის არარსებობისა და ჟურნალ-გაზეთებზე ხელმიუწვდომლობის გამო.[2]

---

[1] გაზეთი „ახალი სხივი", 1910 წ. №22; გვ. 4.

[2] იქვე, გვ. 4.

პირველი ოთხკლასიანი სკოლის დაარსება სოფელმა 1923 წელს მოახერხა, 1931 წელს იგი შვიდწლიან, 1938 წლიდან კი საშუალო სკოლად გადაკეთდა, რომელიც დღემდე მოქმედებს სოფელში. ლელიანში, 2022 წლის მონაცემებით, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სტატისტიკის მიხედვით, 2128 ადამიანი ცხოვრობს. მეურნეობა და მეცხოველეობა სოფლის ეკონომიკის წამყვანი დარგია. სოფელში მოქმედებს ერთი საჯარო სკოლა, ორი საბავშვო ბაღი, სათემო ფონდი „ლელი" და ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრი, რომლის დაფუძნებამაც დიდი გარდატეხა შეიტანა, როგორც სოფლის, ისე ლაგოდეხის ცხოვრებაში. სოფელში დგას გვიანი ფეოდალური ხანით დათარიღებული, წმინდა თეოდორე ტირონის[3] სახელობის სამეკლესიიანი ბაზილიკა, რომლის სახელსაც უკავშირდება სოფელ ლელიანის ტრადიციული დღესასწაული „თევდორეობა". ყოველწლიურად, დღესასწაულის ფარგლებში, იმართება სამხარეო და მუნიციპალური მნიშვნელობის სპორტული ღონისძიება – ქართული ჭიდაობით, რომელშიც მონაწილეობენ მიმდებარე სოფლების უმეტესობა და საქართველოს ქართული ჭიდაობისა და კახეთის ქართული ჭიდაობის ფედერაციის წარმომადგენლები, რომლებიც შეჯიბრის საუკეთესო მონაწილეებს ასახელებენ.

პირველი ნაბიჯები

ისტორია ასე დაიწყო, 2004 წელს, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა (CSRDG) თემის განვითარების პროგრამის ფარგლებში, სათემო მობილიზებისა და განვითარების მიმართულებით, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. გელა თედეევი სოფელში პირველი ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფის ლიდერი იყო, რომელმაც,

[3] წმიდა მოწამე თეოდორე ტირონი პონტოს ამასიაში მდგარ პოლკში მსახურობდა. იგი ჯერ ისევ ახალწვეული მხედარი იყო („ტირონი" ლათინურად ახალწვეულს ნიშნავს), როცა რომის იმპერატორებმა - მაქსიმიანემ (305-311) და მაქსიმინემ (305-313) გამოსცეს ბრძანება, რომლის მიხედვითაც, სიკვდილით დაისჯებოდა ყველა, ვინც უარს განაცხადებდა კერპთაყვანისცემაზე, ამ მიზეზით, 306 წელს, ქრიტიანობისთვის ეწამა თეოდორე ტირონიც.

CSRDG-ის ფინანსური მხარდაჭერით, ლელიანის საჯარო სკოლის სახურავი შეცვალა. ამ პროცესში, თემის შრომითი და ფინანსური თანამონაწილეობა საკმაოდ დიდი იყო. ნანა ნერსეზაშვილი კი, იმხანად, ლელიანში, ადგილობრივ თვითმმართველობაში, ახალგაზრდობის საქმეთა სპეციალისტად და ქორეოგრაფიულ სტუდიაში სამეჯლისო-სპორტული ცეკვების ქორეოგრაფად მუშაობდა. საქმიანობის პროცესში დიდ დროს უთმობდა ახალგაზრდებთან ურთიერთობას, თანამშრომლობდა სკოლებთან, ატარებდა სასკოლო და სასოფლო ღონისძებებს. სოფლის განვითარების პროგრამა, რომელსაც 2006 წელს CSRDG-ი ახორციელებდა და რომლის მიზანიც ახალგაზრდული ცენტრების გახსნა იყო, იმ დროისთვის კახეთში მხოლოდ სიღნაღის და თელავის მუნიციპალიტეტს ფარავდა. მისი პარტნიორი ლაგოდეხში მოქმედი სამოქალაქო განვითარების ასოციაცია (საგა) იყო. საგას წარმომადგენლებს სურდათ, ერთი სამიზნე სოფელი მაინც ყოფილიყო ლაგოდეხიდან და მათი ძალისხმევის შედეგად, ლაგოდეხის სოფლებშიც დაიწყეს აქტიური ჯგუფებისა და სოფლის ძებნა, სადაც ახალგაზდული ცენტრის გახსნა იქნებოდა შესაძლებელი.

2005 წლის 30 ოქტომბერს, სოფელმა ლელიანის დაარსების 100 წლის იუბილე აღნიშნა. ღონისძიების ორგანიზატორი ნანა ნერსეზაშვილი იყო. სწორედ საორგანიზაციო საკითხების დაგეგმვის დროს შედგა საინიციატივო ჯგუფი სოფელში და შეიძლება ითქვას, რომ აღარც დაშლილა, პირიქით, სულ უფრო ძლიერდებოდა ჯგუფის წევრთა დაინტერესება და მცდელობა სათემო ცხოვრების შესაცვლელად. სწორედ ამ საინიციატივო ჯგუფთან დაგეგმილ CSRDG-ის და „საგას“ პირველ შეხვედრას 30-ზე მეტი სხვადასხვა ასაკის აქტიური ადამიანი დაესწრო. ნინო ვასაძე, სათემო პროგრამის კოორდინატორი, დღესაც იხსენებს: „ამდენი ასე ერთად ანთებული თვალი და გული, ასეთი ენერგიით სავსე სოფლის ცვლილებებისთვის არ მინახავსო“. საინტერესოა ისიც, რომ ამ პერიოდში გარდა დიდი საინიციატივო ჯგუფისა, დამატებით გაჩნდა ქალთა საინიციატივო ჯგუფი, რომელიც პროექტს ამზადებდა ფონდ „ღია-საზოგადოება საქართველოს“ ქალთა

პროგრამაში წარსადგენად და მისი მიზანი თემში ბიბლიოთეკის, როგორც კულტურულ-შემეცნებითი ცენტრის აღდგენა იყო. 2006 წლის ზაფხულში ორივე საინიციატივო ჯგუფმა მიიღო საგრანტო პროექტი, რომლის ფარგლებშიც სოფელში შეიქმნა ახალგაზრდული ცენტრი „ლელი“ და აღდგა თვითმმართველობის შენობაში არსებული ბიბლიოთეკა.

„მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდით, რა იყო ფორმალური და არაფორმალური ჯგუფი, გუნდი, საზოგადოებრივი ორგანიზაცია, არ გვქონდა გაცნობიერებული მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, თუმცა მაინც მოვახერხეთ საერთო, ახალგაზრდული იდეების და თემის საჭიროებების გარშემო გაერთიანება“,[4] – იხსენებს ორგანიზაცია „ლელის“ დამფუძნებელი გელა თედეევი. ჯგუფმა ნანა ნერსეზაშვილი – დიასახლისად, გელა თედეევი კი – მამასახლისად აირჩია და უკვე ერთობლივად დაიწყეს სამომავლო მიზნებისა და ამოცანების შემუშავება. ახლად შექმნილი სათემო ჯგუფისათვის საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ გაღებული ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერა, მცირედი, მაგრამ ძალების მოსაკრებად მნიშვნელოვანი დახმარება იყო.

ახალგაზრდებმა, 2006 წელს ერთობლივი ძალებით, დონორების და მუნიციპალური სამსახურის დახმარებით სოფელში, ბაგა-ბაღის შენობაში ოფისის გახსნა და კეთილმოწყობაც მოახერხეს. შენობის გამაგრებითი სამუშაოებისთვის თანხის მოძიება, საინიციატივო ჯგუფის წევრებმა მოხალისეობრივად შეძლეს, მოსახლეების ნაწილმა კი, მასალების მიწოდებით და ფიზიკური სამუშაოების გაწევით გამოხატა დახმარება. ოფისის კეთილმოწყობის ფარგლებში, საინიციატივო ჯგუფისა და ადგილობრივი საკრებულოს წარმომადგენელთა შორის პირველი თანამშრომლობაც შედგა. გასათვალისწინებელია, რომ ეს ის პერიოდი იყო, როცა საქართველოში საინიციატივო სათემო ჯგუფებსა და ადგილობრივ თვითმმართვე-

[4] ამონარიდი სათემო ორგანიზაცია „ლელის“ ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ტექსტიდან.

ლობას შორის თანამშრომლობის გამოცდილება ჯერ კიდევ არ არსებობდა, კეთილგანწყობის მიუხედავად, გარკვეული ბიუროკრატიული სირთულეებიც იქმნებოდა, „ზუსტად ერთი წელი და თორმეტი დღე ვიარე მუნიციპალიტეტში იმისთვის, რომ ოფისის კეთილმოწყობისთვის დაპირებული თანხა, 1000 ლარი, მიგვეღო საკრებულოსგან. ეს არის ისტორია, რომელმაც ყველაზე მეტი მოტივაცია მომცა, რათა არ დავ-ნებებულიყავით არც შემდგომში“, – იხსენებს ორგანიზაცია „ლელის“ დამფუძნებელი ნანა ნერსეზაშვილი.

პირველი თანამშრომლობის რთული გამოცდილება შემდეგ წლებში წარმატებულ პრაქტიკად დამკვიდრდა და ლაგოდე-ხის მუნიციპალიტეტი ქვეყანაში პირველი მუნიციპალიტეტი გახდა, რომელმაც ბიუჯეტიდან საგრანტო თანხის (დაახლო-ებით 20 000 ლარის ოდენობით) გამოყოფაც კი დაიწყო სა-თემო ინიციატივებისათვის. ლელიანის საინიციტივო ჯგუფის გამოცდილების მუნიციპალურ პროგრამად ქცევაში დიდი წვლილი „საგამ“ შეიტანა. ლელიანის ახალგაზრდებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმიანობა თემის ინფრასტრუქ-ტურის გაუმჯობესება იყო, სადაც მუნიციპალიტეტი მხარდა-ჭერას თანადაფინანსების სახით ან ინვენტარის და საჭირო მომსახურების შესყიდვით ახერხებდა.

„ლელის“ სათემო ორგანიზაციისა და ადგილობრივი, ლაგო-დეხის მუნიციპალიტეტის ურთიერთთანამშრომლობა საქარ-თველოში წარმატებულ მოდელად იქცა და ორგანიზაცია ამ კუთხით დაგროვებულ გამოცდილებას საქმიანობის დასაწყის-შიც და დღესაც, დამწყებ სათემო ჯგუფებს უზიარებს.

„როცა რამე სასოფლო ინიციატივა გვქონდა, ვამზადებდით პროექტს და თანადაფინანსებაზე მივდიოდით მუნიციპალი-ტეტთან. მაშინდელი გამგებელი გია გოზალიშვილი დაუძა-ხებდა იმ საკითხებზე პასუხისმგებელ პირს, რაზეც ვაწუხებ-დით და ეტყოდა, მიხედეთ და შეუწყვეთ ხელი ამ ბავშვებს, რასაც ამბობენ, ყველაფერს აკეთებენ. რა თქმა უნდა, ჩვენი შრომა რომ ფასდებოდა, მისი სიტყვები გვახარებდა და მეტ მოტივაციას გვაძლევდა. ჩვენ კარგად ვიცოდით, რა რესურსი

და უფლება-მოვალეობა ჰქონდა მუნიციპალიტეტს, ამიტომ, ჩვენი მიმართვა თანადაფინანსებაზე არ სცდებოდა მათ შესაძლებლობებს. მათ კი კარგად ჰქონდათ გათვითცნობიერებული, რომ ჩვენ თემში ფული შემოგვქონდა დონორებისგან და ეს ფული იხარჯებოდა სოფელში, საერთო საქმეში, თანამონაწილეობას თითქმის ყოველთვის იღებდა თემიც. მნიშვნელოვანი იყო იმ ადამიანური რესურსის მოზიდვა და გაჩენაც, რომელთაც დღეს ლელიანის მხარდამჭერებს ვუწოდებთ და დღემდე ესეც უწყვეტი პროცესია. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში საღად მოაზროვნე პირები აღმოჩნდნენ თანამდებობებზე, არ ჰქონდა პოლიტიკურ კუთვნილებას მნიშვნელობა და არცერთ ეტაპზე არ გაგვჭირვებია თანამშრომლობა. ისინი ხელს კი არ გვიშლიდნენ, პირიქით, მხარს გვიჭერდნენ, გვეხმარებოდნენ და, რა თქმა უნდა, ამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი სწორი კომუნიკაცია და ორგანიზაციის ეფექტიანი მუშაობა იყო. რაც მეტს ვთანამშრომლობდით და მრავლდებოდა მუნიციპალიტეტში სათემო ჯგუფები, მუნიციპალიტეტი მით მეტად ცდილობდა ხელიდან არ გაეშვა შანსი, ჩვენთვის მხარი დაეჭირა. იმდენი ცუდი გამოცდილება იყო და არის ახლაც სხვა მუნიციპალიტეტებში, რომ როდესაც კარგი გამოცდილების მაგალითებს ვაზიარებთ, თავიდან არავის სჯერა ასეთი პრეცედენტის, რომ ლაგოდეხში, ჩვენ ამგვარი თანამშრომლობა მოვახერხეთ მუნიციპალიტეტთან წლების განმავლობაში. მიხარია, რომ სამაგალითოა დღესაც, და ამ ეტაპზეც უკვე დაგეგმილი გვაქვს, თუ რას ვაკეთებთ 2022 წელს ერთად“, – გვიყვება ნანა ნერსეზაშვილი.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში სათემო და საქალაქო ინიციატივების მიმართ კეთილგანწყობა და თანამშრომლობის კულტურა ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციის, „საგას“, მრავალწლიანი მუშაობის შედეგი იყო. 1998 წელს დაარსებული ორგანიზაციის მიზანი, რეგიონში თვითმმართველობის, ახალგაზრდებისა და ქალთა ჯგუფების გაძლიერება და სათემო ინიციატივების წახალისება იყო. ასოციაციის გარშემო ადგილობრივი, სხვადასხვა პროფესიის აქტიური მოქალაქეები გაერთიანდნენ – იურისტები, პედაგოგები, ჟურნალისტები, ეკონომისტები, სოციოლოგები

და სხვ. ორგანიზაციისადმი ნდობის გამოცხადების მანიშნებელია ის, რომ მათ ადგილობრივი მოსახლეობა „იურისტებად“ მოიხსენიებდა. ორგანიზაციის წევრების უმეტესობა საზოგადოებრივი სტრუქტურების ყოფილი ან მოქმედი თანამშრომლები იყვნენ და კარგად ესმოდათ ორივე მხარის რთული და ძლიერი მხარეები, ამის გამო, ადგილობრივ თვითმმართველობასა და მოსახლეობას შორის სწორი კომუნიკაციის საფუძველზე, პირველი ხიდიც გაიდო. „საგა“კახეთის რეგიონში დღესაც მნიშვნელოვან საზოგადოებრივ გაერთიანებას წარმოადგენს, რომლის ერთ-ერთი მიზანი თვითმმართველობის ორგანოთა განვითარების ხელშეწყობაა.

სათემო ორგანიზაცია „ლელი“

„ახლა ჩვენი ძალა ცოდნასთან ერთად გამოცდილებაშია, მაშინ – ენთუზიაზმში და ცვლილებების სურვილში იყო“ (ნანა ნერსეზაშვილი)

სოფელ ლელიანის თემის საჭიროებების გარშემო გაერთიანებულმა ახალგაზრდების საინიციატივო ჯგუფმა, სათემო ორგანიზაცია 2007 წლის 22 აგვისტოს ოფიციალურად დაარეგისტრირა „ახალგაზრდული ცენტრი ლელის“ სახელით, რომელიც დღეს სათემო ფონდი „ლელით“ განაგრძობს საქმიანობას. საინიციატივო ჯგუფის სამართლებრივად ფორმირება, მეტ შესაძლებლობას იძლეოდა მოქმედებისთვის. ორგანიზაციის მთავარ მიმართულებად თემის საჭიროებებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროცესების ხელშეწყობა, ეკონომიკური გაძლიერება და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება იქცა.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის სტაბილურმა ექვსწლიანმა თემის განვითარების პროგრამის ფარგლებში არსებულმა დაფინანსებამ, ახლად დაარსებული ორგანიზაციისათვის მყარი საფუძველი შექმნა. 2011 წლიდან, ამ პროექტის დასრულების შემდეგ, ორგანიზაციას დამოუკიდებლად მოუწია გზის გაგრძელება. „ლელი“

2009 წლიდან თანამშრომლობდა ფონდ „ტასოსთან“. სწორედ ამ თანამშრომლობის შედეგად, სათემო ორგანიზაციამ სათემო ფონდის სტატუსიც შეიძინა და მცირე გრანტების გაცემა თავად შეძლო.

„ჩვენ, როგორც ორგანიზაცია, 2010 წელს შევიკარით, ამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი „მშვიდობის კორპუსთან“ თანამშრომლობის დაწყება და ორგანიზაციული განვითარების პროგრამის ფარგლებში ამერიკელი მოხალისის მიღება იყო. მისგან ბევრი ვისწავლეთ, როგორც პიროვნულად, ისე ორგანიზაციულად და საბოლოოდ გავიმართეთ/დავლაგდით. დავიწყეთ პროექტების ინტენსიური წერა და ჩვენი იდეები მალევე დაფინანსდა. ორი კვირის ინტერვალში ათ პროექტზე მივიღეთ დადებითი პასუხი. პირველიდან მეხუთემდე ჰაერში ვხტოდით, ისე გვიხაროდა, მეექვსედან მეათემდე განელდა სიხარული, მივხვდით, გავიჭედებოდით. როცა ვწერდით და ვგზავნიდით, არ გვიფიქრია, რომ ამდენი დაფინანსდებოდა. შედეგად ძალიან დიდი პოზიტიური და ნეგატიური გამოცდილებაც მივიღეთ. მცირე ადამიანური რესურსით გაგვიჭირდა ამდენი პროექტის მართვა. მაშინ ყველაზე კარგი გაკვეთილი ჩაგვიტარა ორგანიზაციამ, გავიგეთ ჩვენი ორგანიზაციული შესაძლებლობების ზღვარი და მას შემდეგ ვიცით და სწორად ვაფასებთ, სად ვართ, განვითარების რა ეტაპზე და სად გადის წითელი ხაზი.

მაშინ ვიყიდეთ ჩვენი ოფისისთვის პირველი კონდიციონერიც, „ამ ოთახში ამერიკაააო“, იძახდა ხოლმე ამერიკელი მოხალისე. უნიკალური ერთმანეთზე საუკეთესო გამოცდილება გვაქვს ორგანიზაციის ოთხივე მოხალისესთან, რომლებიც ათი წელია, რაც საქმიანობდნენ ლელიანში... როცა ასე ვუღრმავდები ჩვენს ისტორიებს და ვიხსენებ, მერე ვფიქრობ, რომ სოფლიდან მივწვდით თითქმის ყველა შესაძლებლობას, ახლა ჩვენი ძალა ცოდნასთან ერთად გამოცდილებაშია, მაშინ ენთუზიაზმში და ცვლილებების სურვილში იყო“, – იხსენებს ნანა ნერსეზაშვილი.

სოფელ ლელიანში, ისევე როგორც საქართველოს სოფლების უმრავლესობაში, საზოგადოებრივ სერვისებზე ხელმისაწვდომობა მხოლოდ სკოლისა და საბავშვო ბაღის არსებობით შემოიფარგლებოდა, სოფელში აქტიური ახალგაზრდების გამოჩენა ერთგვარ გაკვირვებასაც კი იწვევდა.

„ლელი“ ჩვენი ახალგაზრდული ენთუზიაზმის შედეგია, რომელიც წლებია ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და სოფელში ცხოვრების სურვილით მასაზრდოებს. ეს არის შესაძლებლობა სოფლისთვის სასარგებლო საქმის კეთების, მუდმივი განვითარების, გამოწვევების დაძლევის და ახალი მეგობრების შეძენის“, – ვკითხულობთ დამფუძნებლის, გელა თედეევის ჩანაწერებში.

ახლად დაფუძნებული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში იმთავითვე აღმოჩნდა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა-განხორციელება იყო. არაერთი პროექტი განახორციელა ორგანიზაციამ 2006-2011 წლებში, განაახლა სოფლის საბავშვო ბაღები და ეზოები, კეთილმოაწყო სოფლის სკვერი და სამუსიკო სკოლის შენობას ჩაუტარა რეაბილიტაცია. მნიშვნელოვანი იყო სანიაღვრე არხების მოწესრიგებაც, რომლის დროსაც მუნიციპალიტეტმა მთავარი არხების რეაბილიტაციაც დაიწყო თანადაფინანსებით, რაც იმ დროს წარმოუდგენელი თანამშრომლობის მაგალითი იყო. რადგან, მაშინ მუნიციპალიტეტს არ ჰქონდა ამ მასშტაბის ინფრასტრუქტურული საქმიანობისთვის საჭირო თანხები. ადგილობრივი თემი მოხალისეობრივად ყველა სასოფლო პროექტში იღებდა თანამონაწილეობას, როგორც ფინანსურად, ისე ფიზიკურად. ერთ-ერთი აქტივობა/პროექტი, რომელიც ადგილობრივი თემის 200% თანამონაწილეობით განხორციელდა, სოფლის სასაფლაოს მოწესრიგება იყო. პროექტის საგრანტო დაფინანსებიდან გამოყოფილ თანხას 700 ლარი შეადგენდა. თანხის დანარჩენი ნაწილი, 1400 ლარის ოდენობით, თემმა შემოწირულობების სახით შეაგროვა და სასაფლაო შემოღობა. ამ ისტორიასაც თემის ლიდერები, მოსახლეობა, თავად საგრანტო კომისია და დონორი დღეს ხალისით იხსენებენ:

„ბოლო საგრანტო კონკურსი იყო პროგრამაში, თან გაფგრთხილებულები ვიყავით სასაფლაოს კეთილმოწყობის პროექტი აღარ შემოიტანოთო, დასავლეთ საქართველოს ჯგუფებში ბევრს ჰქონდა მანამდე შეტანილი, სოფლებისთვის აქტუალური იყო. ჩვენთვის პირველი იყო და გელამ გადაწყვიტა, მაინც დაეწერა. მე მუსიკალური სტუდიის რემონტი მინდოდა. ოთახში, სადაც ინსტრუმენტები იდგა, იმდენი ორმო იყო იატაკზე, რომ სკამს და ინსტრუმენტს ერთმანეთს ვერ ამთხვევდა მასწავლებელი ბავშვის დასაჯდომად. ბევრი დავის და კამათის შემდეგ, ორივე დავწერეთ. რა თქმა უნდა, კომისიისთვის ბავშვებისთვის სასწავლო გარემოს კეთილმოწყობა უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა. მაგრამ იცით, რა გავაკეთეთ? გელას იუმორი ცნობილი იყო უკვე და ძალიან კრეატიული სახელი – „მივხედოთ, თორემ მოგვაკითხავენ“ დავარქვით სასაფლაოს რეაბილიტაციის პროექტს. ორივე პროექტი დაფინანსდა. ძალისხმევაც არ დავაკელით წერის პროცესს და შედეგიც მივიღეთ, ასე იყო ყოველთვის, როცა გადაწყვეტილებას ვიღებდით, ის აუცილებლად გამოდიოდა“, – იხსენებს ნანა ნერსეზაშვილი.

დაფუძნებიდან, 2006 წლიდან დღემდე, ორგანიზაციამ ყველა პროექტი დონორებთან ერთად ადგილობრივი თემის თანამონაწილეობით და მუნიციპალიტეტის ჩართულობით განახორციელა.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც საქართველოს უმრავლეს რეგიონში, უფუნქციოდ დარჩენილი საბჭოთა არქიტექტურის ნიმუშის, კულტურის სახლების უმრავლესობა მოუვლელობით განადგურდა. დღეს მთელ მუნიციპალიტეტში მხოლოდ სამი კულტურის სახლიღაა შემორჩენილი, აქედან მხოლოდ ლელიანის კულტურის სახლია რეაბილიტირებული, ორგანიზაციამ დაფუძნებისთანავე დაიწყო მის რეაბილიტაციაზე ფიქრი და ბოლოს მოხერხდა კიდეც გზის პოვნა.

2017 წელს, ორი ადგილობრივი ორგანიზაციის, „ლელის“ და „ლექსო და მეგობრების“[5] პარტნიორობით, ლელიანის კულტურის სახლის რეაბილიტაციის პროექტი დაიწყო, რომელიც ევროკავშირის ENPARD-ის[6] პროექტის ფარგლებში განხორციელდა. რეაბილიტაციის დროს შეიცვალა შენობის სახურავი, კარ-ფანჯრები, ელექტროგაყვანილობა, მოეწყო პანდუსი და სხვ. პროექტის თანადამფინანსებელი იყო ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, რომელმაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 25 000 ლარი გამოყო, დანარჩენი თანხა პროექტის დონორმა ფონდმა დაფარა. სათემო ორგანიზაცია „ლელის“ ძალისხმევით შენობა ეკონომიკის სამინისტროდან ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბაზაზე გადავიდა, რამაც გააიოლა რეაბილიტირებული კულტურის სახლის მენეჯმენტი. ამჟამად შენობაში ცეკვის წრეებია გახსნილი, რომლებიც მშობლების თანადაფინანსებით არსებობს და დღემდე გრძელდება შენობის ფუნქციური დატვირთვის პროცესი. დღეს კულტურის სახლის ხელმძღვანელის პოზიციას შშმ პირი უძღვება, რომელიც რეაბილიტაციის პროცესში „ლელის“ პარტნიორი ორგანიზაციის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი გახლდათ.

2019 წელს თანამონაწილეობით განხორციელდა სოფლის საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის პროექტიც. საპროექტო იდეისა და განაცხადის დამუშავების პროცესში, ორგანიზაციის წევრებმა მშობლები ჩართეს, რამაც ერთგვარად შეუწყო ხელი პროექტის მდგრადობას. პროექტის ბიუჯეტი 292 ათასი ლარით განისაზღვრა. აქედან 60 ათასი საგრანტო დაფინანსებაზე მოდიოდა, რაც ევროკავშირის ENPARD-ის პროექტის ფარგლებში დაფინანსდა. დარჩენილი ნაწილი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსება იყო, რომლის ფარგლებშიც საბავშვო ბაღის შენობა ნაწილობრივ უნდა გარემონტებულიყო. რაკი სარემონტო სამუშაოები დაიწყო, საბოლოოდ მუნიციპალიტეტმა შენობის სრული რეაბილიტა-

---

[5] საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ლექსო და მეგობრები“, რომელიც სოფელ ლელიანში 2016 წელს დაარსდა, მიზნად ისახავს დაეხმაროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მასშტაბით.

[6] ENPARD - ევროკავშირის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის.

ცია გადაწყვიტა და საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის სრული ხარჯთაღრიცხვა გაკეთდა, საბოლოო თანხამ 800 000 ლარამდე აიწია. მუნიციპალიტეტმა აღებული ვალდებულება ამჯერადაც პირნათლად შეასრულა და საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაციის პროცესში საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ჩართო. შენობის რეაბილიტაციას, ეზოს კეთილმოწყობაც დაემატა და „ლელის“ 60 000 ლარიანმა ინიციატივამ საბოლოოდ 1 300 000-ზე მეტი ღირებულების პროექტის განხორციელებას შეუწყო ხელი, რომელიც წარმატებით დასრულდა ლელიანში და დღეს ულამაზესი და კეთილმოწყობილი ბაღი აქვს სოფელს, და ეს „ლელის“ მოზიდული საგრანტო დაფინანსებით გახდა შესაძლებელი.

ორგანიზაცია „ლელის“ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სოფლის საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესებაში. ამის მაგალითია ადგილობრივი, მომავალი თაობებისთვის გადაცემული მუხტი, რაც სამომავლოდ, მათ აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს. 2013 წელს, სოფელ ლელიანის საჯარო სკოლაში, სკოლის მოსწავლეების მიერ ჩამოყალიბებული სამოქალაქო აქტივობის კლუბი „ბილიკი“ – ერთ-ერთი ასეთი შემთხვევაა.

„ზუსტად არ ვიცოდით, რა გვინდოდა, მაგრამ კარგად ვხედავდით იმას, რომ სკოლას და მოსწავლე-ახალგაზრდებს სჭირდებოდათ გააქტიურება. ამიტომაც, გადავწყვიტეთ პროექტის დაწერა სამოქალაქო აქტივობის კლუბის შექმნაზე. ორგანიზაციაში (იგულისხმება – სათემო ორგანიზაცია „ლელი“) განაცხადი შევიტანეთ და ჩვენდა სასიხარულოდ, პროექტი დაგვიფინანსდა. სწორედ იმ დღიდან დავიწყეთ მუშაობა დიდი ენთუზიაზმით“,[7] – ვკითხულობთ მოსწავლეთა ჩანაწერებში. დაარსების დღიდან „ბილიკს“ განხორციელებული აქვს ისეთი აქტივობები, როგორიცაა: მხიარული სტარტები, ინტელექტუალური კონკურსი – „გაიცანით ჩემი რაიონი“,

[7] ამონარიდი სამოქალაქო კლუბი „ბილიკის“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ტექსტიდან.

სოფლის დასუფთავების აქცია და სხვ. „ლელისა“ და საჯარო სკოლის ურთიერთთანამშრომლობით ჩამოყალიბებული ახალგაზრდების სამოქალაქო განათლების კლუბი დღემდე განაგრძობს საქმიანობას, რაც სამომავლოდ მეტი აქტიური და მაღალი თვითშეგნების მქონე მოქალაქის გარანტიაა.

„ლელის“ სათემო ორგანიზაციის წარმატებულ პროექტებს შორისაა 2019 წელს განხორციელებული სოციალური შინაარსის პროექტი – „პოზიტიური მშობლობა“. მასში მონაწილეობდნენ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებასა და სკოლებში დასაქმებული პედაგოგები, მშობლები, მეთოდისტები, აღმზრდელები და თანაშემწეები. პროექტის დონორად ევროკავშირი, CARE Austria და ლაგოდეხის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი გვევლინება. პროექტის ფარგლებში სოფელში დაგეგმილ ფესტივალში – „პოზიტიური მშობლობა“, 630 ადამიანი მონაწილეობდა, სპორტულ და კულტურულ აქტივობებში 400-ზე მეტი მშობელი და ბავშვი ჩაერთო. სემინარების მიმდინარეობის პროცესში, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, 865 ადამიანი იყო ჩართული. შეხვედრები თემატურად მოზარდის პიროვნულ ზრდასა და ემოციების მართვას, განვითარების ეტაპებსა და ქცევის მახასიათებლებს ეხებოდა. პროექტს ძალიან დადებითი გამოხმაურება მოჰყვა მუნიციპალიტეტში, რაც ცოდნის მიღებასთან ერთად, მის გაზიარებას და მშობლებსა და პედაგოგებს შორის კომუნიკაციის განმტკიცებასაც გულისხმობდა.

სოციალური პროექტებიდან ასევე მნიშვნელოვანია 2016 წელს ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით და DVV international-ის პარტნიორობით განხორციელებული პროექტი – „აქტიური ცხოვრებისათვის“, რომლის მიზანიც ხანდაზმული ადამიანების აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულყოფილი ჩართვა იყო. პროექტში 605 მონაწილე იყო ჩართული, სოფელ ლელიანში შეიქმნა ხანდაზმულთა ანსამბლი „შვიდკაცა“, რომელიც დღემდე მონაწილეობს ქვეყნის მასშტაბით გამართულ კულტურულ-შემოქმედებით ღონისძიებებში.

„აქტიური-ცხოვრებისათვის“ – ეს პროექტი იყო ძალიან დიდი ემოციის მომტანი ჩვენთვის. არ შემიძლია რამდენიმე ისტორია არ გავიხსენო. ხანდაზმულებისთვის კომპიუტერის კურსი გვქონდა, მაშინ უკვე ამ ასაკის ადამიანებიც იწყებდნენ გააქტიურებას სოციალურ ქსელებში და როდესაც თავის გვერდებს აკეთებდნენ „ფეისბუქზე“, ფოტოებსაც ჩვენ ვუღებდით, ნეტა გენახათ, როგორი გამოპრანჭულები მოდიოდნენ იმ დღეს, როცა იცოდნენ, რომ ფოტოები უნდა გადაგვეღო, მერე გვერდებს ვაკეთებდით და შვილებს, რომლებიც ემიგრაციაში ჰყავდათ, ვუგზავნიდით, ზღვა ემოციები იყო ყველა მხრიდან. ნანა გვყავდა ბაგალიშვილი, სტუმრად და ვაცილებდი, კართან რომ მივედით, ფრთხილი კაკუნი იყო. გამოვხსენი კარი და ასე 8 წლის გოგონა იდგა კართან.

– რაში დაგეხმარო, პატარავ? – ვკითხე მე.
– ბებია უნდა წავიყვანო კომპიუტერის კურსიდან – იყო პასუხი.

ახლაც მახსოვს ნანას გულიანი სიცილი, რაო? ვინ უნდა წავიყვანოო, იმეორებდა და კისკისებდა. მან არ იცოდა ხანდაზმულებისთვის რომ კურსი მიმდინარეობდა და როლები იყო ჩვენთან შეცვლილი, მანამდე თუ მიღებული იყო, რომ ბებიებს დაჰყავდათ შვილიშვილები სასწავლო კურსებზე, ჩვენთან პირიქითაც ხდებოდა.

ამავე პროექტის ფარგლებში ბევრ ხანდაზმულ ადამიანს ავუხდინეთ ოცნება, მათ შორის, ჩვენი სოფლის ფილოლოგს, თამილა მაჭარაშვილს, რომელსაც მთელი ცხოვრება ოცნებად სცენაზე დადგომა და სპექტაკლში თამაში ჰქონდა. მან ოცნება აიხდინა ამავე პროექტის ფარგლებში დადგმულ სპექტაკლში, რომელიც თბილისში მოძრაობის თეატრში განხორციელდა და ლაგოდეხიდან 18 მონაწილე მსახიობი გვყავდა წაყვანილი. საოცარი ემოციები გვქონდა იმ დღესაც“, – იხსენებს ნანა ნერსეზაშვილი.

ამავე წელს, ფონდ „ლაზარესთან“ თანამშრომლობით, „ლელის“ სათემო ორგანიზაციამ სოფლის მეურნეობით დაინტერესებული პირებისთვის, მათ შორის, დამწყები ფერმერე-

ბისთვის, შეიმუშავა ტრენინგების სერია, რაც მეხილეობის, მევენახეობისა და მებოსტნეობის განვითარების თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობებს გულისხმობს. სათემო ორგანიზაცია ამ კუთხით აქტიურად ეხმარება მოსახლეობას დონორების მოძიებასა და სახელმწიფო, საგრანტო პროგრამებისთვის დაფინანსების მოპოვებაში. სადემონსტრაციო სამეურნეო ნაკვეთების მოწყობით, სოფლის მეურნეობაში ახალი კულტურების დანერგვით და მოთხოვნადი პროდუქციის წარმოებით, აგრობაზარზე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის კონკურენტუნარიანობა გაიზარდა, რამაც, როგორც სოფლის, ისე მუნიციპალიტეტის ეკონომიკური კეთილდღეობა განაპირობა.

სოციალური საწარმო „ლელის თაფლი“

2011 წელს ორგანიზაცია „ლელის“ ინიციატივით, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელიანში მოეწყო საფუტკრე მეურნეობა, რომელმაც 2016 წელს სოციალური საწარმოს სახე მიიღო. საფუტკრე მეურნეობის საქმიანობაში ჩართულები არიან ახალგაზრდები, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მათი პროფესიული უნარების განვითარებას და მეწარმეობის წახალისებას. სოციალური საწარმო მომხმარებელს სთავაზობს ნატურალურ თაფლს, რომლის გაყიდვიდან შემოსული მოგება საზოგადოებრივი საქმიანობის განვითარებას და საგანმანათლებლო სერვისის გაფართოებას ხმარდება.[8]

აღსანიშნავია, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის, „სოციალური მეწარმეობის განვითარების ტენდენციები საქართველოში“,[9] ფარგლებში გამოცემულ ნაშრომში, სადაც განხილულია საქართველოს სოციალური მეწარმეობის პრობლემატიკა,

---

[8] „სოციალური საწარმოები“; გამოფენის კატალოგი; თბ. 2018 წ. გვ. 92. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

[9] „სოციალური მეწარმეობის განვითარების ტენდენციები საქართველოში“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა, თბ., 2017 წ. გვ. 109.

სოციალური საწარმო „ლელის თაფლი“ საქართველოში არსებულ წარმატებულ სოციალურ საწარმოთა შორისაა დასახელებული.

ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრი

ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრი 2013 წელს დაფუძნდა DVV International-ის[10] მხარდაჭერით და სათემო ორგანიზაცია „ლელის“ ინიციატივით. ერთი წლით ადრე, 2012 წლის 12 ნოემბერს, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულებით დაიწყო ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრის, როგორც პროექტის, განხორციელება. სათემო ორგანიზაცია „ლელის“ თანაპარტნიორად DVV International-ი გვევლინება, რომელიც მთავარი ფინანსური მხარდამჭერია ცენტრის საქმიანობაში. 2015 წლის 3 დეკემბრიდან კი, თავად ორგანიზაციამ აიღო საკუთარ თავზე დამოუკიდებლად მართვის პასუხისმგებლობა.

2013 წლის 27 მარტს, პირველი სამუშაო დღე იყო „ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრში“. ინგლისურის, კომპიუტერის, მენეჯმენტისა და მართვის კურსებთან ერთად ტრენინგებისა და სემინარების მეშვეობით, დაიწყო ყველა იმ ადამიანის სწავლება და გადამზადება, ვისაც სურვილი ჰქონდა საკუთარი ცოდნა აემაღლებინა, ჩართულიყო არაფორმალური განათლების პროცესში და განევითარებინა პროფესიული და პიროვნული უნარ-ჩვევები.

„მქონდა შესაძლებლობა, რომ პროექტში, „ადამიანები მოძრაობაში“, ჩავრთულიყავი და გამევლო კომპიუტერის, მენეჯმენტის და მართვის სამთვიანი კურსები. ამ კურსების გავლამდე მე ვიყავი შ.პ.ს „ნობლექსის“ ერთ-ერთი ფილიალის ხელმძღვანელი და ვფიქრობდი, რომ ყველა უნარი და თვი-

[10] DVV International - გერმანიის სახალხო უნივერსიტეტთა ასოციაციის (DVV) საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტი. DVV International მთელი მსოფლიოს მასშტაბით ქმნის და ავითარებს ზრდასრულთა და ახალგაზრდების დამატებითი განათლების მდგრად სტრუქტურებს.

სება მქონდა, რაც უნდა ჰქონოდა მენეჯერს. მაგრამ ეს ასე არ ყოფილა, პირველივე მენეჯმენტის სემინარზე მივხვდი, რომ სულ ამოყირავდა ჩემი შეხედულებები მართვაზე და იმაზე, რასაც აქამდე ვაკეთებდი, მივხვდი, რომ ძალიან ბევრი რამე მქონდა სასწავლი და პრაქტიკაში განსახორციელებელი"[11], – ვკითხულობთ საგანმანათლებლო ცენტრის სტუდენტის (ნ. ჭიოკაძე) ჩანაწერებში.

ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრში დღეს შემდეგი პროგრამული მიმართულებები ფუნქციონირებს:

პიროვნული და პროფესიული განვითარების კურსები: კომპიუტერის საოფისე პროგრამები, ინგლისური ენა, მსუბუქი სამკერვალო ნაწარმის კერვა, ხელნაკეთი ნივთების დამზადება, ელ. შედუღება, ელ. გაყვანილობა, მებაღეობა, მეხილეობა, მევენახეობა, მებოსტნეობა, ანიმაციის კურსი, გრაფიკული დიზაინი, ვებ დეველოპმენტი და სხვ. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელთან (GAEN) პარტნიორობით, 2019 წლიდან ცენტრში მიმდინარეობს განათლების სამინისტროს მიერ აღიარებული პროფესიული მომზადების პროგრამა „მსუბუქი სამკერვალო ნაწარმის კერვა". GAEN-ის საკონსულტაციო მხარდაჭერით, 2022 წლისათვის ლელის საგანმანათლებლო ცენტრს დაგეგმილი აქვს პროფესიული მომზადების პროგრამაში ორი კურსის – „საბუღალტრო საქმისა" და „საოფისე საქმის წარმოების" აღიარების მოპოვება. მას შემდეგ, რაც ცენტრი შეუდგა განათლების სამინისტროს პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელებას, საგანმანათლებლო კურსის სტანდარტი და ხარისხი გაიზარდა. ამან ავტომატურად სხვა კურსებზეც იქონია გავლენა და დღეს ცენტრში არსებული პროფესიული და პიროვნული განვითარების კურსებიც, სადაც შიდა სერთიფიკატი გაიცემა, გაცილებით ორგანიზებული, ეფექტიანი და შედეგზე ორიენტირებულია.

---

[11] ამონარიდი სათემო ორგანიზაცია „ლელის" ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ტექსტიდან.

ფინანსური განათლება და კონსულტაცია – საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ფინანსური განათლების აქტივობებს (სემინარები, სამაგიდე ბიზნეს სიმულაცია/დაზოგვის თამაში) რეგიონში ფინანსური წიგნიერების დონის გასაზრდელად და კონსულტაციებს საბანკო სექტორთან სწორი, უსაფრთხო და ეფექტიანი კომუნიკაციის დასამყარებლად. ეს მიმართულება ცენტრში 2016 წლიდან, ფონდ „შპარკასე საქართველოს“ მხარდაჭერით დაინერგა.

სამართლებრივი კონსულტაცია – მოსახლეობის პრობლემურ და აქტუალურ საკითხებზე უფასო იურიდიულ კონსულტაციას, მომსახურებას და ტექნიკური მხარდაჭერის აღმოჩენას გულისხმობს.

სამეწარმეო საქმიანობაში კონსულტირება – პროგრამის მიზანი თემში მეწარმეობით დაკავებული, ან დაინტერესებული პირების ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერაა. სამეწარმეო სფეროში ჩართულ პირებს საბუღალტრო საქმიანობასა და ონლაინ სერვისებზე უწევენ კონსულტაციებს. სამეწარმეო საქმიანობის წამოწყების მსურველებს კი, საგრანტო პროგრამების შესახებ აწვდიან ინფორმაციას და ეხმარებიან ბიზნეს პროექტების მომზადებაში.

ახალგაზრდული პროგრამა – მთლიანად მიმართულია მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების გააქტიურებაზე, არაფორმალური განათლების ხელშეწყობით მათ პიროვნულ და პროფესიულ ზრდაზე. ჰობი განათლების პრინციპებზე დაყრდნობით ხდება ახალგაზრდების ინტერესების და საჭიროებების გამოკვეთა, პროექტების ინიცირება და ერთობლივი განხორციელება.

მოხალისეთა ინკუბატორის მიზანია თემში მცხოვრები ახალგაზრდების გაქტიურება, იდეების ინიცირება, მხარდაჭერა და წახალისება.

სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა – ეს არის პროგრამა, რომელიც ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ყველაზე აქტუალურია. ამ ხნის განმავლობაში ცენტრმა

ძალიან ბევრ ისეთ ორგანიზაციასთან ითანამშრომლა, რომელთა მიზანიც ფერმერების განათლება და გაძლიერება იყო. რადგან ფერმერულ მეურნეობას ძირითადად კაცები უძღვებიან, თავიდან ჭირდა მათი დაინტერესება და საგანმანათლებლო პროცესში ჩართვა. ,,ვინ რა უნდა მასწავლოს ახალი" – ასეთი იყო მათი დამოკიდებულება, შემდეგ თანდათან რამდენიმემ გაბედა და ძველი სამეურნეო კულტურები ახალი თესლებით შეცვალა ან საერთოდ ახალი ბოსტნეული კულტურების მოყვანა სცადა. პირველადმა შედეგებმა პარტნიორები დაარწმუნა სადემონსტრაციო ნაკვეთების მხარდაჭერაში. რასაც ადგილზე კონსულტაციები და ფერმერების მიერ მცენარეთა დაცვის საშუალებების ეფექტიანი გამოყენების შესწავლა მოჰყვა. ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრი, პროფესიული და პიროვნული უნარების განვითარების ხელშესაწყობად, ორგანიზებას უწევს სხვადასხვა სახის კულტურულ თუ სპორტულ აქტივობებსაც. მისი დაფუძნებიდან დღემდე ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამებსა და სერვისებში ჩართული იყო 17886 ადამიანი. თუ პანდემიის დადგომამდე, ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრი და ორგანიზაცია რეგიონულ დონეზე მუშაობდა, პანდემიისას მთელი ქვეყანა მოიცვა. ვირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად ონლაინ რეჟიმზე გადასვლის შემდეგ, ქვეყანაში ციფრული პროფესიები ძალიან მოთხოვნადი გახდა. ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრმა ძალიან მოკლე დროში, თანამედროვე და შრომით ბაზარზე მოთხოვნადი ციფრული პროფესიებიდან შვიდი ახალი კურსი შექმნა. შეიმუშავა შესაბამისი სასწავლო მოდული, მოამზადა ტრენერები და საზოგადოებას შესაძლებლობა მისცა დაუფლებოდა ახალ პროფესიებს, ან დამსაქმებელთა მხრიდან გაზრდილი მოთხოვნებიდან გამომდინარე, აემაღლებინა კვალიფიკაცია და გაეუმჯობესებინა ციფრული კომპეტენციები. კურსები, რომელთა დანერგვა პანდემიის დაწყებიდან ორ თვეში გახდა შესაძლებელი, ვითარდება და ეტაპობრივად ახალიც ემატება, დღეს კი ასე გამოიყურება: გრაფიკული დიზაინი, ვებ დეველოპმენტი, სოციალური მედია, კონტენტ მენეჯმენტი, ანიმაციის კურსი, ციფრული პროექტების მართვა, პრეზენტაციის უნარები და სხვ.

„ადამიანების წინაშე დამდგარ გამოწვევას ისეთ ციფრულ პროფესიებზე, რომელთა შესახებ შეიძლება გაგონილიც არ ჰქონდათ, ვუპასუხეთ იმით, რომ თუკი ბაზარზე გაჩნდა ძვირადღირებული კურსები, სასწრაფო წესით ჩავუშვით უფასო ონლაინ კურსები. პარალელურ რეჟიმში ვქმნიდით სასწავლო მოდულებს, ვსწავლობდით და ვასწავლიდით ონლაინ პლატფორმებით სარგებლობას, რითაც კურსების თუ სხვა საჭირო სერვისების მიწოდება უნდა უზრუნველგვეყო. ჩვენი მიზანი თითქმის მთლიანად გაჩერებულ ქვეყანაში უფულოდ და უსამსახუროდ დარჩენილი ადამიანების ფსიქოემოციური მხარდაჭერა იყო, რაც ახალი, ციფრულ საჭიროებაზე მორგებული პროფესიული ცოდნა-უნარების გადაცემით გამოიხატა, რომლითაც ისინი სწრაფად უპასუხებდნენ პროფესიულ გამოწვევებს, შეინარჩუნებდნენ სამსახურებს ან უმუშევრად დარჩენილები ძალებს ახალ სფეროში მოსინჯავდნენ – ესეც ისევე გამოგვივიდა, როგორც ბევრი სხვა რამ, რაც ჩავიფიქრეთ, ვცადეთ და, რა თქმა უნდა, ძალისხმევა არ დავაკელით!“, – ამბობს ნ. ნერსეზაშვილი.

ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრი 2016 წლიდან არის GAEN-ის (საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი/Georgian Adult Education Network) წევრი და კოდის, შაუმიანის, ჯვარის, სენაკის, ქედას, ჩოხატაურის, ხარაგაულის, ახალციხის, ახალქალაქის, ამბროლაურის, ხონისა და ბოლნისის ზრდასრულთა განათლების ცენტრებთან ერთად ქმნის მნიშვნელოვან რგოლს იმ ჯაჭვში, რომელიც წარმატებით ახორციელებს ზრდასრულთა განათლების პროექტებს საქართველოს რეგიონებში და ზრდასრულთა განათლებას უწევს პოპულარიზაციას.

მომავლის გეგმები

> „უპირობოდ ვთანხმდებით ჩვენს ორგანიზაციაში დასაქმებული ადამიანები, რომ განათლება, განათლება და კიდევ განათლება ეს არის ის, რამაც უნდა გადაარჩინოს ჩვენი ქვეყანა...“
>
> (ნ. ნერსეზაშვილი)

სათემო ფონდი „ლელი“ 2009 წლიდან დღემდე აქტიურად თანამშრომლობს ფონდ „ტასოსთან“. სწორედ „ტასომ“ შეუწყო ხელი „ლელიანის“ სათემო ფონდის შინაარსით დატვირთვას. ფონდის ფინანსური მხარდაჭერით ქალთა გაძლიერების და ეთნიკური ჯგუფების საზოგადოებაში ინტეგრაციის მიმართულებით არაერთი პროექტი განახორციელა, წელს საგრანტო პროგრამის განახლება იგეგმება, სამიზნე ჯგუფს 14-29 წლამდე ახალგაზრდები ქმნიან, პროგრამის მიზანი კი, „სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაა“. ფონდში წარდგენილია მეორე პროექტიც – „ქალთა სახეები სოფლად“, რომლის ფარგლებშიც, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალთა მრავალფეროვანი და საინტერესო სახეები უფრო ფართო საზოგადოებისთვის გახდება ცნობილი და ბიძგის მიმცემი, როგორც იმავე თემში, ისე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდა და არამარტო ახალგაზრდა გოგონებისთვის.

ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრის 2022 წლის პროგრამის ფინანსურ მხარდაჭერას ისევ DVV international-ი უზრუნველყოფს და პროგრამის მთავარი პრინციპი ისევ ზრდასრულთა განათლების ხელშეწყობა და „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლა“ კონცეფციის პოპულარიზაცია იქნება. „ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრი, ჩვენი ორგანიზაციის მრავალწლიანი შრომის და იდეის რწმენის შედეგია, ამაყად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის თავდაპირველი ჩანასახი, რომელიც ახალგაზრდული ენთუზიაზმით სპონტანურად გაუცნობიერებლად დავიწყეთ, დღეს მყარად დგას ფეხზე საგანმანათლებლო სივრცის სახით, რომელიც თამამად პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს და შეთავსე-

ბული აქვს სოფლის „დიდი სახლის“ ფუნქცია, რომელსაც მსმენელები მთელი საქართველოს მასშტაბით ჰყავს და ამაზე არც კი გვიოცნებია. ჩვენ გვაქვს გეგმა გაიზარდოს ხარისხი და ეფექტიანობა ჩვენს კურსებზე, მუდმივად ვუპასუხოთ ახალ გამოწვევებს და შევინარჩუნოთ ის განსაკუთრებული ენერგია, რასაც ჩვენი სივრცე გადასცემს ადამიანებს...“, – გვეუბნება ნანა ნერსეზაშვილი.

მომავლის გეგმის ნაწილია „Kakheti village tours“-ის („კახეთის სოფლის ტურები“) ახლად დაარსებული სოციალური საწარმოს ფუნქციურად დატვირთვაც, რომელიც ჩამოყალიბების პროცესშია. მისი მიზანია სოფლად აგროტურიზმის განვითარება და ქალთა ეკონომიკური გაძლიერება. დაარსების იდეა „ლელის“ და მშვიდობის კორპუსის მოხალისეების ურთიერთთანამშრომლობის შედეგია. ორგანიზაციას ტურისტებსა და მასპინძელ ოჯახებს შორის ერთგვარი შუამავლის ფუნქცია აკისრია. ტურისტის მიერ გადახდილი მომსახურების ღირებულების 100% მასპინძელი ოჯახის საფასურია. სტუმარი, ნებაყოფლობით, დამატებით იხდის 10%, როგორც სოციალურ პასუხისმგებლობას, რაც ორგანიზაციის ბიუჯეტში აისახება. ამ თანხის რეინვესტირება მოხდება იმ საგანმანათლებლო პროგრამებში, რომლებიც ხელს შეუწყობს თემის ეკონომიკური და სოციალური საწარმოს სერვისების განვითარებას. სამომავლოდ ცენტრი კვლავაც უმასპინძლებს სათემო ჯგუფებს და ადგილზე გააცნობს სოფლის მოსახლეობის მიერ რუდუნებით, მრავალი წლის განმავლობაში შექმნილ, საოცრად ფერად, პოზიტიურ და უამრავი რესურსით სავსე სივრცეს, რომელიც თითოეული ლელიანელისთვის ძვირფასია. ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში შეკრებილი „ლელიანის საზოგადოების“ წევრები დღეს ნამდვილად იამაყებდნენ და ისეთივე სხივჩამდგარი თვალებით დაათვალიერებინებდნენ სტუმრებს ცენტრს, როგორც ამას დღევანდელი მასპინძლები აკეთებენ.

გზის დასაწყისში, „ლელის“ გარშემო შეკრებილი ახალგაზრდებისთვის მოხალისეობა და საკუთარი სოფლის სიყვარული ის ძალა აღმოჩნდა, რომელმაც მთლიანად შეცვალა ერთი სოფლის კულტურულ-ეკონომიკური ცხოვრება და უკვე – ისტორიაც.

კულტურულ-გასართობი ღონისძიება „ლაგოდეხის ცის ქვეშ“ სოფელ ლელიანში, 2018 წ.

ფოტო: სათემო ფონდი „ლელი“



განათლებისა და განვითარების ცენტრი „თოლისკური“

[ირაკლი ირემაძე]

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა დღის ცენტრი ხობში, 2020 წ.

ფოტო: სათემო განვითარების ცენტრი

სოფელი თორსა, კოლხეთის დაბლობზე გაშენებული სოფელია, სადაც დღეისათვის 1500-მდე ადამიანი ცხოვრობს. ხობის ეს კოხტა სოფელი, თორსა-დღვაბას ადმინისტრაციულ ერთეულში შედის და თემის სამ ნაწილს აერთიანებს. სოფლის სახელი მეგრულ ენაში ჭაობიანი ადგილების აღმნიშვნელი სიტყვიდან მომდინარეობს და მართლაც, აქ, თორსაში, მრავალი ხელოვნური ჩარევის მიუხედავად, დღესაც მრავლად შეგხვდებათ კოლხეთის დაბლობისათვის ასე დამახასიათებელი ჭაობები და ტყის კორომები. გარდა ამისა, სოფლად ძველი კოლხური ნამოსახლარები და სამეურნეო ძეგლების ნაკვალევიც არის შემორჩენილი.

ტრადიციულად თორსელები სოფლის მეურნეობას, განსაკუთრებით აქტიურად კი, მესაქონლეობას მისდევდნენ. აქ გავრცელებულია თხილის, დაფნის, კივის, ხურმის და ბოლო წლებში – ლურჯი მოცვის ბაღები და პლანტაციებიც.

საბჭოთა პერიოდში თორსაში მეჩაიეობასაც მისდევდნენ და სუბტროპიკული კულტურებიც მოჰყავდათ. იმ წლებში სოფელში ძლიერი კოლმეურნეობა – „განთიადი“ მოქმედებდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, გაუქმდა კულტურის სახლი და სასოფლო თეატრი. გარდამავალი პერიოდის სირთულეების კვალდაკვალ, შემცირდა სოფლის მცხოვრებთა რაოდენობაც. 1992-1993 წლებიდან აქ აფხაზეთიდან დევნილი ოჯახებიც ცხოვრობენ.

დღეისათვის სოფელში მოქმედებს საჯარო სკოლა (100-მდე მოსწავლე), საბავშვო ბაღი, მერის რწმუნებულის ოფისი, ამბულატორია და ბიბლიოთეკა. სწორედ ბიბლიოთეკიდან შეიძლება სოფლად ახალი, სათემო და სოციალური მოძრაობის ისტორიის ათვლაც, რომელიც სათემო განათლებისა და განვითარების ცენტრის, „თოლისკურის“ მუშაობას უკავშირდება.

„თოლისკური“ სათემო აქტივისტმა გვანცა კიკალეიშვილმა დააფუძნა 2013 წელს და მას მერე ამ ორგანიზაციას უკავშირდება სოფლის, მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების, და არა მარტო, საკეთილდღეოდ უამრავი საქმის კეთება.

პროფესიით ექიმი, გვანცა კიკალეიშვილი, 2009 წელს, დედაქალაქიდან დროებით დაბრუნდა მშობლიურ სოფელში და აქ დარჩა. სწორედ სოფლად ცხოვრების, იქაური პრობლემების კარგად გაცნობის და გააზრების ფონზე გადაწყვიტა მან თავისი მცირე წვლილი შეეტანა სოფლის განვითარებაში და აქ მცხოვრები ახალგაზრდების ყოველდღიურობის გამრავალფეროვნებაში. თავდაპირველად სოფლის ბიბლიოთეკის მოწესრიგებას, ფონდების შევსებას და გაფართოებას შეუდგა, სადაც 2010-2013 წლებში თავად მუშაობდა ბიბლიოთეკარად. აქ, ამ სივრცეში საგანმანათლებლო და ლიტერატურული ღონისძიებების, პოეზიისა და თეატრალური საღამოების ჩატარება მნიშვნელოვანი ბიძგი გახდა სათემო შეკავშირებისა და სოფლის წინაშე მდგარი სხვა უამრავი პრობლემის გააზრების გზაზე.

მოგვიანებით, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან (CSRDG-ისთან) დაკავშირების შემდეგ კი, თავისი დიდი ხნის სურვილების ხორცშესხმაც წამოიწყო; როგორც თავად გვიყვება, მისი სურვილი სოფლად არაფორმალური განათლების და კულტურის ალტერნატიული სივრცის შექმნა იყო და ეს სურვილი მას ბავშვობიდან ჰქონდა გამოყოლილი. მაშინ, 1990-იან წლებში, როცა სოფელში ძველი ინფრასტრუქტურა და სისტემა მოიშალა, მხოლოდ სკოლაღა შემორჩა ცოცხალ ორგანიზმად და მოსწავლეებს სკოლის გარდა, დამატებითი ცოდნის თუ უნარების გაუმჯობესების სხვა არანაირი შესაძლებლობა არ ჰქონდათ. სოფლად არც რაიმე სივრცე არსებობდა, სადაც თავშეყრას და უბრალოდ, თავისუფალი დროის აზრიანად, შემეცნებითად გატარებას შეძლებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში შესანიშნავი პედაგოგები მუშაობდნენ, რომლებსაც ის თავისუფალ მოქალაქედ აღზრდას და იმ ცოდნის გადმოცემას უმადლის, რაც დღეს სამოქალაქო აქტივიზმში ეხმარება

– მაინც ერთგვარ დანაკლისად დარჩა მთელ თაობას, რომ სკოლის მიღმა არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობა სოფლად არ არსებობდა.

2013 წელს გვანცამ თანამოაზრეებთან ერთად, CSRDG-ის მხარდაჭერით, საინიციატივო ჯგუფი დააფუძნა. ჯგუფი თემის, სოფლის კეთილდღეობისათვის უფრო თანმიმდევრულ და მიზანმიმართულ საქმიანობას შეუდგა. საინიციატივო ჯგუფი, 2017 წელს საზოგადოებრივ ორგანიზაციად, „განათლებისა და განვითარების ცენტრი – „თოლისკური“, გარდაიქმნა. სიტყვა „თოლისკური“ მეგრულ ენაში, სწორედ სწავლასთან და განვითარებასთან არის დაკავშირებული.

ამ პერიოდში, „თოლისკურელები“ თავადაც სწავლობდნენ, სიახლეებს იღებდნენ, კომპეტენციებს იუმჯობესებდნენ და თან სხვებსაც ასწავლიდნენ და უზიარებდნენ მიღებულ ინფორმაციას. სათემო ორგანიზაცია ათამდე აქტიურ ადამიანს, ძირითადად ქალებს, სტუდენტებსა და მოსწავლეებს აერთიანებს. ორგანიზაციას მოხალისეებიც ჰყავს და ზოგადად ბევრი გულშემატკივარიც. პანდემიის დროს სოფელში დაბრუნებული სტუდენტები სიამოვნებით ჩაერთნენ ცენტრის საქმიანობაში.

„თოლისკური“ სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებს საინტერესო სასწავლო კურსებს და შემეცნებით ღონისძიებებს სთავაზობს. ორგანიზაციას წლების განმავლობაში მრავალი პარტნიორი და გულშემატკივარი დაუგროვდა, ამიტომ ერთობლივი საქმეებიც ხშირია. „თოლისკური“ მხოლოდ საგანმანათლებლო კუთხით არ საქმიანობს, არამედ, როგორც ნამდვილ სათემო ორგანიზაციას შეესაბამება, სოფლად სხვადასხვა პრობლემის მოგვარებისთვის და ზოგადად, ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობისთვის შრომობს. ცდილობს, ადგილობრივ ხელისუფლებამდე სოფლის სატკივარი მიიტანოს, დღის წესრიგში სოფლის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება დააყენოს, დაბინძურებისაგან დაიცვას გარემო და თან მოსახლეობას საინფორმაციო და საკონსულტაციო სამსახურიც გაუწიოს.

„თოლისკურის“ საქმიანობაში მეზობელი სოფლის, ხეთის ახალგაზრდებიც არიან ჩართულები. ზოგადად, მუნიციპალიტეტში სამოქალაქო ორგანიზაციების ნაკლებლობაა; სწორედ ამიტომ, „თოლისკურელები“ მაქსიმალურად ცდილობენ მთელი მუნიციპალიტეტი მოიცვან და განსაკუთრებით ახალგაზრდებამდე, სათემო და სამოქალაქო ჩართულობის მნიშვნელობის შესახებ მიიტანონ ინფორმაცია.

სასიხარულო ის არის, რომ სათემო ორგანიზაცია „თოლისკურის“ მუშაობა გადამდები აღმოჩნდა სხვა მეზობელი სოფლებისთვისაც. გვანცას დახმარებით და მონაწილეობით, ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველ მაისში შეიქმნა ახალგაზრდული ცენტრი, რომელიც „თოლისკურთან“ ერთად მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებს განვითარებაზე ორიენტირებულ სასწავლო კურსებსა და საინტერესო ღონისძიებებს სთავაზობს.

დღეისათვის „თოლისკურის“ საქმიანობის ძირითადი სფეროები მოიცავს არაფორმალურ განათლებას, სოციალურ მეწარმეობას, სოფლად მცხოვრებ ქალთა გაძლიერებას, გარემოს დაცვას, ახალგაზრდების განვითარებას. ორგანიზაცია, უკანასკნელ წლებში ბევრს მუშაობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების დაცვისა და მათთვის ადეკვატური სერვისების მიწოდებაზეც. ორგანიზაციის წევრები ხშირად სათემო ცენტრის რესურსებითვე ეხმარებიან და კონსულტაციას უწევენ სოფლის მცხოვრებლებს, მათ შორის, სოფლის მეურნეობის მიმართულებით; ეხმარებიან მცირე ბიზნეს-გეგმებისა და პროექტების წერაში, აწვდიან ინფორმაციას სახელმწიფოს სხვადასხვა სერვისის შესახებ და სარგებლობაშიც უწევენ დახმარებას; პანდემიის პირობებში „თოლისკურელები“ ჩართულები იყვნენ კორონავირუსისა და მისგან დაცვის, ასევე, ვაქცინაციის საინფორმაციო კამპანიაში. ორგანიზაციისა და მისი მოხალისეებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა გარემოს დაცვა და საჯარო სივრცეების მოვლა. ამ მრავალფეროვანი მიზნების მისაღწევად, სათემო ცენტრი თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ფონდებთან, ადგილობრივ თვითმმართველობასთან.

სოციალური საწარმო „ჩირიგე“

2019 წლიდან, გვანცამ, თანამოაზრეებთან ერთად ჩამოაყალიბა ხილის საშრობი სოციალური საწარმო „ჩირიგე“, რომელიც სოფლის ცენტრში, ერთ-ერთ მიტოვებულ და უფუნქციოდ დარჩენილ შენობაში განათავსა. აქ სხვადასხვა ხილის ჩირი იწარმოება და სოფლის მაცხოვრებელი ქალები, მათ შორის, დევნილები, არიან დასაქმებულები. ჩირისათვის საჭირო ნედლეულს „ჩირიგე“ ადგილზე, სოფლის მოსახლეობისგან ყიდულობს და ამ მხრივაც უჭერს მხარს ადგილობრივ მოსახლეობას. სოციალურ საწარმოში დამზადებული პროდუქცია ლამაზად შეფუთული და სპეციალურად ბრენდირებული იყიდება და მისი მომხმარებლები არიან სხვადასხვა ორგანიზაციები, დიპლომატიური მისიები; გარდა ამისა „ჩირიგეს“ ნაწარმი გამოფენა-გაყიდვებზე, ბაზრობებსა და მარკეტებშიც არის ხელმისაწვდომი.

სოფელ თორსას ტექნოლოგიური ცენტრი

უკვე რამდენიმე თვეა, სოფელში ტექნოლოგიური ცენტრიც ამუშავდა. ამ იდეაზე სათემო ორგანიზაციაში ბევრს ფიქრობდნენ და ბჭობდნენ. აქ, ამ ცენტრში ახალგაზრდებს სხვადასხვა ხელობის შესწავლის საშუალება ექნებათ, იქნება ეს ხეზე ჭრა, პოლიგრაფია, ძერწვა, ხატვა თუ სხვ. ცენტრის მიზანი იმ ახალგაზრდების მოზიდვა და მათთვის ალტერნატიული პროფესიების შეთავაზებაა, რომლებიც უმაღლესი განათლების მიღმა დარჩნენ. იდეის მესვეურებს იმედი აქვთ, რომ ტექნოლოგიურ ცენტრში ჩართულობით ახალგაზრდების პროფესიული და შემოქმედებითი თვალსაწიერი გაფართოვდება, ისინი თავის თავში ახალ უნარებს და ინტერესებს აღმოაჩენენ და შეეცდებიან შეცვალონ ის ნიჰილისტური და ხშირად არაჯანსაღი დამოკიდებულებები, რაც საზოგადოების წევრებს გააჩნიათ პროფესიული სასწავლებლების, ხელობის და ზოგადად, სახელობო განათლების მიმართ.

ხობის დღის ცენტრი

2018 წლიდან ორგანიზაცია „თოლისკურმა“, ადგილობრივ თვითმმართველობასთან და ASB Georgia-სთან[1] თანამშრომლობით, წამოიწყო ახალი ინიციატივა, რომელიც ხობის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციასა და მათთვის დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების შეთავაზებას გულისხმობს. ამ მიზნით, ხობში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღის ცენტრი გაიხსნა, სადაც ოცამდე ადამიანი იღებს შესაბამის მომსახურებას. პირველ ეტაპზე ადვილი არ იყო მშობლების დარწმუნება, რომ მათი სპეციალური საჭიროებების მქონე შვილები დღის ცენტრში მიეყვანათ. ნდობის მშენებლობას, როგორც ყოველთვის, დიდი დრო დასჭირდა, თუმცა მას მერე, რაც ოჯახები ცენტრის საქმიანობას, აქ შექმნილ ინკლუზიურ გარემოს და მის დადებით შედეგებს უკეთ გაეცნენ, ნდობაც, და ცენტრში მიმართვიანობაც გაიზარდა. რაც შეეხება ადგილობრივ თვითმმართველობას, მისი შესაბამისი სამსახურები, საერთაშორისო ფონდებთან ერთად ინაწილებენ დღის ცენტრის არსებობისათვის საჭირო ფინანსურ ვალდებულებებს.

სათემო ცენტრს, მიუხედავად არაერთი დაბრკოლებისა, ზოგადად კარგი თანამშრომლობა აქვს ადგილობრივ ხელისუფლებასთან: „ნიჰილიზმი სათემო ორგანიზაციის საქმიანობის მიმართ არცთუ იშვიათად გვიგრძნია, როგორც საზოგადოების, ასევე თვითმმართველობების მხრიდან, მაგრამ ეს არ იყო დაბრკოლება. ადგილობრივ ხელისუფლებასთან კარგი ურთიერთობა გვაქვს, ერთობლივ პროექტებზეც ვმუშაობთ, ჩვენ ჩართულები ვართ სხვადასხვა დონის განხილვებში მაგ,. ახალგაზრდული პოლიტიკის კუთხით. ჩვენ ჯგუფში გვაქვს შესაძლებლობა ბოლომდე დახარჯვისა და იმისაც, რომ აქტიურად მუშაობის შემთხვევაში გავლენა მოვახდინოთ ადგილობრივ ხელისუფლებაზე. ყოფილა შემთხვევა, როცა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს არ

[1] Arbeiter Samariter Bund Georgia - არბაითერ-სამარიტერ-ბუნდი საქართველო.

გააჩნდათ შესაბამისი თემატური თუ დარგობრივი უნარები და კვალიფიკაცია, არც სამოქალაქო საზოგადოებებთან თანამშრომლობის გამოცდილება. ვფიქრობ, სახელმწიფო ცენტრალურ თუ ადგილობრივ დონეზე უნდა ეხმარებოდეს სათემო ორგანიზაციებს, რადგანაც თემზე ორიენტირებული საქმიანობა მათ ინტერესებშიც უნდა შედიოდეს. აქვე, მნიშვნელოვანი და ცალსახაა, რომ დახმარება არ ნიშნავს შემდეგ „მითითების“ უფლებას – თუ რა გააკეთოს ან რა არა, ამა თუ იმ სათემო ორგანიზაციამ, პირიქით, ქვემოდან, სათემო ორგანიზაციებიდან უნდა მოდიოდეს ინიციატივები და ხელისუფლება უნდა უსმენდეს მათ“.

სათემო ორგანიზაცია „თოლისკური“ ამჟამად რამდენიმე „ფრონტზე“ იბრძვის, რათა თავიანთ წამოწყებებს უფრო მდგრადობა შესძინონ. ისინი აქტიურად მუშაობენ სოციალური საწარმოს გასაფართოებლად და სოფლად მცხოვრები ქალების კიდევ უფრო მეტად გასაძლიერებლად. ასევე, ცდილობენ ტექნოლოგიური ცენტრის დახმარებით პოპულარული გახადონ პროფესიული სწავლება, სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებს აჩვენონ პროფესიული უნარების განვითარებით დასაქმების შესაძლებლობა. ამავე დროს, ორგანიზაცია დიდ ენერგიას ხარჯავს ხობის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღის ცენტრის შესანარჩუნებლად და მისი შემდგომი განვითარებისათვის.

მთელი ეს საქმიანობა, სოფელ თორსასა და ხობის მუნიციპალიტეტში ვერ განხორციელდებოდა, რომ არა, თემის განვითარების საკითხებზე მომუშავე ისეთი ძლიერი ეროვნული თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა, როგორებიცაა საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), გერმანული ფონდი „პური მსოფლიოსთვის“, პოლონეთის სოლიდარობის ფონდი, Global Environment Facility, ახალგაზრდობის სააგენტოს, არბაითერ სამარიტერ ბუნდი (ASB) და სხვ.

სათემო ორგანიზაცია „თოლისკურის“ წევრები, ინდივიდუალურადაც უამრავ პარალელურ საქმიანობაში არიან ჩართუ-

ლები, რადგან მუნიციპალიტეტში ბევრი საქმეა გასაკეთებელი და დრო კი არ იცდის. ბოლო დროის დიდი სიხარული, „თოლისკურელი“ ანა ბუკიას სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის საუკეთესო ახალგაზრდა მუშაკად დასახელებას (2021) უკავშირდება. თავად გვანცა სამოქალაქო ჩართულობის და სათემო განვითარების მიმართულებით თავის გამოცდილებას, მათ შორის, შეცდომებისა და შესაძლო დაბრკოლებების შესახებ, უზიარებს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მოქმედ ახლად შექმნილ სათემო, საინიციატივო ჯგუფებს.

მედიაწიგნიერების თემისადმი მიძღვნილი ღონისძიება. 2020 წ.

ფოტო: განათლებისა და განვითარების ცენტრი „თოლისკური“

სამოქალაქო ინიციატივა - წნორის "ცოდნის კაფე"

[დიანა კაკაშვილი]

„ცოდნის კაფე“ დროებითი სივრცე წნორში. 2017 წ.

ფოტო: სამოქალაქო ინიციატივა

ქალაქი წნორი კახეთში, სიღნაღის მუნიციპალიტეტში მდებარეობს. ამჟამად აქ ხუთი ათასამდე ადამიანი ცხოვრობს. ქალაქის სტატუსის მიუხედავად, რომელიც მას 1965 წელს მიენიჭა, სასოფლო ტიპის დასახლებადაც განიხილება ხოლმე და ხშირად ჩართულია სასოფლო დახმარების პროგრამებშიც.

საქართველოს სხვა პატარა ქალაქებისა და სოფლების რეალობას, თითქმის 30 წელია, წნორიც იზიარებს. ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისის ფონზე, 90-იანი წლებიდან მოყოლებული, არც აქ უმუშავია კულტურის სახლს, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამის ბიბლიოთეკას, ახალგაზრდულ ცენტრს, განვითარებული არ ყოფილა სპორტული ინფრასტრუქტურა და ზოგადად, არ მოიძებნებოდა ისეთი ადგილი, სადაც სხვადასხვა ასაკისა და ინტერესის ადამიანები შეძლებდნენ შეკრებას, ინფორმაციის, გამოცდილების გაცვლას, არაფორმალურ გარემოში ღონისძიებებზე დასწრებას თუ თავისუფალი დროის საინტერესოდ გატარებას.

2011 წლიდან ეს მოცემულობა დიდწილად შეიცვალა. ადგილობრივი ახალგაზრდების მონდომებითა და რამდენიმეწლიანი შრომის შედეგად, წნორში პირველად გაჩნდა თვითორგანიზებული „წნორის ახალგაზრდული ჯგუფი“, რომელიც თბილისში სასწავლებლად ჩასული წნორელი ახალგაზრდებისგან შედგებოდა. ისინი ცდილობდნენ, კავშირი არ გაეწყვიტათ მშობლიურ ქალაქთან, დახმარებოდნენ მას და როგორმე გამოეცოცხლებინათ იქაური ყოველდღიურობა. ახალგაზრდების სურვილი იყო, ის სიკეთეები, რაც დედაქალაქში მოიძებნებოდა, წნორელებისთვისაც ხელმისაწვდომი გამხდარიყო; დაახლოებით ოცდაათამდე ახალგაზრდა პერიოდულად იკრიბებოდა, სამომავლო გეგმებზე მსჯელობდა და წნორში სხვადასხვა ღონისძიებასაც ატარებდა.

თანდათან, ღონისძიებებს, წნორელების გარდა, ახლომახლო სოფლებიდანაც შემოუერთდნენ ახალგაზრდები. გაერთიანე-

ბის ძირითადი ინიციატორი მაშინ პაატა ალავერდაშვილი იყო, ასევე, შემდეგ უკვე „ცოდნის კაფეს“ დამფუძნებლები – ნანა ბაგალიშვილი და ქეთი მოლაშვილი. მალევე მიხვდნენ, რომ მათ შეკრებებსა და მუშაობას უფრო სისტემური და ორგანიზებული სახე უნდა მისცემოდა და ერთ წელში საზოგადოებრივი ორგანიზაცია „სამოქალაქო ინიციატივა“ დააარსეს.

„სამოქალაქო ინიციატივა“ ძირითადად კულტურისა და არაფორმალური განათლების მიმართულებით მუშაობდა. სოციალურ ქსელში განთავსებული საპროტესტო ფოტოებით, ისინი ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლების ყურადღების მიპყრობას ცდილობდნენ: საბჭოთა პერიოდის, ხშირად, ნანგრევებად ქცეული კულტურის ინფრასტრუქტურის ფონზე მდგომ მოზარდებს ხელში უკავიათ ტრანსპარანტები, წარწერით, „კულტურა გვშია“.

წნორში საჯარო სივრცე არ არსებობდა, ორგანიზაციას არც საკუთარი სამუშაო სივრცე ჰქონდა და ამიტომ, შეკრებებისა და აქტივობისთვის ქალაქის სკვერს იყენებდნენ, იშვიათად, როცა საშუალება იყო, სკოლის სივრცესაც. „სამოქალაქო ინიციატივაში“ მალევე მიხვდნენ, რომ თავად უნდა ემოქმედათ და უკეთესობისაკენ შეეცვალათ თავიანთი საარსებო გარემო, სადაც ახალგაზრდებისათვის შემეცნების, გართობის, დროის საინტერესოდ გატარების არანაირი პერსპექტივა არ არსებობდა და მართლაც, ქალაქს მალევე დაეტყო გამოცოცხლება: ეწყობოდა საქველმოქმედო საღამოები, ცნობილი მწერლები და პოეტები ჩადიოდნენ და თავიანთ წიგნებს წარადგენდნენ, შეიქმნა კინოკლუბი, სადაც ღია ცის ქვეშ ფილმებს უჩვენებდნენ და შემდეგ დისკუსიებს მართავდნენ, ტარდებოდა საშემოდგომო და საგაზაფხულო ფესტივალები და კიდევ მრავალი სხვა. ამ საქმიანობაში „სამოქალაქო ინიციატივას“ სხვადასხვა საერთაშორისო და საზოგადოებრივი ორგანიზაცია თუ კერძო პირი უჭერდა მხარს – ფინანსებით, ცოდნით, ტექნიკური თანადგომით და სხვ.

ღია ცის ქვეშ ღონისძიებების ჩატარება, განსაკუთრებით შემოდგომა-ზამთრის ამინდებში, რთული იყო და ხშირად ჩაშლილა ან გადადებულა კიდეც, მაგრამ ახალგაზრდებს ენთუზიაზმი არ დაუკარგავთ. ჯერ კიდევ 2012 წელს, მათ მუნიციპალურ შენობაში გადაეცათ ოთახი, მაგრამ სამიოდე წელში იგი ადგილობრივი ბიზნესის ხელში გადავიდა და ჯგუფი ისევ ღია ცის ქვეშ დარჩა.

სწორედ ამ დროიდან დაიწყო „ცოდნის კაფეს“ იდეის დამუშავება, რომელიც სოციალური საწარმო უნდა ყოფილიყო და საკუთარი შემოსავლით, თემის სასიკეთოდ საქმიანობაში, ჯგუფისთვის მეტი დამოუკიდებლობა და თავისუფლება მოეტანა. მართალია, დროთა განმავლობაში ჯგუფის შემადგენლობა და რაოდენობა იცვლებოდა, თუმცა ნანა ბაგალიშვილი და ქეთი მოლაშვილი, ჯგუფის ორი მთავარი წევრი, ადგილზე რჩებოდნენ და პირველ რიგში, იმ მთავარი პრობლემის მოსაგვარებლად იბრძოდნენ, რასაც სტაბილური სამუშაო სივრცე ჰქვია. მართლაც, 2016 წლიდან ორგანიზაციაში მუდმივმოქმედი საგანმანათლებლო და კულტურის სივრცის დაფუძნების იდეა გაჩნდა, 2016 წლის 25 სექტემბერს კი, წნორის ცენტრში, ნაქირავებ შენობაში „ცოდნის კაფე“ გაიხსნა.

„ცოდნის კაფე“ – განვითარებისა და განათლების ალტერნატიული სივრცე

როგორც დამფუძნებლები ამბობენ, თავიდან მას მაინც საცდელ პროექტად განიხილავდნენ, რადგან რეგიონში ეს მსგავსი ტიპის პირველი დაწესებულება იყო და არ იცოდნენ, გაამართლებდა თუ არა ამ ფორმით მუშაობა – „მოლოდინი არ გვქონდა, რომ აუცილებლად გაამართლებდა, შეიძლება დაგვეხურა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იმუშავა“ – ამბობს ნანა ბაგალიშვილი.

ახალგაზრდებს უნდოდათ ისეთი ადგილი შეექმნათ, რომელიც შეძლებისდაგვარად შეითავსებდა ყველა იმ დეფიციტური სივრცის ფუნქციას, რის საჭიროებაც ქალაქში არსებობდა. ასე

გაჩნდა ერთ შენობაში კაფე, თავისუფალი სამუშაო სივრცე, მრავალფეროვანი ინგლისურენოვანი ბიბლიოთეკა, არტსა-განმანათლებლო რეზიდენცია, არაფორმალური განათლე-ბის ცენტრი, მულტიმედია ბიბლიოთეკა და წიგნის მაღაზია. წნორელი ახალგაზრდების დიდი ხნის სურვილი რეალობად იქცა, ან უფრო – თავადვე აქციეს იგი სინამდვილედ; ის, რაც 5-6 წლის წინ მხოლოდ სურვილი და ოცნება იყო, ახლა უკვე მათ თვალწინ ვითარდებოდა. პირველი ნაბიჯებიდან ხუთი წლის თავზე, ინიციატორებს უკვე სტაბილური სამყოფელიც ჰქონდათ და უფრო მკაფიო სამოქმედო გეგმებიც, იცოდნენ, კიდევ რა და როგორ უნდა შეეცვალათ თავიანთ ქალაქში.

რადგან „ცოდნის კაფეს“ წიგნის მაღაზიაში ლიტერატურის დიდი ასორტიმენტია და ფასებიც ხელსაყრელია, მას მყიდ-ველი არ აკლია. მიუხედავად იმისა, რომ წნორში წიგნები სხვაგანაც იყიდება, ხალხი მაინც აქაურობას უფრო ეტანება. იგი პატარა ქალაქის უსაყვარლეს ადგილად იქცა. თანაც, მო-სახლეობამაც გაიაზრა, რომ ეს სოციალური საწარმოა, სხვა სპეციფიკა აქვს და სიხარულით სტუმრობენ იქაურობას.

ცხადია, „ცოდნის კაფე“ მხოლოდ წნორელებისთვის არ არის; მისი კარი ყველასთვის ღიაა, სხვა რეგიონიდან ჩამოსული ადამიანების, ორგანიზაციების, ღონისძიებების შეხვედრისა და ცოდნის გაცვლის ადგილიცაა. სოციალური საწარმოს შექმნი-სას, მის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციად სწორედ ეს იყო ჩა-ფიქრებული, რომ ის დამაკავშირებელი რგოლი და ცენტრი უნდა ყოფილიყო და ცენტრიდან რეგიონში სხვადასხვა სახის აქტივობები გადმოეტანა, განათლებისა და კულტურის თა-ნამედროვე მიღწევები, ცოდნის ცენტრიდან რეგიონში წამო-ეღო. ინიციატორებს სურდათ, ადგილობრივი ახალგაზრდები საინტერესო შესაძლებლობების მიღმა არ დარჩენილიყვნენ და დედაქალაქში არსებული ყველა სიკეთე – წიგნის პრე-ზენტაციები, ლექცია-დისკუსიები, ცნობილ ადამიანებთან შეხ-ვედრები, ტრენინგები, ვორქშოპები და სხვ. – მათთვისაც ხელმისაწვდომი გამხდარიყო. მართლაც, უკვე 2018 წელს, დაარსებიდან ორ წელში, „ცოდნის კაფემ“ ორასამდე მსგავს აქტივობას უმასპინძლა.

თანდათან, მუშაობის პროცესში, „ცოდნის კაფეს“ ირგვლივ ძირითადად ორი – ხანდაზმულების და ახალგაზრდების ჯგუფი გაერთიანდა; ღონისძიებებში იშვიათად ბავშვებიც ერთვებიან. თითქმის ყველანაირი ინტერესის მქონე ახალგაზრდას შეუძლია „ცოდნის კაფეში“ თავისთვის სასარგებლო რამ აღმოაჩინოს. სამუშაო ჯგუფებისა და ღონისძიებების ჩამონათვალი იმდენად მრავალფეროვანია, რომ მათი სრულად დასახელებაც კი შორს წაგვიყვანს – მეწარმეობის უნარების განმავითარებელი პროგრამები, პროფესიული ორიენტაციის შეხვედრები, ევროპულ ღირებულებებთან დაკავშირებული შეხვედრები, ინგლისური ენის სასაუბრო კლუბი, კინოჩვენებები და დისკუსიები, ახალი წიგნების წარდგინებები.

დამკვიდრდა სხვადასხვა ზეიმისა თუ დღესასწაულის ერთად აღნიშვნის ტრადიციაც. გარდა თეორიული ცოდნისა, ცდილობენ პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაშიც დაეხმარონ ახალგაზრდებს. სწორედ ამისთვის ეწყობა სხვადასხვა თემატური ვორქშოპები, მაგ., ფოტოგრაფიაში, ხელსაქმეში და სხვ. ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად თაობათა შორის დიალოგის წახალისება და ხანდაზმულთა სოციალიზაციაზე ორიენტირებული საქმიანობა იქცა.

ხანდაზმულთა ყოფა რეგიონებში, შეიძლება ითქვას, უფრო მძიმეა, ვიდრე დედაქალაქში; მათი ყოველდღიურობა კიდევ უფრო ერთფეროვანი, საზრუნავითა და, ხშირად, მძიმე ფიზიკური შრომით არის დატვირთული; მათ ნაკლებად ან თითქმის არ ეძლევათ საშუალება, საკუთარ ინტერესებსა თუ სურვილებზე იზრუნონ, იშვიათად ჩნდებიან რაიმე ღონისძიებებსა თუ საზოგადო თავშეყრის ადგილებში, მათთვის ერთგვარ ნორმად იქცა ჩაკეტილი ცხოვრების წესი, რომ აღარაფერი ვთქვათ, სამოგზაურობ, თეატრში ანდა კაფეში სიარულზე. „ცოდნის კაფემ“, პრეცედენტი შექმნა და ხელი შეუწყო პირველი ხანდაზმულთა კლუბის ჩამოყალიბებას მუნიციპალიტეტში, სადაც წნორელი მოხუცები გაერთიანდნენ და უამრავ საინტერესო პროცესში მოახერხეს მონაწილეობა. კლუბის წევრები მალევე გაემგზავრნენ თბილისში ექსკურსიაზე, წავიდნენ თეატრშიც, კაფეშიც და მთელი მონდომებით

ჩაერთნენ ღონისძიებებში. „ცოდნის კაფეში“ სიარული და აქტივობებში ჩართვა მათთვის უკვე ცხოვრების წესის ნაწილი გახდა. აქ მათ იმის საშუალებაც ეძლევათ, საკუთარი გამოცდილება, ცოდნა ახალგაზრდებს გაუზიარონ.

ხანდაზმულებისთვის „ცოდნის კაფეში“ სხვადასხვა თემატიკის ქვეკლუბები ფუნქციონირებს – ხელსაქმის, ჯანდაცვის, კულტურის, ლიტერატურის და სხვ. ისინი თავიანთი ინტერესის მიხედვით ირჩევენ და ესწრებიან ღონისძიებებს. ამჟამად კლუბში დაახლოებით 40 ადამიანია გაერთიანებული. აქ არა მარტო მოწვეულ სტუმრებს უსმენენ, ხშირად თავადაც უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებას ისეთ საკითხზე, როგორიცაა, მაგალითად, კერვა, ხატვა, ძველი ნივთების განახლება, მსუბუქი გამაჯანსაღებელი ვარჯიშები, სახის მოვლა, თევზაობა და სხვ.; აწყობენ პოეზიის და კულინარიულ საღამოებსაც, ერთად დადიან ექსკურსიაზე, აღნიშნავენ დაბადების დღეებს და ა.შ.

თავიდან ხანდაზმულებისათვის ბუნდოვანი იყო „ცოდნის კაფეს“ ფუნქციები; იგი მათთვის მხოლოდ გართობასთან ასოცირდებოდა. სოციალიზაცია სულ სხვაგვარად ესმოდათ და ამ სივრცეში მათი მიყვანა ადვილი არ აღმოჩნდა. ამიტომ, გუნდი ჯერ საკუთარ მეზობლებთან შეუდგა მუშაობას, გააცნეს თავიანთი საქმიანობის მიზნები და მათაც თანდათან დაიწყეს ინტერესის გამოხატვა, აქტივობებში ჩართვა. ახლა უკვე არამეზობელი უბნებიდანაც მოდიან და კითხულობენ, როგორ შეუძლიათ ღონისძიებებში მონაწილეობა.

2018 წლიდან „ცოდნის კაფემ“ თაობათაშორისი პროგრამების დაგეგმვაც წამოიწყო. უნდოდათ, რომ სხვადასხვა ასაკის ადამიანებს მეტი საერთო გასჩენოდათ, დაახლოებულიყვნენ, მეტად დაჰკავშირებოდნენ ერთმანეთს და ცოდნის გაზიარების საშუალებაც მისცემოდათ. მაგალითად, ხანდაზმულები კულინარიულ ცოდნას უზიარებდნენ მომავალ თაობას, ახალგაზრდები კი მათ თავიანთ ცოდნას, ინფორმაციას გადასცემდნენ. აქტიურად იმუშავა ზღაპრის კლუბმაც, სადაც ხანშიშესული ადამიანები ბავშვებს ზღაპრებს უკითხავენ.

„ცოდნის კაფეს“ აგროსკოლა

მებოსტნეობა-მემცენარეობა ქართული სოფლების ერთ-ერთი ძირითადი სამეურნეო საქმიანობაა, თუმცა, არცთუ იშვიათად, ვხედავთ, რომ ამ სფეროს თანამედროვე მეთოდები და ცოდნა ბევრისთვის ჯერ კიდევ ხელმიუწვდომელია. ეს განსაკუთრებით ეხება ბიომეურნეობას, რომელიც საქართველოში მხოლოდ ახლა იკიდებს ფეხს. არც ისეთი ადგილის მოძებნაა ადვილი, სადაც მოზარდები შეძლებენ ამ ცოდნის მიღებას, ინტერესების დაკმაყოფილებას, ახალი მეთოდებისა თუ ტექნიკის დაუფლებას. ძირითადად საოჯახო მეურნეობაში, პრაქტიკაზე დაკვირვებით იღებენ საჭირო ცოდნას, რომელიც ხშირად არასაკმარისია.

2020 წლის გაზაფხულზე, „ცოდნის კაფემ“, 8-12 წლის მოზარდებისათვის „აგროსკოლის“ პროექტის განხორციელება დაიწყო. ინიციატორი ადგილობრივი ახალგაზრდა ნიკა ბაგალიშვილია, რომელმაც აგრარული უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ფერმერული საქმიანობა მშობლიურ ქალაქში განაგრძო და სხვადასხვა სახეობის ბიოლოგიურად სუფთა ბოსტნეული მოჰყავს; წელს კი გადაწყვიტა, თავის კოლეგასთან, სანდრო შანიძესთან ერთად გამოცდილება და ცოდნა მომავალი თაობისათვის გაეზიარებინა. ამასთან ერთად, სურდათ, ახალგაზრდებისათვის აგროსფეროში არსებული პოტენციალი, მისი მნიშვნელობა დაენახვებინათ და ამ დარგთან დაეახლოვებინათ.

სკოლის პროგრამა ექვს თვეზეა გაწერილი და ითვალისწინებს ბიოპროდუქტების მოყვანის დაუფლებას პრაქტიკული სწავლების საშუალებით. ამასთან ერთად, მოსწავლეებს საჭირო თეორიული ცოდნაც მიეწოდებათ.

ვინაიდან, ეს პერიოდი პანდემიის გავრცელებას დაემთხვა, სასწავლო პროცესი ონლაინ წარიმართა, მაგრამ ამას დიდი დაბრკოლება არ შეუქმნია – მოსწავლეები მიღებული თეორიული ცოდნის კვალდაკვალ, მასწავლებლების დისტანციური მეთვალყურეობით, თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთებში თესავ-

დნენ სხვადასხვა სახის ბოსტნეულს, გამოჰყავდათ ჩითილები და მცენარისადმი ინდივიდუალურ მიდგომას ეუფლებოდნენ. ამ პროცესში, ხშირად, ბავშვებთან ერთად ჩართულები იყვნენ მათი ოჯახის უფროსი წევრებიც. აგროსკოლის ინოვაციური მეთოდები, მიდგომები მათთვის განსაკუთრებით მიმზიდველი აღმოჩნდა და ბევრისთვის ბიძგადაც კი იქცა, მიტოვებულ სამეურნეო საქმიანობას მიბრუნებოდა.

მიუხედავად შექმნილი პირობებისა, რამაც აგროსკოლას არ მისცა მოსწავლეებთან პირისპირ მუშაობის საშუალება, პროგრამა წარმატებით დასრულდა. სასწავლო პროცესი მაინც ძალიან სახალისოდ წარიმართა. მოსწავლეები დიდი ინტერესით ელოდნენ საკუთარი ნაშრომის შედეგს – მოსავლის აღებას.

წინასწარ შეთანხმდნენ, რომ მოყვანილი მოსავლიდან შემოსული სარგებელი საერთო საქმეს მოხმარდებოდა. თავიანთივე მოწეული პამიდორი, ბროკოლი, ლობიო და სხვა ბაღჩეული თბილისში, სპეციალურად მოწყობილ პატარა ბაზრობაზე თავადვე გაყიდეს, შემოსავალი კი მთლიანად „ცოდნის კაფეს“ ასაშენებლად გადაირიცხა, რაც, თავისთავად, მომავალში ამ და მსგავსი პროგრამების ხელშეწყობას და განვითარებას გულისხმობს.

ინიციატორები იმედოვნებენ, რომ აგროსკოლის ექვსთვიანი პროექტი ერთჯერადი არ იქნება და ყოველ წელს უფრო მეტად განვითარდება და დაიხვეწება. ამ მიზნით ორგანიზაციამ მიწის ნაკვეთიც კი შეიძინა წნორის მახლობლად. აქ, დაახლოებით სამ ჰექტარ ფართობზე სადემონსტრაციო ნაკვეთი მოეწყობა, სადაც საკოლექციო ენდემურ კულტურებს გააშენებენ.

პანდემიის გავლენა „ცოდნის კაფეს“ საქმიანობაზე

რადგანაც პანდემიით შექმნილმა ვითარებამ ბევრი საკითხი უფრო მწვავედ წარმოაჩინა ქვეყანაში და პრობლემებიც გამოკვეთა, „სამოქალაქო ინიციატივის“ გუნდი შეეცადა,

რომ მათი საპასუხო რეაქციები და ნაბიჯები მაქსიმალურად ეფექტიანი ყოფილიყო, შესაძლებლობის ფარგლებში დახმარებოდნენ ყველას, ვისაც ამის აუცილებლობა დაუდგა. ბევრი ადამიანისათვის ეკონომიკური თუ სამედიცინო დახმარება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახდა. ცხადია, მთელი გუნდი, მოხალისეებთან ერთად, ჩვეული ყოველდღიური საქმიანობიდან, მთლიანად ამ საკითხების მოგვარებაზე გადაერთო. ისინი გახდნენ დამაკავშირებელი რგოლი იმ ადამიანებისა, ვისაც დახმარება ესაჭიროებოდა და მათი, ვისაც შეეძლო სხვისთვის ხელი გაემართა. დაახლოებით ექვსასმა მოქალაქემ საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, მათ შორის ემიგრანტებმა, ასევე, სხვადასხვა ორგანიზაციამ, გამოთქვა დახმარების სურვილი, საკუთარი ინიციატივით ჩაერთო ადგილობრივი ბიზნესიც და საბოლოო ჯამში, საკმაოდ დიდი ფინანსური რესურსის მობილიზება მოხერხდა.

ბუნებრივია, პირველ რიგში მათი მდგომარეობით დაინტერესდნენ, ვისაც შექმნილი კრიზისი ყველაზე მწვავედ შეეხო – მარტოხელა მოხუცებს, ავადმყოფებს და ბავშვებს, რომლებიც სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან არიან. დაიწყეს ხანდაზმულებისა და ახალგაზრდების დახმარება მათი საჭიროებების მიხედვით – პროდუქტით, წამლებით, ჰიგიენური საშუალებებით, ტელეფონებით, ტელევიზორით და სხვ. იმაზეც იზრუნეს, რომ ეს ტრავმული პერიოდი რამენაირად მცირედით მაინც შეემსუბუქებინათ და ფსიქოლოგიური ნუგეშისთვის, პანდემიით გამოწვეული სტრესის შესამცირებლად ოთახის მცენარეებიც დაურიგეს.

დიდ გასაჭირში აღმოჩნდა ბევრი მოსწავლეც. იმის გამო, რომ ინტერნეტი და კომპიუტერი არ ჰქონდათ, ფიზიკურად ვერ ერთვებოდნენ სასწავლო პროცესში და ფაქტობრივად, განათლების გარეშე რჩებოდნენ. ზოგიერთ ოჯახს საერთოდ არ ჰქონდა კომპიუტერული ტექნიკა, მრავალშვილიან ოჯახებში კი არასაკმარისი რაოდენობის იყო. ამისათვის 35 000 ლარზე მეტი შეგროვდა და, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, დაეხმარნენ ყველას, ვისაც დისტანციურ სწავლებაზე ხელი არ მიუწვდებოდა. რადგან რესურსი საკმარისი იყო, სიღნაღის გა-

რდა, ლაგოდეხისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტ-შიც გაუმართეს ხელი მოსწავლეებს. ასე ჩაეყარა საფუძველი „ცოდნის კაფეს“ მნიშვნელოვან ინიციატივას – „განათლების ფონდს“, რომელიც მოქალაქეთა მხარდაჭერითა და თანამონაწილეობით დღემდე განაგრძობს საქმიანობას და საჭიროების მქონე მოზარდებსა და ახალგაზრდებს ფორმალურ თუ არაფორმალურ განათლებაზე წვდომას სთავაზობს.

„დადე შენი აგური“

მიუხედავად დატვირთული და წარმატებული მუშაობისა, „ცოდნის კაფე“ კვლავ ნაქირავებ სივრცეში საქმიანობს, რაც ტვირთად აწევს ორგანიზაციას. გარდა ამისა, ამჟამინდელ შენობაში არ არის საკმარისი სივრცე კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობისათვის.

ამ პრობლემების მოსაგვარებლად, 2018 წელს, ინიციატორებმა სამოქალაქო კამპანია, „დადე შენი აგური ცოდნის კაფეს ასაშენებლად“, წამოიწყეს. ყველა მსურველს – ფიზიკურ პირსა თუ კომპანიას შეუძლია ნებისმიერი რაოდენობის თანხით დაეხმაროს კაფეს მშენებლობას. კამპანია იმდენად მასშტაბური გამოვიდა, რომ „ცოდნის კაფეს“ იდეა ლამის მთელ საქართველოში ცნობილია.

ქეთი მოლაშვილმა და ნანა ბაგალიშვილმა იდეის დონეზე არსებული საგანმანათლებლო სივრცისთვის ჯერ 40000 ლარი შეაგროვეს მოქალაქეთა შემოწირულობებით. ამ თანხით, 2018 წელს, „სამოქალაქო ინიციატივამ“ წნორის ცენტრში „ცოდნის კაფეს“ ასაშენებლად მიწა შეისყიდა. თანხის შეგროვების მეორე ეტაპი 2019 წელს დაიწყო და ძალიან აქტიური სოციალური კამპანიის მეშვეობით, უამრავ ადამიანს მისწვდა. კაფეს, ანუ საგანმანათლებლო და კულტურის სივრცის, პოტენციური მაშენებელი არაერთი მოქალაქე, საზოგადოებრივი, საერთაშორისო თუ ბიზნეს-ორგანიზაცია გახდა და 2021 წელს საძირკველიც გაიჭრა. ამ პერიოდისთვის შემოწირულობების სახით 97.000 ლარზე მეტია შეგროვებული, ამასობაში ორგა-

ნიზაცია Mercy Corps-მა 130.000 ლარის ოდენობის კონტრიბუცია გაიღო „ცოდნის კაფეს“ მშენებლობისათვის.

„ცოდნის კაფეს“ მშენებლობის იდეა დაედო საფუძვლად არაერთი დამხმარე ღონისძიების გამართვას. კამპანიამ ერთმანეთთან დააკავშირა ადამიანები და მათ თანამშრომლობის, საქმის ერთად კეთების მოტივაციაც შემატა. წნორის, თუ ზოგადად, ქიზიყის მცხოვრებლები, მათ შორის, ხანდაზმულები, ამ წლების განმავლობაში გეგმავდნენ და ატარებდნენ ღონისძიებებს, საერთო საქმეში საკუთარი წვლილის შესატანად: ყიდდნენ თავიანთი ხელით დამზადებულ აქსესუარებსა და ტკბილეულს და თანხას მშენებლობისთვის რიცხავდნენ.

2021 წლიდან, ახალგაზრდები კიდევ უფრო აქტიურად ჩაერთნენ „ცოდნის კაფეს“ შენების პროცესში სპეციალური პროგრამის („ბუთქემფის“) საშუალებით. პროგრამა იმ მოზარდებისთვის შეიქმნა, რომლებიც ბიზნესით, მარკეტინგითა და ადამიანის უფლებებით არიან დაინტერესებულნი და ამასთანავე, სურთ საკუთარი წვლილი შეიტანონ წნორის ცოდნის კაფეს აშენებაში. მთელი საქართველოდან სულ 56 სასკოლო გუნდი მონაწილეობდა ამ პროცესში. პროექტის მეორე ეტაპზე გადასულმა 15-მა გუნდმა საუკეთესო გეგმისთვის მცირე საწყისი კაპიტალი მიიღო, რომელიც გამოცდილი „სტარტაპ“-დამფუძნებლების დახმარებით და სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით, ორჯერ და სამჯერ გაზარდეს. ამგვარად, პროექტში ჩართული ახალგაზრდები, გარდა იმისა, რომ ძალზე გამოსადეგი ცოდნა და გამოცდილება შეიძინეს, მნიშვნელოვნად დაეხმარნენ იდეის განხორციელებასაც.

გუნდის პირველი და უმთავრესი გეგმა ამ ეტაპზე „ცოდნის კაფესთვის“ საკუთარი სახლის აშენებაა, რომელსაც დაემატება რეზიდენცია და რობოტიკის სკოლა. მას შემდეგ, რაც საამისოდ თანხების დაზოგვა აუცილებელი აღარ იქნება, სოციალურ საწარმოს საშუალება ექნება უფრო მეტად იზრუნოს პროგრამების განვითარებაზე.

ახალგაზრდებისათვის ფინანსური მხარდაჭერის გასაწევად იგეგმება განათლების ფონდის შექმნა, რომელიც არა მხოლოდ სიღნაღის მუნიციპალიტეტს, არამედ მთელ კახეთს მოიცავს. კრიზისულმა პერიოდმა კიდევ უფრო გამოკვეთა მსგავსი ფონდის არსებობის საჭიროება. აგროსკოლის ფარგლებში კი, რამდენიმე მუნიციპალიტეტში სურთ საჩვენებელი ნაკვეთების მოწყობა, რომელიც კიდევ უფრო მეტ ახალგაზრდასა თუ ზრდასრულს გააერთიანებს.

მოთხოვნისა და საჭიროების მიუხედავად, მუნიციპალიტეტში დღემდე არ არსებობს ხანდაზმულთა დღის ცენტრი. ამიტომ, „ცოდნის კაფეს“ სურს მის შექმნასაც ჩაუყაროს საფუძველი. ეს თავისთავად გულისხმობს მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებასაც. სასურველი იქნება მუნიციპალიტეტმა რამდენიმე მიმართულებაზე მაინც აიღოს პასუხისმგებლობა, ანუ დაფინანსების ან თანადაფინანსების ვალდებულება.

ადგილობრივი მეწარმეებისა და ფერმერების საქმიანობის მნიშვნელობა ქალაქისა და მთლიანად რეგიონის განვითარებაში ძალიან დიდია, ამიტომ, მათთან თანამშრომლობას „ცოდნის კაფე“ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს. 2020 წლამდე ამას უფრო ცალკეული შემთხვევების ხასიათი ჰქონდა, მიმდინარე წლიდან კი გაცილებით აქტიურ და სისტემატურ სახეს მიიღებს. ძირითადი სამუშაო მიმართულება სხვადასხვა თაობის მეწარმეების შეხვედრა, ცოდნისა და ინფორმაციის გაცვლა იქნება; აგრეთვე, მთელი ქვეყნის მასშტაბით მეწარმეობაში ჩართული პირების გაცნობა და დაკავშირება.

ასე იქცა ერთი შეხედვით დაუჯერებელი იდეა რეალობად და რამდენიმეწლიანი ძალისხმევის შედეგად, მოქალაქეებმა თვითონ შეძლეს რეგიონში საგანმანათლებლო სივრცის მშენებლობის წამოწყება. „ცოდნის კაფეს“ კედლებზე აღბეჭდილი იქნება თითოეული იმ ადამიანის გვარი თუ კომპანიის სახელი, ვინც თავისი აგური დადო წნორში კულტურისა და განათლების ალტერნატიული სივრცის ასაშენებლად.

თანხის შეგროვების კამპანია „ცოდნის კაფის“ მშენებლობისთვის, 2019 წ.

ფოტო: „სამოქალაქო ინიციატივა“

ახალი აზროვნების ინსტიტუტი – მეგობარი ინიციატორები მოლაოღლიდან და ხულდარადან

[ირაკლი ირემაძე]

ნოვრუზის „ქარის ჩერშენბეს“ აღნიშვნა მარნეულში, 2022 წ.

ფოტო: „ახალი აზროვნების ინსიტუტი“

მეზობელი სოფლები მოლაოღლი და ხულდარა მარნეულის მუნიციპალიტეტში მდებარეობს. სადახლოს თემის შემადგენლობაში შემავალი ორივე სოფელი სომხეთ-საქართველოს საზღვრის ახლოს, დაბალ ფერდობებზეა განლაგებული. მოლაოღლი ზღვის დონიდან 560 მეტრზე მდებარეობს და 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის თანახმად, იქ 1 091 ადამიანი ცხოვრობს. სოფელი ხულდარა ზღვის დონიდან 580 მეტრზე მდებარეობს, სოფელში 915 ადამიანი ცხოვრობს. უკანასკნელ ათწლეულებში, სოფლების მოსახლეობა, 2002 წელთან შედარებით, დაახლოებით 8%-ით შემცირდა. ორივე სოფელი სრულად ეთნიკური აზერბაიჯანლებითაა დასახლებული. სოფლებში მოქმედებს აზერბაიჯანულენოვანი საჯარო სკოლები. მოლაოღლის სკოლაში 180-მდე მოსწავლე სწავლობს, ხოლო ხულდარას სკოლაში 140-მდე მოსწავლეა რეგისტრირებული.

მარნეულის სხვა დასახლებებისგან განსხვავებით, მოლაოღლსა და ხულდარაში სუსტად არის განვითარებული სოფლის მეურნეობა, სოფლებს არ გააჩნიათ მიწის დიდი სავარგულები, არც სარწყავი წყლის სისტემაა მოწყობილი. სოფლებში სუსტად არის განვითარებული მესაქონლეობაც, რადგანაც წყლისა და საძოვრების ნაკლებობა ხელს უშლის ამ დარგის განვითარებას. ამ სოფლების მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩართულია მცირე ბიზნესში, ძირითადად ვაჭრობის სექტორში, ამასთანავე, სოფლის მოსახლეობის ნაწილი, ძირითადად მამაკაცები, თბილისში, სამშენებლო სექტორში, დაბალანაზღაურებად ყოველდღიურ სამუშაოებზეა დასაქმებული.

სოფლებში, ცხოვრება, წლების განმავლობაში, რუტინულად მიედინებოდა, ახალგაზრდები დროის დიდ ნაწილს სოფლის ცენტრებში ე. წ. „ბირჟებსა“ და ჩაიხანებში ატარებდნენ. სკოლის მოსწავლეებისათვის სოფლებში არავითარი დამატე-

ბითი აქტივობების შესაძლებლობა არ ჩანდა. საქართველოს განათლების სამინისტროს პროგრამის ფარგლებში, სოფლების აზერბაიჯანულენოვან სკოლებში, მართალია, დაიწყო სახელმწიფო ენის – ქართულის სწავლება, თუმცა კადრებისა და საგაკვეთილო საათების სიმცირის გამო, სკოლადამთავრებულ ახალგაზრდებს შორის სახელმწიფო ენის ცოდნის დონე საკმაოდ დაბალი იყო.

2010 წლიდან საქართველოს მთავრობამ დაიწყო პროექტი „1 + 4“, რომელიც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი – აზერბაიჯანელი, სომეხი, აფხაზი და ოსი ახალგაზრდებისათვის საქართველოში განათლების მიღების ხელმისაწვდომობის გაზრდას გულისხმობდა. კერძოდ, აბიტურიენტებს, მშობლიურ ენაზე ჩაბარებული ზოგადი უნარების ტესტის შედეგების მიხედვით, 1 წლის განმავლობაში, სახელმწიფო უნივერსიტეტების სპეციალური პროგრამებით სახელმწიფო ენის შესწავლის შესაძლებლობა ეძლეოდათ. ერთწლიანი სასწავლო პროგრამის წარმატებით დაძლევის შემდეგ, აბიტურიენტს შეეძლო სწავლა მისთვის სასურველ სახელმწიფო უნივერსიტეტების აკრედიტებულ საბაკალავრო პროგრამებზე გაეგრძელებინა. 2010 წელს პროგრამაში მონაწილეობა მხოლოდ 247 აბიტურიენტმა მიიღო, ხოლო 2018 წლისათვის პროგრამაში მონაწილეთა რაოდენობამ 1200-ს გადააჭარბა.

პროგრამა „1 + 4“ მნიშვნელოვანი შედეგების მომტანი აღმოჩნდა ხულდარასა და მოლაოღლის მკვიდრი ახალგაზრდებისათვის. მხოლოდ 2019 წელს ამ სოფლებიდან პროგრამის საშუალებით სტუდენტის სტატუსი 17-მა ახალგაზრდამ მოიპოვა. თუმცა ახალგაზრდების ამგვარ გააქტიურებას და საქართველოს განათლების სისტემაში ჩართვას ერთი უმთავრესი განმაპირობებელი მიზეზი აქვს, რომლის შესახებაც ვრცლად გიამბობთ და ურომლისოდაც შედეგის მიღწევა უფრო რთული იქნებოდა.

მოლაოღლსა და ხულდარაში ახალგაზრდების ცხოვრება უკანასკნელი წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა. ამ ცვლილების გამომწვევი მიზეზი ორი მეგობრის,

არიზ დაშდამიროვისა და ჩამრან ათანდაევის მიერ წამოწყებული საქმე გახდა. არიზი სოფელ მოლაოღლში დაიბადა და იქვე დაასრულა სკოლა, ხოლო ჩამრანმა საშუალო განათლება მშობლიური სოფლის, ხულდარას სკოლაში მიიღო. მეგობრები თავიანთ სკოლაში აქტიური მოსწავლეები იყვნენ. ისინი სკოლის პერიოდიდანვე ცდილობდნენ, სოფლის ახალგაზრდობის ცხოვრება უკეთესობისაკენ შეეცვალათ. მიუხედავად იმისა, რომ არიზსა და ჩამრანს, სხვა თანასკოლელების მსგავსად, გადაწყვეტილი ჰქონდათ სწავლა აზერბაიჯანის უმაღლეს სასწავლებლებში გაეგრძელებინათ, „1 + 4“ პროგრამის შემოღების შემდეგ, 2010 წელს, აზრი შეიცვალეს და გადაწყვიტეს, პროგრამით ესარგებლათ. ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ, ერთ ჯგუფში განაგრძეს სწავლა ენის შემსწავლელ პროგრამაზე. შემდეგ არიზმა სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განაგრძო, ჩამრანმა კი – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდშივე ჩამრანი და არიზი აქტიურად ჩაერთნენ ახალგაზრდული ორგანიზაციების საქმიანობასა და ღონისძიებებში, რამაც ახალგაზრდებს ამ სფეროში მნიშვნელოვანი გამოცდილება შესძინა.

უნივერსიტეტში სწავლის დასრულების შემდეგ, მალევე, ბავშვობის მეგობრები შეუდგნენ ფიქრს, რისი გაკეთება შეეძლოთ თავიანთი სოფლის ახალგაზრდებისა და ზოგადად თანასოფლელებისათვის. მეგობრები ოცნებობდნენ, მშობლიურ სოფლებში ცვლილებები დაწყებულიყო. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, ჩამრანი მცირე ბიზნესში იყო ჩართული, ხოლო არიზი სკოლაში მუშაობდა. ამავე დროს, ახალგაზრდები ხშირად ეხმარებოდნენ თანასოფლელებს სახელმწიფო ორგანოებთან და თემში მომუშავე პირებთან კომუნიკაციაში, რადგანაც სოფლის მცხოვრებთა დიდი ნაწილი არ ფლობდა სახელმწიფო ენას, რაც მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში არაერთ სირთულეს უქმნიდა.

შემდგომში არიზი სათემო განვითარების საკითხებზე მომუშავე ისეთ მნიშვნელოვან ორგანიზაციას დაუკავშირდა, როგორიც არის ფონდი „ტასო“, კერძოდ, დირექტორს, მარინა თაბუკა-

შვილს, რომელმაც ახალგაზრდებს შესთავაზა, ფონდის ფინანსური მხარდაჭერით რაიმე საქმიანობა წამოეწყოთ, რომელიც მათ თემს სარგებელს მოუტანდა.

მართლაც, 2015 წელს, ფონდი „ტასო“-ს ფინანსური მხარდაჭერით, არიზმა წამოიწყო საქმე, რომლის იდეაც წლების განმავლობაში იხვეწებოდა – მშობლიურ სოფელში სათემო ცენტრი, ერთგვარი საგანმანათლებლო სივრცე შექმნა სოფლის ახალგაზრდებისათვის. არიზმა თანასოფლელ მეგობრებთან, ძირითადად, ახალგაზრდა მასწავლებლებთან ერთად, ჩამოაყალიბა საინიციატივო ჯგუფი – „მოლაოღლის განვითარების ჯგუფი“, რომელმაც საქმიანობა ფონდი „ტასოს“ მხარდაჭერით დაიწყო. პირველ რიგში სკოლის ადმინისტრაციის მიერ გამოყოფილი მცირე ფართი, სასწავლო სივრცე მოაწესრიგეს და მცირე ბიბლიოთეკა შექმნეს.

არიზს თავდაპირველად ძალიან გაუჭირდა ცენტრში დაინტერესებული პირების მოზიდვა, რადგანაც თემში ნაკლები იყო ინტერესი განათლებისადმი, თუმცა აქტიური მუშაობის შედეგად მალევე პროცესებში ჩართო სკოლის უფროსი კლასის მოსწავლეები: „მაშინ მეგონა, რომ სოფლის მოსახლეობას განათლებისადმი ინტერესი არ ჰქონდა. მაგრამ ახლა უკეთ მესმის, რომ ხალხი ღია იყო ზოგადად სიახლეების მიმართ, რადგან ჩვენ ძალიან კონსერვატიულ საზოგადოებაში ვცხოვრობდით. „სათემო ცენტრის იდეა“ მათთვის სიახლე იყო და ბუნებრივი იყო არსებული შიშებიც. ვიცოდი, რომ ეს საქმე ადვილი არ იქნებოდა და ამისთვის მოვემზადე. მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ შემეძლო შემეცვალა ეს უარყოფითი ველი და მჯეროდა ამის, რადგან ამ საზოგადოებაში გავიზარდე და კარგად ვიცნობდი სოფლის მოსახლეობას. სინამდვილეში, ასე არ იყო სულ, კაცობრიობის ისტორიის მანძილზე? ისინი, ვინც წარმატებას აღწევდა საზოგადოებრივ ცვლილებებში, ყოველთვის იყვნენ ადამიანები, რომლებიც იზრდებოდნენ იმ საზოგადოებაში. სხვაგვარად წარმოუდგენელია. ასე არ იყო ილია ჭავჭავაძის შემთხვევაშიც? ვფიქრობ, ასეა – თუ კვერცხი შიგნიდან არის გატეხილი, სიცოცხლე იწყება, ხოლო თუ გარედან გატეხავ - სიცოცხლე მთავრდება. ზრდასრულ ადამი-

ანებს უფრო უჭირდათ აზრის შეცვლა, ამიტომ, ვცდილობდი უფრო ახალგაზრდა სამიზნე აუდიტორიასთან მემუშავა, თუ-ნდაც მე-10, მე-11, მე-12 კლასელებთან. პარალელურად დღე და ღამე ვკითხულობდი სხვადასხვა სწავლების მეთო-დებს და სინთეზურ მიდგომებს ვიყენებდი ახალგაზრდებ-თან მუშაობაში. შედეგად, ჩემეული მიდგომა ჩამოვაყალიბე და დავიწყე ახალგაზრდების მოზიდვა ცენტრში, მიმდინარე აქტივობებში მონაწილეობის მისაღებად. ასე დაიწყო და სულ მალე, უფროსმა თაობამაც შეიცვალა აზრი და დამოკიდებუ-ლება ჩვენი საქმიანობის მიმართ", – იხსენებს არიზი.

ცენტრში მასწავლებლის ფუნქციას თავად არიზი და რამდე-ნიმე მოხალისე ახალგაზრდა ითავსებდნენ. სათემო ცენტრში ძირითადად აზერბაიჯანულ და ქართულ ენასა და ლიტე-რატურას, ასევე, კომპიუტერულ უნარებს ასწავლიდნენ. სა-განმანათლებლო სივრცის გაჩენამ 2-3 წლის საქმიანობის შემდეგ ნაყოფი გამოიღო, მოსწავლეები უკვე დამოუკიდებ-ლად ახერხებდნენ ინფორმაციის მოძიებას, დამუშავებას და ზოგადი უნარებიც, მათ შორის, პრეზენტაციის, გაიუმჯობესეს.

არიზის მიერ წამოწყებული წარმატებული საქმიანობა გადამ-დები აღმოჩნდა ჩამრანისათვის, რომელიც არიზს მოხალისე მასწავლებლის რანგში (კომპიუტერული და ზოგადი უნარები) ეხმარებოდა მოლაოღლის სათემო ცენტრის განვითარების პროცესში. შემდგომში, ჩამრანი არიზთან ერთად მოლაოღ-ლის საგანმანათლებლო სივრცის წარმატებული მოდელის თავის სოფელში დანერგვას შეუდგა. ჩამრანმა საკუთარ სახ-ლში, ყოფილ ავტოფარეხში, ფონდების დახმარებით საგან-მანათლებლო სივრცე შექმნა.

მეგობრების გაერთიანებამ სოფლებში საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი აქტივობების პროცესი კიდევ უფრო გა-ნავითარა. 2017 წლიდან ინიციატორები უკვე ერთობლივად ცდილობდნენ სხვადასხვა ფონდისგან დაფინანსების მოძიებას და სათემო ცენტრებში სხვადასხვა პროგრამის განვითარებას, რასაც საგანმანათლებლო საქმიანობის მდგრადი მოდელის შექმნისათვის უნდა შეეწყო ხელი.

2018 წელს არიზ დაშდემიროვის და ჩამრან ათანდიევის მიერ მშობლიურ სოფლებში წამოწყებული სათემო საქმიანობა გაერთიანდა და ერთ საზოგადოებრივ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა, რომელსაც „ახალი აზროვნების ინსტიტუტი“ ეწოდა. ამან საქმიანობა შინაარსობრივადაც და გეოგრაფიულადაც კიდევ უფრო გააფართოვა. საგანმანათლებლო სივრცეში, მშობლიური სოფლების გარდა, ჩართეს მთლიანად სადახლოს თემის დასახლებებში მცხოვრები ახალგაზრდები. ორგანიზაციამ არაერთი ადგილობრივი ფონდისგან („ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ფონდი „ტასო“, ფონდი „ორბელიანი საქართველოსთვის“) მოიძია რესურსები, და დიდ, ეროვნულ დონეზე მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების (EMC და სხვ.) ადგილობრივ პარტნიორად ჩამოყალიბდა. მეგობრების საგანმანათლებლო და საინტეგრაციო წამოწყებას მხარს სხვადასხვა ქვეყნის საელჩოც უჭერდა (ნიდერლანდების საელჩო, შვედეთის საელჩო).

2018 წლიდან მოლაოღლის სკოლის ადმინისტრაციამ უარი თქვა, მოლაოღლის სათემო ცენტრს საქმიანობა სკოლის შენობაში გაეგრძელებინა. არიზმა და მისმა მეგობრებმა სათემო ცენტრისათვის ახალი სივრცის შესაქმნელად, კამპანია წამოიწყეს. მალევე თურქეთის განვითარების სააგენტოს (TIKA) დახმარებით, შეიძინეს სამშენებლო მასალა, შენობისათვის სივრცე არიზმა თავისივე ეზოში გამოყო, ხოლო მთელი სოფლის მოსახლეობის აქტიური ჩართულობით და მოხალისეობრივი ფიზიკური შრომით, 20 დღეში სათემო ცენტრს უკვე საკუთარი სივრცე ჰქონდა. მშენებლობის პროცესში ჩართულები იყვნენ სკოლის მოსწავლეებიც და სოფლის პენსიონერებიც, როგორც მამაკაცები, ისე ქალები. სოფლის ქალები სათემო ცენტრის მშენებლებს ტკბილეულით უმასპინძლდებოდნენ.

მეგობრების მიერ ჩამოყალიბებულმა საინიციატივო ჯგუფმა და ორგანიზაციამ დღემდე 20-მდე პროექტი განახორციელა. თემის საჭიროებებისათვის განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი მრავალფეროვანია.

მოლაოღლისა და ხულდარას სათემო ცენტრები, დაარსებიდანვე წარმოადგენს საგანმანათლებლო სივრცეს ახალგაზრდებისათვის, სადაც თავმოყრილია წიგნები, ხელმისაწვდომია ინტერნეტი და კომპიუტერული ტექნიკა, აქვე ტარდება სისტემური გაკვეთილები მოსწავლეებისათვის, მოხალისე მასწავლებლები ამზადებენ აბიტურიენტებს, ახალგაზრდებს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) მედიასკოლის დახმარებითა და პარტნიორობით ასწავლიან მულტიმედიურ პრაქტიკულ საქმიანობასაც. კერძოდ, მოკლე-მეტრაჟიანი ფილმების გადაღებას, მონტაჟს, ანიმაციური მინიფილმების შექმნასა და ქართულ-აზერბაიჯანულ ენებზე გახმოვანებას. დოკუმენტური ფილმების შექმნის ტექნიკას ცენტრების ახალგაზრდები სოფლის პრობლემების გადაჭრის გზების ადვოკატირების პროცესებშიც იყენებენ. მაგალითად, სასოფლო გზების შესახებ მომზადებული კრიტიკული დოკუმენტური ფილმის – „სად მიგვიყვანს ეს გზა?“ – გავრცელების შემდეგ, თვითმმართველობამ მალევე დაიწყო ორივე სოფლის შიდა გზების მოწესრიგება.

ამავე საგანმანათლებლო სივრცეებში მიმდინარეობს ზრდასრულთა განათლების პროგრამები, როგორიც არის „დედათა სკოლა“, რომელიც ინიციატორებმა EWMI Access-ის მხარდაჭერით წამოიწყეს. ეს იდეა ინიციატორებს წლების განმავლობაში აწუხებდათ. პროექტის დაწყებამდე მოხალისეების დახმარებით სოფელში ქალთა (დედათა) საჭიროებების კვლევა ჩატარდა და პროექტის შინაარსი სწორედ ამ საჭიროებებს დაეფუძნა. „დედათა სკოლის“ პროექტი გულისხმობს სოფლებში ახალგაზრდა დედებისათვის სახელმწიფო და ინგლისური ენის სწავლებას, დაწყებითი კლასების საგნებში ინტენსიურ მეცადინეობას, ასევე, კომპიუტერული უნარების დაუფლებას. ინიციატორების თქმით, იმისთვის, რათა თემში მცხოვრებმა მოსწავლეებმა შემდგომში საქართველოში მიიღონ სრულყოფილი განათლება, უმნიშვნელოვანესია, ამ პროცესს ხელი უპირველეს ყოვლისა ოჯახში შეეწყოს, სადაც დედას შვილის დასახმარებლად საჭირო უნარები და ცოდნა ექნება. ამჟამად „დედათა სკოლაში“ სოფლების მცხოვრები 24 ახალგაზრდა დედა სწავლობს.

საგანმანათლებლო საქმიანობის გარდა, სათემო ცენტრები ფონდ „ტასო“-სთან ერთად, წლების მანძილზე ახორციელებდნენ პროექტს სოფლებში მცხოვრები ქალების ეკონომიკური გაძლიერების ხელშესაწყობად. ინიციატორებმა ფონდის დახმარებით ხულდარასა და მოლაოღლიში 15 ქალს შეუქმნეს შემოსავლის სტაბილური წყარო. სოფლებში გაიხსნა სილამაზის სალონი, ტრადიციული ლავაშის საცხობი და ტკბილეულობის სახლი. ამგვარი პროექტები ცენტრებში კვლავაც მიმდინარეობს.

მოლაოღლისა და ხულდარას სათემო ცენტრებს, საკუთრივ თავიანთი სოფლებიდან და ახლომდებარე სოფლებიდანაც, ათეულობით ადამიანი აკითხავს. მათი უმრავლესობა მოსწავლეა და ისინი „ღია საზოგადოების ფონდის“ მხარდაჭერით შექმნილ მოსამზადებელ კურსებზე სწავლობენ. ცენტრების ნაყოფიერი მუშაობის შედეგად მოსწავლეთა აბსოლუტური უმრავლესობა მაღალ შეფასებებს იღებს ეროვნულ გამოცდებზე. ამასთანავე, თითქმის აღარავინ აგრძელებს სწავლას აზერბაიჯანულ უნივერსიტეტებში. მოსწავლეები ცენტრში მეცადინეობის შედეგად თითქმის სრულყოფილად და თავისუფლად საუბრობენ ქართულ ენაზე. ცენტრები გახდნენ ერთგვარი ალტერნატიული საგანმანათლებლო სივრცე, სადაც იმ პრობლემებს უკეთ გაუმკლავდნენ, რომლებიც, მაგალითად, საჯარო სკოლებში იჩენს ხოლმე თავს სახელმწიფო ენის სწავლებისას.

ინიციატორთა აზრით, ეთნიკური უმცირესობის ინტეგრაციის გზაზე მეცნიერება ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური მიმართულებაა, რადგანაც საქართველოს სამეცნიერო სივრცეში ფაქტობრივად არ არიან ჩართულები ეთნიკურად აზერბაიჯანლები. ამ პრობლემის გათვალისწინებით, გარდა ენის და ზოგადი უნარების სწავლებისა, სათემო ცენტრებში უფროსკლასელებს სამეცნიერო სფეროსთანაც აზიარებენ: ტარდება ტრენინგები კვლევის მეთოდების შესასწავლად, აკადემიური წერის უნარების გამოსამუშავებლად და სხვ. ასევე, მოსწავლეებისათვის იმართება საჯარო ლექციები, დისკუსიები, დებატები, დოკუმენტური და მხატვრული ფილმების ჩვე-

ნება-განხილვები კრიტიკული აზრის განსავითარებლად. ახალგაზრდების მონაწილეობით სოფლებში პერიოდულად ტარდება საზოგადოებრივი სივრცეების დასუფთავების ღონისძიებები და მიმდინარეობს მუშაობა საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვების სერვისის შესაქმნელად.

ხულდარა-მალაოღლის სათემო ცენტრი სოფლის მცხოვრებლებს უანგარო საინფორმაციო მომსახურებასაც სთავაზობს, იქნება ეს საჯარო ინფორმაციის მშობლიურ ენაზე მიწოდება, საკანცელარიო მომსახურება თუ ამა თუ იმ მუნიციპალური პროგრამის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

ბოლო პერიოდში, COVID-19-ის ეპიდემიიდან გამოწვეული სოციალური სიდუხჭირის ფონზე, ინიციატორებმა, არიზმა და ჩამრანმა მოხალისეებთან ერთად ფართომასშტაბიანი სოლიდარობის კამპანია წამოიწყეს. სადახლოს თემის მოსახლეობის ეკონომიკურ აქტივობაზე ეპიდემიამ დიდი გავლენა მოახდინა, რადგანაც, სომხეთ-საქართველოს საზღვრის ჩაკეტვის შედეგად, ფაქტობრივად შეწყდა ვაჭრობა. ეპიდემიამ ასევე შეაჩერა მშენებლობის სექტორი. ინიციატორებმა ფონდებისა და შემომწირველების დახმარებით სასურსათო პაკეტები დაურიგეს სადახლოს თემის იმ ოჯახებს, რომელთა წევრებმაც სამსახური დაკარგეს. ინიციატორების მიერ წამოწყებული კამპანიის ფარგლებში, მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტების 450-ზე მეტ ოჯახს გადაეცა შეგროვებული სასურსათო პაკეტები.

თავიდან ინიციატორები არ თანამშრომლობდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან, რადგანაც თავად თვითმმართველობის წარმომადგენლები არ ინტერესდებოდნენ ამგვარი საინიციატივო სათემო ჯგუფების საქმიანობით და არ გამოხატავდნენ მზაობას რაიმე სახის მხარდაჭერისთვის. მაგრამ ეს ტენდენციაც მალე შეიცვალა და ორგანიზაციამ გარკვეული პროექტების ფარგლებში ადგილობრივ სტრუქტურებთან თანამშრომლობაც მოახერხა. კერძოდ, სადახლოს, ხულდარასა და მოლაოღლის გადაკვეთაზე არსებული უზარმაზარი ნაგავსაყრელის სკვერად გა-

დაქცევის პროცესში, დიდი იყო მარნეულის მერიის მატერიალური და მორალური მხარდაჭერა.

ხულდარისა და მოლაოღლის სათემო ცენტრების წარმატებულმა მოდელებმა დიდი გამოხმაურება პოვა მეზობელ თემებშიც. კერძოდ, მარნეულის მუნიციპალიტეტში სოფელ ქვემო სარალში, კასუმლოში, აღმამედლოსა და ალგეთში ასევე შეიქმნა ახალგაზრდული სათემო ცენტრები, რომლებიც ხულდარისა და მოლაოღლის ცენტრების მსგავსად, ძირითადად ახალგაზრდების გააქტიურებაზე, სახელმწიფო ენისა და ინგლისურის შესწავლაზე, კომპიუტერული უნარების შეძენაზე, კულტურული და სპორტული ღონისძიებების გამართვაზეა ორიენტირებული. ზოგიერთი მათგანი ამა თუ იმ ინიციატორის კერძო სახლშია გახსნილი.

მოლაოღლისა და ხულდარას სათემო ცენტრები და მათი გამაერთიანებელი ორგანიზაცია „ახალი აზროვნების ინსტიტუტი“ მომავალშიც აპირებს განაგრძოს ის ძირითადი საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია საგანმანათლებლო ცენტრებთან. ინიციატორების აზრით, ის, რასაც შეუძლია შემდგომშიც სისტემურად შეცვალოს მათი სოფლის ცხოვრება, განათლება და მასზე ხელმისაწვდომობაა.

ინიციატორები თავიანთ აქტიურ საქმიანობას და იმ მიღწევებსაც, რასაც მათ მიერ შექმნილმა სათემო ცენტრებმა და ორგანიზაციამ მიაღწია, იმით ხსნიან, რომ უკვე 5 წელზე მეტია, თითქმის უწყვეტ რეჟიმში, თავდაუზოგავად მუშაობენ. არიზი და ჩამრანი მაქსიმალურად ცდილობენ საზოგადოებას ხმა მიაწვდინონ მიმდინარე საქმიანობის შესახებ, ქართულ და აზერბაიჯანულ ენაზე გაავრცელონ ანგარიშები, ინფორმაცია. ისინი აქტიურად თანამშრომლობენ მედიასაშუალებებთან, მუდმივად იყენებენ სოციალურ ქსელებსაც.

ჩვენ დიდი ინტერესით ვადევნებთ თვალს ეთნიკურად აზერბაიჯანულ თემში მიმდინარე ამ უაღრესად საინტერესო საგანმანათლებლო და საინტეგრაციო პროცესებს და წარმატებას ვუსურვებთ ახლად დაფუძნებულ სათემო ცენტრებს. ამ პრო-

ცესის კონტექსტის და მასშტაბის უკეთ გასააზრებლად კი, აქვე გთავაზობთ ინფორმაციას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პლატფორმის – „სალამის“ შესახებაც.

სოციალური საწარმო „გუმბათი“

[ირაკლი ირემაძე]

სოციალური საწარმო „გუმბათის“ შენობა სოფელ გუმბათში, 2020 წ.

ფოტო: სოციალური საწარმო „გუმბათი“

სოფელი გუმბათი წალკის მუნიციპალიტეტში ზღვის დონიდან თითქმის 1600 მეტრზე მდებარეობს. სოფელში ამჟამად 480-მდე მოქალაქე ცხოვრობს, მათგან 96% ეროვნებით ქართველია, ხოლო სოფლის მოსახლეობის 2-2%-ს ბერძნები და სომხები შეადგენენ. სოფელი სამი ათწლეულის წინ სრულად მონოეთნიკური იყო და დომინანტ ეთნიკურ ჯგუფს ბერძნები წარმოადგენდნენ. ბერძნები სოფელში 1830-იან წლებში გადმოსახლდნენ, რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიებს შორის ახალციხის საფაშოსათვის დასრულებული ომის შემდგომ. რუსეთის იმპერიამ ჯავახეთში მცხოვრებ ძირითადად ქართველ მუსლიმებს იმპერიის ტერიტორიის დატოვებისკენ უბიძგა, ამავე დროს კი, ჯავახეთსა და ისტორიულ თრიალეთში ოსმალეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქრისტიანი ბერძნები და სომხები ჩამოასახლა. XIX-XX საუკუნის ქართული პრესის კითხვისას სოფლის სახელწოდებად შეგვხვდება „გიუმბათი" (ქიუმბათი). ჟურნალ „კლდეს" 1914 წლის 15 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში – „წალკის ბერძნების გადასახლება და იქაურ ქართველთა მდგომარეობა" – გაცხადებული იყო, რომ ბორჩალოს მაზრის წალკის რაიონის სოფელ „ქიუმბათში" ბერძნების 150 კომლი ცხოვრობდა. ამავე გაზეთის ცნობით, უკანასკნელ წლებში (1910-იან წლების დასაწყისში) საბერძნეთის სახელმწიფოს მიერ წარმოებული ახალი რეპატრიაციის პოლიტიკის საფუძველზე, წალკის ბერძნული სოფლებიდან, მათ შორის, „ქიუმბათიდან", 545 კომლი გადასახლდა საბერძნეთში.

1980-1990-იან წლებში სოფელი გუმბათი ფაქტობრივად სრულად დაიცალა. ეთნიკურად ბერძენი მოსახლეობა საბერძნეთში გადავიდა საცხოვრებლად. 1990-იანი წლების მიწურულს გუმბათში გადმოსახლება დაიწყეს ეკოლოგიური პრობლემების გამო მიგრირებულმა ეროვნებით ქართველმა მოქალაქეებმა ზემო აჭარიდან, ძირითადად ხულოს მუნიციპალიტეტიდან. ზოგადად, ხულოს მუნიციპალიტეტი როგორც მაღალმთიანი რეგიონი, რომელსაც მუდმივად ახასიათებს

ეკოლოგიური კატასტროფები (მეწყერები და ზვავები), 1970-იანი წლებიდან მოყოლებული, მიგრაციული ტალღებით გამოირჩევა. ეკოლოგიური კატასტროფების, მოსახლეობაში შობადობის მაღალი მაჩვენებლისა და სამეურნეო მიწების სიმცირის გამო, უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში ხულოს მუნიციპალიტეტიდან რამდენიმე ათეული ათასი მოქალაქე გადავიდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის, მნიშვნელოვანი ნაწილი წალკის მუნიციპალიტეტში გადმოსახლდა. გუმბათში, 1998 წელს, აჭარელ ეკომიგრანტთა ჩამოსახლებიდან მალევე, ქართული სკოლა გაიხსნა. ამჟამად წალკაში 19 ათასამდე მოქალაქე ცხოვრობს, მათგან 47% ქართველია, 39% – სომეხი, 7% – აზერბაიჯანელი, 7% კი, ბერძენი.

გუმბათი წალკის მუნიციპალიტეტში პირველი სოფელი იყო, რომელშიც ეკომიგრანტებმა მასობრივად დაიწყეს ჩამოსახლება ხულოს მუნიციპალიტეტიდან. ხელისუფლების არაერთი დაპირების მიუხედავად, ეკომიგრანტებს სახელმწიფომ არ შეუსყიდა მიწა და სახლები საკუთრებად, წლების განმავლობაში თავად მოქალაქეებს უხდებოდათ სახლებისა და მიწების შეძენა საკუთრებად და აქ დამკვიდრებაზე ზრუნვა. ეკომიგრანტთა მნიშვნელოვან ნაწილს დღემდე არ გააჩნია საკუთარი სახლი და საბერძნეთში მიგრირებული მოქალაქეების სახლებს აფარებს დროებით თავს. ბოლო 2 ათწლეულია გუმბათში მოსახლეობის მუდმივი მიგრაციაა, ერთი მხრივ, პირველად ჩამოსული მოქალაქეების ნაწილი ტოვებს სოფელს და საცხოვრებლად ძირითადად კვლავ აჭარაში, ხშირად ბათუმში გადადის, მეორე მხრივ კი, სოფელი ეკომიგრანტთა ახალი ნაკადებით ივსება.

სოფელ გუმბათში, ისევე როგორც წალკის მთელ მუნიციპალიტეტში, მოქალაქეები დიდწილად სოფლის მეურნეობას მისდევენ, ძირითადად მეკარტოფილეობასა და მეცხოველეობას. მათი შემოსავლის უმთავრესი წყარო სწორედ კარტოფილისა და რძის პროდუქტების რეალიზაციაა. სოფელში მოქმედებს რძის საწარმო, რომელიც ასაქმებს ადგილობრივ მოსახლეობას და დამატებით შემოსავალს უჩენს მათ.

გუმბათი, ისევე როგორც ისტორიული თრიალეთის სხვა სოფ-ლები, გამოირჩევა შუა საუკუნეების ძეგლებითაც, სოფლის მიმდებარედ რამდენიმე ძველი ტაძრისა და სხვა საკულტო ნაგებობის ნაშთებია შემორჩენილი. სოფლის ცენტრში მდება-რეობს ბერძნული ეკლესია, რომელიც, მასზე განთავსებული ძველი წარწერების მიხედვით, წარსულში ქართულ ეკლე-სიას წარმოადგენდა და ბერძნების ჩამოსახლების პერიოდში დიდწილად დანგრეული იყო. სოფელში ასევე შეეხვდებით ბერძნულ დასახლებებში გავრცელებულ მცირე, ერთგვარ სა-ოჯახო სალოცავებს, რომლებიც ოჯახებს ეზოებში ჰქონდათ აშენებული.

უკანასკნელ წლებში თემში აქტიურად მუშაობს სოციალური საწარმო „გუმბათი“, რომელიც უკეთესობისაკენ ცვლის არა მხოლოდ საკუთარ თემში არსებულ რეალობას, არამედ დიდ გავლენას ახდენს მთელ მუნიციპალიტეტსა და რეგიონზე. სოციალური საწარმო, 2017 წელს, პედაგოგმა ციცინო გო-ბაძემ დააარსა. ის ათწლეულებია, პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა, მუდმივად ცდილობს თავის მოსწავლეებს სასკოლო პროგრამის მიღმა დამატებითი ცოდნა შესძინოს და მათში სამოქალაქო პასუხისმგებლობა გააღრმაოს. სოციალური სა-წარმოს საქმიანობას, მოგვიანებით, მისი ქალიშვილი, ირა ძირკვაძეც შეუერთდა, რომელიც დედის მსგავსად, პედაგო-გია. მან რამდენიმე წლის წინ, თბილისის სახელმწიფო უნი-ვერსიტეტის დასრულების შემდეგ გადაწყვიტა თბილისში კა-რიერის გაგრძელების ნაცვლად სოფელში დაბრუნებულიყო და დედასთან ერთად, სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების განვითარებაზე ეზრუნა. პროფესიით აღმოსავლეთმცოდნე ირამ გუმბათის სკოლაში დაიწყო მასწავლებლად მუშაობა, სადაც დღემდე ასწავლის.

ძირკვაძეების ოჯახი წალკის მუნიციპალიტეტში ხულოს მუნი-ციპალიტეტიდან სხვა ათასობით ოჯახის მსგავსად 2002 წელს გადმოსახლდა. ახალ გარემოსთან ადაპტირება მათთვის მარტივი არ ყოფილა, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ წალკა თავისი კლიმატითა და რელიეფით სრულიად განსხვავდება ხულოსგან. ამასთანავე, ხულო მთლიანად მო-

ნოეთნიკური და მონორელიგიური მუნიციპალიტეტია და მყარადაა ფესვგადგმული ნათესაური ურთიერთობები. წალკაში კი მათ არცთუ ბევრი ნაცნობი დახვდათ და თანაც, მრავალეთნიკური მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წეს-ჩვეულებების გაცნობა და მათთან ადაპტირება მოუხდათ. მათთვის უცხო იყო ის, რომ მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს ერთმანეთთან კავშირი და საერთო საზრუნავი არ ჰქონდათ. წალკის ეთნიკური სომხებით დასახლებულ სოფლებთან კავშირის არარსებობა, ერთ გეოგრაფიულ სივრცეში მცხოვრებ თემში გათიშულობას და გაუცხოებასაც კი იწვევდა.

სწორედ ამიტომ, სათემო სოციალური საწარმოს შექმნამდე, ციცინო გობაძე, როგორც პედაგოგი, წლების განმავლობაში ზრუნავდა მულტიეთნიკურ მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ახალგაზრდების დაახლოებასა და ინტეგრაციაზე. ცდილობდა მეზობელ სოფლებში მცხოვრები ეროვნებით ბერძენი და სომეხი მოქალაქეების ჩართვას სხვადასხვა საზოგადოებრივ ღონისძიებაში. ამავე დროს ამ წამოწყებას ხელი შეუწყო მეზობელ ეთნიკურად სომხურ სოფლებში სახელმწიფო პროგრამის – „ქართული ენა არაქართულენოვან სკოლებში“ – დანერგვამ, რომელმაც მცირედით მაინც დასძლია ენობრივი ბარიერები და ელემენტარულ დონეზე შესაძლებელი გახადა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ახალგაზრდებთან კომუნიკაცია. ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში, სომხურენოვან თემს, ქართულს ციცინო გობაძეც ასწავლიდა.

წლების წინ ციცინო გობაძემ თავისი ყოფილი მოსწავლის, გიორგი იაკობაძის საშუალებით გაიგო ორგანიზაციის, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG), საქმიანობის შესახებ და გადაწყვიტა, იმუამად გამოცხადებულ კონკურსში შეეტანა თავისი იდეის გარშემო შექმნილი პროექტი, რომელიც მათ ირგვლივ მყოფი სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ინტეგრაციის მიმართულებით მუშაობას გულისხმობდა. საინიციატივო ჯგუფს თავდაპირველად საკმაოდ გაუჭირდა ჩაკეტილი საზოგადოებებიდან ახალგაზრდების

მოძიება და დაინტერესება, თუმცა თავად ახალგაზრდა ირას აქტიურობას რამდენიმე თვეში შედეგი მოჰყვა. თავდაპირველად ეროვნებით სომეხი ორი ახალგაზრდა ჩაერთო საერთო ღონისძიებებში, შემდგომში კი ნდობა და, შესაბამისად, მონაწილეების რაოდენობაც გეომეტრიული პროგრესიით გაიზარდა. ახალი ჯგუფები ჩაერთნენ შემოქმედებით ღონისძიებებში, ფესტივალებში, სახალისო კონკურსებში. მოგვიანებით ციცინომ და ირამ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან თანამშრომლობით შექმნეს სოციალური საწარმო „გუმბათი", რომლის ძირითადი „ნაწარმიც" ახალგაზრდებისათვის ცოდნისა და უნარების გადაცემაა. სოციალური საწარმოს შექმნამდე, წლების განმავლობაში, ციცინო და ირა სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებს ეხმარებოდნენ ეროვნული გამოცდებისთვის მომზადებაში, ასევე, როგორც ზემოთაც ითქვა, ცდილობდნენ ახალგაზრდები ჩაერთოთ სხვადასხვა სათემო პროცესში. სოციალური საწარმოს შექმნა ამგვარი საქმიანობის ერთგვარი სისტემატიზაციის საშუალება იყო. საბოლოოდ სოციალური საწარმო „გუმბათი" ჩამოყალიბდა როგორც სასწავლო და არაფორმალური განათლების ცენტრი, რომელიც გარდა მოსწავლეების გამოცდებისთვის მომზადებისა, ზოგადად, არაფორმალური და სამოქალაქო განათლების გავრცელებაზეა ორიენტირებული და ახალგაზრდულ-სათემო ცენტრია.

აქ ათეულობით ახალგაზრდა სწავლობს, ემზადება გამოცდებისთვის და იღებს არაფორმალურ განათლებას, ერთვება ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებსა და აქტივისტურ ქსელებში. ცენტრის ბენეფიციართა მნიშვნელოვანი ნაწილი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელია. სათემო-საგანმანათლებლო ცენტრში სხვადასხვა პროექტის ფარგლებში და პარტნიორებთან თანამშრომლობით იმართება თემატური ლექციები, ფილმის ჩვენებები თანმდევი დისკუსიებით. ცენტრის საქმიანობაში ჩართული ახალგაზრდები მენტორების დახმარებით ატარებენ მცირე კვლევებს წალკის სოფლებში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ. საგანმანათლებლო ცენტრის ბაზაზე ახალგაზრდები ეუფლებიან კომპიუტერულ უნარ-ჩვევებს და მეწარმეობის საფუძვლებს.

გარდა საგანმანათლებლო და შემეცნებითი დატვირთვისა, სოციალურ საწარმოს სათემო ცენტრის ფუნქციაც აქვს შეთავსებული. სასწავლო ცენტრის პედაგოგები და დამფუძნებლები ჩართულები არიან სოფლის წინაშე არსებული პრობლემების მოგვარებაში. მათ ინფრასტრუქტურულ პროექტებზეც შეძლეს მუშაობა, მაგალითად, ამჟამად CENN-თან (ორგანიზაცია – კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელი) თანამშრომლობით ცდილობენ სოფლისათვის სასმელი წყლის პრობლემის გადაჭრას. საგანმანათლებლო ცენტრი (სოციალური საწარმო) „გუმბათი“ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ფონდებთან და ორგანიზაციებთან, მათ შორის, სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან, ფონდთან, „ორბელიანი საქართველო“, ღია საზოგადოების ფონდთან, ირის ჯგუფთან, დანიის ლტოლვილთა საბჭოსთან, წალკის ადგილობრივი განვითარების ჯგუფთან (LAG – „ეს წალკაა“), UNDP, კავკასიურ სახლთან და CENN-თან.

„გუმბათის“ მეგობარი ორგანიზაციაა თეთრიწყაროს ახალგაზრდული ცენტრი, რომელიც ასევე საკუთარ თემში მცხოვრები ახალგაზრდების განვითარებაზეა ორიენტირებული. „გუმბათი“ თანამშრომლობს ქვემო ქართლში მყოფ სხვა სათემო აქტივისტებთან, ცენტრის წარმომადგენლები მუდმივად მონაწილეობენ სხვადასხვა სათემო ორგანიზაციის ფორუმებში, სადაც მიმდინარეობს სათემო ჯგუფებს შორის გამოცდილების გაზიარება, თანამშრომლობის და ნდობის ქსელების მშენებლობა და განიხილება სხვა საჭირბოროტო საკითხები.

სათემო აქტივისტებს ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობის არცთუ პოზიტიური გამოცდილება აქვთ. რამდენიმე მიმართვის მიუხედავად, მუნიციპალიტეტის მერია, ფაქტობრივად, არ ეხმარება მათ თემის განვითარების პროცესში, პირიქით, ცალკეულ შემთხვევებში, ხელშეწყობის ნაცვლად უგულებელყოფს ცენტრის ძალისხმევას, რაც აზიანებს ნდობას და სათემო აქტივისტებს უსპობს საჯარო დაწესებულებებთან თანამშრომლობის სურვილს.

ირა ძირკვაძე და ციცინო გობაძე სოციალური საწარმოს მიღმაც აქტიურობენ. როგორც პედაგოგებს, რამდენიმე კლუბი აქვთ ჩამოყალიბებული სკოლაში, ზრუნავენ სკოლის ბიბლიოთეკის შევსებაზე სხვადასხვა კონკურსში მონაწილეობით თუ ფონდების დახმარებით. ციცინო გობაძე 2019 წელს ნომინირებული იყო საუკეთესო მასწავლებლის კონკურსზეც და საბოლოოდ ასეულობით კანდიდატს შორის საუკეთესო ათეულის წევრიც გახდა. ციცინო თავის მოსწავლეებთან ერთად აქტიურადაა ჩართული არაერთ გარემოსდაცვით კამპანიაში, მათ შორის, ნიკო კეცხოველის პრემიის კონკურსშიც. ციცინოს მიერ შექმნილ სხვადასხვა სასკოლო კლუბებში ჩართულია მეზობელი 7 სოფლის საჯარო სკოლებიც, მათ შორის, სომხურენოვანიც. გუმბათის საჯარო სკოლის კლუბები ციცინო გობაძის ხელმძღვანელობით გასვლით ღონისძიებებს მართავენ სკოლებში. ციცინოსა და ირას ჩართულობით გუმბათის სკოლას მალე „მომავლის ოთახი“ ექნება, რომელიც მოსწავლეებს ხელს შეუწყობს, დაეუფლონ თანამედროვე ტექნოლოგიებს.

ირა ჩართულია ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილ სოფლის განვითარების პროგრამაში, არის წალკის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის (LAG-ის) წევრი. ის ასევე ეხმარება ახლად დაარსებულ ორგანიზაციებს, ამჟამად თეთრიწყაროს ახალგაზრდული ცენტრის მიერ შექმნილი სასწავლო ცენტრის, „გარისელის“ მენტორია და მათ უზიარებს თავის გამოცდილებას სასწავლო ცენტრის განვითარებასთან დაკავშირებით. ირა იმედოვნებს, რომ მომავალში სათემო განათლების ცენტრები ახალგაზრდებისათვის სხვა სოფლებშიც შეიქმნება.

ციცინომ 2020 წლიდან წამოიწყო ახალი ინიციატივა, რომელიც გულისხმობს სოფლის ერთგვარი დღეობის აღნიშვნას ფესტივალის სახით. ფესტივალის სახელწოდებაა „გუმბათობა“. ციცინოს სურვილი იყო წალკაში, და კერძოდ გუმბათში, იქ სადაც აჭარელი ეკომიგრანტების პირველი დასახლება გაჩნდა, დაეარსებინა ფესტივალი, რომელიც ტრადიციული გახდებოდა და თავს მოუყრიდა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ეკომიგრანტებს, ეთნიკურ ბერძნებსა და სომხებს;

ფესტივალი გახდებოდა მოქალაქეების ინტეგრაციის, კიდევ უფრო მეტად გაცნობისა და დაახლოების ადგილი. 2021 წელს კავკასიური სახლის, ადგილობრივი მეწარმეების, გუმბათის საჯარო სკოლისა და მოქალაქეების დახმარებით, ფესტივალის ფარგლებში გაიმართა ხალხური რეწვისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების გამოფენა-გაყიდვა, მოსწავლეებმა გამართეს კონცერტები და სხვა კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებები, ფესტივალის დასკვნით ნაწილში გაიმართა დოღიც. ფესტივალს არაერთი სოფლიდან ასეულობით სტუმარი დაესწრო.

ციცინო და ირა სამომავლოდ საქმიანობის გაფართოებასაც გეგმავენ. მათი სურვილია, საგანმანათლებლო თუ კულტურის პროექტებით წალკის მუნიციპალიტეტის რაც შეიძლება მეტ სოფელს მისწვდნენ; ახალგაზრდებს არაფორმალური განათლებისა და კულტურის ალტერნატიული სერვისები შესთავაზონ და ამ გზით ის უპერსპექტივობის განცდა თუ ნიჰილისტური განწყობები დაძლიონ, რაც, სამწუხაროდ, ხშირად შეინიშნება არაერთ სოფელში, მთელი საქართველოს მასშტაბით.

ახალგაზრდული სამუშაო შეხვედრა. 2019 წ.

ფოტო: სოციალური საწარმო „გუმბათი“

ინიციატივები სოფელ ფარის განვითარებისათვის

[დიანა კაკაშვილი]

შეხვედრა სოფელ ფარში. 2019 წ.

ფოტო: ირაკლი ხვადაგიანი

სოფელი ფარი სვანეთში, მესტიიდან 34 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს და ფარის თემის ცენტრს წარმოადგენს. 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, აქ 227 ადამიანიღა ცხოვრობს. 90-იან წლებში მოსახლეობის რაოდენობა დაახლოებით ორჯერ მეტი იყო, მაგრამ შემდეგ ნელ-ნელა შემცირდა. ისე, როგორც მთელ ქვეყანაში, ფარშიც – 2000 წლიდან მაღალი ტემპით დაიწყო მოსახლეობის გადინება სოფლიდან, და ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა, მათ შორის უმთავრესი იყო შრომითი მიგრაცია. ზოგიერთი ოჯახი მოგვიანებით უკან დაბრუნდა, უმრავლესობამ კი სამუდამოდ დატოვა ფარი. საგულისხმოა, რომ სასწავლებლად წასული ახალგაზრდები, პერსპექტივის უქონლობის გამო, უკან აღარ ბრუნდებიან. ბევრმა ოჯახმა იმიტომ გადაწყვიტა საცხოვრებლად სხვაგან გადასვლა, რომ ბავშვებისთვის სათანადო განათლება მიეცათ. მოშორებით მდებარე სოფლებიდან ბავშვები სკოლაში ვერ დადიოდნენ, განსაკუთრებით ზამთარში ჭირდა, ტრანსპორტის უქონლობის გამო, დიდთოვლობის პერიოდში შეუძლებელი იყო 6-8 კილომეტრიანი მანძილის ფეხით გავლა. აღსაზრდელთა სიმცირის გამო, სოფელში ბოლო დრომდე არც საბავშვო ბაღი ჰქონდათ, თუმცა უკანასკნელ ხანს შობადობამ მოიმატა და 2020 წელს საბავშვო ბაღიც გაიხსნა. სკოლაში 25 მოსწავლეა.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში ტურიზმის გააქტიურებასთან ერთად რეგიონის ზოგადი მდგომარეობა ცოტა შეიცვალა, ტურიზმის განვითარებამ ფარის თემზე დიდად ვერ იმოქმედა; მოსახლეობის თითქმის 80 პროცენტი ახლაც სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფება.

ამ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ ფონზე, დუხჭირი ცხოვრების პირობებში, ერთგვარად უიმედოდ დარჩენილ სოფელში, სადაც საბაზო კულტურულ-საგანმანათლებლო სერვისებიც კი არ იყო ხელმისაწვდომი და საზოგადოებაც ნაკლებ ინიციატივას იჩენდა საერთო საქმეების მოსაგვარებლად, დიდი

გარდატეხა შემოიტანა ფარის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის, ეკა წულუკიძის წამოწყებულმა საქმიანობამ. თუკი რამდენიმე წლის წინ, სოფელში, სასკოლო ბიბლიოთეკაც კი არ არსებობდა, დღეს არა მარტო ბიბლიოთეკა, თანამედროვე რობოტიკის სკოლა და ინოვაციების ცენტრიც კი მოქმედებს. სტიქიურად გაჩენილი ნაგავსაყრელები თანამედროვე კონტეინერებმა და გარემოზე ზრუნვამ ჩაანაცვლა. ვიზიტორების ყურადღების მიღმა დარჩენილი თემი ტურისტულ რუკებზე გაჩნდა. ქალებისთვის, რომლებისთვისაც მანამდე სახლის საქმეების გარდა, სოციალიზაციის და სამოქალაქო ჩართულობის სხვა ხელისშემწყობი პირობები და ასპარეზი ადგილზე ნაკლებად მოიძებნებოდა, ახალი სივრცეები შეიქმნა, სადაც პრაქტიკული ცოდნის მიღება და დასაქმებაც შეძლეს. გარდა ამისა, თემში, საერთო საქმეებზე, საზიარო სივრცეზე ერთად ზრუნვის მუხტი გაჩნდა. ერთ ადამიანს, ინიციატორს, ეკა წულუკიძეს და მის ძალისხმევას უკავშირდება სოფლად მიმდინარე ეს სასიკეთო პროცესები.

იგი აფხაზეთიდან არის დევნილი და 1993 წლიდან სვანეთში ცხოვრობს. 1999 წლიდან კი პედაგოგად მუშაობს. სკოლაში, ერთი მხრივ, კარგად ჩანდა მთელ საზოგადოებაში არსებული გამოწვევები, საჭიროებები და, მეორე მხრივ, თავისი არსით საუკეთესო ადგილი იყო ცვლილებების დასაწყებად, კარგ რესურსსა და საშუალებას იძლეოდა.

პირველი ნაბიჯები, სათემო აქტივიზმის დასაწყისი

2013 წელს იწყება ამ მრავალფეროვანი ამბებისა და საქმეების ისტორია. სწორედ მაშინ დაიწყო მუშაობა სვანეთში კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის „ზემო სვანეთის განვითარების პროგრამა“ (CTC), რომელიც სათემო ინიციატივებს მცირე საგრანტო პროექტების განხორციელებით უჭერდა მხარს. მესტიაში, მათ ოფისში შემთხვევით მოხვედრილმა ეკამ გაიგო იმ შესაძლებლობების შესახებ, რასაც ორგანიზაცია იძლეოდა და ეს იქცა მისთვის მოქმედების ბიძგად,

რაც საბოლოოდ ორგანიზაციის, სოციალური საწარმოების შექმნითა და სოფლად ძალიან მრავალმხრივი საქმიანობით დაგვირგვინდა. საქმიანობით, რომელმაც თემს უკანასკნელ წლებში არაერთი სიკეთე მოუტანა.

იმ დროისთვის ფარის სკოლაში არ არსებობდა ბიბლიოთეკა, ერთი წიგნიც კი არ მოიძებნებოდა, ამიტომ პირველი პროექტით ამ საკითხის მოგვარება სცადეს. ეკამ საკუთარი მოსწავლეები შემოიკრიბა. მცირე სამუშაო ჯგუფი ერთობლივად შეუდგა იდეის განხორციელებისთვის გზების მოძიებას. გარდა ლიტერატურისა, ამას არაფორმალური განათლებისთვისაც უნდა გაეჩინა სივრცე, რის აუცილებლობასაც ეკა, როგორც პედაგოგი, სულ გრძნობდა. მოსწავლეებს, მათ მრავალგვარ ინტერესებს სხვა გასაქანი და რესურსი სჭირდებოდა, რასაც სკოლის მოცემულობა ვერ აკმაყოფილებდა. გუნდის მუშაობამ შედეგი გამოიღო, იდეას, „ერთი წიგნი თქვენგან ჩვენს თაროზე", არაერთი გულშემატკივარი გამოუჩნდა თბილისშიც და ადგილზეც და მოქალაქეების, გამომცემლობის, ორგანიზაციების და თანასოფლელების ერთობლივი ძალისხმევით, სკოლაში მრავალფეროვანმა წიგნადმა ფონდმა დაიდო ბინა.

გარდა სკოლისა, უშუალოდ სოფელშიც უამრავი პრობლემა იყო, რომელიც დაუყოვნებლივ მიხედვას საჭიროებდა. პრობლემათა ნუსხა საკმაოდ გრძელი იყო და მასში ერთ-ერთი მოწინავე ადგილი ეკავა სტიქიურ ნაგავსაყრელებს, რომლებიც მრავლად გაჩენილიყო, რადგან სოფლიდან ნაგავი არ გაჰქონდათ. ეკას გარშემო შემოკრებილმა ახალგაზრდებმა, პირველ რიგში, სწორედ ნაგავსაყრელად ქცეული სივრცეების დასუფთავება დაიწყეს. თუმცა, ცხადია, ეს მიდგომა მასშტაბურ პრობლემას გრძელვადიანად ვერ გადაჭრიდა. სწორედ ამ პერიოდში, 2013 წელს, საზოგადოებრივი ორგანიზაციის დაფუძნება გადაწყდა, რომელიც უფრო ადვილად შეძლებდა სოფლის სასიკეთოდ მცირე დაფინანსებების მობილიზებას და ადგილობრივი ჯგუფის მუშაობაც უფრო სისტემური გახდებოდა. მართლაც, ახალშექმნილმა ორგანიზაციამ, „გავაძლიეროთ სოფლად ახალგაზრდები", საქმიანობა საკმაოდ წარმატებულად დაიწყო. CTC-ის მიერ გამოცხადებულ

საგრანტო კონკურსში, სათემო ორგანიზაციებისთვის მიღებული მხარდაჭერით საშუალება მიეცათ, რომ ნაგვის კონტეინერები შემოეტანათ. მაგრამ, სოფლად ნაგვის დასაყრელი საგანგებო ადგილის არარსებობა ისევ დიდ პრობლემად რჩებოდა, რომლის მოგვარებაც ერთი სათემო ორგანიზაციის შესაძლებლობებს აღემატებოდა. ინიციატორებმა მუნიციპალიტეტის მერიასთან თანამშრომლობის გზები გამონახეს და დასუფთავების სამსახურის მანქანას, თვეში ერთხელ სოფელ ფარში ასვლა დაევალა. საქმე ის იყო, რომ ამ მანქანას არ ჰქონდა კონტეინერების აზიდვის მექანიზმი, ამიტომ ეკა წულუკიძეს და პროექტში ჩართულ ბავშვებს თავად უხდებოდათ ნაგვის ხელით დატვირთვა მანქანაზე, ასე გაგრძელდა სამი წელი. შემდეგ მუნიციპალიტეტმაც გააფართოვა თავისი ქსელი, სანაგვე კონტეინერები დაემატა, მომსახურე პერსონალის რიცხვიც გაიზარდა და ადგილობრივი მოხალისეების ფიზიკური მუშაობის საჭიროებაც მოიხსნა. ეს იყო გარემოსდაცვითი პირველი ინიციატივა მუნიციპალიტეტის მასშტაბით. დაბინძურებული სოფლის, სტიქიური ნაგავსაყრელების, ნაგვის გატანის სერვისის არარსებობის და დიდი საჭიროების მიუხედავად, დასაწყისში სოფელი ეჭვის თვალით უყურებდა ეკას და მის გარშემო შემოკრებილი ახალგაზრდული გუნდის წამოწყებას, თითქოს უნდობლობას გამოხატავდა ან მათ საქმიანობას სერიოზულად არ აღიქვამდა. ეკას თქმით, მოსახლეობისთვის ეს პირველი პროექტი ძალიან მნიშვნელოვანი იყო, თითქოს რაღაც გარდატეხა მოხდა, „იმიტომ, რომ მათ დაინახეს რეალური ცვლილება – სხვა სოფლებში არსად არ იყო ეს კონტეინერები, მათ კი ჰქონდათ ეს კომფორტი და ფუფუნება; ჩვენც უკვე ნდობით შემოგვხედეს“.

ტურიზმი – „სვანთრეველი“

მიუხედავად იმისა, რომ სვანეთი ტურისტულად აქტიური რეგიონია, სოფლები ხშირად არ არის ჩართული ტურისტულ მარშრუტში და მხარის პოტენციალი სრულიად აუთვისებელია, მათ შორისაა ფარის თემიც. ტრადიციული ტურისტული მარშრუტები მას თითქოს გვერდს უვლიდა, არადა, სოფლად

არსებული მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა, აქ ტურიზმის განვითარების შესაძლებლობასაც იძლეოდა. სვანეთი მნიშვნელოვან საკულტო ნაგებობებთან ერთად, უნიკალური ბუნებითაც გამოირჩევა. ჯერ კიდევ ცოცხალია არამატერიალური კულტურის, შინამრეწველობის ძალზე საინტერესო ნიმუშები, მაგალითად, ოქროს მოპოვების ძველი მეთოდი, სვანური ქუდების დამზადება, ადგილობრივი ტრადიციული სამზარეულო და სხვ. შესაბამისად, ნათლად იკვეთებოდა პერსპექტივები ეკოტურიზმის, პილიგრიმული და ეთნოტურიზმის განსავითარებლად. ამ მხრივ, არც ფარის თემი გახლდათ გამონაკლისი, თუმცა, როგორც უკვე ითქვა, სოფელი არ ყოფილა ჩართული ტურისტულ მარშრუტებში და ეკონომიკური განვითარების ეს შესაძლებლობა თემს გვერდს უვლიდა.

ეკა წულუკიძემ ახალ ინიციატივაზე დაიწყო მუშაობა. 2016 წელს შეიქმნა კიდეც „სვანთრეველი", ეს იყო სოციალური საწარმო – ტურისტული ცენტრი. ინიციატორს უნდოდა, რომ ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგებასთან ერთად, ახალგაზრდები დასაქმებულიყვნენ ამ სფეროში და თავადაც ეზრუნათ საკუთარი სოფლის განვითარებაზე. სოფლის ტურისტული პოტენციალისა და რესურსების სრულად აღსაწერად ყველა ოჯახი კარდაკარ შემოიარეს, გაირკვა, ვისთან რა შეიძლებოდა გაკეთებულიყო, რისი შეთავაზება შეეძლოთ სტუმრისათვის და ა.შ. „სვანთრეველმა" რესურსების ბაზა შექმნა, შემდეგ ტურისტულად მიმზიდველი ერთეულები ამოარჩია და საინფორმაციო ფურცლებიც დაბეჭდა. ახლა მნიშვნელოვანი იყო ამ ინფორმაციის გავრცელება. შეეცადნენ, მაქსიმალურად გაევრცელებინათ ინფორმაცია, ყველასთვის მიეწვდინათ ხმა – გზამკვლევები დაურიგდა ტურისტულ სააგენტოებს, ფარის შესახებ ცნობები გაჩნდა სხვადასხვა ტურისტული სააგენტოსა თუ ორგანიზაციის ვებგვერდებზე. შემდეგ გაკეთდა საინფორმაციო ბანერები ცენტრალურ გზაზე, რადგან სოფელი ფარი გზიდან ცოტა მოშორებით მდებარეობს, რის გამოც, ბევრისთვის მისი არსებობაც კი უცნობია. გზამკვლევის შემუშავებით სოფელი ფარი სვანეთის ტურისტულ რუკაზე მოინიშნა და მხარის სტუმრებს დამატებითი, აქამდე უცნობი კულტურული მარშრუტები შესთავაზა.

მანამდე ფარის ტერიტორია ტურიზმის ეროვნულმა სააგენ-ტომაც აღწერა, მაგრამ ის მნიშვნელოვანი ადგილები, რაც შეიძლება ფარში ნახო, სააგენტოს რუკაზე დატანილი არ ყოფილა. სწორედ ეს დანაკლისი შეავსო „სვანთრეველის“ პროექტმა. დღეს სოფელში არსებობს პატარა ტურისტული ცენტრი, რომელიც ყველა დაინტერესებულ პირს ამომწურავ ინფორმაციას აწვდის და ეხმარება ტურისტული მარშრუტების დაგეგმვაში. თავიდან გათვლა ასეთი იყო – ოჯახებს, რომ-ლებიც მიიღებდნენ ტურისტს, „სვანთრეველისთვის“ ხუთი პროცენტი უნდა გადაეხადათ, როგორც შემომყვანისთვის, რათა ორგანიზაციას ჰქონოდა ფინანსური შემოსავალი და გაძლიერებულიყო. მაგრამ ვინაიდან მოსახლეც, მასპინძელი, თავადაც ახლა იწყებდა ამ საქმიანობას, გადაწყვიტეს წილი აღარ გამოერთმიათ: „ჩვენ ვეღარ ვთხოვდით იმ 5 პროცენტს და ვუგზავნიდით, ვუნაწილებდით ოჯახებს და ფაქტობრივად, უფრო თემისთვის ვშრომობდით ამ შემთხვევაში, ვიდრე ჩვენი ტურისტული ცენტრისთვის, რომელიც სოციალურ საწარმოდ იყო ჩაფიქრებული. სოციალური საწარმოს შემოსავლებით კი, ფარში სხვა პრობლემების მოგვარებაზე გვინდოდა მუშაობა“.

ეს პროექტი ძალიან წარმატებული აღმოჩნდა და ტურიზმის სააგენტოს კონკურსში ხუთეულშიც კი მოხვდა. ეკას თქმით, როცა პროექტი იწყებოდა, ერთი ოჯახიც კი არ არსებობდა, რომელიც ტურისტს მიიღებდა, ეჭვის თვალით უყურებდნენ ამ წამოწყებას, სკეპტიკურად იყვნენ განწყობილები, არ სჯე-როდათ, რომ მათი სოფელი ტურისტებს დააინტერესებდა. რეალობა კი სულ სხვაგვარი აღმოჩნდა. პროექტის დიდ წარმატებაზე მეტყველებს სტატისტიკაც – 2019 წლის მონაცე-მებით, 2000 ტურისტი იმყოფებოდა სოფელ ფარში, გაჩნდა სამი სასტუმრო და ძალიან ბევრმა ოჯახმა გამოთქვა მზაობა, თავადაც ჩართულიყო სოფლის ტურიზმის განვითარებაში. თუმცა 2020-21 წლების პანდემიამ საქმე მნიშვნელოვნად შე-აფერხა.

სოციალური საწარმო ქალებისთვის „მზეკო“

ისევე როგორც ყველა ტრადიციულ საზოგადოებაში, ქალების ყოველდღიურობა, ფარშიც უფრო საშინაო საქმეების მოგვარებაზეა ორიენტირებული, და ნაკლებად - სოციალურ ცხოვრებაზე. ამ ყველაფერს ხელს უწყობს მძიმე ეკონომიკური გარემოც. სათემო საკითხებზე გადაწყვეტილებებს დღემდე მამაკაცები იღებენ. სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებშიც მხოლოდ მამაკაცები მონაწილეობენ. ეკას თქმით, ქალების გამოსვლას, აზრი არც აქვს, მათ ხმას ნაკლებად ითვალისწინებენ და ამის გამო თვითონ ქალებიც თავს იკავებენ. სწორედ ამ რეალობის შესაცვლელად, ქალების ეკონომიკური შესაძლებლობების გასაძლიერებლად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩასართავად გადაწყდა 2017 წელს „მზეკოს“ შექმნა. როგორც ეკატერინე აღნიშნავს, ქალები უფრო ჩაკეტილები არიან, საოჯახო საქმეებს უძღვებიან და უჭირთ გარეთ გამოსვლა, მაგრამ ამ პროექტმა შეძლო მათი სოციალიზაცია. ყოველდღიური შეკრებები, სადაც ესა თუ ის საკითხი განიხილებოდა, დაეხმარა მათ საკუთარი როლის გაცნობიერებაში.

„მზეკოში“ ძირითადად ორი მიმართულებით მიდის მუშაობა: ერთია ხელსაქმის შემსწავლელი კურსები, სადაც სხვადასხვა ასაკის გოგონები ეუფლებიან ხელსაქმეს და მეორე – კომერციული საქმიანობა, კერვა; საწარმოში იკერება მაღალი ხარისხის თეთრეული, სწორედ მისი რეალიზაციიდან მიღებული თანხა არჩენს საწარმოს და ქალებსაც მცირე შემოსავალს აძლევს. დასაწყისში „მზეკოში“ იგეგმებოდა სხვადასხვა სუვენირის შექმნა და სვანური ქუდების წარმოებაც, რადგან ტრადიცია იკარგება და მათ სურდათ მისი გადარჩენისთვის შეეწყოთ ხელი. ამ ეტაპისთვის, ახალგაზრდა ქალებმა თხუთმეტი დასახელების პროდუქტის შექმნა შეისწავლეს.

საწარმოში ჩართულები არიან 11 წლიდან 16 წლამდე ასაკის გოგონები. მათი შექმნილი ნაწარმი ჯერ გამოფენებზე მიჰქონდათ, შემდეგ იყიდებოდა, საიდანაც იღებდნენ გოგონები შემოსავალს (გაყიდულიდან 35 პროცენტი მათ ანაზღაურებას

შეადგენდა). დღეს ძირითადად თეთრეული იკერება და თვითონ ის ბენეფიციარი, ვინც „მზეკოში“ შეისწავლა ხელსაქმე, ახლა თავად ასწავლის სხვა გოგონებს.

ცხადი იყო, რომ პროფესიული განათლების მიღებას, ამა თუ იმ პრაქტიკული საქმის დაუფლებას, ადგილზე ბევრი რამე შეეძლო შეეცვალა. „მზეკოში“ ხელსაქმის შემსწავლელი კურსების სახით არსებული შესაძლებლობის გარდა, ეკას სურდა, ზოგადად, პროფესიული განათლების სარგებლიანობა ეჩვენებინა მოსახლეობისათვის, რომელიც თემში ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ დაფასებული, არ ჰქონდათ გაცნობიერებული მისი მნიშვნელობა და ღირებულება. ამიტომ, სოფლის მოსახლეობასთან აქტიური შეხვედრებით და საუბრით ცდილობდნენ დამოკიდებულების შეცვლას, მისი სიკეთეებისა და სარგებლიანობის ჩვენებას. შეიძლება ითქვას, რომ ეს მოხერხდა – დამოკიდებულებებში რაღაც მაინც შეიცვალა – „მზეკოს“ გუნდიდან უკვე სამი გოგონა წავიდა მესტიისა და თბილისის პროფესიულ სასწავლებლებში.

გარდა მორალური მხარდაჭერისა და წახალისებისა, უნდოდათ სხვაგვარადაც გამოეხატათ მხარდაჭერა იმ ახალგაზრდებისადმი, რომლებიც სასწავლებლად წასვლას გადაწყვეტდნენ. საწარმო უკვე იმდენს ახერხებს, რომ ერთ-ერთ სტუდენტს, რომელიც ფასიან სექტორზე მოხვდა და სოციალურად დაუცველი ოჯახიდანაა, სწავლა დაუფინანსა. მომდევნო წელს იმავე სტუდენტს ინგლისური ენის შესასწავლადაც გამოუყვეს თანხა, რათა უფრო მეტი პერსპექტივა და შესაძლებლობები გასჩენოდა. 2020 წელს კი კიდევ ერთ სტუდენტს დაუნიშნა „მზეკომ“ ერთწლიანი სტიპენდია, იგი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე იწყებს სწავლას.

„მზეკომ“ შეძლო შვეიცარიის განვითარების ფონდთან დაკავშირებაც და მათი დაინტერესება. ორი ქალბატონი თავისი რესურსებით წელიწადში ერთხელ ჩამოდის ფარში და ათდღიან სწავლებას ატარებს ადგილობრივი ქალებისთვის.

უზიარებს უცხო, თანამედროვე გამოცდილებას, ყველანაირი საჭირო ინტელექტუალური თუ მატერიალური რესურსით ამარაგებს. ამასთანავე, რასაც შესწავლისას ქმნიან ქალები, სახლში მიაქვთ და შეუძლიათ სურვილისამებრ მოიხმარონ.

ახალგაზრდული ცენტრი „ფარი“

თითქმის ყველა საქმეში, რომელიც ეკამ წამოიწყო, ძირითადი მხარდამჭერები, გამზიარებლები და შემსრულებლებიც, ახალგაზრდები იყვნენ. იმისათვის, რათა მათ ინიციატივებსა და იდეებს მეტი ხელშეწყობა ჰქონოდა, 2019 წელს გადაწყვიტა სათემო ახალგაზრდული ცენტრი შეექმნა, მხარდამჭერებიც გამოჩნდნენ და კიდევ ერთი ახალი საქმე, ახლა უფრო კომპლექსური და მასშტაბური წამოიწყო.

ახალგაზრდული ცენტრი სოფელში უკვე რამდენიმე წელია მოქმედებს და ის სოფლის ცენტრში, საბავშვო ბაღის შენობის პირველ სართულზეა განთავსებული. ცენტრს რეაბილიტაცია მუნიციპალიტეტმა ჩაუტარა. თავდაპირველად ამ სართულის მიწით ამოვსება იგეგმებოდა, რადგან ძალიან იყო მწყობრიდან გამოსული, თუმცა სოფლის რწმუნებულის ჩართულობით და შუამდგომლობით, ფართი ბაღის რეაბილიტაციის დროს ღიად დატოვეს და შემდეგ მუნიციპალიტეტის მერის მხარდაჭერით ეს სივრცე სარგებლობაში გადაეცა ორგანიზაციას, „გავაძლიეროთ სოფლად ახალგაზრდები“. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრისგან სივრცის კეთილმოწყობისთვის დაფინანსების ნაწილი მოიპოვეს, ნაწილიც მერიამ გამოყო. მერიამ თავის თავზე აიღო შენობის კომუნალური ხარჯებიც და ფარში ახალგაზრდული ცენტრი შეიქმნა. როდესაც სოფლის და თემის სასიკეთოდ ადგილობრივი მოსახლეობა, ადგილობრივი ხელისუფლება და საზოგადოებრივი ორგანიზაციები აერთიანებენ ძალისხმევას, შედეგი ყოველთვის გაცილებით მალე დგება.

ცენტრის მუშაობაში მხოლოდ ფარის თემიდან კი არ ჩაერთვნენ ახალგაზრდები, არამედ მთელი მუნიციპალიტეტიდან.

„ფარი“ გახდა სხვადასხვა ინტერესების მქონე ადამიანების შეკრებისა და აზრთა გაზიარების ადგილი. სხვადასხვა სოფლის ახალგაზრდები მანამდე ერთმანეთს თუ არც იცნობდნენ, დღეს უკვე ერთად გეგმავენ ღონისძიებებს. გაჩნდა სივრცე, სადაც მასპინძლობენ ფილმის ჩვენებებსა თუ წიგნის წარდგინებებს, აწყობენ დისკუსიებსა და განხილვებს. ეს სივრცე არაფორმალური განათლების და სათემო კულტურის ცენტრად იქცა.

ეკა ახლა უკვე ცდილობს, რომ ამ პროცესებში ნაკლებად იყოს უშუალოდ ჩართული, განზე გადგეს, რათა თავად ახალგაზრდები გაუმკლავდნენ სირთულეებს, საქმის კეთების გამოცდილება დააგროვონ და გაძლიერდნენ.

ამ ახალი საქმიანობის ფარგლებშიც თავიდანვე განსაკუთრებული, საგანგებო ყურადღება დაეთმო ქალებისათვის მეტი სარბიელის მიცემას, მათ გაძლიერებას. სასურველი ცვლილებების მისაღწევად, ეკა თემის ქალებთან მათი მონაწილეობის მნიშვნელობაზე დაუღალავად საუბრობდა. თემში მცხოვრები ქალების უმეტესობას არ ჰქონდა CV, არ იცოდნენ მისი შედგენის წესები, რაც, ცხადია, დასაქმების დროს, შესაძლოა, ერთ-ერთ დაბრკოლებად ქცეოდათ. ახალგაზრდულმა ცენტრმა უზრუნველყო მათთვის ამ საკითხების სწავლება.

გარდა ამისა, მსჯელობდნენ სოფლის საჭიროებებზეც, მაგალითად, სოფელში სკვერის არსებობაზე. თავიდან მხოლოდ ქალები იყვნენ ჩართულები განხილვის პროცესში. შემდეგ უკვე ახალგაზრდები, მამაკაცებიც ჩაერთვნენ და საერთო ძალისხმევით მომზადდა ეს პროექტი. მართალია, საბოლოოდ მუნიციპალიტეტისგან მხარდაჭერა ვერ მიიღო, მაგრამ განხორციელების შესაძლებლობა მომავალში კვლავაც არსებობს. მთავარი იყო ერთად ფიქრის, მსჯელობის პროცესი, მამაკაცებისა და ქალების ერთად მონაწილეობა, რაც თემში თანაბარი მონაწილეობის პირველი შემთხვევა გახლდათ.

2020 წელს დაწყებულმა პანდემიამ და თანმდევმა შეზღუდვებმა მსოფლიო ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. ცენტ-

რიდან მოშორებულ სოფლებში, განსაკუთრებით კი მთაში, ამ პროცესს ერთი შეხედვით, განსაკუთრებული ცვლილებები არ გამოუწვევია, ცხოვრების წესი არ გარდაუქმნია, თუმცა არაერთი საჭიროება და პრობლემა კიდევ უფრო ცხადად გამოკვეთა. ეკა და ის ახალგაზრდები, რომლებიც აქამდე ძირითადად კულტურულ-საგანმანათლებლო იდეების ირგვლივ იყვნენ გაერთიანებულნი, თავიანთ სოფელში წამოჭრილი ახალი პრობლემების გადასაჭრელად შეკავშირდნენ. პანდემიის გამო სასწავლო პროცესი მთლიანად ინტერნეტსივრცეში გადავიდა, ამიტომ მასში მოსწავლეების სრულფასოვანი ჩართვა დიდ გამოწვევად იქცა.

ისევე როგორც დანარჩენ საქართველოში, ფარშიც მრავლადაა ისეთი მოსწავლე, რომელსაც არ აქვს კომპიუტერი და ინტერნეტი. ამის გამო ძალიან ბევრი ბავშვი დარჩა, ფაქტობრივად, საგაკვეთილო პროცესის მიღმა. 25 ბავშვიდან 8 საგაკვეთილო პროცესში საერთოდ ვერ ერთვებოდა. ამან ეკას გადააწყვეტინა, რომ 2019 წელს სკოლის ლიტერატურული კლუბისათვის შეძენილი ლეპტოპები იმ ბავშვებისათვის დაერიგებინა, ვისაც ეს სჭირდებოდა. ადგილობრივმა კოლეჯმა, მისი აქტიურობა და წუხილი რომ დაინახა, ოთხი კომპიუტერით დაეხმარა, მაგრამ, სამწუხაროდ, ინტერნეტის მიერთება ვერ მოხერხდა, რადგან სვანეთში არ არის გაყვანილი ინტერნეტის ხაზები. ეკა მოსწავლეებისათვის ხარვეზის ამოვსებას ნაბეჭდი ვერსიების მიწოდებით შეეცადა, თუმცა ეს ვერ ცვლიდა ცოცხალ საგაკვეთილო პროცესსა და შესაბამის ხარისხს.

ხანდაზმულები და შშმ პირები, ახალ რეალობაში განსაკუთრებულად რთულ ვითარებაში აღმოჩნდნენ. ბევრი მათგანი დარჩა წამლის, საჭმლისა და ექიმის გარეშე. ამიტომ სახელდახელოდ შედგა პროექტი „მოხალისეობა სიკეთისათვის“. ახალგაზრდებმა დამხმარეც იპოვეს – Arbeiter-Samariter-Bund (ASB), და დაიწყეს აქტიური მუშაობა. წინასწარ შეიქმნა ხანდაზმულების, სოციალურად დაუცველებისა და შშმ პირების სიები და განისაზღვრა მათი საჭიროებები, რის მიხედვითაც შესაბამისი დახმარებაც გაეწიათ – ზოგს წამალი სჭირ-

დებოდა, ზოგს შეშის მიწოდება, ზოგს საკვები პროდუქტები და სხვ.

ზოგადად, ფარის თემში დიდი პრობლემაა ამბულატორიის არარსებობა და პირველად ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა. პროექტმა უზრუნველყო გარკვეული პერიოდით ექთნის დაქირავებაც, რომელმაც იმუშავა ხანდაზმულებთან.

ფარის ინოვაციური ცენტრი

2020 წლის დასაწყისში, სვანეთში, სოფელ ფარში ასეთი ცენტრის არსებობა, შეიძლება ითქვას, წარმოუდგენელიც კი იყო. ბავშვები, კომპიუტერისა და ინტერნეტის არქონის გამო, არათუ კომპიუტერულ პროგრამირებასა და რობოტიკას, რიგით სასკოლო საგნებსაც კი ვერ სწავლობდნენ. კვალიფიციური კადრის არარსებობისა თუ შესაბამისი ტექნიკური და ინტერნეტმხარდაჭერის უქონლობის პირობებში, შეუძლებელი იყო ციფრული უნარ-ჩვევების გამომუშავება. სწორედ ამ დანაკლისის შესავსებად, ეკატერინე წულუკიძემ სვანეთის ისტორიაში პირველი ინოვაციური ცენტრი შექმნა. იდეა მას 2019 წელს გაუჩნდა, როდესაც მოსწავლეები, ერთ-ერთი ღონისძიებისათვის, კოლეგასთან ერთად სენაკში წაიყვანა. სენაკში, წმ. ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის პედაგოგი, უტა კილასონია და მისი მოსწავლეები რობოტექნიკას მაღალ დონეზე ასწავლიან და არაერთი საერთაშორისო პროექტის გამარჯვებულები არიან. მათი საქმიანობის გაცნობამ ეკას გული დასწყვიტა, რომ სვანეთის არცერთ ბავშვს არ ჰქონდა მსგავსი შესაძლებლობა. მაშინვე დაიწყო ამ იდეის ხორცშესასხმელად გზების ძიება და იპოვა კიდეც – სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით, მილიონიანი ფონდის საგრანტო კონკურსის ფარგლებში.

2020 წლის შემოდგომაზე ცენტრმა უკვე მიიღო მოსწავლეთა პირველ ნაკადი. საწყის ეტაპზე სვანეთის შვიდი სკოლის მოსწავლეები გადიან რობოტექნიკის, პროგრამირებისა და სა-

ინჟინრო ტექნოლოგიების კურსს და იმაღლებენ ციფრულ კომპეტენციას. ბავშვები თავად ქმნიან ახალ სასწავლო რესურსებს და სხვა სკოლებსაც უზიარებენ. მოსწავლეთა სამეცნიერო კონფერენციაზეც წარმატებით წარადგინეს თავიანთი პროექტი. ამასთანავე, ინოვაციური ცენტრის პროგრამებში ჩართულმა ახალგაზრდებმა შექმნეს კლუბი ROBOSPACE, ისინი უკვე თავად გეგმავენ და ახორციელებენ ღონისძიებებს, ციფრული კომპეტენციის გასავითარებლად აწყობენ სამუშაო შეხვედრებს, კონფერენციებსა თუ კონკურსებს.

ინოვაციურმა ცენტრმაც ახალგაზრდული ცენტრის შენობაში დაიდო ბინა და ამით აქაურობამ კიდევ უფრო მეტად შეიძინა სათემო განათლებისა და ალტერნატიული კულტურის ფუნქციები. „ახალგაზრდები მოგვყავდა პრაქტიკულ კურსზე სხვადასხვა სოფლებიდან, რასაც მერია უზრუნველყოფდა 10 თვის განმავლობაში საწვავით“, გვიყვება ეკა.

სამომავლო გეგმები თემის საკეთილდღეოდ

„სამომავლო გეგმები და იდეები არ ნელდება. უძრაობის ხანიდან იმდენი რამე შეიცვალა ამ პროექტებით... სვანეთში წელს შეიქმნა ორგანიზაცია „ლაგი“ (ზემო სვანეთის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი). თითქმის ყველა სოფლის ადამიანთან მაქვს შეხება, როცა ჰყვებიან, მუშაობისას რამდენ პრობლემას აწყდებიან, ვხვდები, იმდენი გვიმუშავია, რომ თემში დამოკიდებულება არის შეცვლილი. ახალგაზრდები არიან უფრო აქტიურნი და ერთიანნი, ეს სწორედ განვლილი პერიოდის და წლების მანძილზე გაწეული ძალისხმევის დამსახურებაა, ძალისხმევის, რომელშიც ორგანიზაციაც, სკოლაც და თემიც იყვნენ ჩართულები“.

მომავლის გეგმის ნაწილია წიგნის მაღაზიის გახსნაც, რადგან სვანეთში ამ დრომდე არ არსებობს წიგნის მაღაზია, ლიტერატურის შესაძენად ზუგდიდში ან სხვა დიდ ქალაქებში უხდება მოსახლეობას წასვლა. ჩაფიქრებული წიგნის სახლი არა მარტო ახალი ლიტერატურით მოამარაგებს მსურველებს,

არამედ ფარის თემსა და მთლიანად სვანეთში არაფორმალური განათლებისა და სხვა აქტივობების კიდევ ერთი კერა შეიძლება იყოს. ამ იდეაზე ეკა თემთან ერთად განაგრძობს მუშაობას და იმედი აქვს, რომ მისი განხორციელების დროც მოვა.

სოფელ ფარს სათემო თვითორგანიზების ტრადიცია ისტორიულად მოსდგამს. ძველი დროიდან მოყოლებული, თემი სოფლის ცენტრში, ცაცხვის ძირას მდგარ მაგიდასთან იკრიბებოდა და სოფლის პრობლემებზე ბჭობდა. ამ ადგილს, რომლის ტერიტორიაც ადრე გაცილებით დიდი ყოფილა, მუჩფაში ეწოდება და დღესაც შემორჩენილია. აქაურობას არაერთი ღონისძიება, შეკრება, მსჯელობა, გაზიარება და სათემო ჩართულობის სხვა უამრავი მაგალითი ახსოვს. დღეს, ფარში, სათემო თვითმოქმედების ადგილად მხოლოდ მუჩფაში აღარ არის მონიშნული და საქმიანობამ მთელი სოფელი მოიცვა. თუმცა მუჩფაში ისევ და ისევ შეგვახსენებს, რომ თვითორგანიზება და საკუთარ სოფელზე ზრუნვა ჩვენი კულტურის განუყოფელი ნაწილია. თუკი ადრე სათემო შეკრებებში ძირითადად კაცები მონაწილეობდნენ, ახლა სოფლის პრობლემების მოგვარებაში ქალებიც აქტიურად არიან ჩაბმულები. 2021 წლის სოფლის კრებას 50%-ზე მეტი ქალი ესწრებოდა და ესეც სოფლად მიმდინარე იმ განვითარების პროცესების გამოძახილია, რომლებიც ფარის სათემო ორგანიზაციას და ეკა წულუკიძეს უკავშირდება.

ხელსაქმის წრე სოფელ ფარში. 2019 წ.

ფოტო: „გავაძლიერით სოფლად ახალგაზრდები“

თუშების სათემო საბჭო

[დიანა კაკაშვილი]

სათემო სახლი სოფელ ტბათანაში.

ფოტო: „თუშების სათემო საბჭო“

თუშეთის მოსახლეობა ოთხ თემად იყოფა: ჩაღმის, პირიქითის, გომეწრისა და წოვათის. წოვათუშებმა მთიდან ბარში ჩამოსახლება დანარჩენებზე უფრო ადრე, მეცხრამეტე საუკუნის 20-იან წლებში დაიწყეს. ამის მიზეზი სტიქიური უბედურებები გახდა – რამდენიმე სოფელი მეწყერმა მთლიანად გაანადგურა. უგზოობის გამო წოვათა დღემდე ძნელად მისადგომია და ამიტომ თითქმის გაუკაცრიელებულიც. მეთვრამეტე საუკუნის მიწურულიდან მოყოლებული, საზაფხულო სადგომად და მესაქონლეობისთვის თუშები ტბათანასაც იყენებდნენ, რომელიც პანკისის ქედზე მდებარეობს, თუმცა რიგი გარემოებების გამო, 90-იანი წლებიდან, ტბათანაში აღარ ხერხდებოდა ჩვეული ცხოვრება-საქმიანობა და ისიც ნასოფლარად იქცა, 300-მდე ხის სახლიდან ახლა რამდენიმეღაა შემორჩენილი.

წოვათის თემის თუშები ამჟამად მხოლოდ სოფელ ზემო ალვანში (ახმეტის მუნიციპალიტეტი) ცხოვრობენ და ქართულის გარდა, წოვათუშურ ენაზეც (ალტერნატიული სახელი თუშური, თვითდასახელება ბაცბურ მოტტ) საუბრობენ, რომელიც უდამწერლობო ენაა და ჩეჩნურ-ინგუშურთან ერთად ნახურ ენათა ჯგუფში ერთიანდება. ბარში ჩამოსახლების შემდეგ ქართული ენის გავლენა წოვათუშურზე ძალიან გაიზარდა და მოსაუბრეთა რიცხვი თანდათან შემცირდა. ამჟერად მასზე სულ 500-მდე ადამიანი ლაპარაკობს, ისიც მხოლოდ მოხუცები, ამიტომ იუნესკომ ის გადაშენების პირას მყოფი ენების სიაში შეიტანა.

ამგვარმა ისტორიამ მათი თემი ისეთი სპეციფიკური პრობლემებისა და საჭიროებების წინაშე დააყენა, რაც სხვა რიგით სოფელს შეიძლება არ ჰქონდეს.

„თუშების სათემო საბჭოს“ ჩამოყალიბების პირველი ბიძგი სწორედ მშობლიური ენისა და დასახლებების გადარჩენაზე ზრუნვა გახდა. შემდეგ, როდესაც დაინახეს, რომ ერთად ბევრი რამის შეცვლა შეეძლოთ, საერთო ძალებით დაი-

წყეს ყველა იმ სურვილისა თუ მიზნის განხორციელება, რაც მთელი თემისთვის მნიშვნელოვანი იყო.

ყველა ხედავდა, რომ წლები გადიოდა და ენა თვალსა და ხელს შუა ქრებოდა. ყოველი დღე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო, უფროსი თაობა მიდიოდა და რამდენიმე წელიწადში ენა შეიძლება თითზე ჩამოსათვლელ ადამიანებსღა სცოდნოდათ. მერე ამის გამოსწორება შეუძლებელი თუ არა, ძალიან რთული იქნებოდა. წოვათუშური არც სკოლაში ისწავლებოდა, არც საბავშვო ბაღში, არც სახელმძღვანელოები ან სასწავლო პროგრამები არსებობდა ამ ენაზე. აქედან გამომდინარე, ახალგაზრდებს რომც მოესურვებინათ ენის სწავლა, ზეპირი საუბრების გარდა, სხვა რესურსი, ფაქტობრივად, აღარ არსებობდა. არც სახელმწიფოს გამოუჩენია მხარდაჭერა, პროცესი თვითდინებაზე იყო მიშვებული.

ორგანიზაციის დაარსება და მისი სტრუქტურა

2016 წელს ადგილობრივმა ახალგაზრდებმა - ირაკლი ვეშაგურიძემ და სოსო მიქელაძემ გადაწყვიტეს, რომ ზემო ალვანში თანამოაზრეები შემოეკრიბათ და რამე ეღონათ ენის გადასარჩენად. მიხვდნენ, რომ ლოდინი აღარ შეიძლებოდა და თვითონვე უნდა ემოქმედათ. დაუკავშირდნენ თავიანთსავე თანასოფლელს, წოვათუშური ენის ერთ-ერთ გამორჩეულ მცოდნეს, ფილოლოგ თინა ცისკარიშვილს, რომელიც იმ დროს მოსწავლეებს საკუთარი ინიციატივით თავის სახლში იღებდა და თუშურ ენას სრულიად უსასყიდლოდ ასწავლიდა. ბევრი იმსჯელეს, თუ რა შეიძლებოდა გაეკეთებინათ საკუთარი ძალებით და არასამთავრობო ორგანიზაცია „წოვათის თემი“ დააარსეს, ფიქრობდნენ, რომ ასე უფრო გაუადვილდებოდათ მუშაობა.

პირველ რიგში, ენის საკითხი უნდა გაეაქტიურებინათ საზოგადოებაში და რაც შეიძლება მეტი ადამიანი მოეზიდათ, სასწავლო რესურსებიც შეექმნათ. სოფლის საკრებულოში იჯარით აიღეს და საოფისედ მოაწყვეს ერთი ოთახი, რომ სტაბი-

ლური სამუშაო სივრცე ჰქონოდათ. შეხვედრებზე იწვევდნენ თავიანთი თემის ყველა წარმომადგენელს, უზიარებდნენ გეგმებსა და მოსაზრებებს, ცდილობდნენ, ერთად გამოენახათ გამოსავალი, თუმცა მატერიალური სახსრების არარსებობის გამო, იმ ეტაპზე მათი ჩანაფიქრები და სურვილები ვერ განხორციელდა. ვერც საზოგადოებისგან მიიღეს საკმარისი მხარდაჭერა, რადგან მზაობა უფრო მეტი აქტიურობისთვის არ გამოიკვეთა. ასე რომ, გაერთიანების იდეა და მიზნები ისევ ვიწრო წრეში სამსჯელო საგნად დარჩა.

ენის გადარჩენის გარდა, გადასაჭრელი იყო მათ ისტორიულ საცხოვრისში – წოვათასა და ტბათანაში რიგი იურიდიული პრობლემები – მიწის დანაწილებისა და საკუთრების საკითხები. მოვლენები ისე აეწყო, რომ მიზეზთა გამო თუშებს ორივე მათგანთან მოუხდათ კავშირის გაწყვეტა, წოვათასთან უფრო ადრე, ტბათანასთან – მოგვიანებით. საკუთარ ნასახლარებთან, ისტორიასთან დაშორება დიდი დანაკლისი და ერთგვარი ტრავმაც კია თითოეული მათგანისათვის. დაბრუნება და იქაურობის გაცოცხლება-განვითარება მათი მუდმივი საფიქრალი იყო მრავალი წლის განმავლობაში, მაგრამ რამდენიმე მცდელობის მიუხედავად, ამისთვის საზოგადოების შეკავშირება 2017 წლამდე ვერა და ვერ მოხერხდა.

2017 წელს წოვათის თემის თუშების დიდი შეკრება გაიმართა. აღმოჩნდა, რომ ამ საკითხებით უფრო მეტი ადამიანი დაინტერესდა, უფრო ბევრი ჩაერთო. უმეტესობა მიიჩნევდა, რომ ენის გადარჩენა შედარებით რთული საქმე იყო, ზოგი უფრო სკეპტიკურადაც იყო განწყობილი, გადაშენების გზაზე მყოფი ენის გადარჩენა შეუძლებლად მიაჩნდათ – „ტბათანისა და წოვათის საკითხი ძალიან აწუხებს ჩვენს საზოგადოებას. ენის საკითხიც ბევრს აწუხებს, მაგრამ ჰგონიათ, რომ ეს უფრო რთული საქმეა“ – ამბობს „თუშების სათემო საბჭოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ირაკლი ვეშაგურიძე. ამ შეკრებაზე კიდევ ერთხელ გაჩნდა უფრო მასშტაბური გაერთიანების შექმნის იდეა. ცხადად დაინახეს, რომ ბევრი გადაუწყვეტელი საკითხი იყო დაგროვილი, და მათ ცალ-ცალკე ვერ გაუმკლავდებოდნენ. უნდოდათ, ისეთი ორგანო ჩამო-

ეყალიბებინათ, რომელიც თემისთვის მნიშვნელოვან ყველა საკითხზე იზრუნებდა და თან, გადაწყვეტილების მიღებისას, მთელი საზოგადოების მაქსიმალურ ჩართვას მოახერხებდა – რამდენიმე ადამიანის ორგანიზაცია კი არ იქნებოდა, არამედ მთელი თემის.

ამჯერად საქმე უკეთ აეწყო და მუშაობაც უფრო ნაყოფიერი გამოდგა. მარტში, ახალი ორგანიზაციის ფარგლებში, უკვე პირველი დიდი შეკრება მოიწვიეს. შეხვედრას 130 ადამიანი დაესწრო. როგორც ამბობენ, მანამდე ალვანში ამხელა შეკრება არასოდეს გამართულა არცერთ საკითხზე. უნდოდათ, ორგანიზაციის ისეთი სტრუქტურა მოეფიქრებინათ, რომელიც მაქსიმალურად გამჭვირვალე, მოქნილი და წარმომადგენლობითი იქნებოდა და ორგანიზაციის საქმიანობაში თავისთავად ჩართავდა მთელ მოსახლეობას. მსჯელობის შემდეგ გადაწყდა სათემო საბჭოს არჩევა, რომელშიც ყველა საგვარეულოდან იქნებოდა ორი ადამიანი. ამგვარად, გადაწყვეტილების მიღებისას მთელი მოსახლეობის ხმა, სურვილები და მოსაზრებები იქნებოდა წარმოდგენილი. თანაც, ჯერ საგვარეულოების შიგნით, მცირე ჯგუფებში მოხდებოდა მოსახლეობის კონსოლიდირება და თანამშრომლობა. ოთხი ადამიანი გახდა ახალი გაერთიანების – „თუშების სათემო საბჭოს“ ოფიციალური დამფუძნებელი, მათ შორის იყვნენ 2016 წელს შექმნილი „წოვათის თემის“ დაარსების ინიციატორები.

წოვათის თემში სულ რვა დიდი საგვარეულოა. თითოეული საგვარეულო რამდენიმე გვარს აერთიანებს, მაგალითად, ბღუჯრის საგვარეულოში შედის 13 გვარი. ზოგიერთი საგვარეულო უფრო მცირერიცხოვანია სხვასთან შედარებით, მაგრამ ყველას მაინც თანაბარი ხმის უფლება მიეცა. თითოეულს უნდა აერჩია ორი წარმომადგენელი, ანუ საბჭოში სულ 16 წევრი იქნებოდა. საორგანიზაციო საკითხები იმ დღესვე მოგვარდა, საგვარეულოების მიხედვით დაიყვნენ და ორ-ორი დელეგატი აირჩიეს. ყველა სრულწლოვანს შეეძლო კენჭისყრაში მონაწილეობა, არც სქესის მიხედვით დაუწესებიათ რაიმე შეზღუდვა – საკუთარი კანდიდატურის დაყენება შეეძლოთ როგორც კაცებს, ისე ქალებს, მაგრამ ისე მოხდა, რომ

იმ კრებას მხოლოდ ორი ქალი ესწრებოდა. აქედან ერთმა უარი თქვა მონაწილეობაზე და მეორემ საკმარისი ხმები ვერ მიიღო საბჭოში მოსახვედრად. აირჩა 16 კაცი. მომავალში, ხმის მიცემის დროს კენტი რიცხვი რომ ყოფილიყო და პროცედურა ადვილად წარმართულიყო, გადაწყდა მეჩვიდმეტე წევრის დამატება, რომელიც ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენელი იქნებოდა. ასე შეიქმნა პირველი ჩვიდმეტკაციანი საბჭო 2018 წლის მარტში.

საბჭოს მუშაობის ვადად ორი წელი განისაზღვრა. შესაბამისად, ყოველი ვადის გასვლის შემდეგ ახალი არჩევნები გაიმართება და თემს ახალი საბჭო ეყოლება. 2020 წლიდან უკვე მეორე მოწვევის საბჭო შეუდგა მუშაობას. აქ უკვე ორი ქალიც არის სხვადასხვა საგვარეულოს წარმომადგენლად. არჩევნებისას გვარს შეუძლია გაიწვიოს წარმომადგენელი, სხვა აირჩიოს ან დატოვოს იგივე კანდიდატურა. მაგალითად, წინა საბჭოდან ახალში სამი ძველი წევრი გადმოვიდა და თოთხმეტი ახალი წევრი აირჩა. თავად ძველი თავმჯდომარის და მთელი საბჭოს პოზიციით, დემოკრატიზაციისთვის უმჯობესია, საბჭოსთან ერთად თავმჯდომარეც იცვლებოდეს. საბოლოო გადაწყვეტილებები მხოლოდ ხმის მიცემით მიიღება და არა ერთპიროვნულად. „ხალხი ითავისებს, რომ საბჭო არ არის მხოლოდ 17 ადამიანი და ყველა მათგანის მონაწილეობა არის აუცილებელი და მნიშვნელოვანი" – ამბობს ირაკლი ვეშაგურიძე.

მნიშვნელოვანია, რომ სოფლის მთელი მოსახლეობა მხოლოდ განხილვებსა და გადაწყვეტილების მიღებაში კი არ მონაწილეობს, არამედ ფინანსური სახსრების მობილიზებაშიც ყოველი მათგანია ჩართული. გარდა იმ თანხებისა, რომელსაც სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო ფონდებიდან მოიძიებს ორგანიზაცია, გადაწყდა, რომ მატერიალური საფასური თავადაც გაეღოთ, ვისაც რამდენი შეეძლო, თუნდაც სიმბოლური ერთი ლარი. ადგილობრივი მოსახლეობის შემოწირულობები დღესაც ორგანიზაციის ერთ-ერთი ძირითადი შემოსავალია. გარკვეული პერიოდი საწევრო გადასახადიც ჰქონდათ, თუმცა მალევე ამან ნებაყოფლობითი სახე მიიღო.

აქტიურად არიან ჩართულები საზღვარგარეთ მცხოვრები თუშებიც. ხშირად ნახავთ განცხადებას ორგანიზაციის გვერდზე, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში მყოფი ადამიანები კონკრეტული საქმისთვის რიცხავენ თანხას. მაგალითად, „მორიგი შემოწირულობა გაიღეს აშშ-ში მყოფმა თუშებმა და ტბათანის განვითარებისთვის 1400 დოლარი ჩარიცხეს"; თან დართულია შემომწირველთა გვარ-სახელებიც.

ისტორიული საცხოვრისების - ტბათანისა და წოვათის საკითხი

ოფიციალური დაარსების დღიდან, „თუშების სათემო საბჭომ" ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით დაიწყო მუშაობა. მათ შორის არის ტბათანაში დაბრუნება, მისი აღდგენა-გაცოცხლება და ამისათვის საჭირო იურიდიული საკითხების მოგვარება.

ტბათანა ზემო ალვანიდან დაახლოებით 50 კილომეტრის მოშორებით, ალპურ ზონაში მდებარეობს. როგორც წყაროები გვეუბნებიან, იგი 1798 წელს მეფე გიორგი XII-მ უბოძა თუშებს საძოვრებად. ამის შემდეგ ისინი ორი საუკუნის განმავლობაში თითქმის უწყვეტად ადიოდნენ ოჯახებით, მთელ ზაფხულს იქ რჩებოდნენ და საქონელს უვლიდნენ, შემოდგომით კი ისევ ალვანში ბრუნდებოდნენ. წოვათუშთა ცნობიერებაში ტბათანა მათი ყოფის, ისტორიული მეხსიერებისა და იდენტობის განუყოფელი ნაწილია. თუშებისათვის მას მხოლოდ გამოყენებითი დანიშნულება არ ჰქონია, ყოველი მათგანისათვის ის საუკეთესო მოგონებების, ტრადიციული ყოფისა და თემის ერთიანობის ადგილია. იქვეა მათი სალოცავიც. თუმცა სათანადო განვითარების შემთხვევაში, მასაც, წოვათასთან ერთად, მთელი თემისთვის მატერიალური დოვლათის მოტანაც შეუძლია, ორივე მათგანს დიდი ეკონომიკური პოტენციალი აქვს. 90-იან წლებში ქვეყანაში შექმნილი ვითარების, ასევე, ჩეჩნეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების გამო, ტბათანაში ასვლა უსაფრთხო აღარ იყო, ამიტომ იქაურობა ნელ-ნელა დაიცალა, გაუდაბურდა, ხის სახლები

კი განადგურდა. 2005-2006 წლებში თითო-ოროლა ოჯახმა ისევ დაიწყო ზაფხულობით ასვლა, მაგრამ დასახლების სრულად აღდგენა დღემდე ვერ მოხერხდა, მხოლოდ ათამდე სახლი დგას. საძოვრებადაც ნაკლებადღა იყენებენ.

მუდმივად მსჯელობდნენ იმაზე, როგორ შეიძლებოდა შეწყვეტილი ტრადიციის აღდგენა, ტბათანისთვის ძველებური სიცოცხლის დაბრუნება. გადაწყდა, რომ საერთო ძალებით, საკუთარი ხელითა და თემის წევრების შემოწირულობებით აეშენებინათ სათემო სახლი. იგი თუშების იქ დაბრუნების სიმბოლო უნდა გამხდარიყო. 2018 წელს დაიწყო მშენებლობა და ძირითადი ნაწილი უკვე დასრულებულია. „ოსტატი და მუშები არ გვიქირავია, ყველაფერს ჩვენი ხელით ვაკეთებთ. ამიტომ, ცოტა გაიწელა დროში, მაგრამ ასე გვირჩევნია, უფრო მეტი პასუხისმგებლობა ექნება ხალხს“ - ამბობს ირაკლი ვეშაგურიძე. მთელი სოფელი ჩართულია შენების პროცესში, ზოგი ფიზიკურად ეხმარება მშენებლობაზე, ზოგი საშენი მასალით, ზოგი ტექნიკით, ზოგი თანხას რიცხავს. შესაბამისად, სახლი მთელი თემის საკუთრებაა, საბჭოს მართვის ქვეშ. შენობის საკუთრების საკითხი ჯერჯერობით შეთანხმების პროცესშია მუნიციპალიტეტთან. ყველა დეტალი წინასწარ განხილული და შეთანხმებული იყო საზოგადოებასთან: ასაშენებელი ადგილი, პროექტი, სამშენებლო მასალა და სხვ. თემის წევრები ამ საკითხებზე სამსჯელოდ რამდენჯერმე შეიკრიბნენ. ბევრი თუში წასულია სოფლიდან, თუმცა მაინც აქტიურად არიან ჩართულები საერთო საკითხების გადაწყვეტაში, ამიტომ დისკუსიისთვის იტერნეტსივრცესაც აქტიურად იყენებენ.

სათემო სახლი იქნება სივრცე სპორტულ-ინტელექტუალური და საგანმანათლებლო აქტივობებისთვის – ჩატარდება ტრენინგები და ვორქშოპები, საბჭოს შეკრებები. ასევე, ვისაც დასჭირდება, შეუძლია ღამეც გაათიოს იქ, მაგრამ მისი ძირითადი ფუნქცია თემის განვითარებისა და წინსვლის ხელშეწყობა იქნება. იგი ბიძგის მიმცემი უნდა გახდეს ტბათანის ხელმეორედ დასახლებისა და განაშენიანებისთვის.

ტბათანისგან განსხვავებით, წოვათა უფრო შორს და რთულ რელიეფზე მდებარეობს. თითქმის ორი საუკუნეა, ყველა სოფელი დაცლილია, ხალხი იქ ასვლას მხოლოდ ზათხულში, სადღეობოდღა ახერხებს, რადგან გზა იმდენად დაზიანებულია, სეზონზე რამდენჯერმე გაწმენდა არ შველის. ამის გამო წოვათუშები, სხვა ხეობის თუშებისგან განსხვავებით, ვერ ახერხებენ თავიანთ მამაპაპისეულ სოფლებში ასვლას, ნასოფლარების მოვლასა და გაცოცხლებას. მიუხედავად ამისა, რამდენიმე ნასოფლარში ჯერ კიდევ დგას შუა საუკუნეების ციხე-კოშკები და აკლდამები. 2018 წლამდე მათ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსიც არ ჰქონიათ. იქვეა ამ ხეობის, თემის მთავარი სალოცავი – ბერსანება, რომელიც საკმაოდ დაზიანებული იყო. სათემო საბჭომ მოახერხა მოხალისეების შეკრება, რესურსების შეგროვება და საერთო ძალებით გაამაგრეს ნაგებობის კედლები და სახურავი. ციხე-კოშკები კი კვლავ გადარჩენის მოლოდინშია. ცხადია, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან მუშაობა, მათი მოვლა-პატრონობა სპეციფიკური სამუშაოა და სპეციალისტების ჩართვას მოითხოვს. „თუშების სათემო საბჭო“ მუდმივად ცდილობს, შესაბამის უწყებებამდე მიიტანოს საკითხი, ჩაერთოს ყველა განხილვაში და ითანამშრომლოს მათთან. საბჭოს ერთ-ერთი ძირითადი მიზანი სწორედ წოვათის გზის მოწესრიგება და შემდეგ უკვე იქაურობის აღდგენა-გაცოცხლებაა და ამისათვის ძალ-ღონეს არ იშურებენ.

თემის სპეციფიკური საჭიროებებიდან და მისი მასშტაბურობიდან გამომდინარე, ორგანიზაციის მიერ განხორციელებული აქტივობები ჯერჯერობით ამ საკითხების ირგვლივ ტრიალებს და ნაკლებად ახერხებენ სხვა საზოგადოებრივ-სოციალურ თუ ეკონომიკურ საკითხებზე მუშაობას, თუმცა, შეძლებისდაგვარად, ცდილობენ, ამ პრობლემებსაც მიაქციონ ყურადღება და მოსახლეობას საკითხის შესაბამის პირებამდე მიტანაში მაინც დაეხმარონ. ეს მაინც არ არის ამ მიმართულებით გეგმაზომიერი მუშაობა, არამედ წარმოქმნილ გამოწვევაზე მყისიერი პასუხია. მომავალში, ორგანიზაციის განვითარებასთან ერთად, სურთ, რომ უფრო მეტი საკითხი და თემატიკა მოიცვან. ასე მოახერხეს სოფლისათვის საძოვრის დაბრუნებაც, რომელსაც

მოულოდნელად შეეცვალა სტატუსი და აუქციონზე გავიდა გასაყიდად. მას შემდეგ, რაც საბჭომ შეაგროვა ხელმოწერები და ეკონომიკის სამინისტროში გაგზავნა, განცხადება მოიხსნა ტენდერიდან და საძოვარი სოფელს დაუბრუნდა. აგრეთვე, გეგმავენ, რომ აქტიურად ჩაერთონ სასმელი წყლის პრობლემის მოგვარებაშიც, რადგან წლებია, სოფელს ეს საკითხი აწუხებს, მოწესრიგება კი ვერ მოხერხდა.

კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები და სამომავლო გეგმები

მშობლიური ენის დაკარგვა, პირველ რიგში, მასზე მოსაუბრისათვის არის ტრაგედია, ამიტომ, ცხადია, წოვათის თუშები ამ საკითხს ძალიან მტკივნეულად განიცდიან და ენის გადარჩენა მათი ყოველდღიური საფიქრალია. იგი დიდ და მრავალმხრივ შრომას მოითხოვს – საჭიროა მასწავლებლების მოძიება-გადამზადება, სხვადასხვა დონის სასწავლო რესურსების შექმნა, სასწავლო პროგრამებში შესატანად სხვადასხვა სახის ადვოკატირების კამპანიის წარმოება, საკვირაო სკოლისა და სხვა არაფორმალური სივრცეების გახსნა და ა.შ. დაარსებისთანავე, ეს იყო საბჭოს ერთ-ერთი ძირითადი სამუშაო მიმართულებაც. პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგიც მალე დადგა. დიდი შრომის, სხვადასხვა უწყებასთან შეხვედრებისა და კონსულტაციის შემდეგ, 2019 წლიდან, ზემო ალვანის საბავშვო ბაღში თუშური ენის სწავლება დაიწყო. მუნიციპალიტეტმა მასწავლებლისათვის საჭირო ხელფასი გამოყო, საბჭო კი ყველანაირად გვერდში უდგას, მეთვალყურეობს, ეხმარება და ახალისებს სასწავლო პროცესს.

მიუხედავად იმისა, რომ წოვათუშური ენის სამეცნიერო კვლევა ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში დაიწყო და არაერთი ნაშრომია შექმნილი, სასწავლო რესურსები თითქმის არ არსებობს, განსაკუთრებით, ბაღის ასაკის ბავშვებისათვის, გაკვეთილებიც ჯერჯერობით მხოლოდ ზეპირი ფორმით მიმდინარეობს. ამიტომ, პარალელურად, სათემო საბჭო ამაზეც შეუდგა მუშაობას. მათი ფინანსებითა და მხარდაჭერით გა-

მოიცა არსენ ბერთლანის „თუშური დედა ენა“. იგი ამ ენის შესასწავლად არსებული ჯერჯერობით ერთადერთი სახელმძღვანელოა.

ელექტრონული ფორმატი ენის სწავლებას უფრო სახალისოს ხდის და ახალგაზრდებისთვის უფრო მიმზიდველი და პროდუქტიულიცაა, ამიტომ გადაწყდა კომპიუტერული თამაშების, როგორც დამხმარე სასწავლო რესურსის, შექმნა წოვათუშურ ენაზე. იგი შემსწავლელს ახალი სიტყვების დაუფლებაში და ნასწავლის განმტკიცებაში დაეხმარება. სათემო საბჭომ საამისოდ ფინანსური რესურსები მოიძია, „ევროპის ფონდისგან“ დაფინანსება მიიღო და მუშაობა უკვე დაწყებულია.

ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ საბავშვო ბაღში დაწყებული პროცესი სკოლაში არ გაგრძელდება, სასურველი შედეგი ვერ მიიღწევა. ამიტომ საბჭო ახლა იმაზე ზრუნავს, რომ სკოლაშიც დაინერგოს წოვათუშურის, როგორც სავალდებულო საგნის, სწავლება. დაგეგმილია საკვირაო სკოლის შექმნაც; იქ ყველა ასაკის მსურველს შეეძლება ენის შესწავლა, ვინაიდან, დღეს 40 წელზე უფრო ახალგაზრდა წოვათუშურად მოსაუბრის პოვნა თითქმის შეუძლებელია.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტრადიციული ფოლკლორის შესწავლა-გაცოცხლებასაც. მოიძიეს მასწავლებელი, ხელფასის გადახდაც თავად უზრუნველყვეს და ბავშვებისთვის გარმონისა და სიმღერის შემსწავლელი წრე გახსნეს. თავიანთი სამუშაო ოთახი უსასყიდლოდ დაუთმეს ხატვის გაკვეთილებს და ბავშვები ამ მიმართულებითაც ვითარდებიან.

ჩამოყალიბდა წოვათუშური სიმღერებისა და ტრადიციული მუსიკის ანსამბლიც. საბჭო ცდილობს ხელი შეუწყოს და როგორც შეუძლია, მხარი დაუჭიროს, თუმცა მათთვის ფინანსური სახსრების მოძიება ჯერ ვერ მოხერხდა და ჯგუფის საქმიანობა ენთუზიაზმზეა დამყარებული.

„თუშების სათემო საბჭოს“ ორგანიზებით ხშირად ეწყობა პოეზიის საღამოები, ახალი წიგნების წარდგენა-განხილვები,

გამოფენები და სხვ. ერთად აღნიშნავენ თემისთვის მნიშვნელოვან მოვლენებსა თუ თარიღებს. ცდილობენ ასპარეზი და აუდიტორია შესთავაზონ თავიანთ სოფელში მცხოვრებ შემოქმედებით ადამიანებს, გაიცნონ და უფრო ფართო წრესაც გააცნონ. იწვევენ მათთვის საინტერესო სტუმრებს და საუბრობენ ყველა საკითხზე, რითაც დაინტერესებულია მოსახლეობა, ხშირად, სამეცნიერო მსჯელობები და დისკუსიებიც კი იმართება. ეს ყველაფერი კი სათემო ცხოვრების განვითარებას უწყობს ხელს.

თუშეთი თავისი მოსახლეობით, ოთხივე თემით, განუყოფელი ერთიანობაა. თუშეთის სრულფასოვანი განვითარებისა და გაძლიერებისთვის მათი თანამშრომლობა და შეთანხმებული მოქმედება უმნიშვნელოვანესია. „თუშების სათემო საბჭოს“ ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევა და სამუშაო გეგმაც ამ თანამშრომლობისთვის გზების გამონახვა და ხელშეწყობაა, რადგან 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ამის რამდენიმე წარუმატებელი მაგალითი ახსენდებათ. ფიქრობენ, რომ ახლა საზოგადოებას მეტად გააზრებული აქვს ვითარება და მზად არის გაერთიანების შესაქმნელად.

„ახლა ყველაზე აქტიურად ვმუშაობთ ტბათანის საკითხის დასასრულზე, ესაა ჩვენი ძირითადი სამომავლო გეგმა. გვინდა წყლის, გზის და სხვა ინფრასტრუქტურის მოწესრიგება“ – ამბობს საბჭოს წევრი. კონსულტაციები მიმდინარეობს შესაბამის უწყებებთანაც, ტბათანის თუშეთის დაცულ ლანდშაფტთან მისაერთებლად – ჩამოყალიბდება ადმინისტრაცია, რეინჯერები დადგებიან და მართვაც უფრო იოლი იქნება. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო უკვე შეხვდა ადგილობრივ მოსახლეობას და იმსჯელეს ამ საკითხზე.

ამგვარად, თუ რამდენიმე წლის წინ მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ენა და სხვა მემკვიდრეობა თითქოს დასაკარგად იყო განწირული, თუ საქმის მშველელი და მოთავე არსაიდან ჩანდა, დღეს ამ ყველაფერზე სოფლის თითოეული მოსახლე შეძლებისდაგვარად ზრუნავს და საერთო საქმისათვის თავისი მცირე შემოსავლის გაზიარებასაც კი არ იშურებს.

ყველა საკითხი არა მარტო თემის შიგნით განიხილება, არამედ ცდილობენ, ისინი შესაბამის უწყებებამდეც მიიტანონ. იწვევენ ლინგვისტებს, ისტორიკოსებს, ეკონომისტებს... ყველა კომპეტენტურ პირთან გადიან კონსულტაციას და მსჯელობენ გამოსავალზე.

„თუშების სათემო საბჭოს“ საქმიანობის შედეგებს რამდენიმე წელიწადში უკეთ შევაფასებთ, მანამდე კი იმედს ვიტოვებთ, რომ ქვეყანაში გაიზრდება ასეთი თვითორგანიზებული ჯგუფების და სათემო ინიციატივების რიცხვი და საერთო ძალისხმევით, მოქალაქეთა მონაწილეობით დაიწყება იმ უამრავი პრობლემის ეტაპობრივი მოგვარება, რომლებიც დღეს სხვადასხვა თემს უდგას.

სათემო სახლის მშენებლობა სოფელ ტბათანაში.

ფოტო: „თუშების სათემო საბჭო“

ACT!

თეთრიწყაროს ახალგაზრდული ცენტრი

[ანა მარგველაშვილი, ირაკლი ირემაძე]

ლიტერატურული საღამო თეთრიწყაროში. 2021 წ.

ფოტო: თეთრიწყაროს ახალგაზრდული ცენტრი.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი ფართობის თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე დიდი ადმინისტრაციული ერთეულია საქართველოში, თუმცა მეჩხერადაა დასახლებული, რადგანაც აქ მრავლადაა საზაფხულო აგარაკები, სადაც მუდმივი მოსახლეობა არ ცხოვრობს. მუნიციპალიტეტი ძალზე მრავალეთნიკურია და მის ტერიტორიაზე გარდა ქართველებისა, რომელიც დომინანტი ეთნიკური ჯგუფია, ცხოვრობს ეროვნებით აზერბაიჯანელი, სომეხი, ბერძენი, ოსი და რუსი მოსახლეობა. 1989 წლისათვის მუნიციპალიტეტში 36 ათასზე მეტი ადამიანი ცხოვრობდა, თუმცა 1991 წლის ქართულ-ოსური კონფლიქტის, ასევე, ეთნიკურად ბერძნების მიერ ქვეყნის მასობრივად დატოვების შედეგად, მოსახლეობა 22 ათასამდე შემცირდა. მეორე მხრივ, აქაურობა, გარკვეული თვალსაზრისით, შეივსო სხვადასხვა რეგიონებიდან გადმოსახლებული ეროვნებით ქართველი მოსახლეობით, მაგალითად, 1980-1990-იან წლებში მუნიციპალიტეტში გაჩნდა ახალი დასახლებები, სადაც სვანეთიდან და მაღალმთიანი აჭარიდან ეკოლოგიური კატასტროფების შედეგად დაზარალებული მოქალაქეები განსახლდნენ.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქალაქის ტიპის ორი დასახლებაა – ქალაქი თეთრიწყარო და დაბა მანგლისი, ასევე, 89 სოფელი, რომელთაგანაც 4 დაცლილია; დღემდე შემორჩენილია 1991 წლის ქართულ-ოსური კონფლიქტის შედეგად დაცარიელებული, უწინდელი ოსური ნამოსახლარები. რაიონის დასახლებული პუნქტების ნაწილი მაღალმთიან ზონაშია განლაგებული. ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობა სოფლის მეურნეობასთანაა დაკავშირებული, დიდი ფართობებიდან გამომდინარე, აქ მეცხოველეობისა და მეფრინველეობის არაერთი ფერმა მუშაობს; ასევე მნიშვნელოვანი ფართობები უჭირავს ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების მოყვანას. სოფლების ნაწილი ქალაქებთან, თბილისთან, რუსთავთან და მარნეულთან ახლოსაა განლაგებული, რაც მათთან მჭიდრო კავ-

შირს ქმნის, თუმცა სოფლების მეორე და მნიშვნელოვანი ნაწილი მოწყვეტილია საქალაქო დასახლებებს. აქვე მდებარეობს ალგეთის ეროვნული პარკი, ასევე, ასობით კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, მათ შორის, სამშვილდის ნაქალაქარი, ფიტარეთის მონასტერი და სხვ.

პირველი ნაბიჯები

2016 წლის მიწურულს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა დასახლებაში მცხოვრებმა ოთხმა ახალგაზრდა ქალმა დააარსა ორგანიზაცია „თეთრიწყაროს ახალგაზრდული ცენტრი“, რომლის მთავარი მიზანი მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების სამოქალაქო გააქტიურება, მათთვის ალტერნატიული განვითარების შესაძლებლობის მიცემა და ზოგადად, ადგილობრივი თემის მხარდაჭერა იყო. ორგანიზაციის შექმნის იდეა დამფუძნებლებს – ლუსინე დოსტიბეგიანს, ნანა ათციაურს, ანა ხუციშვილს და გალინა ოქროპირიძეს მას მერე გაუჩნდათ, რაც კოდაში, სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის (dvv International) მიერ დაფუძნებულ სათემო განათლების ცენტრში, მონაწილეობა მიიღეს პროექტში, „SOS Culture“. ახალგაზრდებმა მიღებული ცოდნის და ინფორმაციის სხვებისთვის, თანატოლებისთვის გაზიარება მოინდომეს. ასე იქცა კოდას სათემო განათლების ცენტრი თეთრიწყაროში არაფორმალური განათლების ალტერნატიული სივრცის ინსპირაციად.

თეთრიწყაროს ახალგაზრდული ცენტრის შექმნის ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი – ლუსინე დოსტიბეგიანი იყო. მას და მის თანამოაზრეებს ცენტრის შექმნისაკენ მუნიციპალიტეტში გამეფებულმა უძრაობამ და ახალგაზრდების სრულმა პასიურობამ უბიძგა. ლუსინე და მისი მეგობრები, რომლებიც თავად სტუდენტები ან სკოლის მოსწავლეები იყვნენ, ძალიან წუხდნენ იმაზე, რომ ადგილზე არ არსებობდა სკოლის მიღმა საქმიანობის, თავისუფალი დროის საინტერესოდ გატარების, არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობა. თეთრიწყაროელ ახალგაზრდებს არ გააჩნდათ თავშეყრის

ადგილი, ურომლისოდაც, ვერც მთავარი მიზანი – არაფორმალური განათლების ახალგაზრდული ცენტრის დაფუძნება მიიღწეოდა. სწორედ ამიტომ, საინიციატივო ჯგუფის პირველი ამოცანა, სამუშაო, თავშეყრის სივრცის მოძიება იყო. ამ მიზნით, ახალგაზრდებმა მუნიციპალიტეტის გამგებელს მიმართეს და გარკვეული ხნის შემდეგ შედგა კიდეც სიტყვიერი შეთანხმება სივრცის გამოყოფის შესახებ. საქმე ეხებოდა ყოფილი პროკურატურის შენობას, რომელიც ახალგაზრდებმა საკუთარი ძალებით, სრულიად მოხალისეობრივად დაასუფთავეს. თუმცა მოულოდნელად, თვითმმართველობის წარმომადგენლებმა პოზიცია შეიცვალეს და მიუხედავად იმისა, რომ თეთრიწყაროში უფუნქციოდ დარჩენილი ან თავისუფალი მუნიციპალური არაერთი შენობა იყო, იმუამინდელმა ხელმძღვანელობამ ინიციატორებს უარი უთხრა ქალაქში მცირედი ფართის გამოყოფაზე. ახალგაზრდები იდეას მაინც არ შეეშვნენ და ლამის ორი წელი, მოქმედება არ შეუწყვეტიათ.

ამავე პერიოდში, კერძოდ კი, 2016 წელს, საინიციატივო ჯგუფი არასამეწარმეო, არაკომერციულ, იურიდიულ პირად დარეგისტრირდა და კონკრეტული, ადგილობრივი თემის საჭიროებებზე მიმართული საქმიანობაც წამოიწყო. ადგილობრივი თემის გაძლიერება, ახალგაზრდებისა და თემის მდგრადი ეკონომიკური და გარემოსდაცვითი განვითარება ახლადშექმნილი საზოგადოებრივი ორგანიზაციის მთავარ სამუშაო მიმართულებებად განისაზღვრა.

საწყის ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სხვადასხვა საზოგადოებრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციის თანადგომა და მხარდაჭერა, რომლებმაც ახალგაზრდულ ჯგუფს ნდობა გამოუცხადეს. მაგალითად, მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის (CIPDD) დახმარებით, 2016 წლის მიწურულს ახალგაზრდა ინიციატორებმა დაიწყეს პროექტი, რომელიც მუნიციპალიტეტის შვიდ სოფელს მოიცავდა და რომლის მიზანიც ახალგაზრდების მდგრადი ქსელის შექმნა იყო. ეს პროექტი ერთ-ერთი მყარი საძირკველი აღმოჩნდა ორგანიზაციის შემდგომი საქმიანობისათვის, რადგანაც მათ ამიერიდან უკვე გააჩნდათ ქსელი და

თითქმის ყველა დიდ დასახლებაში ჰყავდათ წარმომადგენელი თუ თანამოაზრე.

სხვადასხვა პარტნიორ ორგანიზაციასთან მჭიდრო თანამშრომლობით, ცენტრი მას მერე უწყვეტად მუშაობს და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებს საინტერესო საგანმანათლებლო თუ კულტურულ პროგრამებს სთავაზობს. ორგანიზაციის პარტნიორები არიან ქალთა ფონდი საქართველო, სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, კავკასიის ბუნების ფონდი, თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი, კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი – კავკასიური სახლი, ფონდი ღია საზოგადოება, თანამედროვე ხელოვნების ცენტრი თბილისი და სხვ. გარდა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა, თეთრიწყაროს ახალგაზრდული ცენტრი მუდმივად თანამშრომლობს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიასთან, ასევე, სხვადასხვა საჯარო დაწესებულებასთან, საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ მისიებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან (გაეროს ბავშვთა ფონდი, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია, მშვიდობის კორპუსი საქართველოში).

დაარსების დღიდან ორგანიზაციის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება იყო ახალგაზრდული ბანაკების გამართვა ბუნებაში, რომლის ფარგლებშიც, ერთი მხრივ, ახალგაზრდებისათვის იმართება საინტერესო შეხვედრები და ლექციები, მეორე მხრივ კი, ხდება ჯანსაღი ცხოვრების წესის, გარემოს დაცვისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პოპულარიზაცია. ბანაკებში ჩართულები არიან მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა თემის წარმომადგენლები. ამ პროექტების ფარგლებში, ადგილობრივი ახალგაზრდები, გარდა პროგრამებით გათვალისწინებული თემატური საკითხებისა, ასევე ეცნობიან მუნიციპალიტეტში არსებულ დაცულ ტერიტორიებსა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებსაც. 2017 წელს, ქალთა ფონდის დახმარებით, შესაძლებელი გახდა გოგონათა ბანაკის ჩატარებაც. ზოგადად, „თეთრიწყაროს ახალგაზრდული ჯგუფისთვის“ მნიშვნელოვანია მუშაობა ქალთა საკითხებზე. სწორედ ქალთა ფონდის მხარდაჭე-

რით ხორციელდებოდა ქალთა გაძლიერებაზე მიმართული მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც ქალების ეკონომიკურ დახმარებას, გარემოს დაცვის საკითხებში მათი ჩართულობის წახალისებას ისახავდა მიზნად. ახალგაზრდული ცენტრი ასევე მუშაობდა გენდერული თანასწორობისა და ფემინიზმის შესახებ ცოდნის გავრცელების, სექსუალური განათლებისა და ადვოკატირების უნარების განვითარების მიმართულებითაც. პროექტები ასევე ითვალისწინებდა პრაქტიკულ დახმარებასაც. მაგალითად, შესაძლებელი გახდა ქალებისთვის უფასოდ გინეკოლოგისა და ფსიქოლოგის კონსულტაციების მიწოდება, რაც სოფლად მცხოვრები ქალებისთვის, მათ შორის, ახალგაზრდებისათვის, ხშირად, ხელმიუწვდომელი ფუფუნება გახლდათ.

2017-2018 წლებში, ახალგაზრდებმა, „ორბელიანი საქართველოს“ დახმარებით, მუნიციპალიტეტის სხვადასხვა დასახლებულ პუნქტში მცირე, თემის კეთილდღეობაზე მიმართული პროექტები განახორციელეს.

გზა ყოფილი სასამართლოდან სათემო ცენტრამდე

მუშაობის პარალელურად კი გრძელდებოდა მოლაპარაკებები მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან, ცენტრისთვის ფართის გამოყოფის თაობაზე. მართლაც, 2018 წლის გაზაფხულზე, მუნიციპალიტეტის ახალმა მერმა, საკრებულოს თანხმობით, საბჭოთა დროის ყოფილი სასამართლოს მიტოვებული (8 წლის განმავლობაში დაკეტილი) შენობა გადასცა ახალგაზრდულ ცენტრს ორწლიანი უსასყიდლო სარგებლობის უფლებით. შენობის მოწესრიგება შესაძლებელი გახდა სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG), „ორბელიანი საქართველოს“ მხარდაჭერითა და ცენტრის ათობით წევრისა და მოხალისის ფიზიკური ძალისხმევით. მიტოვებული შენობა მალე თანამედროვე, ახალგაზრდებზე მორგებულ სამუშაო, თავშეყრისა და კულტურის ალტერნატიულ სივრცედ იქცა. მოწესრიგდა და კეთილმოეწყო მისი ეზოც.

სივრცის არსებობამ ახალგაზრდებს ახალი შესაძლებლობები მისცა და მათაც დაუზარებლად გაშალეს საქმიანობა. სწორედ ეს სივრცე იქცა მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებისთვის არაფორმალური განათლების, თვითგანვითარების, შემეცნების, სოციალიზაციის ადგილად. აქ, ახალგაზრდების მიერ საკუთარი ძალისხმევით და ჩართულობით კეთილმოწყობილ შენობაში, სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, ადგილობრივ ახალგაზრდებს მრავალფეროვან სასწავლო კურსებზე დასწრების შესაძლებლობა მიეცათ. არაფორმალური სასწავლო მოდულები შეეხებოდა პროფესიულ განვითარებას, ადვოკატირების უნარ-ჩვევების გამომუშავებას თუ სამოქალაქო ჩართულობის გაძლიერებას. ასევე, მაგალითად, ცენტრის ბაზაზე ამერიკელი მოხალისე 2019 წელს მართავდა ინგლისური ენის სწავლების უფასო გაკვეთილებს თეთრიწყაროელი ახალგაზრდებისათვის. აქ, ყოფილი სასამართლოს შენობაში გამართულ ღონისძიებებს, მუნიციპალიტეტში მცხოვრები არაერთი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ესწრება. ამავე დროს, ორგანიზაცია თავის სივრცეს სთავაზობს და უთმობს საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და საჯარო უწყებებს ახალგაზრდებთან და ზოგადად მუნიციპალიტეტში მცხოვრებ თემთან ტრენინგების, ლექციებისა და საჯარო შეხვედრების გასამართად და კულტურის ღონისძიებების ჩასატარებლად. ზრუნვა შენობასა და ეზოზე დღემდე გრძელდება, მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებთან მუშაობით პერიოდულად ხელშეკრულების გაგრძელებაა ხოლმე საჭირო.

თეთრიწყაროს ახალგაზრდული ცენტრი არანაკლებ ყურადღებას უთმობს კულტურას და კულტურის პროექტებს. ამ მიმართულებით მჭიდროდ თანამშრომლობდა ორგანიზაციასთან, „თანამედროვე ხელოვნების ცენტრი – თბილისი“, რომლის მხარდაჭერითაც სამ ენაზე მომზადდა და 2020 წელს გამოიცა საინფორმაციო ბროშურა სახელწოდებით „ალაგთ ჰამბავი“ – თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლების, ძეგლების და სხვა გეოგრაფიული ადგილების სახელების ეტიმოლოგიისა და ისტორიის შესახებ. პროექტის ფარგლებში თავმოყრილ ლეგენდებსა თუ თქმულებებზე, მუნიციპალიტე-

ტის მერიის მხარდაჭერით შეიქმნა ილუსტრაციები. სამომავ-ლოდ ცენტრი გეგმავს გამოცემის გამრავალფეროვნებას და სხვა დასახლებების შესახებ მასალების დამუშავებას; სამუშაო პროცესში გაჩნდა ილუსტრაციების გამოყენებით საფოსტო ბარათებისა და ჩანთების ბეჭდვის იდეა, რაც ასევე სამომავ-ლო საქმიანობად მოინიშნა.

გარდა ამისა, კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი – კავ-კასიურ სახლთან თანამშრომლობით, ორი მნიშვნელოვანი მცირე პროექტი განხორციელდა. 2019 წელს, „კავკასიურმა სახლმა“ მხარი დაუჭირა ინიციატივას, „გამორჩეული კედ-ლები“, რომელიც მიზნად ისახავდა მუნიციპალიტეტში წლების განმავლობაში დაკეტილი ან მიტოვებული საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების მიმართ ადგილობრივი თვითმმარ-თველობის და სხვა პასუხისმგებელი თუ დაინტერესებული მხარეების ყურადღების მიპყრობას. გამოცხადდა ფოტოკონ-კურსი, რომლის მიზანიც არსებული, უფუნქციოდ დარჩენილი შენობების ფოტოფიქსაცია იყო; მოგვიანებით კი, შერჩეული ფოტოები თეთრიწყაროს ციყვების პარკში არსებულ ამფი-თეატრის შიდა სივრცეში გამოიფინა, აქვე გამოვლინდნენ ფოტოკონკურსის გამარჯვებულები: „ფოტო- თუ ზოგადად გამოფენები თეთრიწყაროში ძალიან იშვიათია. გვინდოდა, მოსახლეობისთვის, ერთი მხრივ, მიტოვებული, უფუნქციოდ დარჩენილი შენობები შეგვეხსენებინა და ეს სწორედ გამო-ფენის გზით მომხდარიყო“, – იხსენებს ლუსინე. „კავკასიურ სახლთან“ თანამშრომლობით, 2021 წელსაც განხორციე-ლდა პროექტი „სამღერეთის ყორღანი“, რომელიც მიზნად ისახავდა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. სამღერე-თის მიმდებარედ, არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2021 წელს გათხრილი ძვ. წ. XXI-XX საუკუნეებით დათარიღებული ყორღანის პოპულარიზაციას, ადგილზე ექსკურსიების მოწყო-ბის თუ გამოფენის გზით. ფოტო-გამოფენა, ამჯერადაც, ჯერ ქალაქის ცენტრში, ციყვების პარკში გაიმართა, ხოლო შემდეგ სხვადასხვა სკოლამ გამოთქვა მისი გამოფენის სურვილი.

2020 წლიდან ორგანიზაცია ჩაერთო Covid 19-ის პანდემი-ისას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსაკუთრებით მძიმე

სოციალური საჭიროებების მქონე ოჯახების მხარდაჭერის პროცესშიც. მისი მოხალისეები გაეროს ბავშვთა ფონდის, საფრანგეთის საელჩოსა და მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით სოციალურ პაკეტებს (სურსათს, ჰიგიენის საშუალებებს, მედიკამენტებს) ურიგებდნენ სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს. ასევე, საქართველოს პრემიერ-მინისტრის აპარატთან და გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) პარტნიორობით, ორგანიზაციამ stop.cov.ge-ს შინაარსობრივი მასალები თარგმნა სომხურ ენაზე და ზოგადად, მუნიციპალიტეტის სომხურ თემში გაავრცელა ინფორმაცია პანდემიისას თავის დაცვის წესების შესახებ.

2020 წლიდან ორგანიზაცია თანამშრომლობს ორგანიზაციასთან, „უკანასკნელ დღეთა წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიის ფონდი საქართველოში", რომლის ფინანსური მხარდაჭერით, ცენტრმა, სოფ. ბორბალოს, სოფ. ერტისის, სოფ. კოდის და სოფ. ორბეთის სასოფლო ამბულატორიებს, საქმიანობის გაუმჯობესების ხელშესაწყობად, სამედიცინო და სხვა სახის საჭირო ინვენტარი გადასცა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ COVID-19-ით გამოწვეული ვითარების დროს, მუნიციპალიტეტში, სადაც არ ფუნქციონირებს საავადმყოფო, სწორედ ამბულატორიები და იქ მომუშავე მედპერსონალი აღმოჩნდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასაყრდენი ძალა პანდემიის სამართავად. შესაბამისად, მათი მხარდაჭერა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა და სამუშაო პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა, ცენტრისთვისაც უმნიშვნელოვანეს ამოცანად იქცა.

თეთრიწყაროს ახალგაზრდული ცენტრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზრუნავი, 2019 წლიდან მიუსაფარი ძაღლების საკითხია. ახალგაზრდები სხვადასხვა ორგანიზაციასთან თანამშრომლობით ცდილობენ ამ საკითხის ადვოკატირებას ადგილობრივ თვითმმართველობასთან; 2021 წელს, ჩეხური ორგანიზაციის, Nesehnuti ფინანსური მხარდაჭერით, თეთრიწყაროს ტერიტორიაზე განხორციელდა 100-მდე ძაღლის სტერილიზაცია, დეჰელმეტიზაცია, ანტირაბიული ვაქცინაცია, საიდენტიფიკაციო საჭდით მონიშვნა. სამომავლოდ, ამ მიმარ-

თულებით ადგილობრივ ხელისუფლებასთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობა იგეგმება.

გამომდინარე იქიდან, რომ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი ტერიტორიულად დიდია და დასახლებული პუნქტები დაშორებულია ერთმანეთისგან, ორგანიზაციას უჭირდა სხვადასხვა სოფლიდან ახალგაზრდების მობილიზება, გაუმართავი მუნიციპალური ტრანსპორტი ასევე ართულებდა ორგანიზაციის საქმიანობას. ეს პრობლემა ახალგაზრდულმა ცენტრმა მათ მიერვე წამოწყებული კამპანიით დაძლია. სამოქალაქო კამპანია ცენტრისათვის სატრანსპორტო საშუალების შეძენას გულისხმობდა. საბოლოოდ, მაღალი გამავლობის სატრანსპორტო საშუალება ახალგაზრდულ ცენტრს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ (EUMM) შესწირა, ხოლო სატრანსპორტო საშუალების განბაჟებასა და გაფორმებაში მხარდაჭერა სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა, ფონდმა „ტასომ“ და ფიზიკურმა პირებმა (სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა) აღმოუჩინეს. დღეს ცენტრს უკვე შეუძლია სხვადასხვა სოფლიდან ჩამოიყვანოს ახალგაზრდები, მათთვის საინტერესო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად. ასევე, მოაწყოს მინი-ექსკურსიები და კვლევითი გასვლები. ორგანიზაციის ტექნიკურმა გაძლიერებამ, უფრო მასშტაბური მიზნებიც დააყენა დღის წესრიგში, მათ შორის გამორჩეული ინიციატივაა სოციალური საწარმო „ორბის ბუდე“, რომელმაც სოფელ სამშვილდეში დაიდო ბინა და სულ მალე უმასპინძლებს პირველ სტუმრებს.

სოციალური საწარმო "ორბის ბუდე"

„ორბის ბუდე“ პატარა, ქვით ნაშენი სახლია, რომელიც სოფელ სამშვილდეში და სამშვილდის მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე სხვადასხვა ტიპის ტურისტული მოგზაურობის დაგეგმვა-განხორციელებას და ამ გზით რესურსებით მდიდარ მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებას ისახავს მიზნად. სოციალური საწარმოს კეთილმოწყობისა და შინაარსობრივად გამართვის მხარდამჭერები არიან ორგანიზაციები Mercy

Corps, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი და გაეროს განვითარების პროგრამა. ახალგაზრდული ცენტრის თანამშრომლები დაინტერესებულ სტუმრებს შესთავაზებენ გიდის მომსახურებას, ასევე, კვებას, გააცნობენ ტრადიციულ სამზარეულოს, მასტერკლასებში მონაწილეობას, კემპინგის სივრცეს და ღამისთევას. ამ საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი კი სრულად მოხმარდება ახალგაზრდული ცენტრის მომავალ პროექტებსა და საქმიანობას და კიდევ უფრო გააძლიერებს მას.

დღეს ორგანიზაციაში რამდენიმე აქტიური წევრი მუშაობს. ლუსინე დოსტიბეგიანი ორგანიზაციის თავმჯდომარეა, ნათელა მანუკოვა კულტურისა და სპორტის მიმართულებით მუშაობს, თამარ ბალიანს არაფორმალური განათლება ეხება, ნანუკა აფციაური ორგანიზაციის ერთ-ერთი თანადამფუძნებელია და საზოგადოებასთან ურთიერთობაზე ზრუნავს, ანა ხუციშვილიც ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელია და თან კარიერის დაგეგმვის კონსულტანტია, ფატიმა შავაძე კი ორგანიზაციის წევრი და პროექტების კოორდინატორია. ორგანიზაციას ჰყავს ფინანსისტი ნინო მჭედლიძე და ლოჯისტიკის მენეჯერი გიორგი დოსტიბეგიანი და ტექნიკურ საკითხებზე პასუხისმგებელი პირი – ნიკოლოზ სიხარულიძე. ახალგაზრდები წარმატებით საქმიანობენ თავიანთ ძირითად პროფესიულ სფეროებშიც. მაგალითად, ლუსინე საქართველოში ყველაზე ახალგაზრდა ქალი რეინჯერია, რომელიც ყოველდღიურად ზრუნავს ალგეთის ეროვნული პარკის, სამშვილდის ბუნების ძეგლის დაცვაზე. ფატიმა, მუნიციპალიტეტის თვითმმართველობაში ახალგაზრდობის და კულტურის პოლიტიკას კურირებს, ნანუკა, თამუნა და ნათელა კი ორგანიზაციის საქმიანობის მიღმა ახალგაზრდობის, არაფორმალური განათლებისა და მოხალისეობის ხელშეწყობის არაერთ პროექტსა და პროგრამაში მონაწილეობენ.

დღეისათვის ორგანიზაცია ჩართულია ისეთ პროექტებშიც, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის პროფესიულ გადამზადებას და დასაქმების ახალი შესაძლებლობების შექმნას. კერძოდ, სტრატეგიული კვლევებისა

და განვითარების ცენტრთან თანამშრომლობით, ახალგაზრდული ცენტრი მონაწილეობს ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილ პროფესიული განათლებისა და დასაქმების პროექტში. ცენტრის წარმომადგენლები ასევე აქტიურად მონაწილეობენ ახალგაზრდების მიმართულებით ადგილობრივი პოლიტიკის შემუშავების პროცესში. ორგანიზაცია გამოცდილებას უზიარებს როგორც საჯარო დაწესებულებებს, ისე მათ მსგავს ახალ წამოწყებებს ახალგაზრდული გაერთიანებებისა და ქსელების ფორმირების საკითხებში.

სხვათა შორის, თეთრიწყაროს ახალგაზრდული ჯგუფი ერთ-ერთი პირველი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომელმაც მიუხედავად ჯერ სულ რამდენიმეწლიანი არსებობისა, ამ მოკლე პერიოდში დაგროვილი სამუშაო დოკუმენტაცია ეროვნულ არქივს გადასცა. „ჩვენ გადავწყვიტეთ ვყოფილიყავით ის სამოქალაქო ორგანიზაცია, რომელიც პრეცედენტს შექმნიდა. არ ვართ დიდი ორგანიზაცია, ბევრი საქმით და ხანგრძლივი გამოცდილებით, თუმცა მიგვაჩნია, რომ ის საქმე, რაც გვიკეთებია აქამდე და სიამოვნებით ვაგრძელებთ კეთებას, ისტორიის ნაწილია, ისტორიის, რომლითაც ერთ დღეს მკვლევრები აუცილებლად დაინტერესდებიან. ვფიქრობთ, ჩვენი ამ ქმედებით, გარდა იმისა, რომ საინტერესო პრაქტიკას ვქმნით, ასევე წლების შემდეგ, 21-ე საუკუნის თეთრიწყაროს ისტორიის კვლევისთვის და ამ დროინდელი რეალობის გააზრებისთვის ისტორიკოსებს თუ სხვა დაინტერესებულ პირებს საინტერესო მასალებს ვუტოვებთ“, – წერენ თეთრიწყაროს ახალგაზრდული ცენტრის მესვეურები თავიანთ გვერდზე სოციალურ ქსელში.

ახალგაზრდულ ცენტრს Peace Corps-ის მოხალისესთან თანამშრომლობით და თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის ხელშეწყობით აქვს პროაქტიული ქართულ/ინგლისურენოვანი ვებგვერდი, სადაც ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია ქვეყნდება. ცენტრის შემდგომი განვითარების ქრონიკას, სწორედ ვებგვერდზე (https://ka.tycgeorgia.com) შეგიძლიათ გაეცნოთ.



„მთის ამბები“ მთის თემისთვის

[დიანა კაკაშვილი]

გომეწრის ხეობა. 2017 წ.

ფოტო: „მთის ამბები“

„მთის ამბები“ თავისი არსითა და ფუნქციებით უნიკალური და ერთ-ერთი გამორჩეული მედიაპლატფორმაა მთელ ქართულ სივრცეში. მისი განსაკუთრებულობა ორი რამითაა განპირობებული. პირველ რიგში, კლასიკური ტიპის მედია-საშუალებებისგან განსხვავებით, მთიან რეგიონებში მცხოვრები ადამიანების ყოფასა და პრობლემებს მხოლოდ კი არ ასახავს, არამედ ცდილობს ხელი შეუწყოს მათ მოგვარებასაც, აქტიურად არის ჩართული მათი გადაწყვეტის პროცესში და ადგილობრივ მოსახლეობასთან, სათემო აქტივისტებთან ერთად აწარმოებს ადვოკატირების კამპანიებს.

ამგვარად, მისი ფუნქციები გაცილებით ფართოა, ვიდრე ტიპური საინფორმაციო საშუალებისა. გარდა ამისა, ის ერთადერთი მედიარესურსია, რომელიც საქართველოს მაღალმთიან რეგიონებზეა ფოკუსირებული და ამბების სიღრმისეული გაშუქებით ცდილობს მთელ ქვეყანას, როგორც საზოგადოებას, ისე ხელისუფლებას, უკეთ გააცნოს იქაური მდგომარეობა, უჩვენოს, როგორ ცხოვრობენ და რა სირთულეები აქვთ მთაში მცხოვრებ ადამიანებს, როგორია მათი ყოველდღიურობა და რას ნიშნავს მთაში ცხოვრება.

თუ ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ ხევსურეთის, რაჭის, ხევისა თუ სხვა მაღალმთიანი რეგიონის შესახებ ინფორმაციას მხოლოდ ფრაგმენტულად შევხვდებოდით და მხოლოდ მაშინ, როცა იქ რაიმე განსაკუთრებული მოხდებოდა, ახლა უკვე სისტემატურად ვიგებთ იქაურ ცნობებს; „მთის ამბების“ მეშვეობით უამრავი ადამიანი გახდა საქართველოს მთიანი რეგიონების და იქ მცხოვრებთა გულშემატკივარი.

დღეს ალბათ ძნელად მოიძებნება ადამიანი, ვისაც არ სმენია ზეისტეჩოელი მიხა პაპას, ხორხელი საბედა ბებოს, სვანი კვანჭიანების ამბები, ან სულაც უშუალოდ არ იყო ჩართული მათი პრობლემების მოგვარებაში, შემოწირულების გაღებით თუ სხვა, მაგალითად, ფიზიკური დახმარების ფორმით. ხა-

ხაბოელი მარტოკაცის, ხევისჭალელი 11 წლის მოსწავლის დისტანციური განათლების ქოხი თუ რაჭის სევდიანი, ნახევრად ცარიელი სოფლების ამბები საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ნაცნობი და ახლობელი სწორედ იმ ინფორმაციის შედეგად გახდა, რაც „მთის ამბებმა“ წლების განმავლობაში შეკრიბა და თითქმის ყველა მოქალაქემდე მიიტანა საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების და იქ მცხოვრები ადამიანების ტკივილი თუ სიხარული.

„მთის ამბების“ შექმნის იდეა 2016 წელს გაჩნდა. პროექტის გუნდი იმ დროს მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრში მუშაობდა და აქტიური ურთიერთობა უხდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის - თუშავ-ხევსურეთ-გუდამაყარ-ხევის მოსახლეობასთან. ხედავდნენ იმ მძიმე ყოველდღიურ ყოფას, რაც მთიან და საზღვრისპირა დასახლებებშია.

იქ არსებული საცხოვრებელი პირობები იმდენად რთულია, რომ ბევრი სოფელი თითქმის დაცლილია და თითზე ჩამოსათვლელი ადამიანებიღა ცხოვრობენ, დარჩენილებს კი გამუდმებით, ზამთარ-ზაფხულ უწევთ მძიმე ყოველდღიურობასთან გამკლავება: უგზოობა, ამბულატორიის, სკოლის, საბავშვო ბაღის, მაღაზიის არარსებობა და უმეტეს შემთხვევაში მობილური და ინტერნეტკავშირის არქონა იქ აღარავის აკვირვებს. ფეხით უწევთ 18-20 კილომეტრის გავლა, მთის წვერზე ასვლა, რომ ტელეფონის სიგნალი დაიჭირონ და გარესამყაროს დაუკავშირდნენ – ოჯახის წევრები მოიკითხონ, ექიმისგან რჩევა მიიღონ ან სხვა საკითხი მოაგვარონ. ზამთარში კი, დიდთოვლობის პირობებში, ესეც ვერ ხერხდება და კავშირის ყველა შესაძლებლობა წყდება. ეს ყველაფერი ადამიანებს ჯანმრთელობის, და ხშირად, სიცოცხლის ფასადაც კი უჯდებათ, ამიტომ ერთადერთ გამოსავალს საკუთარი სახლის მიტოვებასა და ბარში ჩამოსახლებაში ხედავენ. ვინაიდან, სხვა ყველაფერთან ერთად, არც საბაზო განათლების მიღების და დასაქმების თითქმის არანაირი შესაძლებლობა არ აქვთ, ახალგაზრდებისთვის კიდევ უფრო რთულია იქ გაჩერება.

გარდა იმისა, რომ ეს დასახლებები ქვეყნისთვის თავისთავადი ღირებულებისა და დანიშნულების მატარებელია, სასაზღვრო მდებარეობის გამო დიდი სტრატეგიული მნიშვნელობაც აქვს. იგი უშუალოდ ემეზობლება რუსეთის ფედერაციასა და ოკუპირებულ რეგიონებს. იქაურობის მოსახლეობისაგან დაცლა კიდევ უფრო მეტ საფრთხეს წარმოქმნის და დაუცველს ხდის არა მხოლოდ მოცემულ მონაკვეთს. ერთი შეხედვით, ეს ვითარება დამატებითი მოტივაცია უნდა იყოს, რომ სახელმწიფომ იქ მყოფი ადამიანებისათვის თუნდაც პირველადი საჭიროებები დააკმაყოფილოს და საარსებო პირობები შექმნას, მაგრამ რეალობა სხვაგვარია, წლიდან წლამდე, მდგომარეობა არ იცვლება და მთის სოფლები თითქოს მაინც განწირულია დასაცლელად. მედიაც ნაკლებ ყურადღებას უთმობს თითქმის დაცარიელებული სოფლების ცხოვრებისა და პრობლემების გაშუქებას. იქიდან გამომდინარე, რომ ბევრი ასეთი დასახლება ყოველგვარი კომუნიკაციის გარეშეა დარჩენილი, ადამიანებს იმის საშუალებაც არ აქვთ, რომ თვითონ მიაწვდინონ ხმა ან დანარჩენ საზოგადოებას, ან გადაწყვეტილების მიმღებ პირებს. ამგვარად, მათი პრობლემები, უჩინარი, უმრავლესობის თვალს მიფარებული და რაღა გასაკვირია, რომ მოუგვარებელიც რჩება.

ამგვარ ვითარებაში გადაწყდა შექმნილიყო მედიასაშუალება, რომელიც მთელ ყურადღებას ამ უიმედოდ და უპერსპექტივოდ დარჩენილ სოფლებს დაუთმობდა. მუშაობის დასაწყისშივე ცხადი გახდა, რომ მხოლოდ ამბების გაშუქება და ტრადიციული მიდგომებით მუშაობა საკმარისი არ იყო. თანდათან ისე მოხდა, რომ გამოსავლისათვის გზების ძიების პროცესში „მთის ამბებმა“ დამატებითი, უფრო ფართო ფუნქციები შეიძინა და ერთგვარ ჰიბრიდულ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა – აშუქებს მთიანი რეგიონების პრობლემებს და თან ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად ცდილობს შეცვალოს ვითარება. იმისთვის, რათა მუშაობა უფრო კოორდინირებული ყოფილიყო და იქ მცხოვრები ადამიანებიც აქტიურად ჩართულიყვნენ საკუთარი პრობლემების მოგვარებაში, თითქმის ყველა მხარეში დაფუძნდა სათემო ორგანიზაციები.

„მთის ამბებმა“ გადაწყვიტა მთაში მცხოვრები თითოეული ადამიანისათვის დაეთმო ყურადღება, თითოეული მათგანის სათქმელი გაეხმოვანებინა, აესახა მათი ყოფა – რა აწუხებდათ და რა უხაროდათ, როგორ ცხოვრობდა ოცდამეერთე საუკუნის მთის სოფლები.

„ჩვენი მიზანი იყო ამ ადამიანების ყოფა გაგვეუმჯობესებინა და მათ პრობლემების გადაწყვეტაში შევხიდებოდით. ეს შეხიდება მოიცავს ორ რამეს, ერთი მხრივ, გვესწავლებინა მათთვის, როგორ უნდა მოეთხოვათ პრობლემებზე რეაგირება და მეორე მხრივ, თუკი ამ ხალხის მიერ მიმართული ძალისხმევა არ იქნებოდა საკმარისი კონკრეტული პრობლემის გადასაწყვეტად, ჩვენ ჩავრთულიყავით უკვე არა მხოლოდ „მთის ამბების“ პლატფორმით, არამედ მთელი ჩვენი რესურსებით, კონტაქტებით, ვგულისხმობ, სხვა მედიების ჩართულობას, სახალხო დამცველის ჩართვას, საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევის მომართვას და დაინტერესებას იქ არსებული პრობლემების გადასაწყვეტად“ – ამბობს პროექტის დირექტორი გელა მთივლიშვილი.

„მთის ამბები“ ამბის ერთჯერადი გაშუქებით არ შემოიფარგლება, ის სისტემატურად, რეგულარულად აახლებს ინფორმაციას, სანამ გადაწყვეტილების მიმღები პირები დადებითად არ გადაწყვეტენ საკითხს, ანდა პრობლემა მოქალაქეების ჩართულობით თუ სხვა საშუალებით არ მოგვარდება და ამბის განვითარების მთელ პროცესს წარმოგვიდგენს.

თავდაპირველად „მთის ამბები“ მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთის რეგიონებში მუშაობდა, მაგრამ მალევე გაიფართოვა არეალი და დღეს უკვე მთელი საქართველოს მთიანი დასახლებების ამბებს აშუქებს. მიუხედავად იმისა, რომ იგი ახალი დაარსებულია, სამუშაო გუნდსაც სულ რაღაც ხუთი ადამიანი შეადგენს და ფინანსური რესურსიც მწირი აქვს, თავდაუზოგავი შრომის დამსახურებით, მაინც ქართული მედიის პირველ ათეულშია და მთელი წლის განმავლობაში მილიონობით ადამიანი ადევნებს თვალს.

სათემო ორგანიზაციებისა და რადიოების დაარსება

ჯერ კიდევ მაშინ, როცა „მთის ამბებს“ სულ ახალი დაწყებული ჰქონდა მუშაობა და მხოლოდ ფშავ-ხევსურეთის რეგიონს მოიცავდა, გადაწყდა იქ სათემო ორგანიზაციის დაარსება. მის მუშაობაში ჩართული იქნებოდა თავად „მთის ამბების“ გუნდი, დაეხმარებოდა გზის გაკვლევაში და გამოცდილებას გაუზიარებდა, მაგრამ გამწევი ძალა თავად ადგილობრივი მცხოვრებლები უნდა ყოფილიყვნენ. მუშაობის ოთხი წლის თავზე უკვე თითქმის მთელი საქართველოს მთიანეთში მოახერხეს სათემო ორგანიზაციების ქსელის შექმნა. ძალების გაერთიანებამ არაჩვეულებრივი შედეგი გამოიღო და ისეთი საქმეების ხორცშესხმაც მოხერხდა, რასაც მანამდე ვერავინ წარმოიდგენდა.

ცხადია, ადგილობრივი მოსახლეობა ყველაზე დიდი ძალა და მყარი საყრდენია ვითარების გასაუმჯობესებლად, თუმცა, რადგანაც წლების განმავლობაში ბევრი უყურადღებობა და იმედგაცრუება გამოსცადეს, რაიმეს შეცვლის შესაძლებლობას, საამისოდ მუშაობას, ბევრი სკეპტიკურად უყურებდა. ყველა ცალ-ცალკე ცდილობდა გამკლავებოდა საკუთარ ყოველდღიურ საზრუნავს და როგორმე თავი გაეტანა. ამის გათვალისწინებით, „მთის ამბებისთვის“ მუშაობის დაწყება იოლი არ ყოფილა.

პირველი, რასთანაც მათ შეჭიდება მოუწიათ, იქ გამეფებული ნიჰილიზმისა და უიმედობის დაძლევა იყო. დიდი შრომა დასჭირდათ, რომ ადგილობრივ მოსახლეობაში სტიმული, ნდობა და თანამშრომლობის ნაპერწკალი გაჩენილიყო.

მუშაობის საწყის ეტაპზე, კიდევ უფრო კარგად რომ გაეგოთ, რა საჭიროებები ედგა მოსახლეობას და სამოქმედო გეგმაც დაესახათ, პირისპირ შეხვდნენ ფშავ-ხევსურეთის თითქმის ყველა სოფლის მცხოვრებლებს. ფეხით, კარდაკარ შემოიარეს ყველა დასახლება და გაიცნეს ხალხი, თავადაც გაეცნენ და ურთიერთობა დაამყარეს. გაიგეს, რა აწუხებდათ, რა სჭირდებოდათ. შემდეგ დააჯგუფეს ეს საკითხები, პრობლე-

მები და დაიწყეს იმაზე ფიქრი, როგორ შეიძლებოდა მათი მოგვარება – რას გასწვდებოდნენ თავად, როგორც დამოუკიდებელი მედია და რაში დასჭირდებოდათ ხელისუფლების, საზოგადოებისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარება.

საქმეს შეუდგნენ – თავი მოუყარეს ადგილობრივ ახალგაზრდებს, დააინტერესეს, ერთმანეთიც გააცნეს და მისცეს ბიძგი, რომ უფრო აქტიურები გამხდარიყვნენ და თავად ეზრუნათ პრობლემების მოგვარებაზე. „ადგილობრივებმა უკეთ იციან, რისი გაკეთებაა საჭირო თავიანთ კუთხეებსა და სოფლებში, ჟურნალისტებმა კი იციან, როგორ მოიძიონ და გაავრცელონ ინფორმაცია, რა იქნება მნიშვნელოვანი და რა ნაკლებპრიორიტეტული, რა როგორ ფორმატში უნდა მომზადდეს და ა.შ." – ამბობს „მთის ამბების" დირექტორი გელა მთივლიშვილი.

ახლა უკვე როგორც ერთი დიდი გუნდი, ისე მუშაობენ: „მთის ამბები" აშუქებს ამა თუ იმ საკითხს, სათემო ორგანიზაციები კი ერთვებიან ადვოკატირების პროცესში და ერთობლივი სტრატეგიითა და ძალისხმევით ცდილობენ მიზნის მიღწევას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ფშავ-ხევსურეთის სათემო ორგანიზაცია ყველაზე ძირძველია და უფრო მეტი საქმის გაკეთებაც მოასწრო. მუშაობის დასაწყისშივე გადაწყდა, რომ პირველ რიგში ინტერნეტიზაციის საკითხისათვის მიეხედათ, რაც ადგილზე კომუნიკაციის საშუალებას გააჩენდა და, თავის მხრივ, ბევრი სხვა საკითხის მოგვარებაშიც დაეხმარებოდათ – განათლების მიღებაში, ტურიზმის განვითარებაში, ინფორმაციის მოძიებაში და სხვ. თავიდან ეს იდეა ბევრისთვის დაუჯერებლად ჟღერდა, ძნელად წარმოედგინათ, რომ ასეთი მასშტაბური საქმის ხორცშესხმას შეძლებდნენ, მაგრამ სკეპტიკური მოლოდინები არ გამართლდა, პირიქით, ფინანსური რესურსების მოძიებაც მოხერხდა სახელმწიფოსა თუ კერძო დონორებისგან და ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობაც გასაოცრად მაღალი იყო.

საკუთარი ხელითა და ზურგით აჰქონდათ მთის წვერზე ანტენები, რკინის ანძები და სხვა საჭირო მასალა. მალევე არხოტში, ამღაში, ახიელში, ჭიმღაში, შუაფხოში, ხოშარასა და 100-ზე მეტ სხვა სოფელში გაჩნდა მაღალსიჩქარიანი უსადენო ინტერნეტი. ამის შემდეგ უკვე ტურიზმის განვითარებაზეც შეიძლებოდა ეფიქრათ.

ფშავ-ხევსურეთის სათემო ორგანიზაციამ რეგიონში არაერთი ტურისტული მარშრუტი მონიშნა და სათანადო ინფრასტრუქტურა მოაწყო. დაიწყეს საფეხმავლო გამყოლი გიდების მომზადებაც, ასევე, კამპანია სოფელ ამღის გადასარჩენად. ამღა პირიქითა ხევსურეთში არხოტის ხეობის ბოლო სოფელია საქართველო-რუსეთის (ინგუშეთის რესპუბლიკის) საზღვართან და ორი ოჯახიღა ცხოვრობს მუდმივად. სოფლის ნაგებობებიდან 6 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, თუმცა ექვსივე მათგანი და მათთან ერთად სხვა ტრადიციული ხევსურული სახლებიც, დანგრევის პირასაა. მომზადდა პეტიცია, რომელსაც მთელი საქართველოს მოსახლეობისგან დიდი გამოხმაურება და მხარდაჭერა მოჰყვა. წარედგინა პრემიერ-მინისტრს და 2021 წელს დაიწყო სოფლის სრულ რეაბილიტაციაზე მუშაობა. როგორც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოში ვარაუდობენ, 2023 წელს ამღა უკვე მთლიანად იქნება აღდგენილი.

სხვა სათემო ორგანიზაციები შედარებით ახალი დაარსებულია და ჯერჯერობით უფრო მცირე, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვან პროექტებზე მუშაობენ. ცდილობენ, მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობით მოაგვარონ თავიანთი დასახლებებისათვის საჭირო ესა თუ ის საკითხი, მუნიციპალური ტრანსპორტის დანიშვნა, გზის საფარის მოწესრიგება, ახალი გზის გაყვანა და სხვ. მაგალითად, რაჭის ორგანიზაციამ მუშაობა ადგილობრივი ქალების ეკონომიკური გაძლიერებისა და ხელშეწყობის პროგრამით დაიწყო და წარმატებითაც ახორციელებს. გარდა ამისა, აწყობს კულტურულ ღონისძიებებს – ფილმების ჩვენებებსა და დისკუსიებს.

2020 წელს კი დაიწყეს რაჭული ოდების ფოტოდოკუმენტირება და მათთან დაკავშირებული საგულისხმო ამბების შეგროვება, რაც, შეიძლება ითქვას, ქართული საერო არქიტექტურის კვლევისა და გადარჩენისათვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება.

რაჭული ოდები განთქმულია თავისი უნიკალური ხის ხუროთმოძღვრებით, თუმცა, სამწუხაროდ, არასათანადო ყურადღების გამო, გარდა იმისა, რომ ფიზიკურად ნადგურდება, არც მათი ისტორია და არქიტექტურაა კარგად დოკუმენტირებული. სწორედ ამისთვის ადგილობრივმა ახალგაზრდებმა დაიწყეს პროექტი „დაწერე რაჭული ოდების ისტორია“, რომელიც მთლიანად საზოგადოებისაგან შემოწირული თანხით დაფინანსდა და მიზნად ისახავს ონსა და ამბროლაურში ყველა გამორჩეული სახლის მოძიებასა და გადაღებას. შედეგად, მალე შეიქმნება რაჭული ოდების ერთგვარი მონაცემთა ბაზა, რომელიც, თავის მხრივ, გააჩენს მათი კვლევისა და ფუნქციური აღდგენის უფრო დიდ შესაძლებლობას.

გარდა სათემო ორგანიზაციებისა, „მთის ამბების“ ინიციატივით შეიქმნა ორი სათემო რადიო, პანკისის ხეობასა და სვანეთში. როგორც რადიოები, ისე სათემო ორგანიზაციები, „მთის ამბების“ ქოლგის ქვეშ არიან და საერთო სარედაქციო პოლიტიკა აქვთ.

სვანეთის სათემო რადიო ზემო სვანეთში მაუწყებლობს და დაახლოებით 160 სოფელს უყვება ადგილობრივ ახალ ამბებს. მნიშვნელოვანია, რომ რადიო ორენოვანია და ქართულ და სვანურ ენებზე მაუწყებლობს. ეს თავისთავად გააძლიერებს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ სვანურ ენას, რომელზეც სულ უფრო და უფრო ნაკლები ადამიანი საუბრობს. ახალი ამბების გარდა, რადიოში რამდენიმე სხვა გადაცემაც მზადდება რეგიონის მთავარ თემებზე და ასევე სვანური ტრადიციების, კულტურისა და ადათ-წესების შესახებ.

პანკისის სათემო რადიო უფრო ადრე, 2016 წელს შეიქმნა და, შესაბამისად, უფრო დიდი ისტორია და გამოცდილება

აქვს. სვანეთის რადიოს მსგავსად, ესეც ორენოვანია და ქართულ და ადგილობრივ მცხოვრებთა მშობლიურ ქისტურ ენებზე მაუწყებლობს. მნიშვნელოვანია, რომ ორივე მათგანში ჟურნალისტების გარდა, მუშაობენ რიგითი მოქალაქეებიც, სათემო აქტივისტებიც და გადაცემების დიდი ნაწილი სწორედ მათ მიერ მოხალისეობრივ საწყისებზე მზადდება.

სათემო რადიოებმა ადგილობრივ მოსახლეობას, თემის თითოეულ წევრს მისცეს საშუალება, რომ მათთვის საჭირო და საინტერესო ნებისმიერ საკითხზე ხმამაღლა ესაუბრათ და გაეზიარებინათ ერთმანეთისათვის.

სოციალური ქსელების როლი სათემო საკითხების გადაწყვეტაში

თანამედროვე სამყაროში სოციალური ქსელები ხშირად ბერკეტის როლსაც კი ასრულებს პასუხისმგებელ ორგანოებთან თანამშრომლობისა და დადებითი შედეგების მისაღწევად. „მთის ამბების“ გვერდს სოციალურ ქსელებში ყოველდღიურად ათი ათასობით ადამიანი ადევნებს თვალს. აუდიტორია თავის ნდობასა და დადებით განწყობას, უმრავლეს შემთხვევაში, საქმითაც გამოხატავს, აქტიურად ერთვება ამა თუ იმ კამპანიაში და რითაც შეუძლია, ეხმარება. ფშავ-ხევსურეთის ინტერნეტიზაციის მაგალითზე ეს თვალსაჩინოდ გამოჩნდა. „რომ არა ასე ლოიალურად განწყობილი საზოგადოება, მე ღრმად დარწმუნებული ვარ, ჩვენ, დიდი ალბათობით, ვერ შევძლებდით ინტერნეტიზაციის პროგრამის ბოლომდე მიყვანას“ – ამბობს გელა მთივლიშვილი.

„მთის ამბების“ გვერდზე ვიდეოს გამოქვეყნებისთანავე, რომელშიც სოფელ არდოტის მცხოვრები ნიკო არდოტელი ემოციურად ყვება სატელეფონო და ინტერნეტკავშირის არარსებობის სირთულეზე, იმდენად მაღალი იყო საზოგადოების გამოხმაურება, იმდენმა ადამიანმა გააზიარა სიუჟეტი და მონიშნა საქართველოს მთავრობა, რომ რამდენიმე დღეში ტელევიზიით გამოვიდა მაშინდელი პრემიერ-მინისტრი მამუკა

ბახტაძე და თქვა, რომ სახელმწიფო ინტერნეტიზაციის პროექტს დააფინანსებდა.

შეიძლება ითქვას, „მთის ამბებმა“ თავის ერთგვარ მისიად დაისახა უსახლკარო, მარტოხელა მოხუცების დახმარება და ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფა. ამისათვის შექმნა „მარტოკაცების ფონდიც“, რომელიც მთლიანად საზოგადოების შემოწირულობებით არსებობს. ამ საქმეში კი, რესურსების მოძიების მთავარი საშუალება მათთვის სოციალური ქსელებია. სწორედ ასე, საზოგადოების ჩართულობითა და თანადგომით აშენდა ზეისტეჩოში მიხა პაპასთვის სახლი და აღარ უწევს მკაცრი ზამთრის ღია ცის ქვეშ გატარება. რაც მნიშვნელოვანია, მასზე ყველანაირი პასუხისმგებლობა სიცოცხლის ბოლომდე იკისრა „მთის ამბებმა“.

ამავე საშუალებით გაუწიეს დახმარება სვანეთში კვანჭიანების ოჯახს. ხანშიშესული ელენე კვანჭიანი თავის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე შვილთან ერთად საქონლის სადგომში უმძიმეს პირობებში ცხოვრობდა. „მთის ამბების“ გვერდზე სიუჟეტის გამოქვეყნებიდან სულ მოკლე ხანში ორი ათასზე მეტმა მაყურებელმა დაახლოებით 46 000 ლარი შეაგროვა და რამდენიმე კვირაში დედა-შვილისთვის ახალი სახლი აშენდა. საცხოვრებლის გარდა, ისინი შინმოვლის სერვისითაც უზრუნველყვეს და დღეს მათი ცხოვრება, შეიძლება ითქვას, ძველს აღარაფრით ჰგავს. კვანჭიანების ოჯახზე მზრუნველობა უკვე გადაიბარა სვანეთის სათემო ორგანიზაციამ.

მილიონზე მეტმა ადამიანმა ნახა „მთის ამბების“ მიერ 78 წლის საბედა წიკლაურის შესახებ მომზადებული სიუჟეტი. იგი ხორხის ხეობაში ძროხასთან ერთად ბოსელში ცხოვრობდა. დახმარების მსურველთა რაოდენობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და საბედა წიკლაურსაც გაუჩნდა მუდმივი და კეთილმოწყობილი თავშესაფარი. მთიულეთის სათემო ორგანიზაციამ კი, თავის თავზე აიღო მისი საკვებითა და სხვა საჭირო ნივთებით უზრუნველყოფა.

პანდემიის გავლენა „მთის ამბების“ მუშაობაზე

უეცრად აფეთქებულმა პანდემიამ საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროზე დიდი გავლენა იქონია, ყველა ორგანიზაციისა და გაერთიანების დღის წესრიგი შეცვალა და ახალი გამოწვევებისა თუ სირთულეების წინაშე დააყენა; დაგეგმილი ღონისძიებები თუ პროექტები გაუქმდა ან გადაიდო. ყველა მათგანს მოუწია ახალ რეალობას მორგებოდა და საპასუხო ნაბიჯები გადაედგა, ჩვეული სამუშაოს ნაცვლად განსაკუთრებულ რეჟიმში ემუშავათ – საკვები ან წამლები დაერიგებინათ დახმარების გარეშე დარჩენილი ხალხისთვის.

ბევრმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ სასიცოცხლო როლი ითამაშა ადამიანებისათვის პირველადი დახმარების აღმოჩენაში. არც „მთის ამბები“ ყოფილა ამ მხრივ გამონაკლისი. მათაც, სათემო ორგანიზაციების წევრებთან ერთად უხდებოდათ მედიკამენტებით, პროდუქტებითა და სხვა საჭირო ნივთებით მთის სოფლების უზრუნველყოფა. ვინაიდან მათი ძირითადი სამუშაო არეალი მთიან რეგიონშია და რთული რელიეფური მდებარეობა აქვს, ეს საქმეს ერთიორად ართულებდა და უფრო მეტ ძალისხმევას მოითხოვდა.

ადგილობრივი სათემო ორგანიზაციები იყვნენ გამწევი ძალა, ხელით აჰქონდათ მიუვალ სოფლებში ტვირთი და აწვდიდნენ მარტო დარჩენილებს. ორი თვის განმავლობაში ასე, საზოგადოების მიერ შეწირული თანხის საშუალებით ეხმარებოდნენ ახალგაზრდები საკვებისა და წამლების გარეშე მყოფ მოხუცებს.

ვინაიდან პანდემიის გამო სასწავლო პროცესმა ინტერნეტსივრცეში გადაინაცვლა, მთელი საქართველოს მასშტაბით, და განსაკუთრებით მთიან რეგიონებში, უფრო მწვავედ დადგა ინტერნეტის პრობლემა. გარდა ინტერნეტისა, მოსწავლეებს არც შესაბამისი ტექნიკა, მობილური ტელეფონი თუ კომპიუტერი ჰქონდათ და ვერ ახერხებდნენ გაკვეთილებზე დასწრებას. „მთის ამბების“ მხარდაჭერით, მოქალაქეებისაგან მიღებული შემოწირულობების საშუალებით, არაერთმა მოს-

წავლემ მიიღო ინტერნეტი და კომპიუტერული ტექნიკა და შეძლო საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობის სრულფასოვნად მიღება.

სამომავლო გეგმები

შექმნის დღიდან, „მთის ამბები“, ყოველთვის ცდილობდა, რითაც შეეძლო ხელი გაემართა თითოეული ადამიანისთვის, მარტო საბედა ბებოსა და მიხა პაპას მაგალითების დასახელებაც საკმარისია, მაგრამ ინდივიდუალური დახმარება ერთია და სისტემური მიდგომა, სახელმწიფოს ჩართულობა და შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება – მეორე. ამისთვის, 2021 წლის აპრილიდან, „მთის ამბები“ მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები უსახლკარო ადამიანების უფლებებისათვის მუშაობას შეუდგა, რათა მომავალში, როცა საჭიროება გაჩნდება, ადამიანები მხოლოდ მოქალაქეების თანადგომის იმედად არ დარჩნენ და მუნიციპალიტეტებმაც აიღონ გარკვეული ვალდებულება.

სათემო ორგანიზაციები და მედიასაშუალებები „მთის ამბებისთვის“ ერთ-ერთი ძლიერი დასაყრდენია, ამიტომ, სურთ, რომ უკვე ყველა რეგიონში არსებობდეს ასეთი გაერთიანებები და სათემო მედიების რაოდენობაც გაიზარდოს. უახლოეს მომავალში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები ადამიანების უფლებებზე ზრუნვას.

2021 წლის ნოემბრამდე „მთის ამბების“ მხოლოდ ქართულენოვანი ვერსია არსებობდა, მაგრამ წლის ბოლოს უკვე შეიქმნა ინგლისურენოვანი mountainstories.ge და სომხურენოვანი mtisambebi.ge/arm, რაც მას საშუალებას მისცემს, უფრო ფართო საზოგადოებამ გაიცნოს და მხარი დაუჭიროს, ასევე, ფინანსური რესურსებიც უფრო ადვილად მოიძიოს.

საქართველოს მაღალმთიანი რეგიონები გამორჩეულია თავისი ავთენტური კულტურული თუ ბუნების ძეგლებით. ყოველ მათგანს დიდი ტურისტული პოტენციალი აქვს. არის ისეთი

ხეობები, სადაც ერთი-ორი ადამიანიღა ცხოვრობს. სწორედ აქ გეგმავს „მთის ამბები“, რომ ხელი შეუწყოს ეკოტურიზმის განვითარებას, რაც, თავის მხრივ, ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს იქ მცხოვრებ ადამიანებს და ასევე, სხვა ადამიანებისათვის, რომლებმაც უპერსპექტივობის გამო მიატოვეს საკუთარი საცხოვრისები, დადებითი მაგალითი და უკან დაბრუნების მეტი სტიმული გაჩნდება.

სათემო კავშირი ნუკრიანი – სოფლის სამსახურში

[ანა მარგველაშვილი]

სტუმრების მოლოდინში. სათემო კავშირი ნუკრიანის დროებითი თავშესაფარი, 2019 წ.

ფოტო: სათემო კავშირი ნუკრიანი

ისტორიულ ქიზიყში მდებარე სოფელი ნუკრიანი, ტერიტორიულად სიღნაღის მუნიციპალიტეტს ეკუთვნის. ნუკრიანი მთიანი ქიზიყის ყველაზე მაღლა მდებარე სოფელია (950-1100 მეტრი ზღვის დონიდან), აქ მკაცრი ზამთარი იცის, რომელიც ხშირად დიდხანს გრძელდება.

საბჭოთა პერიოდში, სოფელში ორი კოლმეურნეობა მოქმედებდა. კალოების უბანში – „პარიზის კომუნის“ და ზემო ნუკრიანში – „ლენინის ანდერძის“ სახელობისა. ორივე მდიდარ კოლმეურნეობად ითვლებოდა, და სოფლის მოსახლეობაც ძირითადად სწორედ აქ იყო დასაქმებული. კოლმეურნეობების და, შესაბამისად, სოფლის სამეურნეო საქმიანობის ძირითადი მიმართულებები იყო მემინდვრეობა და მეცხოველეობა.

საბჭოთა დროს სოფლის მცხოვრები ქალები დასაქმებულები იყვნენ სიღნაღში მდებარე საავადმყოფოშიც, ფაბრიკასა და სხვა ადმინისტრაციულ უწყებებში. მეტ-ნაკლებად განვითარებული იყო მეაბრეშუმეობის მიმართულებაც, რადგან თავად კოლმეურნეობებს ჰქონდა გაშენებული თუთის პლანტაციები, რომლის ფოთლებიც იმ ოჯახებს ურიგდებოდა, ვისაც ოჯახში აბრეშუმის ჭია ჰყავდა. პარკს ისევ კოლმეურნეობა იბარებდა. 1980 წლიდან ზოგიერთი ნუკრიანელი მევენახეობასაც მისდევდა.

1990-იანი წლების დასაწყისში დაიშალა „ლენინის ანდერძის“ სახელობის კოლმეურნეობა. „პარიზის კომუნის“ სახელობისა კი, კოოპერატივად ჩამოყალიბდა და რამდენიმე წელი ამ ფორმით იარსება.

სოფელში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, მძიმე წლები დადგა. მოიშალა ელექტროენერგიით, გაზით და წყლით სოფლის მომარაგების სისტემა. ეტაპობრივად მუშაობა შეაჩერა სოფლის კულტურის სახლმაც, რომელიც წლების განმავლობაში ასრულებდა სოფლის არაფორმალური

განათლების და კულტურის სივრცის ფუნქციას. დაფინანსების და ზრუნვის გარეშე დარჩენილი კულტურის სახლი მალე გამოვიდა მწყობრიდან და ნაწილობრივ გაიძარცვა კიდეც. სკოლა სოფელში ერთადერთ მოქმედ დაწესებულებად რჩებოდა და იქაც, უმძიმესი პირობები იყო. შენობა განახლებას საჭიროებდა, თუმცა იმ პერიოდში ამაზე ოცნებაც კი ზედმეტი იყო.

სწორედ ამ მძიმე პერიოდში, 1999 წელს, სოფელ ნუკრიანში მუშაობა დაიწყო საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ, „კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი – კავკასიური სახლი“, რომელმაც აქ, სოფლის ერთ-ერთი უბნის პატარა კერძო სახლში შაბათ-კვირის სკოლა გახსნა. „კავკასიური სახლის“ ინიციატივა, მოწოდებით, „გადავარჩინოთ ჩვენი სოფელი“, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას გულისხმობდა: უფასო სასწავლო წრეები სოფლის ბავშვებისათვის (უფასო კვებით), სხვადასხვა საქმიანობის (ქარგვის, ქსოვის, სიმღერის, ჟურნალისტური კვლევის, დეკორატიული მებაღეობის, სპორტის და სხვ.) წახალისება, სოფლის ზეიმების მოწყობა, სოციალურად დაუცველი ოჯახების მხარდაჭერა, საგანმანათლებლო სივრცეების ინფრასტრუქტურული გაუმჯობესება. საკვირაო სკოლით დაწყებული სამუშაო მალე სოფლის განვითარებაზე ორიენტირებულ საკმაოდ მასშტაბურ პროგრამად ჩამოყალიბდა. ჰოლანდიური ფონდის, „ჰორიზონტი“, ფინანსური მხარდაჭერით, 2000-იანი წლების დასაწყისში, „კავკასიურმა სახლმა“ სოფლის სკოლის სრული რეაბილიტაცია შეძლო და 2003 წლიდან რეგიონული განვითარების პროგრამის ოფისიც სკოლაში, მესამე სართულზე გადავიდა.

2003 წელს, „კავკასიური სახლის“ მოწვევით, სოფლით ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ დაინტერესდა. ის ერთ-ერთი პირველი ორგანიზაცია გახლდათ, რომელიც კონკრეტული მეთოდოლოგიის გამოყენებით მუშაობდა სათემო მობილიზების საკითხებზე და საქართველოს სხვადასხვა სოფელში, რომელიმე ერთი, ძირითადად, ინფრასტრუქტურული პრობლემის მოსაგვარებლად აქტიურ ადამიანთა ჯგუფის, სათემო ლიდერების შეკავშირებას ცდილობდა.

„კავკასიური სახლის“ პროგრამებში ჩართულ პირთა ერთი ნაწილი, სწორედ ის ხალხი აღმოჩნდა, ვინც ელკანას მიერ შემოთავაზებული შესაძლებლობა კარგად გააანალიზა და ჯერ სოფლის გაზიფიცირების, შემდეგ კი წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესების კუთხით გაერთიანდა. სწორედ „ელკანასგან“ შეიტყო ენთუზიასტთა ამ მცირე ჯგუფმა, რომ საერთო ინტერესის მქონე პირთა ერთობას სათემო ჯგუფი ერქვა და რომ, სათემო ორგანიზაციის რეგისტრაცია კავშირის (დღეს ა(ა)იპი) ფორმით იყო შესაძლებელი: „მაშინ გავიგეთ, რომ შესაძლებელია, სოფელში გაერთიანდნენ საერთო ინტერესების მქონე ადამიანები, რომელთაც აქვთ სხვადასხვა პრობლემების მოგვარების, არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების სურვილი“, – იხსენებს სათემო კავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ლიდერი, მაია ბიძინაშვილი. საინიციატივო ჯგუფის ჩამოყალიბებიდან, ორგანიზაციის რეგისტრაციამდე, ლამის ორი წელი გავიდა და 2005 წელს სათემო კავშირი ნუკრიანი დაფუძნდა. დაფუძნებამდე კი, საინიციატივო ჯგუფმა, თავის პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად („კავკასიური სახლი“, „ელკანა“ და სხვ.) სოფლად თანადაფინანსების წილის მობილიზება და სოფლის გაზიფიცირების პროექტის განხორციელება შეძლო. ნუკრიანი იყო ის ერთ-ერთი იმ იშვიათ სოფელთაგანი, რომელსაც 1990-იანი წლების კოლაფსის შემდეგ, საზოგადოებრივი ინიციატივით და ჩართულობით, გაზის მიწოდება აღუდგა.

2005 წლიდან მოქმედი სათემო კავშირი „ნუკრიანი“ სათემო ორგანიზაციების პირველ თაობას, ანუ საკმაოდ მცირერიცხოვან სათემო ჯგუფებს განეკუთვნება, რომლებმაც საქმიანობა ჯერ კიდევ 2000-იანი წლების შუაში დაიწყეს და დღემდე განაგრძობენ სოფლის სასიკეთოდ მუშაობას. იმ რთულ გზაზე, რასაც თემის მობილიზება და სოფლის განვითარება ჰქვია, მათ უამრავი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდათ. ამ საკითხებზე მომუშავე არაერთი ორგანიზაცია თანხმდება, რომ სოფლის განვითარებისკენ მიმართული სათემო აქტივიზმი, პოსტსაბჭოთა რეალობაში განსაკუთრებით რთული და კომპლექსური საქმეა: მცირე შედეგის მიღწევას ხშირად მრავალმხრივი და ხანგრძლივი შრომა სჭირდება. რამდენადაც თემის

მობილიზებისა და განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის გამოცდილება საბჭოთა საქართველოს ცენტრალიზებული მართვის პირობებში თითქმის არ არსებობდა, ხოლო მე-19 საუკუნის საზოგადოებრივი ისტორია მეხსიერებიდან თითქოს მთლიანად იყო წაშლილი, თანამედროვე საქართველოში გამოცდილების დაგროვება და სათემო აქტივიზმის ისტორიის ათვლა მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან იწყება, ანუ იმ დროიდან, როცა ეროვნული საზოგადოებრივი ორგანიზაციები, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების საფუძველზე, თემის გაძლიერებისკენ მიმართული განვითარების პროგრამების განხორციელებას შეუდგნენ. სწორედ 1990-იანი წლების მიწურულს იღებს სათავეს სათემო განვითარების პროცესები სოფელ ნუკრიანშიც.

თავდაპირველად სათემო კავშირის ოფისი სოფლის მაშინდელი საკრებულოს შენობაში განთავსდა. მაგრამ, რამდენადაც ორგანიზაციის ცალკეული წევრები ისედაც იყვნენ „კავკასიური სახლის“ რეგიონული ფილიალის თანამშრომლები, შემდეგ კი თავად სათემო ორგანიზაცია იქცა „კავკასიური სახლის“ ადგილობრივ პარტნიორად, ბინაც მის ოფისში, საჯარო სკოლის მესამე სართულზე დაიდო.

2007 წელს, სოფელში სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის, სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში, სათემო კულტურულ-შემეცნებითი ცენტრიც ჩამოყალიბდა. საერთო მიზნებისა და მიდგომებიდან გამომდინარე, 2010 წელს ეს ორი სათემო ორგანიზაცია გაერთიანდა, რამაც ხელი შეუწყო სათემო კავშირი „ნუკრიანის“ გაძლიერებას.

2009-2010 წლებში სათემო კავშირი საკმაოდ წელში გამართული იყო, რაც „კავკასიური სახლის“ რეგიონული პროექტის დამსახურება გახლდათ. სწორედ „კავკასიური სახლის“ რეგიონულ ოფისში, სათემო კავშირს საშუალება ჰქონდა ჩაეტარებინა სოფლის კრებები, შეკრება-მსჯელობები სხვადასხვა საკითხზე. ამავე პერიოდში დაიწერა ორგანიზაციის განვითარების სტრატეგია, დაისახა გრძელვადიანი მიზნებიც. 2010

წლიდან, სათემო კავშირი კარგად გააზრებული და გაწერილი სტრატეგიით იწყებს მოქმედებას. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება თემისთვის; თემის ინტერესების დაცვა და სოფლად დასაქმების, თვითდასაქმების თუ სოფლის ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა.

„ნუკრიანის სახელოსნოები“ – სოფლის სავიზიტო ბარათი

სოფლად მუშაობის ამ საინტერესო პროცესში კარგად გამოჩნდა, რომ ქალებს ენთუზიაზმი, უამრავი იდეა, რაღაცის კეთების სურვილი ჰქონდათ და სულ ცოტა ხელის წაკვრა სჭირდებოდათ. ადგილობრივ სათემო ორგანიზაციასთან მსჯელობის შედეგად, გადაწყდა, რომ კარგი იქნებოდა, სოფლად მცხოვრებ ქალებს სახლიდან გამოსვლისა და რაიმე სასარგებლო ხელსაქმის შესწავლის შესაძლებლობა ჰქონოდათ, რაც ხელს შეუწყობდა მათ თვითდასაქმებას და ეკონომიკურ გაძლიერებას. „კავკასიურმა სახლმა“ გერმანიის სახალხო უნივერსიტეტთა ასოციაციის (dvv International) მხარდაჭერით შეძლო დაინტერესებული ქალებისათვის ხელგარჯილობის კურსების (მატყლის დამუშავება/თექაზე მუშაობა და ქვილთის ტექნიკით კერვა) შეთავაზება. კურსები რამდენიმე თვე გაგრძელდა და ამ მცირე ინიციატივამ სოფლისა თუ ორგანიზაციის განვითარების უწყვეტ ჯაჭვს დაუდო სათავე და სოფლის სავიზიტო ბარათად იქცა.

შეთავაზებულ კურსებზე სოფლის 20-მდე მცხოვრებმა ქალმა ხალხური რეწვის, ხელსაქმის სხვადასხვა ტექნიკა (ნაბდის თელვა, თექაზე მუშაობა, ქვილთი, ქსოვა და სხვ.) შეისწავლა. რამდენიმეთვიანი სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ თბილისში პირველი გამოფენა-გაყიდვა მოეწყო და სოფლის ქალთა ამ წამოწყებას ძალიან ბევრი მხარდამჭერი გამოუჩნდა (სასოფლო ინიციატივებს მართლაც სჭირდება მხარდაჭერა და ასეთი სოლიდარობა ძალიან მნიშვნელოვანია). პირველი გამოფენის წარმატებამ და მყიდველთა კმაყოფილებამ

ნუკრიანელი ქალები ძალიან გაახარა. გარდა სიხარულისა, გაზარდა მათი მოტივაცია და თვითრწმენა, რომ შეუძლიათ იმუშაონ, გამოიმუშაონ, მოახდინონ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცია და სიხარულით აკეთონ საქმე, რომელიც შეიყვარეს. ქალთა ჯგუფი პროგრამის დასრულების შემდეგ აღარ დაიშალა და სათემო კავშირ „ნუკრიანთან“ არსებულ ქალთა ხელგარჯილობის სახელოსნოდ ჩამოყალიბდა. მოგვიანებით სახელოსნო რამდენიმე ოსტატმა დატოვა და დამოუკიდებელი მუშაობა განაგრძო. დარჩენილი ჯგუფის განვითარებაზე ზრუნვა კი ჯერ „კავკასიურმა სახლმა“, ხოლო 2011 წლიდან, უკვე „სათემო განვითარების ცენტრმა“ ითავეს, თუმცა უშუალოდ სახელოსნოები ჯერ კიდევ 2009 წელს სამართავად სათემო კავშირ „ნუკრიანს“ გადაეცა, რომელიც ამ ერთ-ერთ პირველ სოციალურ საწარმოს დღემდე უწყვეტად ამუშავებს. წლების განმავლობაში, სახელოსნოების მენეჯერი, სათემო კავშირ „ნუკრიანის“ წევრი – ია კიკნაძე გახლდათ, რომელიც გუნდთან ერთად ეტაპობრივად სწავლობდა სახელოსნოების წარმატებული მუშაობისათვის საჭირო უნარებს, იქნებოდა ეს გაყიდვები, ფინანსური მართვა, რეკლამა, ბაზრობა-ფესტივალებზე მონაწილეობა თუ სხვ. სახელოსნოებს, ისევე როგორც უშუალოდ სათემო კავშირ „ნუკრიანს“, დღეს მაია ბიძინაშვილი ხელმძღვანელობს.

„ნუკრიანის სახელოსნოები“ მიზანდასახული ადამიანების სიბეჯითის, შედეგზე ორიენტირებული, უწყვეტი მუშაობის კარგი მაგალითია: როცა ყველაფერი, ერთი შეხედვით, სრულიად უმნიშვნელო ნაბიჯით დაიწყო, ნაბიჯით, ურომლისოდაც სხვა უფრო მნიშვნელოვანი ამბები არ მოხდებოდა.

სწორედ „ნუკრიანის სახელოსნოები“ იქცა შემდეგ წლებში სოფლის ერთგვარ სავიზიტო ბარათად და სოფელს მთელ საქართველოში გაუთქვა სახელი. აქ მომუშავე ქალებისათვის, „სახელოსნოები“, წლების განმავლობაში, შემოსავლის თითქმის ერთადერთი წყარო იყო, მცირე, მაგრამ საკუთარი. ისინიც კმაყოფილები იყვნენ, ნელ-ნელა ცხოვრების პირობებიც გაიუმჯობესეს, საკუთარი ძალებიც ირწმუნეს. ფინანსურ მხარეზე არანაკლებ მნიშვნელოვანი კი, ხშირად, სწორედ

სოციალური განზომილებაა: სახლიდან გამოსვლა, აქტიური ცხოვრების წესი, საინტერესო საქმე, ურთიერთობა, მეგობრობა. ალბათ სწორედ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი: გიხაროდეს დილით სახლიდან სამსახურში წასვლა, სადაც შენს თანამოაზრეებთან ერთად, საყვარელ საქმეს აკეთებ და იცი, რომ ეს საქმე გარდა შენი პირადი კეთილდღეობისა, მთლიანად სოფელს ეხმარება განვითარებაში.

სოფლის ცნობადობას ხელი „ნუკრიანის ფესტივალებმაც" შეუწყო, რომელიც ასევე „კავკასიური სახლის"/სათემო განვითარების ცენტრის და სათემო კავშირ „ნუკრიანის" ერთობლივი ძალისხმევით იმართებოდა რამდენიმე წლის განმავლობაში, მაშინ, როცა საქართველოში ჯერ კიდევ არ იყო ფეხმოკიდებული ადგილობრივი, სასოფლო ფესტივალები (ამით დიდად ვერც ახლა დავიკვეხნით). თავდაპირველად კი, 2009 წელს, ნუკრიანის სასოფლო ფესტივალის ჩატარების იდეა იმიტომაც გაჩნდა, რომ „ნუკრიანის სახელოსნოების" ხელნაკეთი ნაწარმი უფრო მეტ ადამიანს ენახა. შემდეგ კი, ფესტივალს ერთგული სტუმრების მთელი გუნდი გაუჩნდა, რომლებმაც გულით შეიყვარეს სოფლის ეს ზეიმი.

სოფლის კულტურის სახლი და სათემო კავშირი

მას შემდეგ, რაც 2010 წელს „კავკასიურმა სახლმა" ორგანიზაცია „სათემო განვითარების ცენტრი" დააფუძნა და რეგიონული პროგრამების განხორციელება სწორედ მას გადაულოცა, კავშირ „ნუკრიანის" ძირითად პარტნიორადაც სწორედ სათემო განვითარების ცენტრი იქცა. ერთობლივი საქმიანობის ფოკუსი კულტურულ-საგანმანათლებლო და კულტურის ტურიზმის განვითარების სფეროებზე შეჩერდა და სათემო კავშირი „ნუკრიანი", ყველა იმ წამოწყების ადგილობრივი პარტნიორი იყო, რომელსაც სათემო განვითარების ცენტრი და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები ახორციელებდნენ სიღნაღის მუნიციპალიტეტში.

2009 წლიდან, სოფლის სკოლაში წლების განმავლობაში განთავსებული „კავკასიური სახლის“ რეგიონული წარმომადგენლობა ეტაპობრივად დაიხურა და სათემო კავშირი „ნუკრიანი“, რომელიც ამავე დროს, სათემო განვითარების ცენტრის ადგილობრივი პარტნიორიც იყო, სოფლის ძველი კულტურის სახლის შენობაში გადავიდა, სადაც რამდენიმე ოთახი აიღო იჯარით და შენობაზე ეტაპობრივ ზრუნვასაც შეუდგა. მაგალითად, 2009-2010 წლებში, სათემო კავშირმა „ნუკრიანმა“, ღია საზოგადოების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით შეძლო სოფელ ნუკრიანის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის გარემონტება და მისი ტექნიკურად აღჭურვა. ასევე მოწესრიგდა ბიბლიოთეკის დერეფანი და ორი სამუშაო ოთახი. 2012-2013 წელს, ამავე ფონდის დაფინანსებით განხორციელდა ახალგაზრდული პროექტი „ჩვენ ვსწავლობთ“. პროექტის ფარგლებში, სიღნაღის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებისათვის მიმდინარე ექვსთვიანმა საგანმანათლებლო პროცესმა ხელი შეუწყო ნუკრიანში ახალგაზრდული საგანმანათლებლო ცენტრის შექმნის იდეას. სასწავლო პროცესში სხვადასხვა სპეციალისტი იყო ჩართული. მათი ნაწილი შაბათ-კვირას თბილისიდან ჩამოდიოდა და ახალგაზრდებთან ერთად მუშაობდა სხვადასხვა მიმართულებით. პროექტი მასპინძლობდა სტუმრებს ახალგაზრდებისათვის საინტერესო თემების მიხედვით, ერთ-ერთი მოწვეული სტუმარი გახლდათ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი გიორგი კეკელიძე. მასთან შეხვედრამ და ბიბლიოთეკის თუ კულტურის სახლის სამომავლო ბედზე მსჯელობამ ჩაუყარა საფუძველი სოფელში საზოგადოებრივი ცენტრის და ბიბლიოთეკის ერთ სივრცეში განთავსების იდეას. მართლაც, მრავალთვიანი მუშაობის შედეგად, 2015 წელს, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ სოფლის კულტურის სახლში ჯერ საზოგადოებრივი ცენტრი გახსნა, მალევე, სიღნაღის მუნიციპალიტეტმა მიმდებარე სკვერის რეაბილიტაციაც განახორციელა. კულტურის სახლის განახლებულ ფლიგელში, საზოგადოებრივ ცენტრთან ერთად, სადაც მოქალაქეებს 200-მდე სამოქალაქო სერვისის ადგილზე მიღება შეეძლოთ (ნუკრიანისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტის უკანა მხარის სოფლებისთვის ეს დიდი შეღავათი იყო, რამდენადაც მუნიცი-

პალიტეტის გეოგრაფიიდან გამომდინარე, ამ სოფლებისათვის მუნიციპალური ცენტრი არ იყო ადვილად მისასვლელი, ნუკრიანში კი გაცილებით ადვილად ახერხებდნენ მისვლას), სოფლის ბიბლიოთეკაც განთავსდა.

რაც შეეხება სკვერს, მას, მართალია, ნუკრიანის კულტურულ ცხოვრებაში საკმაოდ მოკლე დრო უკავია, მაგრამ მალევე იქცა საინტერესო, სათემო ღონისძიებების სივრცედ. ახლა უკვე, სათემო კავშირის ეგიდით, სწორედ ამ სკვერში ჩატარდა სოფლის ფესტივალი 2016 წელს, იმართებოდა ახალგაზრდული საღამოები, ფილმების ჩვენება, მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის ტრანსლირება, მეთორმეტე კლასელების გამოსამშვიდობებელი საღამოები და სხვ.

მაღალმთიანი სოფლის სტატუსი ნუკრიანისთვის

სათემო კავშირ „ნუკრიანისთვის“ 2016 წელი იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ სწორედ ამ წელს, მათი უშუალო ძალისხმევით, მონდომებით და შრომით, ნუკრიანმა მაღალმთიანი სოფლის სტატუსი მიიღო, რაც სოფლის მცხოვრებლებისათვის რიგ შეღავათებს გულისხმობს.

მაღალმთიანი სოფლის სტატუსის მოსაპოვებლად, სათემო კავშირმა სოფლის აქტივისტებთან და თანამოაზრეებთან ერთად ბევრი იშრომა და იბრძოლა კიდეც, რადგან კანონი მაღალმთიანი სოფლის სტატუსს მხოლოდ იმ სოფლებს ანიჭებდა, რომლებიც ზღვის დონიდან 1500 მეტრის ზემოთ მდებარეობდა: „დავგეგმეთ მიზანმიმართული ადვოკატირების კამპანია, რომელშიც ჩავრთეთ ტელევიზიები, ადგილობრივი და ცენტრალური მედია, პრესა. შევისწავლეთ მთის კანონის ყველა დეტალი, მოვიშველიეთ ჩვენს მიერ ბოლო ხუთი წლის მანძილზე გადაღებული ადრეული შემოდგომის და გვიანი გაზაფხულის ჩვენს მიერ სოციალურ ქსელებში ატვირთული ფოტოები, რომლებშიც ნათლად ჩანს, თუ როგორი თოვლი იცის ამ დროს ნუკრიანში; დავუკავშირდით რეგიონალური და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სამუშაო ჯგუფს, რომელიც

მაღალმთიანი სოფლის კანონზე მუშაობდა და მათი დახმარებით ყველა იმ კრიტერიუმს გავეცანით, რომლებიც მაღალმთიანი სოფლის სტატუსის მიღებისათვის იყო საჭირო. სულ ნაბიჯ-ნაბიჯ მოვიარეთ და სპეციალური ხელსაწყოთი გავზომეთ სოფლის სიმაღლეები, დაშორება საავადმყოფოსა თუ სასოფლო-სამეურნეო ბაზრებთან, მაღაზიებთან, ბანკებთან და ეს მონაცემი შევიტანეთ კრიტერიუმების გამომთვლელ ცხრილში. კოეფიციენტმა გვიჩვენა, რომ ნუკრიანი აუცილებლად მიიღებდა მაღალმთიანი სოფლის სტატუსს და ამიტომ რთულ ბიუროკრატიულ გზას შევუდექით, რაც უამრავი საბუთის მომზადებას, შესაბამის სტრუქტურასთან ხანგრძლივ და ინტენსიურ მიმოწერას გულისხმობდა. მიზანი ჩვენთვის იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ უკან არ ვიხევდით და მართლაც, 2016 წელს, ნუკრიანს მაღალმთიანი სოფლის სტატუსი მიენიჭა. ამ სტატუსით სარგებლობენ სოფლის პედაგოგები, ექიმები, ექთნები, მეწარმეები, პენსიონერები და ის არაერთ სასიკეთო შეღავათს გულისხმობს. მადლიერების სიტყვები, რომელთაც ვიღებდით ნუკრიანელებისგან, იყო ყველაზე სასიამოვნო, რაც ამ პროცესს ახლდა თან“, – იხსენებს მაია ბიძინაშვილი, რომლის უშუალო ჩართულობის გარეშეც, ეს საქმე ალბათ არ გამოვიდოდა.

ახალი დასაწყისი.
მუშაობა სოფლის ტურისტულ განვითარებაზე

დიდ სიხარულს, დიდი განსაცდელიც მოჰყვა. სოფლისთვის საბედისწეროდ, დაუდგენელი პირების დაუდევრობით, 2016 წლის 18 დეკემბერს, კულტურის სახლის იმ ფლიგელში, რომელიც რეაბილიტირებული არ იყო, ხანძარი გაჩნდა, რის შედეგადაც შენობა დაიწვა. მიუხედავად იმისა, რომ ხანძარს გადაურჩა სოფლის ბიბლიოთეკაც, საზოგადოებრივი ცენტრიც და სათემო კავშირ „ნუკრიანის“ სამუშაო ოთახებიც, ამ შენობაში დარჩენა უკვე სახიფათო იყო. საზოგადოებრივი ცენტრი სოფლის რწმუნებულის ოფისში გადავიდა, სათემო კავშირი „ნუკრიანი“ და „ნუკრიანის სახელოსნოები“ კი, დროებით თანასოფლელის სახლმა შეიფარა.

საზოგადოებრივი ცენტრისა და სათემო კავშირის უშუალო ზედამხედველობის გარეშე დარჩენილი სოფლის სკვერი მალევე დანაგვიანდა და დაადგა გაპარტახების გზას, რაც კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ საქართველოში ჯერ კიდევ ატროფირებულია საერთო საქმის და საჯარო სივრცის აღქმა და მასზე მზრუნველობა.

სათემო კავშირმა კიდევ ერთხელ დაიწყო ნულიდან, ახალ სივრცეში, რომელიც წლობით იყო დაკეტილი და რომელიც ბატონმა ვახტანგ ვარდიაშვილმა უსასყიდლოდ დაუთმო ორგანიზაციას დროებით სარგებლობაში. სახლის კეთილმოწყობას დრო, ენერგია და დიდი შრომა დასჭირდა. აქ, ამ სივრცეში, კავშირ „ნუკრიანის“ წევრმა ქალებმა, თანასოფლელების დახმარებით და გვერდში დგომით მალე მოაწყვეს პატარა ოაზისი, სადაც გარდა სათემო და სახელოსნოების საქმიანობისა, ტურისტებმაც დაიწყეს სიარული. სტუმრებს ქართული ტრადიციული ხელობის საჩვენებელ გაკვეთილებს უტარებდნენ და სუვენირებსა და ქიზიყურ სამზარეულოს სთავაზობდნენ.

სოფლის ტურისტული მიმართულების მნიშვნელობა თანდათან უფრო გამოიკვეთა და უკვე 2017 წელს, სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების (CSRDG) ცენტრის მხარდაჭერით, სათემო კავშირმა სოფელ ნუკრიანის ტურისტული პოტენციალის განვითარების ხელშემწყობი პროგრამის განვითარება წამოიწყო. კავშირმა შემოიკრიბა ახალგაზრდები, შეიმუშავეს სოფლის ეკო-ბილიკის იდეა. ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანასგან“ დამატებითი თანხის მოძიებით, სოფლის შემოსასვლელში მოეწყო საექსკურსიო და საპიკნინო ინფრასტრუქტურა, მათ შორის, დახლები და სკამები სასოფლო ბაზრობებისთვის, მაგიდები, საცეცხლურები, განათება, კიბეები, ჯიხური მეწარმეებისათვის. მთელი ეს ქონება, სათემო კავშირის ინიციატივით, მუნიციპალიტეტს გადაეცა სამართავად და განსავითარებლად, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, როგორ გამოიყურება დღეს ეს ადგილი, აშკარაა, რომ მუნიციპალიტეტმა, სამწუხაროდ, მისი ვერც მართვა შეძლო და ვერც განვითარება და სრულიად უგულისყუროდ

მიატოვა იქაურობა. ეს პრობლემა დიდი ალბათობით, გარდა შესაბამისი კომპეტენციის არარსებობისა, შეიძლება უკავშირდებოდეს იმ გარემოებასაც, რომ მუნიციპალიტეტს კონკრეტულ სოფლებთან მიმართებით არ აქვს განვითარების სათანადო ხედვა და სტრატეგია. სხვა შემთხვევაში, ძნელი ასახსნელია, თუ როგორ შეიძლებოდა ამ მდგომარეობაში აღმოჩენილიყო დიდი ტურისტული პოტენციალის მქონე ნუკრიანში ან ეს საექსკურსიო ინფრასტრუქტურა, ან სოფლის სკვერი, რომელიც 2016 წელს ასეთი მონდომებით გახსნა თავად მუნიციპალიტეტმა.

2018 წელს, სათემო კავშირ „ნუკრიანსა“ და ნუკრიანის სახელოსნოებს სახლის დაცლა მოსთხოვეს და სოფლისთვის მომუშავე ეს ერთადერთი ორგანიზაცია ისევ ღია ცის ქვეშ აღმოჩნდა. მათ სხვადასხვა გულშემატკივრისა და პარტნიორის დახმარებით კვლავაც დროებით შეძლეს კეთილმოუწყობელი სივრცის ქირაობა, სადაც ორგანიზაციის ინვენტარი განთავსდა. თუმცა აქ, ამ სივრცეში ორგანიზაციის და, განსაკუთრებით, სახელოსნოების შეუფერხებელი მუშაობისათვის არ არის შესაბამისი პირობები, უკეთესი კი ჯერ არაფერი ჩანს.

2020 წლიდან, პანდემიის დროს, „კავკასიური სახლი“ კვლავაც დაბრუნდა სოფელში ახალი იდეებით და მიზნებით. სოფელ ზემო მაღაროში, აშენდა და მუშაობა დაიწყო სოლომონ დოდაშვილის სახელობის ჰარმონიული განვითარების ცენტრმა – „კერა“, სადაც სოფლის მოზარდები მრავალფეროვანი არაფორმალური განათლების პროცესში არიან ჩართულები. აქვე, კერასთან, მალე მუშაობას შეუდგება ხანდაზმულთა მომსახურების ცენტრიც, რომელიც კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის ფინანსური დახმარებით აშენდა. რაც შეეხება სათემო კავშირ „ნუკრიანს“, მისი სახელოსნოები ისევ განაგრძობენ მუშაობას და თან ორგანიზაციის წევრები „კერას“ მუშაობაშიც არიან ჩართულები. სოფლის საკეთილდღეოდ „ნუკრიანის“ შემდგომი საქმიანობის შესახებ, მომავალში კიდევ მოგიყვებით.

სოფლის ფესტივალი. 2014 წ.

ფოტო: სათემო კავშირი „ნუკრიანი“

1983

სამოქალაქო პლატფორმა - „სალამი“

[დიანა კაკაშვილი]

ორგანიზაცია „სალამის“ წევრები ექსკურსიაზე სტეფანწმინდისკენ. 2020 წ.

ფოტო: „სალამი“

ეთნიკური აზერბაიჯანელები საქართველოს მოსახლეობის 7 პროცენტს შეადგენენ. მათი უმრავლესობა უკვე მრავალი წელია კომპაქტურად ცხოვრობს ქვემო ქართლში, კახეთსა და მცხეთა-მთიანეთში, მცირე ნაწილი კი – თბილისში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ განსაკუთრებით ცხადად გამოჩნდა ის სირთულეები და წინაღობები, რომლებიც თან სდევდა მათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვნად ჩართვას. სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ენის ბარიერიცაა. რადგან უმეტესობა ჯერ კიდევ ვერ ფლობს ქართულ ენას, ხშირად მათი პრობლემები თუ სურვილები გაუუღერებელი რჩება და შესაბამისად, ვერც გვარდება. ვერც სახელმწიფოს აწვდიან თავიანთ ხმას და ვერც დანარჩენ საქართველოს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ყველაზე მრავალრიცხოვან ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენენ, მათი ყოფისა და კულტურის შესახებ დანარჩენმა მოსახლეობამ ბევრი რამ არ იცის. ბუნებრივია, ეს გაუცხოება ცალმხრივი არ არის და ხშირად ერთმანეთზე წარმოდგენები მხოლოდ სტერეოტიპებითაა ნასაზრდოები.

ბოლო 15 წლის განმავლობაში, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისათვის, ქართული ენის შესასწავლად რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა შეიქმნა. ამან ჯერჯერობით მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი შედეგები უკვე გამოიღო – დღეს ახალგაზრდებში უფრო მეტმა იცის სახელმწიფო ენა, ვიდრე წინა თაობაში. უმაღლესი განათლების მისაღებადაც ყოველ წელს მეტი და მეტი ახალგაზრდა ირჩევს თბილისს, აზერბაიჯანისა თუ თურქეთის ნაცვლად.

სწორედ დედაქალაქში სასწავლებლად ჩამოსული სტუდენტები გახდნენ „სალამის“ შექმნის მოთავეები და ინიციატორები.

„სალამის“ დაარსება და პირველი აქტივობები

ორგანიზაცია „სალამი“ სულ რაღაც ერთი წლის წინ დაარსდა, მაგრამ უკვე არაერთი მნიშვნელოვანი საქმის გაკეთება მოასწრო. რაც მთავარია, იგი გახდა ახალი ეტაპის, დიდი პროცესის მესაძირკვლე. თითქმის სრულ უძრაობაში გააჩინა ნაპერწკლები – მათი სახით (ელნურ ალისოი, ელმადდინ მამედოვი, ქამრან მამედლი, ბანიამინ კასუმოღლი, სემა სადიკი, რაბილ ისმაილი, ალი მამადლი) გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც არა მხოლოდ პრობლემებზე დაიწყეს ხმამაღლა საუბარი, არამედ მათ გამომწვევ სტრუქტურულ მიზეზებზე და მოგვარების გზებზეც. თავად ადგილობრივი ახალგაზრდები შეუდგნენ ზრუნვას მძიმე და დამთრგუნველი მდგომარეობის შესაცვლელად, გადაწყვიტეს თვითონვე ებრძოლათ უკეთესი პირობებისთვის.

„სალამის“ წევრები ბოლნისელი, რუსთაველი, გარდაბნელი, მარნეულელი, თბილისელი და დმანისელი ახალგაზრდები არიან, თუმცა ისინი ერთმანეთს თბილისში შეხვდნენ და ორგანიზაციის შექმნასაც აქ ჩაეყარა საფუძველი. ზოგიერთი მათგანი მაშინ სტუდენტი იყო, ზოგი უკვე მუშაობდა, ზოგი სამოქალაქო აქტივისტიც იყო; ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს სხვადასხვა ტრენინგებსა და ღონისძიებებზე. ასე გაიცნეს ერთმანეთი და დაახლოვდნენ. ერთიმეორეს მუდმივად უზიარებდნენ შეხედულებებს და ბევრს საუბრობდნენ იმ პრობლემებზე, რასაც აზერბაიჯანულ თემში ხედავდნენ. აღმოჩნდა, რომ ცალ-ცალკე ყველას ერთი და იგივე საწუხარი და სურვილი ჰქონდა – უნდოდათ, საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანული თემის (არადომინანტური ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების, განსაკუთრებით კი, აზერბაიჯანული თემის) პრობლემები დანარჩენი მოსახლეობისა და ხელისუფლების ყურამდე მიეტანათ, თითქოსდა უჩინარი და პასიური მოქალაქეობრივი ცხოვრება გაეაქტიურებინათ, როგორმე შეეცვალათ მდგომარეობა საკუთარ სოფლებსა და ქალაქებში და ზოგადად, როგორც ამ ქვეყნის სრულუფლებიან მოქალაქეებს, ისე ეცხოვრათ – გაეზიარებინათ ყველა საქმე და საფიქრალი.

ბუნებრივად, თანდათან, დროთა განმავლობაში, არაფორმალურ ჯგუფად ჩამოყალიბდნენ, ხვდებოდნენ ერთმანეთს და საუბრობდნენ. რამდენიმე კულტურული ღონისძიებაც დაგეგმეს – დმანისში მოაწყვეს ეთნოტური, ისტორიული ძეგლები მოინახულეს და სამომავლო გეგმებზეც იმსჯელეს. შეიძლება ითქვას, რომ ნელ-ნელა გუნდის ფორმირებაც დაწყო, სახელიც შეარჩიეს – „სალამი“, თუმცა საჯარო სივრცეში ჯერ მაინც არ ჩანდნენ. ეს დაუგეგმავად და მოულოდნელად მოხდა. შეიტყვეს, რომ გარდაბნელი ახალგაზრდა მასწავლებელი ჰამიდ სადიკი თავისი კრიტიკული შეხედულებების გამოთქმის გამო, თანასოფლელთა მხრიდან დიდი წნეხის ქვეშ აღმოჩნდა. იგი გამოექომაგა არასრულწოვან გოგონას, რომელიც მოიტაცეს და ძალით ათხოვებდნენ. ამის გამო პედაგოგი საჯაროდ შეარცხვინეს და ბოდიშის მოხდაც აიძულეს. ამ ამბის გაგებისთანავე თბილისში მომენტალურად შეიკრიბნენ „სალამის“ ჯგუფის ახალგაზრდები და ჰამიდის მხარდასაჭერი ვიდეომიმართვა გაავრცელეს. „ეს იყო ჩვენი გამოსვლა საჯარო სივრცეში, მანამდე ვიყავით ცალ-ცალკე აქტივისტები“ – ამბობს ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი ელნურ ალისოი. „თითქოს ბედისწერა იყო, რომ ასეთი ორგანიზაცია უნდა ჩამოყალიბებულიყო, იმდენად სწრაფად მოხდა ეს ყველაფერი. ძალიან ორგანიზებულები ვიყავით. ეს დაგროვილი ენერგია იყო“ – იხსენებს „სალამის“ წევრი სემა სადიკი.

გარდა იმისა, რომ ჰამიდისადმი მხარდაჭერა გამოხატეს, ამ ვიდეოთი რამდენიმე სხვა გზავნილიც გაისმა. საზოგადოებას ეუბნებოდნენ, რომ დღეიდან ისინი რაღაცას შეცვლიდნენ, გააუმჯობესებდნენ, დაიცავდნენ, აღარ გაჩერდებოდნენ. „სალამ, ჩვენ მოვედით“ – რეფრენად გასდევდა მთელ მიმართვას. შეიძლება ითქვას, ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა მათი ხმა საჯაროდ გაისმა. საზოგადოების მხრიდან დიდი გამოხმაურება მოჰყვა ამას, ბევრი დადებითი შეფასება მიიღეს, უმრავლესობა სიხარულით შეხვდა მათ გამოჩენას. ამ მხარდაჭერამ დიდი მოტივაცია გაუჩინა ახალგაზრდებს. მალევე შეიკრიბნენ სიმბოლურად შერჩეულ ადგილას – გორხანაში, ბოტანიკურ ბაღში მდებარე თბილისის მუსლიმთა სასაფლაოზე. ოცდაათამდე ახალგაზრდა დაესწრო ამ შეხვედრას. იმ-

სჯელეს, როგორ გაეგრძელებინათ საქმიანობა და გადაწყვიტეს, რომ გაერთიანებისათვის ოფიციალური სახე მიეცათ, არასამთავრობო ორგანიზაცია დაეფუძნებინათ. იქვე, იმავე დღეს აირჩა სამკაციანი დროებითი გამგეობა. ისიც თავიდანვე ითქვა, რომ არა მხოლოდ აზერბაიჯანულ, არამედ ნებისმიერი უმცირესობის საკითხებზე უნდა ემუშავათ, იქნებოდა ეს ეთნიკური, ენობრივი თუ რელიგიური.

გორხანაში შეკრების შემდეგ დაიწყეს ფიქრი ორგანიზაციის სტრუქტურასა და სამუშაო მიმართულებებზე. მსჯელობის შედეგად შემდეგ თემატიკაზე შეჯერდნენ: გენდერის საკითხები, ბუნების დაცვა, განათლება, მედიაჯგუფი, სპორტი და ჯანსაღი ცხოვრება, სოციალური საკითხები და სხვ. ამის მერე წევრები თავიანთი ინტერესების მიხედვით გადანაწილდნენ, ვისაც რა თემატიკაზე სურდა და შეეძლო მუშაობა.

ორგანიზაციის ოფიციალური დაარსებიდან მალევე დაგეგმეს პირველი ღონისძიება – მირზა ფათალ ახუნდოვის მუზეუმში XIV-XV საუკუნეების ცნობილი სუფი პოეტის, ნასიმის, საღამო ჩატარდა. მისი ორგანიზატორებიცა და მონაწილეებიც „სალამის“ წევრები იყვნენ. წარმოუდგენლად ბევრი ადამიანი მივიდა ღონისძიებაზე დასასწრებად. ამას არავინ ელოდა. დარბაზი ხალხს ვერ იტევდა, ფეხზე დასადგომი ადგილიც კი აღარ იყო და მაინც, ბოლო წუთამდე არავინ წასულა. მუზეუმის დირექტორმაც აღნიშნა თავისი გამოსვლისას, რომ დაარსების დღიდან ამ მუზეუმს ამდენი სტუმარი ერთდროულად არასოდეს ჰყოლია. ეს იყო ორგანიზაციის პირველი ოფიციალური ღონისძიება.

ვინაიდან ორგანიზაციის წევრებს საჯარო გამოსვლებისა და დებატების გამოცდილება არ ჰქონდათ, გადაწყდა, რომ თავიდანვე საგანგებო ყურადღება დაეთმოთ მისი შესწავლისთვის. აგრეთვე გაეცნენ ადვოკატირების საკითხებსაც. აცნობიერებდნენ, რომ სამომავლო შედეგიანი მუშაობისთვის ეს აუცილებელი იყო. მალევე მოახერხეს საამისოდ ფინანსური მხარდაჭერის მიღებაც USAID-ისგან (აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო). ორგანიზაციის წევრების გარდა,

სასწავლო პროცესში ჩაერთვნენ ეთნიკური უმცირესობის სხვა წარმომადგენლებიც, სათემო ორგანიზაციების წევრები ჩამოვიდნენ რეგიონებიდან. კურსის დასრულების შემდეგ მათ დამატებითი, სპეციალური გადამზადებაც გაიარეს როგორც ტრენერებმა და უკვე თვითონ დაიწყეს სწავლება საკუთარ სოფლებსა და ქალაქებში, საკუთარი აუდიტორიისთვის ცოდნის გაზიარება.

პარალელურად „სალამმა“ რამდენიმე კამპანია წამოიწყო. დღის წესრიგში დააყენეს თავიანთი რუსულ დაბოლოებიანი გვარის ავთენტურით ჩანაცვლების საკითხი. ამისთვის ვიდეომიმართვები გაავრცელეს, წერილები გამოაქვეყნეს ჟურნალ-გაზეთებსა და სოციალურ მედიაში, რამდენჯერმე მიმართეს თხოვნით იუსტიციის სახლსაც, თუმცა შედეგის მიღწევა რთული აღმოჩნდა. სურვილის მიუხედავად, იურიდიული შეზღუდვები დღეს არ იძლევა გვარის ასე შეცვლის საშუალებას, ამიტომ საკანონმდებლო ინიციატივაზე დაიწყეს მუშაობა.

სხვა ეთნიკური უმცირესობების მსგავსად, ფართო საზოგადოებას აზერბაიჯანელების ტრადიციებზეც, ხშირად, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს ან სულ არაფერი იცის მათ შესახებ. ეს კი, თავის მხრივ, გაუცხოებას და სტიგმატიზებასაც წარმოშობს ხოლმე. „სალამმა“ გადაწყვიტა, ფლეშმობების გზით ნოვრუზ ბაირამის ტრადიციის შესახებ უფრო მეტი ადამიანისათვის მოეთხროთ და რუსთაველის გამზირზე რამდენიმე თემატური პერფორმანსი გამართა. ნოვრუზ ბაირამი აზერბაიჯანელებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დღესასწაულია და მისი აღნიშვნის მრავალფეროვანი, უძველესი ტრადიცია აქვთ. ზეიმის მასშტაბურობიდან გამომდინარე, ასევე სურთ, რომ იგი ოფიციალურ უქმე დღედ გამოცხადდეს.

კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა და დაცვა

ზოგადად, ქვემო ქართლი მდიდარია კულტურული ძეგლებითა და საინტერესო ადგილებით. იგი გამოირჩევა საოცრად მრავალფეროვანი მემკვიდრეობით, ქრისტიანულთან ერთად

გვხვდება მუსლიმური საკულტო ძეგლები და ტრადიციებიც, მაგრამ იქ არსებული მუსლიმური მემკვიდრეობა უმეტესად შეუსწავლელი და აუთვისებელია. ტურისტულ რუკებსა თუ ცნობარებში მათ შესახებ თითქმის ვერ ნახავთ ინფორმაციას. შესაბამისად, არც ადგილობრივი და, მით უმეტეს, არც საერთაშორისო ტურისტები იქ არ დადიან და ინფრასტრუქტურაც მოუწყობელია. ამგვარად, ეს მრავალფეროვნება ყურადღების მიღმა რჩება.

ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული ძეგლების წარმოსაჩენად „სალამში" დაიწყო პროექტი „აღმოაჩინე ქვემო ქართლი". თავიანთ ფეისბუკგვერდზე გარკვეული პერიოდულობით დებენ ფართო საზოგადოებისათვის უცნობი ძეგლის, მეჩეთის, ღირსშესანიშნავი ადგილის ფოტოებს, რომლებსაც თან ერთვის ინფორმაცია სამ ენაზე – ქართულად, აზერბაიჯანულად და ინგლისურად. „ცნობილ ტაძრებთან ერთად, ესეც არსებობს და გვინდა, რომ ამის შესახებ იცოდეს შიდა თუ საერთაშორისო ტურისტმა, თუკი დაინტერესდება" – ამბობენ ორგანიზაციაში.

პარალელურად დაიწყეს ეთნოტურების მოწყობა დმანისში, მარნეულში, ბოლნისში, გარდაბანში და იქ არსებული ტრადიციების – შინამრეწველობის, ხალხური ზეპირსიტყვიერებისა და ეთნომუსიკის ნიმუშების წარმოჩენა, პოპულარიზება.

ენა განსაკუთრებულ როლსა და მისიას ასრულებს ნებისმიერი ეთნოსის ცხოვრებაში. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობიდან იგი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოცემულობაა. ლინგვისტური ინფორმაციის გარდა, ენა ინახავს კონკრეტული ჯგუფის სამყაროს აღქმასა და ხედვას, ისტორიულ და ეთნოგრაფიულ ინფორმაციას. ამდენად, მისი დაცვა ძალიან ფასეულია. საქართველოში გადაშენების პირას მყოფი 11 ენა გვაქვს. მათი უმრავლესობა უდამწერლობოა და, შეიძლება ითქვას, უხმოდ, ჯეროვანი დოკუმენტირების გარეშე იკარგება. ყველაზე მძიმე დღეში უდიური და წოვათუშური ენებია. ორივე მათგანზე კახეთის მხოლოდ თითო სოფელშიღა საუბრობენ, ისიც, უმეტესად მოხუცები. „სალა-

მის“ თაოსნობით ამ ენებისათვის ვიდეო და აუდიო არქივის შექმნა დაიწყო. ენათმეცნიერების ჯგუფი რამდენიმე თვის განმავლობაში მუშაობდა იმ სოფლებში, სადაც ამ ენებზე ჯერ კიდევ საუბრობენ და ფართო საზოგადოებისთვის დღეს უკვე შესაძლებელია წოვათუშური და უდიური ენების მაღალხარისხიანი ჩანაწერების მოსმენა და ამ მასალის კვლევითი თუ სასწავლო მიზნებისთვის გამოყენება. ვიდეო და აუდიოჩანაწერებს თან ახლავს ქართული და ინგლისური თარგმანები, იმისათვის, რათა ყველასათვის ადვილად გასაგები და ხელმისაწვდომი იყოს. გარდა ამისა, ის დიდ დახმარებას გაუწევს ენის შესწავლის მსურველებსაც.

პანდემიის გავლენა „სალამის“ საქმიანობაზე

ისე მოხდა, რომ ორგანიზაციის დაარსებას დაემთხვა პანდემიის დაწყებაც, ამიტომ, ბუნებრივია, მათი საქმიანობაც, დღემდე უმეტესად ამ ფონზე მიმდინარეობს. ვირუსის გავრცელებამ მთელ ქვეყანაში რთული სიტუაცია შექმნა, მაგრამ ეთნიკური უმცირესობები ამ პრობლემის წინაშე კიდევ უფრო დაუცველები და მოწყვლადები აღმოჩნდნენ. ამისთვის არც სახელმწიფო აღმოჩნდა მზად, უჭირდა მათთან დროული და სწორი კომუნიკაცია. ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე, მთელი ქვემო ქართლის რეგიონი საკარანტინო ზონად გამოცხადდა, მაგრამ მოსახლეობამ ამის შესახებ ვერ გაიგო. როდესაც პოლიცია კარანტინის დარღვევისთვის ადამიანების დაჯარიმებას შეუდგა, ბევრმა მათგანმა მაშინღა შეიტყო, რომ შეზღუდვები მოქმედებდა. გამოჩნდა, რომ თურმე არ არსებობს სივრცე, სადაც საჭიროების შემთხვევაში მთავრობას შეუძლია, საჭირო ინფორმაცია მიიტანოს ეთნიკურ უმცირესობებამდე, მათთვის ხელმისაწვდომი ხერხებით და მათთვის გასაგებ ენაზე.

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ამ ფონზე „სალამის“ ჩართულობა, მათი რესურსი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. ორგანიზაციის წევრებმა სასწრაფოდ დაიწყეს მოხალისეობრივად მუშაობა სოფლებში. კარდაკარ დადიოდნენ და მოსახლეობას აგებინებდნენ, როგორ შე-

იძლებოდა ვირუსის თავიდან არიდება და რა შეზღუდვები მოქმედებდა.

რადგან მკაცრი საკარანტინო რეჟიმი იყო დაწესებული, სატრანსპორტო მოძრაობაც შეზღუდული იყო, ამიტომ, ძირითადად ფეხით ან ველოსიპედით გადაადგილდებოდნენ, ადგილობრივ მოსახლეობას უკავშირდებოდნენ და ეძებდნენ მოხალისეებს დასახმარებლად. ამასთან ერთად, სოციალურ ქსელშიც აქტიურად ავრცელებდნენ ინფორმაციას – ყოველდღიურად აქვეყნებდნენ ინფექციის შესახებ საინფორმაციო მასალას. იმ პერიოდში ბევრმა ორგანიზაციამ მიმართა „სალამს“ თარგმანში დასახმარებლად, ისინიც უსასყიდლოდ თარგმნიდნენ და ახმოვანებდნენ ვიდეოებს, ილუსტრირებულ მასალებსა თუ ბროშურებს. მარნეულის რადიოშიც ჩაწერეს საინფორმაციო შინაარსის მქონე იუმორისტული ვიდეო კორონავირუსის შესახებ.

პანდემიის დროს საქართველოს მთავრობამ თვითდასაქმებულებს ერთჯერადი ფულადი კომპენსაცია შესთავაზა. მსურველებს ელექტრონულად უნდა შეევსოთ განაცხადი, რომელიც მხოლოდ ქართულ ენაზე იყო შეთავაზებული. აზერბაიჯანულ მოსახლეობაში ბევრის ყურამდე ვერც კი მივიდა ეს ინფორმაცია. ვინც გაიგო, ენის არცოდნის გამო, თავს ვერ ართმევდა რეგისტრაციას, უმრავლესობას კი არც კომპიუტერი და ინტერნეტი ჰქონდა და ამ მცირე შემწეობის გარეშე რჩებოდა. თავდაპირველად „სალამში“ გადაწყვიტეს ცხელი ხაზი შეექმნათ და ასე დახმარებოდნენ მოსახლეობას, მაგრამ რეგისტრაციის დასრულებამდე ცოტა დრო იყო დარჩენილი და ტელეფონით მუშაობაც არ იყო მოსახერხებელი, ამიტომ გადაწყვიტეს ადგილზე ჩასულიყვნენ საკუთარი კომპიუტერებითა და ინტერნეტით. 22 ლოკაცია გამოყვეს ქვემო ქართლში და მცირე ჯგუფებად დანაწილდნენ. სამუშაოდ სოფლის ცენტრალური ადგილები შეარჩიეს – მაღაზიები, ჩაიხანები, სადაც ბევრი ხალხი ტრიალებს. ინფორმაცია სწრაფად ვრცელდებოდა, ხალხი ერთმანეთს აგებინებდა, მოდიოდნენ და „სალამის“ წევრები ადგილზევე უვსებდნენ მონაცემებს. რამდენიმე დღეში დაახლოებით 300 ადამიანი დაარეგისტრირეს.

ისიც უნდა ითქვას, რომ მუშაობის პროცესს შეფერხების გარეშე არ ჩაუვლია და არაერთი სირთულე წარმოიშვა. ადგილობრივი ხელისუფლება ეჭვის თვალით უყურებდა მათი ჩასვლის მიზეზსა და უანგარო დახმარების სურვილს. ფიქრობდნენ, რომ პოლიტიკური მიზნები ჰქონდათ, ამიტომ, ხელოვნურ დაბრკოლებებს უქმნიდნენ. ზოგჯერ მოხალისეები ადგილსაც ვერ პოულობდნენ, სადაც დასხდებოდნენ და თავისუფლად იმუშავებდნენ.

პანდემიით შექმნილი ვითარების გამო ბევრი ოჯახი დარჩა მინიმალური, სასიცოცხლოდ აუცილებელი შემოსავლის გარეშე, განსაკუთრებით გაუჭირდათ სოციალურად დაუცველ ოჯახებს. „სალამში“ გადაწყვიტეს, რითაც შეეძლოთ, მათაც დახმარებოდნენ. ორგანიზაციის ერთ-ერთი წევრის, აითაჯ ხალილის ინიციატივით, საქველმოქმედო კამპანია წამოიწყეს. აითაჯმა აუქციონით გაყიდა თავისი ნივთები, „სალამის“ სხვა წევრებმაც შეაგროვეს ფული, პარტნიორი ორგანიზაციებიც ჩაერთნენ და ბოლნისსა და მარნეულში, შემწეობის გარეშე დარჩენილ ოჯახებს საკვები პროდუქტებითა და მედიკამენტებით დაეხმარნენ.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ყოველდღიურობა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში კიდევ უფრო რთულია. თუ ცენტრალურ დონეზე ამ კუთხით გარკვეული საკითხები მეტ-ნაკლებად მოგვარებულია და არაერთი პროგრამა ხორციელდება, ქვემო ქართლში ენის არცოდნის გამო ადამიანები ამ შესაძლებლობების მიღმა რჩებიან, საჭირო სერვისებზე ხელი თითქმის არ მიუწვდებათ. პანდემიამ, დამატებითი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების წარმოქმნით, საერთო სურათი კიდევ უფრო დაამძიმა. „სალამმა“ USAID-ის (აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო) მხარდაჭერით დაიწყო ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონის აზერბაიჯანულ თემში შშმ პირების საჭიროებების დეტალური კვლევა და ადვოკატირება. ოჯახ-ოჯახ შემოვლითა და პირისპირ საუბრით შეისწავლეს ყველა ის პრობლემა, რაც ამ ადამიანებს აწუხებდათ, გაარკვიეს, რა იყო პირველადი საჭიროება. საერთო რეგიონული შეხვედ-

რებიც გამართეს, რომლებშიც ამ საკითხზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები და სახელმწიფო უწყების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. შშმ პირებს შესაძლებლობა მიეცათ მათთან პირისპირ ესაუბრათ და გაეზიარებინათ თავიანთი სურვილები. საბოლოო მიზანი კი, გადაწყვეტილების მიმღები ორგანოებისაგან ამ საჭიროებებზე დაფუძნებული ცვლილებების მიღწევა და სერვისების გაუმჯობესებაა.

სამომავლო გეგმები

„სალამის“ ძირითად სამომავლო მიზნად და მისიად კვლავაც ადამიანების გაერთიანება და კიდევ უფრო მეტად შეკავშირება რჩება. მთავარი იდეა და მიზანი მოსახლეობის ორგანიზებაა თანასწორობისა და სამართლიანობისთვის. აგრეთვე, ორგანიზება საკუთარი იდენტობის, ტრადიციებისა და ენის შესანარჩუნებლად.

რადგან პანდემიის დასასრული ჯერ არ ჩანს, გაურკვეველია, როდის იქნება შესაძლებელი ჩვეულ სამუშაო რეჟიმში დაბრუნება. ბუნებრივია, „სალამშიც“ უჭირთ ამ ეტაპზე გრძელვადიანი პროექტების დაგეგმვა და ძირითადად ისევ სოციალურ საკითხებზე არიან ორიენტირებულები. ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვებიან შექმნილი ვითარების გამო წარმოშობილ პრობლემებს და გამოწვევებს, და შესაბამისად, მათი საზრუნავიც, ჯერ ამ საკითხების ირგვლივ ტრიალებს. თუმცა ზუსტად იციან, რომ მომავალში კულტურული და სოციალურ-სამოქალაქო მიმართულებით უფრო მეტს იმუშავებენ, უფრო დიდ დროსა და ენერგიას დაუთმობენ ამ საკითხებს. გარდა ამისა, აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას ყველა იმ მსჯელობაში, სადაც საუბარი შეეხება ეთნიკურ უმცირესობებს, სახელმწიფო სტრუქტურები იქნება ეს თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციები. „ვეცდებით დავაფიქსიროთ ჩვენი საჭიროებები და აზრი, ჩვენ ვართ ჩვენი თემის წარმომადგენლები, ერთ-ერთი მათგანი და არა ლიდერი, ვართ მათ ინტერესების დამცველები მესამე პირებთან“ – ამბობს სემა სადიკი.

„სალამის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და ყოფილი კაპიტანი ელნურ ალისოი, ამჟამად საქმიანობას განაგრძობს არასამთავრობო ორგანიზაციაში, „სოლიდარობის მუზეუმი“, რომელიც იცავს საქართველოში მცხოვრები არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების კულტურულ მემკვიდრეობას.



საქართველოში 2019-2020 წლებში მოქმედი სათემო ჯგუფების აღწერა

სოფლის ზეიმი ნუკრიანში, 2007 წ.

ფოტო: სათემო განვითარების ცენტრი

2019-2020 წლებში, სათემო განვითარების ცენტრის (CDC), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრისა (CSRDG) და ღია საზოგადოების ფონდის (OSGF) ერთობლივი ძალისხმევით ჩატარდა საქართველოში მოქმედი სათემო ჯგუფების კვლევა (CBO Mapping).[1] კვლევის მთავარი ფოკუსი, სოფლებისა თუ მცირე დასახლების დონეზე დღეს მოქმედი სამოქალაქო ჯგუფების, ორგანიზაციული სტრუქტურის, სამუშაო გარემოს და იმ დაბრკოლებების შესწავლა იყო, რომელთა გადალახვაც მათ ყოველდღიურ საქმიანობაში უწევთ. 2020 წლის ბოლოსთვის საქართველოში ამ ტიპის დაახლოებით 120 ჯგუფი მოქმედებდა; აღნიშნული რაოდენობა, საქართველოს იურისდიქციაში შემავალი 3500-ზე მეტ სოფელთან მიმართებით, საკმაოდ დაბალია და დაახლოებით 4% შეადგენს.

მოქმედი სათემო ჯგუფები განვითარების გარკვეული პროცესის შედეგია – პროცესისა, რომელმაც ისტორიულად და განსაკუთრებით დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, დღევანდელობამდე მოგვიყვანა. ამ კვლევის კონტექსტისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი განვლილი 30 წელია, რომელსაც რამდენიმე პირობით თაზად ვყოფთ და ეს დაყოფა ავტორის, როგორც აღნიშნული პროცესების მონაწილის და დამკვირვებლის სუბიექტურ ხედვასა და აღქმას წარმოადგენს.

---

[1] მკვლევარი: ანა მარგველაშვილი (სათემო განვითარების ცენტრი); კვლევის ასისტენტი: ირაკლი ირემაძე (სათემო განვითარების ცენტრი); კვლევის კონსულტანტები: იაგო კაჭკაჭიშვილი (თსუ, სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის დეპარტამენტის დირექტორი), ბესო სულაბერიძე (კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი), დავით ლოსაბერიძე (ისტორიკოსი, თვითმმართველობის საკითხების ექსპერტი), ნინო ვასაძე (საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი).

თემის თვითორგანიზება და კერძო ინიციატივები - ისტორიული რაკურსი

თუკი საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან 1921 წლამდე გამომავალ პერიოდულ გამოცემებს გადავხედავთ, თვალში მოგვხვდება იმდროინდელი საზოგადოებისათვის აქტუალური მრავალი თემა, რომელთა შესახებაც მიმდინარეობდა მსჯელობა, მოსახლეობის ინფორმირება და საზოგადოებრივი აზრის ფორმირების მცდელობა; მათ შორის აღსანიშნავია საზოგადოებრივი თვითმოქმედების, ურთიერთდახმარების, სოლიდარობის საკითხები, სხვადასხვა თემატური საზოგადოებრივი ორგანიზაციის მუშაობა და ასევე, კერძო ინიციატორთა ძალისხმევა სასოფლო და სათემო განვითარების კუთხით. ამ პროცესების სათავეში განმანათლებლები, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების მქონე საზოგადოებრივად აქტიური ადამიანები, ინიციატორები იდგნენ.

საბჭოთა ოკუპაციამდე, საქართველოში, კერძო ინიციატორის ძალისხმევით დაწყებული თემის განვითარებისა და თვითორგანიზების გამოცდილება, 2015-2017 წლებში იკვლია სათემო განვითარების ცენტრმა, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად და ასეთი ოცამდე საგულისხმო მაგალითი აღწერა[2] საგამომცემლო სერიის, „ინიციატივა ცვლილებისათვის“, პირველ სამ წიგნში.

ისტორიულმა კვლევამ რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი წამოსწია წინ. მათ შორის აღსანიშნავია საზოგადოებრივი თვითმოქმედების გავრცელებული ფორმები (თვითორგანიზება ხდება ძირითადად კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეურნეო ინტერესების კუთხით), სამოქალაქო ურთიერთდახმარების ფორმები (სამოქალაქო ჩართულობა სა-

[2] ინიციატივა ცვლილებისათვის. თემის თვითორგანიზებისა და თანამშრომლობის გამოცდილება საქართველოში, საბჭოთა ოკუპაციამდე. სათემო განვითარების ცენტრი 2015-2016 წწ.
ინიციატივა ცვლილებისათვის. სათემო და სამოქალაქო სოლიდარობის მაგალითები საქართველოში საბჭოთა ოკუპაციამდე. სათემო განვითარების ცენტრი, 2021 წ.

ერთო სიკეთის შექმნის პროცესში და სხვადასხვა სათემო და საზოგადოებრივი ჯგუფის მიერ ერთმანეთის და სხვათა მატერიალური ურთიერთდახმარება და სოლიდარობა) და ერთი ადამიანის როლი, მისი ძალისხმევა, შეეცვალა თავისი გარემო თუ რომელიმე სფერო უკეთესობისაკენ და გამხდარიყო დადებითი განვითარების ინიციატორი (მსგავსი კერძო ინიციატივები ხშირად მიმართული იყო სასოფლო ანდაც სათემო განვითარებაზე, თვითმმართველობის ერთგვარი ალტერნატიული ფორმების შექმნაზე).

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი პროცესებისთვის, რომლებიც თანამშრომლობის მაღალი კულტურის ჩამოყალიბებაზე იყო ორიენტირებული (რაც დასტურდება კიდეც იმხანად მოქმედი მრავალფეროვანი კავშირებისა და გაერთიანებების საქმიანობით), ხელსაყრელი დრო დადგა საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნით. თუკი დამოუკიდებლობამდე საქართველოს, როგორც რუსეთის იმპერიის პერიფერიას, ადგილობრივი თვითმმართველობის უფლება მხოლოდ ძალზე შეზღუდული ფორმით ჰქონდა მინიჭებული[3] და საზოგადოებრივი ჯგუფები ერთგვარ ალტერნატიულ რეალობას ქმნიდნენ, დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობის ერთ-ერთი პირველი და მნიშვნელოვანი ნაბიჯი სწორედ საერობო (თვითმმართველობის) რეფორმის გატარება გახდა. ერობების მოწყობამ შექმნა ხელსაყრელი პირობები ადგილობრივი საზოგადოებრივი ინიციატივების განვითარებისა და მოქალაქეთა მეტად ჩართულობისთვის ადგილობრივი მმართველობის განხორციელებაში.

სამწუხაროდ, სისტემური თუ ინსტიტუციური განვითარება და განმტკიცება ამ პროცესებს (თვითმმართველობის სისტემას და თვითმოქმედების კულტურას) არ დასცალდა საქართველოს საბჭოთა ოკუპაციის გამო; საბჭოთა რეპრესიული მმართველობა სწორედ დამოუკიდებელ ინიციატივებს, თავისუფალ,

[3] ი. ხვადაგიანი, ერობა - თვითმმართველობის რეფორმა საქართველოს რესპუბლიკაში 1918, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, 2017 წ.

თვითმოქმედებაზე და თვითორგანიზებაზე დაფუძნებულ წამოწყებებს და, ზოგადად, ინიციატივიან ადამიანებს დევნიდა; საზოგადოებრივ გაერთიანებებსაც ცენტრალურ კონტროლს უქვემდებარებდა, ან ისეთ გაერთიანებებს ქმნიდა, სადაც ნებაყოფლობითობისა და თავისუფლების ფუნდამენტური პრინციპი იყო დარღვეული.

შესაბამისად, საზოგადოებრივი, სამოქალაქო ინიციატივების თუ ადგილობრივი თვითმმართველობის გამოცდილება საბჭოთა საქართველოში (1921-1991წწ) არ არსებობდა; საბჭოთა ცენტრალიზებული მმართველობა არ ტოვებდა ადგილს თავისუფალი, დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული თვითმოქმედებისთვის. კავშირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით მოქმედი ჯგუფებიც, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა და შესაბამისად სახელმწიფოს მხრიდან კონტროლს ექვემდებარებოდა, რაც მთლიანად უპირისპირდება მოქალაქეთა თავისუფალი გაერთიანებების პრინციპს ანუ თანამოაზრეებთან ერთად შეკავშირებას ამა თუ იმ იდეისა და მიზნის გარშემო და მოქმედებას შეხედულებისამებრ, ყოველგვარ „ზემდგომ ორგანოსთან“ შეთანხმებისა და ანგარიშგების გარეშე, კანონმდებლობის ფარგლებში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქვეყანას თვითმმართველობის და, ამ მხრივ, მოქალაქეთა ჩართულობისა და მონაწილეობის გამოცდილება, ფაქტობრივად, არ ჰქონია 1990-იან წლებამდე; მას შემდეგაც, საქართველოში უამრავი სხვა პრობლემის (ეკონომიკის განადგურება, ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობების მორღვევა, სიღარიბე, კრიმინალი, ომი) ფონზე, თვითმმართველობის რეფორმა ძალიან ბევრი ხარვეზის, დაბრკოლების და მუდმივი ცვლილებების (ხშირად არცთუ სასიკეთო, მაგ., სოფლის დონეზე თვითმმართველობის გაუქმება 2006 წელს, ან 2014 წელს 7 ქალაქისთვის მინიჭებული თვითმმართველი სტატუსის ისევ გაუქმება 2017 წელს და სხვ.) ფონზე მიმდინარეობს და ჯერ კიდევ შორს არის იდეალურისაგან ანუ იმ ფორმისგან, რომელიც მაქსიმალურად ახლოს დგას ადგილობრივ მოსახლეობასთან და ხელს უწყობს მოქალაქეთა ჩართულობას ადგილობრივი პრობლე-

მების მოგვარებაში და სათემო ინიციატივების წახალისება-მხარდაჭერას.

70-წლიანი იძულებითი წყვეტის და რეპრესიული პოლიტიკის შემდეგ, საზოგადოებრივ და სათემო მობილიზებასა და განვითარებაზე მუშაობა მე-20 საუკუნის 90-იან წლებში, ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით დაიწყო. თუმცა, საბჭოთა რეპრესიებს, ცენტრალიზებულ მმართველობას, რეჟიმის მიერ პირველი რესპუბლიკის თემის ტაბუირებას, ცხადია, უკვალოდ არ ჩაუვლია და ქვეყანა ამ შედეგებს დღესაც იმკის. მითუმეტეს, რომ საზოგადოების მეხსიერებიდან თითქმის მთლიანად და მიზანმიმართულად იყო განდევნილი 1921 წლამდე ქვეყანაში მიმდინარე განვითარების პროცესები და, მათ შორის, საზოგადოებრივი ცხოვრების ის ასპექტები, რაც ინიციატივის გამოჩენას, თვითმოქმედებას, ჩართულობას და მონაწილეობას გულისხმობდა. ამ პრობლემას ამძაფრებდა ის გარემოებაც, რომ საქართველოში ფაქტობრივად არ არსებობდა თვითმმართველობის გამოცდილება, ხოლო პირველი რესპუბლიკის დროს გატარებულმა ძალიან თამამმა და პროგრესულმა საერობო რეფორმამ, სამწუხაროდ, დროის სიმცირის გამო, საზოგადოების მეხსიერებაში თავი ვერ დაიმკვიდრა.

ძალისხმევა სამოქალაქო თვითორგანიზების გაძლიერებისათვის

საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარება 90-იანი წლების დასაწყისიდან იღებს სათავეს – ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების კვალდაკვალ. ამ პროცესს, სამ პირობით პერიოდად ვყოფთ და ის მოიცავს თემის ინტერესებზე დაფუძნებული ორგანიზაციების გაჩენისა და განვითარების ისტორიასაც.

პირველი ეტაპი, რომელიც შეიძლება პირობითად 1994-2000 წლებს მოიცავდეს, მიმართული იყო ქვეყანაში საზოგადოებრივი ორგანიზაციების შექმნასა და განვითარებაზე; მეორე ეტაპზე, დაახლოებით 2000-2010 წლებში, დღის წესრიგში დგება სოფლების დონეზე სათემო და სამოქალაქო თვითორგანიზების წახალისება და მესამე ეტაპი კი, რომელსაც 2010-წლიდან ავითვლით, (თემატური) სათემო ჯგუფების შექმნა-გაძლიერების და სტაბილიზაციის ძირითადი ფაზაა.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების შექმნა და განვითარების მხარდაჭერა

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მალევე, 1993-1994 წლიდან დაიწყო საქართველოში საზოგადოებრივი, სამოქალაქო ორგანიზაციების შექმნასა და განვითარებაზე მიმართული პროცესი და ამ პროცესის სათავეებთან იდგნენ საქართველოში პირველი საერთაშორისო ორგანიზაციები. ზოგიერთი მათგანის ფოკუსი იმთავითვე უფრო საზოგადოებრივი ორგანიზაციების, „სამოქალაქო სექტორის“ როგორც ასეთის, ჩამოყალიბება-განვითარებაზე იყო ფოკუსირებული და მათ მთავარ მიზანს არამომგებიანი საზოგადოებრივი ორგანიზაციების შექმნა და მათი გაძლიერება წარმოადგენდა. მაგალითად, ISAR Georgia 1995 წლის ანგარიშში[4] ორგანიზაციის მესვეურები წერდნენ, რომ საქართველოში პირველად შემოსვლისას ისინი ეძებდნენ პარტნიორებს სამოქალაქო ორგანიზაციების სახით, რაც საკმაოდ რთული ამოცანა აღმოჩნდა, რადგან ასეთები ქვეყანაში თითქმის არ არსებობდა.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების რეგისტრაცია თავდაპირველად ხდებოდა საქართველოს რესპუბლიკის კანონით, „მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების შესახებ“, რომელიც 1994 წლის 14 ივნისს (№ 522-II ს) მიიღო პარლამენტმა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის შემდეგ განმარტებას გვაძლევდა – „მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანება

[4] ISAR-Georgia Final Report, Amendment to Grant №NIS-2-22-00-01.

არის საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა ნებაყოფლობითი ფორმირება, რომელიც იქმნება მისი წევრების ინტერესების, მიზნების, საქმიანობის საერთო პრინციპების საფუძველზე". დეფინიციას თან კონკრეტული მიმართულებების და შესაძლო თემატიკის ჩამონათვალიც ახლავს (იხ. მუხლი 1, მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების ცნება).

1997 წელს მიღებულმა საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა განსაზღვრა კავშირისა და ფონდის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმები, როგორც არასამეწარმეო და არამომგებიანი ორგანიზაციები. კავშირი, განისაზღვრა, როგორც წევრობაზე დაფუძნებული ერთობა და იმხანად არასამთავრობო ორგანიზაციების დიდი ნაწილი, სწორედ კავშირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით გადიოდა რეგისტრაციას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში 2006 წელს შესული ცვლილებების შედეგად, ნაცვლად კავშირისა და ფონდისა, შემოღებულ იქნა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ცნება და მას შემდეგ ა(ა)იპ-ით მოვიხსენიებთ არასამთავრობო ორგანიზაციებს. მეტი კონკრეტიკა, რომელიც, მაგალითად, საზოგადოებრივი და სათემო ორგანიზაციების სამართლებრივი ფორმის მიხედვით გამიჯვნის შესაძლებლობას მოგვცემდა (რაც აუცილებელი სრულებით არ არის), საკანონმდებლო დონეზე მოცემული არ არის, შესაბამისად, თუკი სათემო ორგანიზაციის დაზუსტება გვჭირდება, ვმოქმედებთ სხვადასხვა, არასაკანონმდებლო დეფინიციითა და დათქმებით.

ამ ეტაპზე, ფოკუსი და ძალისხმევა სწორედ მთლიანად „მესამე სექტორის" განვითარებაზე და ე.წ. პირველი თაობის არასამთავრობო ორგანიზაციების შექმნასა და გაძლიერებაზე იყო მიმართული, როგორც დედაქალაქში, ისე რეგიონებში. თუმცა სოფლის და თემის დონეზე მოქმედი ინიციატივები იმხანად ძალზედ იშვიათად გვხვდებოდა.

გამოცდილების გატანა ცენტრიდან რეგიონებში - სასოფლო და სათემო მობილიზების პირველი ნაბიჯები

1990-იანი წლების ბოლოდან, ისევ საერთაშორისო ფონდების მხარდაჭერით დღის წესრიგში დგება უკვე მეტ-ნაკლებად განვითარებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის გაშლა, დაგროვილი გამოცდილების და ცოდნის გატანა ცენტრიდან (დედაქალაქი ან რაიონული ცენტრები) უშუალოდ სოფლებისაკენ. სხვადასხვა თემაზე მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინსტიტუციურ განვითარებაზე (რაც გულისხმობდა, მათ შორის, სპეციფიკური ცოდნითა და სამუშაო მეთოდოლოგიებით ამ ორგანიზაციების აღჭურვას) დასმული თავდაპირველი აქცენტი, ეტაპობრივად ჩაანაცვლა სხვა, დამწყები, რეგიონებში მოქმედი ჯგუფებისათვის გამოცდილების გაზიარებამ, თუკი ისინი საერთოდ არსებობდნენ ან ასეთების შექმნის წახალისებამ.

მართლაც, ამ პერიოდში, სოფლად მოქმედი ორგანიზაციები თითქმის არ არსებობდა. ის ორგანიზაციებიც კი, რომლებიც ეროვნული დონიდან სოფლად განვითარების სხვადასხვა პროგრამას ახორციელებდნენ, სათემო მობილიზების საკითხებში, ხშირად სპონტანურად, სტიქიურად მოქმედებდნენ, რადგან ამ სფეროში ადგილობრივი ცოდნა აკუმულირებული ჯერ არ იყო. თემის მობილიზებაზე, სათემო ჯგუფების შექმნა-განვითარებაზე მიმართული ღონისძიებების პირველ ეტაპს შეგვიძლია ექსპერიმენტების, გამოცდილების დაგროვების ეტაპი ვუწოდოთ.

სათემო მობილიზებისა და განვითარების პროცესებში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს საერთაშორისო ორგანიზაციების და პროგრამების წარმომადგენლობებმა საქართველოში (განსაკუთრებით აღსანიშნავია: Novib, Mercy Corps, Care International, USAID, EU, OSGF, BP, BfdR/EED და სხვ.) ან/და მათ მიერ მხარდაჭერილმა ეროვნულმა ორგანიზაციებმა (TASO, CSRDG, ELKANA, CTC, CENN, CH/CDC, RDA და სხვა). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თემთან მუშაობის მეთოდოლოგიები განსხვავდებოდა და ეს განსხვავებები დამოკი-

დებული იყო პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაციის პროფილზე და მის სტრატეგიულ ხედვებზე.

კვლევის პროცესში სათემო განვითარების საკითხებზე მომუშავე რამდენიმე ორგანიზაციასთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა ტენდენცია, რომ საწყის ეტაპზე თემთან მუშაობის ეროვნული გამოცდილება არ არსებობდა, მიდგომები და მეთოდოლოგიები შემოტანილი იყო სხვადასხვა ქვეყნიდან და ხდებოდა მათი პილოტირება ქართულ, პოსტსაბჭოთა რეალობაში; ასევე ხშირი იყო შემთხვევა თემისთვის გარედან, განვითარების მზა პროგრამების და მიდგომების მიწოდებისა, რაც ეტაპობრივად შეცვალა ქვემოდან ანუ თემიდან წამოსული ინიციატივების და ხედვების პრიმატმა.

2000-იანი წლების დასაწყისიდან ჩნდება თემის საჭიროებების გარშემო მობილიზებული უფრო მეტი ჯგუფი და ორგანიზაცია. მათი ფორმა და სტრუქტურა განსხვავებულია იმ კონკრეტული ორგანიზაციის და პროგრამის სტრატეგიული მიზნების მიხედვით, რომელთა ძალისხმევითაც და ფარგლებშიც ხდებოდა სათემო მობილიზება. მაგალითად, თუკი, პროგრამის მიზანს ამა თუ იმ სოფელში მცირე ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარება წარმოადგენდა, ადგილზე მობილიზებული ჯგუფებიც ხშირად უფრო ტექნიკური ხასიათის იყო და ერთჯერად მიზანს ემსახურებოდა; ან, თუკი მაგალითად, მიზანი – სოფლად მცხოვრებ ქალთა თვითდასაქმების ხელშეწყობა გახლდათ – ჯგუფის წევრებიც ძირითადად ქალები იყვნენ და ა.შ. შესაბამისად, სათემო ჯგუფის ფორმა განვითარების ამ პერიოდში ხშირად „გარედან“ იყო განსაზღვრული.

მიუხედავად ერთი და იმავე ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა საკანონმდებლო დონეზე, ე.წ. სათემო ჯგუფები (CBO) იმით განსხვავდებიან მანამდე რეგიონებში მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან (CSO), რომ მათი სამოქმედო ტერიტორია, გეოგრაფიულად უფრო დაზუსტებული, შემოფარგლული და დაკონკრეტებულია (როგორც წესი, მოიცავს ერთ ან რამდენიმე სოფელს) და ისინი ამ კონკრეტული სოფლის საჭიროებების შესაბამისად იწყებდნენ

მუშაობენ. პირველ ეტაპზე სოფლის მთლიანი დაფარვა სრულიად წარმოუდგენელი მიზანი შეიძლებოდა ყოფილიყო და დიდ მიღწევად ითვლებოდა სოფლად თუნდაც რამდენიმე ადამიანის შეკავშირება, ან ერთი ინიციატივიანი ადამიანის პოვნა – მცირე მოცულობის პროექტების განხორციელებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ 2000-2010 წლებში შექმნილი სათემო ჯგუფების დიდი ნაწილი დღეს შეიძლება აღარ მოქმედებს, ეს იყო აუცილებლად გასავლელი ეტაპი და სწორედ იმუამინდელმა ძალისხმევამ შექმნა ერთგვარი ფონი თვითორგანიზებული ჯგუფების გაჩენის და სათემო ცხოვრების განვითარების შემდეგი ტალღისათვის, რომელსაც პირობითად 2010 წლიდან ავითვლით.

სათემო განვითარებაზე მიმართული პროგრამები

დაახლოებით 2010 წლიდან ჩნდება პირველი მცდელობები დაგროვილი გამოცდილების, შეცდომებისა და წარმატებების მიზეზების მეტ-ნაკლებად კოორდინირებული და კრიტიკული ანალიზისა, სხვადასხვა ეროვნული ორგანიზაციაც, წინა პერიოდის გამოცდილებაზე დაყრდნობით, უკვე თავად შეიმუშავებს თემთან მუშაობის ეფექტიან მიდგომებს, და ეს ყოველივე განვითარების შემდგომი ეტაპის საქმიანობას უფრო წარმატებულს ხდის.

ერთ-ერთი საინტერესო პროცესი, რომელიც ამ პირობით მესამე ეტაპის დასაწყისს უკავშირდება, არის არარეგისტრირებული ორგანიზაციის, სათემო განვითარების კოალიციის (Community Development Coalition – CoDeCo) შექმნა 2011-

2012 წლებში.[5] მაშინ დღის წესრიგში იდგა სწორედ კონკრეტული დონორი ორგანიზაციების (BfdW/EED) პარტნიორებს შორის თემთან მუშაობის კუთხით დაგროვილი გამოცდილების ურთიერთგაზიარების საკითხი.

გამოცდილების გაზიარებისას ნათლად გამოიკვეთა, რომ სათემო მობილიზების საკითხებზე მუშაობისას, სახელმწიფო, საზოგადოებრივი და სათემო ორგანიზაციები ერთგვაროვან პრობლემებს აწყდებიან მთელი საქართველოს მასშტაბით: ადგილობრივი მოსახლეობის პასიურობა, ინიციატივის/ინიციატორების სიმცირე, ერთგვარი უნდობლობა მიმდინარე საზოგადოებრივი პროცესებისა და სათემო ლიდერის მიმართ, სუსტი ადგილობრივი დემოკრატია და თვითორგანიზების, აქტივიზმის დაბალი მაჩვენებელი. თემის დონეზე პრობლემური იყო ზოგადად, რაიმე ტიპის გაერთიანებისა და ინტერესთა ჯგუფის ფორმირება, ადამიანების, თანამოაზრეთა შეკავშირება საერთო იდეის გარშემო. აღნიშნული პრობლემებით განსაკუთრებით სწორედ 2000-ანი წლების პირველი ნახევარი გამოირჩეოდა.[6] ამ საკითხების შესაბამისად, სამუშაო ჯგუფმა, გარდა უბრალოდ გამოცდილების გაზიარებისა, ისეთ საკითხებზე იმსჯელა, როგორებიც იყო თემთან მუშაობის არსებული მეთოდოლოგიების და მიდგომების გააზრება, წარმატებული და წარუმატებელი მაგალითების აღწერა, ასევე, ძირითად ცნებებზე, ტერმინოლოგიასა და ეფექტიან სამუშაო მიდგომებზე შეთანხმება და სხვ. კოალიციამ ასევე იმსჯელა მთელი რიგი ტერმინების განმარტებებზე, მათ შორის, შეიმუ-

[5] კოალიციამ 2010-2012 წლებში გააერთიანა თემის განვითარების საკითხებზე სხვადასხვა მიდგომით და მეთოდოლოგიით მომუშავე ცხრა ეროვნული ორგანიზაცია, რომლებიც შესაბამის პროგრამებს გერმანული ორგანიზაციების, BfdW და EED-ს (დღეს BfdW) დახმარებით ახორციელებდნენ. 2010-2014 წლებში CoDeCo-ში გაერთიანებული ორგანიზაციები იყვნენ: კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი - კავკასიური სახლი/სათემო განვითარების ცენტრი (CDC), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“, კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (CTC), კავშირი რეა, იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია - „თანხმობა“ და საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაცია (AEAG), კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN).

[6] თითქმის ორწლიანი სამუშაო პროცესის შედეგად, მომზადდა და გამოიცა თემთან მუშაობის და თემის განვითარების დამხმარე სახელმძღვანელო (2012 წ.), თემის განვითარების კოალიცია.

შავა თემისა და განვითარებული თემის დეფინიციები, რომლებსაც სამუშაო პროცესში დღემდე ეყრდნობიან კოალიციის წევრი ორგანიზაციები.[7]

მართალია, კოალიციის მუშაობაში თემის განვითარების საკითხებზე საქართველოში იმხანად მომუშავე ყველა ორგანიზაცია არ მონაწილეობდა, თუმცა რვა ორგანიზაციის გამოცდილების განზოგადება მაინც შეიძლება მივიჩნიოთ იმჟამინდელი ძირითადი ტენდენციების გამოვლენად.

2019-2020 წლებისათვის, საქართველოში მოქმედი დაახლოებით 120 სათემო ორგანიზაციის დიდი ნაწილი, სწორედ 2010 წლის შემდეგ არის შექმნილი. მათი შექმნა და ძირითადი სამუშაო თემატიკა, გარკვეულწილად, ისევ გარე პარტნიორების და დონორების სტრატეგიული მიზნების შესაბამისად განისაზღვრება. მაგალითად, ქალთა თვითორგანიზებული ჯგუფების სიმრავლე აიხსნება სწორედ ქალთა გაძლიერებაზე მიმართული პროგრამების სიმრავლით მოცემულ პერიოდში და ა.შ. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს პერიოდი, წინასაგან განსხვავებით, გამოირჩევა არაერთი თვითორგანიზებული, განსაკუთრებით, ახალგაზრდული ჯგუფის გაჩენით, რომლებიც საქმიანობას გარე პარტნიორების გარეშე, საკუთარი ინიციატივით იწყებდნენ. ეს ფაქტი საქართველოში სათემო განვითარების მნიშვნელოვან, თუმცა არასაკმარის შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ და აღვნიშნოთ, რომ 2000-იანი წლების დასაწყისში მსგავსი თვითორგანიზება ხშირად სრულიად წარმოუდგენელი იყო.

შეჯამების სახით შეიძლება ვთქვათ, რომ მიუხედავად არაერთი დაბრკოლებისა და პროცესის თანმხლები სირთულეებისა, წლების მანძილზე მუშაობას, სხვადასხვა ორგანიზაციის ძალისხმევას, უშედეგოდ არ ჩაუვლია: დღეისათვის საქართველოში საკმარისი გამოცდილება დაგროვდა, შემუშავდა და

[7] უახლესი ისტორიის და განვითარების პროცესების კვლევის თვალსაზრისით, CoDeCo -ს სამუშაო დოკუმენტაციამ, შეხვედრების ოქმებმა და ანგარიშებმა ძალიან ფასეული ინფორმაცია აღნუსხა და შეინახა, რაც, საჭიროების შემთხვევაში, დიდად წაადგება დაინტერესებულ მკვლევრებს.

დაინერგა თემთან მუშაობის სხვადასხვა ინსტრუმენტი, განისაზღვრა არაფორმალური განათლების, რეალურად მოქმედი ადგილობრივი თვითმმართველობის და სამოქალაქო ინიციატორების მნიშვნელოვანი როლი ამ პროცესებში. ასევე, ამავე პერიოდში გაწეული ძალისხმევის მთავარი შედეგი, ადგილებზე მოქმედი სათემო ორგანიზაციები, სათემო და სამოქალაქო ინიციატორები (აქტივისტები), ლიდერები, ცვლილებების აგენტები, ინტერესთა ჯგუფები არიან, რომელთა საქმიანობაც ადგილებზე საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებას უკავშირდება და ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებას უწყობს ხელს.

სათემო ცხოვრების განვითარების შემდეგი ეტაპის ათვლას 2020-ით და პანდემიის პერიოდით ვიწყებთ. სწორედ პანდემიის და თანმდევი მძიმე რეგულაციების დროს, არაერთმა ინიციატივამ და სათემო თვითორგანიზებისა და სოლიდარობის ძალიან მაღალმა კულტურამ იჩინა თავი. ახლა სამომავლო დაკვირვების საკითხია, როგორ განვითარებას ჰპოვებს ეს ინიციატივები, და ზოგადად, მომდევნო ეტაპის მიზანი, სხვადასხვა მხარის მიერ, არსებული სათემო ჯგუფების გაძლიერება და ახალი ჯგუფების გაჩენისათვის უფრო ხელსაყრელი გარემოს შექმნისათვის კოორდინირებული და უწყვეტი შრომა შეიძლება იყოს.

კვლევის შესახებ: იდეა, პრეისტორია

ზემოხსენებული თვითორგანიზების ფორმებისა და მაგალითების ისტორიული კვლევა, თავის მხრივ, საფუძვლად დაედო უფრო ფართო კვლევით პროექტს – „თემის თვითორგანიზების გამოცდილება საქართველოში. ისტორიული რაკურსი და თანამედროვე გამოწვევები“ და იქცა კვლევის – „საქართველოში, 2019-2020 წლებში მოქმედი სათემო ჯგუფების აღწერა და შესწავლა“, ინსპირაციად.

წინამდებარე კვლევამ ამ ეტაპზე ორი ძირითადი ამოცანა დაისახა: 2019-2020 წლებში სოფლებისა და მცირე დასახლებების დონეზე მოქმედი საზოგადოებრივი ჯგუფების არსებული ბაზის გადამოწმება და დაზუსტება და ამ ჯგუფების სტრუქტურის, სამუშაო გარემოს და მათ წინაშე მდგარი პრობლემების შესწავლა. წინასწარ, სოციოლოგების და სათემო მობილიზატორების ჩართულობითა და კონსულტაციით შემუშავებული კითხვარი, სწორედ ამ საკითხების შესახებ ეცადა პასუხების მიღებას.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მეთოდოლოგია ეფუძნება რაოდენობრივ მიდგომას. იმის გათვალისწინებით, რომ წინამდებარე კვლევა არის საქართველოში სათემო ორგანიზაციების ერთ-ერთი პირველი სისტემური აღწერისა და შესწავლის მცდელობა, კვლევის მეთოდად შეირჩა აღწერის მეთოდი, როდესაც ხდება კვლევითი პოპულაციის სრული აღწერა [ეგრეთწოდებული 100%-იანი გამოკითხვის პრინციპი].

თავდაპირველად დაგეგმილი იყო პირისპირ ინტერვიუების ჩატარება თითოეული ორგანიზაციის წარმომადგენელთან, თუმცა 2020 გაზაფხულზე პანდემიის გავრცელებით გამოწვეული შეზღუდვების გამო, მოხდა გამოკითხვის მეთოდის მოდიფიცირება და სათემო ორგანიზაციების ნაწილს კითხვარი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დაეგზავნათ, და შესაბამისად, კვლევის მეორე ეტაპზე გამოვიყენეთ ონლაინ ანკეტირების მეთოდი. პირისპირ გამოიკითხა 71, ხოლო ელექტრონული ფოსტის მეშვეობით 24 სათემო ჯგუფის წარმომადგენელი.

კვლევა დაეყრდნო თემის გეოგრაფიულ გაგებას, კერძოდ, საქართველოს თემის განვითარების კოალიციის მიერ, 2010-2011 წლებში შემუშავებულ განმარტებას: **„თემი, ეს არის განსაზღვრულ გეოგრაფიულ არეალში მცხოვრებ ადამიანთა ერთობა, რომლებიც საერთო სოციალურ-ეკონომიკურ და**

კულტურულ პირობებში იმყოფებიან და აქვთ მსგავსი ინტერესები, პრობლემები და საჭიროებები“.

რაც შეეხება სათემო ორგანიზაციას/ჯგუფს, ამ კონკრეტული კვლევის ფარგლებში იგულისხმებოდა: **სამოქალაქო კოდექსის მიერ რეგისტრირებული არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი ან არარეგისტრირებული საინიციატივო ჯგუფი, რომლის მოქმედების არეალი განისაზღვრება დასახლებით, სადაც მოსახლეობის რაოდენობა არ აღემატება 10000 მცხოვრებს და რომლის საქმიანობაც ორიენტირებულია ზოგადად ადგილობრივი მცხოვრებლების, თემის ანდა კონკრეტული თემის – ინტერესთა ჯგუფის კეთილდღეობასა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაზე.**

კვლევის პირველ ეტაპზე (2019 წლის სექტმბერი) მოვიძიეთ საქართველოში რეგისტირებული და რეგიონებში მოქმედი არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირების ან არარეგისტრირებული სათემო ჯგუფების სიები. ასეთი სიები ხელმისაწვდომია იმ ორგანიზაციების ბაზებში, რომლებიც ზოგადად, სამოქალაქო საზოგადოების ორგნიზაციების ან უშუალოდ – სათემო ჯგუფების განვითარებაზე მუშაობენ.[10]

საველე კვლევა (პანდემიის შეზღუდვების გათვალისწინებით) მოიცავდა პერიოდს 2019 წლის ოქტომბრიდან – 2020 წლის დეკემბრამდე.

მოძიებულ და შეჯერებულ პირველად სიაში ასახული იყო, რეგიონებში მოქმედი 240-მდე საზოგადოებრივი ჯგუფი. პირველ ეტაპზე ჯგუფები შევარჩიეთ სამხარეო და მუნიციპალური ნიშნით. შესაბამისად, თითო მხარეში გასვლის წინ, ხდებოდა იმ გეოგრაფიულ არეალში მოქმედ ჯგუფებთან დარეკვა და გამოკითხვის დაგეგმვა.

---

[8] თემთან მუშაობა და თემის განვითარება, დამხმარე სახელმძღვანელო. სათემო განვითარების კოალიცია, 2012 წელი.

[9] განმარტება CSRDG/CDC-მა თემის განვითარების კოალიციის ზოგად სამუშაო დოკუმენტაციაზე დაყრდნობით შეიმუშავა.

[10] მაგ. CSRDG, CSI.

კვლევის ფარგლებში ვცადეთ დაკავშირება 240-ივე ორგანიზაციასთან, სიებში მითითებულ ტელეფონის ნომრებზე. მათგან:

- 20-მდე ორგანიზაციასთან დაკავშირება ვერ მოხერხდა მითითებულ საკონტაქტო ნომერზე და ვერც ინტერნეტის მეშვეობით გახდა შესაძლებელი მათ შესახებ რაიმე ინფორმაციის მოძიება;
- 80-მდე ორგანიზაციამ გვითხრა, რომ აღარ მუშაობს[11] ან დროებით აქვს შეჩერებული მოქმედება.
- 20-მდე ორგანიზაციამ ვერ დააკმაყოფილა კვლევის გეოგრაფიული ან დემოგრაფიული დათქმა ან იყო 2020 წელს შექმნილი და საქმიანი გამოცდილების არქონის გამო ვერ პასუხობდა კითხვარს.[12]

შესაბამიდად, დარჩენილი 120-დან, პირისპირ (71) ან ელექტრონულად (24) გამოიკითხა 95 ორგანიზაცია (15-მა თავი აარიდა კვლევაში მონაწილეობას, 10 კი შეგვპირდა ელექტორნული ანკეტის შევსებას, მაგრამ არ შეავსო), რაც უზრუნველყოფს 4.02 % დასაშვები ცდომილების ზღვარს, 95%-იანი სანდოობის დონით.

---

[11] გაუქმების პასუხით, რაოდენობრივად ლიდერობდა გორის მუნიციპალიტეტი (15) და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი (27); მიუხედავად იმისა, რომ ამა თუ იმ ჯგუფის საქმიანობის შეჩერების მიზეზების გამოვლენა მოცემული კვლევის მიზანი არ ყოფილა, მკვლევართა ჯგუფი სატელეფონო საუბრის დროს მაინც სვამდა ამ შეკითხვას და სათემო ჯგუფების საქმიანობის შეჩერების/გაუქმების მიზეზებში სჭარბობდა პასუხი - „დაფინანსების არქონა“ ან „პროგრამის დასრულება“. საინფორმაციო სიცარიელე, ჯერ კიდევ შეიძლება ცოტა მაინც ამოივსოს, თუკი, მაგალითად, აწ უკვე გაუქმებული ორგანიზაციების თუნდაც ნაწილის სატელეფონო გამოკითხვა ჩატარდება და დადგინდება: მათი რეგისტრაციის წელი და ჯუფის შექმნისა და გაუქმების მიზეზები. ამგვარი გამოკითხვით შესაძლებელი გახდებოდა, წარსულში არსებული ვითარების გარკვეული რეკონსტრუქცია და მსგავსი ჯგუფების განვითარების პროცესების ულეთ გაანალიზება.

[12] ამ ორგანიზაციების შესახებ ინტერნეტშიც ძალზედ მწირი ინფორმაცია მოიპოვება და შესაძლოა მათაც მეტ-ნაკლებად შეჩერებული ჰქონდეთ მუშაობა.

კვლევის ძირითადი საკითხები შეეხებოდა:

- რამდენი სათემო ჯგუფი მოქმედებს დღეს საქართველოში?
- როგორია მოქმედი ჯგუფების ორგანიზაციული სტრუქტურა? (დაარსების (დაფუძნება/რეგისტრااცია) წელი, შექმნის მოტივაცია, აქტიურ წევრთა რაოდენობა, ასაკი, გენდერული შემადგენლობა.)
- რა ძირითადი მიმართულებებით მუშაობენ სათემო ჯგუფები და რა რესურსებით? (ჯგუფის სამუშო სფეროები, უკანასკნელ წლებში განხორციელებული პროექტების რაოდენობა, ძირითადი დაფინანსების წყაროები და საშუალო წლიური ბრუნვა, სამუშაო სივრცის შესახებ ინფორმაცია. ჯგუფში მოხალისეობისა და თემთან ანგარიშგების საკითხები; ჯგუფის თვითშეფასება სხვადსხვა კრიტერიუმით.)
- როგორია მათი ურთიერთობები ადგილობრივ ხელისუფლებასთან?

კვლევის შეზღუდვები

კვლევის შეზღუდვას წარმოადგენს ის, რომ სხვადასხვა მიზეზის (პანდემიის შეზღუდვები საკონტაქტო ან ზოგადი ინფორმაციის მოძიების შეუძლებლობა ან უარი კვლევაში მონაწილეობაზე) გამო ვერ მოხეხდა, 2019-2020 წელს სიაში არსებულ დაახლოებით 35 ორგანიზაციასთან დაკავშირება (20) ან მათი კვლევაში ჩართვა (უარის გამო 15).

- აღნიშნულის გამო უნდა ჩაითვალოს, რომ ჩვენს მიერ შედგენილი, 2019-2020 წლებში მოქმედი სია სრულყოფილი არ არის და მას შესაძლოა აკლდეს ინფორმაცია საშუალოდ 20-მდე სათემო ჯგუფზე.
- ამის მიუხედავად, მიღებული შედეგები მაინც რელევანტურია და ასახავს სათემო ჯგუფებისა და მათი სამოქმედო გარემოს შესახებ ძირითად ტენდენციებს მოცემული პერიოდისათვის.

ზოგადად, სათემო ჯგუფების შექმნა და გაუქმება, საქართველოში სხვადასხვა მიზეზის გამო საკმაოდ დინამიური პროცესია. როდესაც ჩვენ კვლევის ფარგლებში დავასრულეთ ქვემო ქართლის სათემო ჯგუფების აღწერა და სხვა მხარეში განვაგრძეთ მუშაობა, იქ შემდგომ გაჩნდა ახალი ინიციატივები. ხოლო, კახეთში ჩვენს მიერ აღწერილი ჯგუფების ნაწილმა მოქმედება შეაჩერა.

სათემო ჯგუფების სამოქმედო არეალი, გამოცდილება და შექმნის მოტივაცია

საქართველოში ყველაზე მეტი მოქმედი სათემო ჯგუფი (32.6%) კახეთშია. მეორე ადგილზეა სამეგრელო (14,7 %). შემდეგ მოდის ქვემო ქართლი (11.6%), მცხეთა-მთიანეთი (10,5%), სამცხე-ჯავახეთი (9,5%), შიდა ქართლი (8,4%), გურია (7,4%), სვანეთი (3,2%), იმერეთი (2,1%).

თავის მხრივ, კახეთში სათემო ჯგუფების ყველაზე დიდი წილი ახმეტის მუნიციპალიტეტზე მოდის (11,6%).[13] ამგვარი დატვირთვა, შესაძლოა, სხვადასხვა მიზეზით იყოს განპირობებული: წლების მანძილზე კახეთი საერთაშორისო და ეროვნული ორგანიზაციების მუშაობისათვის პრიორიტეტულ რეგიონად რჩებოდა, სადაც განვითარების პროგრამები ხორციელდებოდა და ეს განსაკუთრებით სწორედ ახმეტის მუნიციპალიტეტზე და კერძოდ, პანკისის ხეობაზე შეიძლება ითქვას; ან ის, რომ სხვადასხვა ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციის რეგიონული ფილიალია კახეთში წარმოდგენილი, რაც უზრუნველყოფს ადგილზე უფრო მჭიდრო თანამშრომლობას სხვადასხვა ჯგუფთან და ინიციატივასთან, მათ შორის, კონსულტაციების გაწევის მიზნით; ასევე, კახეთში მოქმედებს არაერთი ძლიერი ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელთა პროგრამებს გავლენა აქვს სათემო ინიციატივებზეც. ეს გარემოებები, შესაძლოა, განვიხილოთ ერთგვარ ხელშემწყობ ფაქტორებად ამა თუ იმ მხარეში სათემო

[13] კახეთშივეა თავმოყრილი ე.წ. პირველი და მეორე თაობის ყველაზე მეტი სათემო ჯგუფიც (დაფუძნების წელი 1995, 2002, 2005 და ა.შ.).

თვითორგანიზების წახალისებისათვის, რადგან, ერთი მხრივ, გადამდებია კარგი მაგალითები, მეორე მხრივ კი, სხვადასხვა ფაქტორის თანხვედრა ქმნის უფრო ხელსაყრელ გარემოს ამა თუ იმ პროცესის წარმართვისათვის.

ცხადია, სიღრმისეულმა კვლევამ, შესაძლოა, ამ მხარეში სათემო ჯგუფების სიმრავლის სხვა მიზეზებიც გამოავლინოს. თუმცა, დაკვირვება აჩვენებს, რომ იმ მუნიციპალიტეტებში თუ მხარეებში, სადაც სხვადასხვა მიზეზის გამო (ეროვნული უმცირესობები, კონფლიქტის ზონა, თბილისთან სიახლოვე და სხვ.) უფრო მეტმა ეროვნულმა თუ საერთაშორისო პროგრამამ იმუშავა – მეტი ადგილობრივი საინიციატივო ჯგუფი არსებობს. ასევე, დაკვირვება აჩვენებს, რომ იმ სოფლებსა თუ თემებში, სადაც სხვადასხვა პერიოდში იმუშავა რომელიმე საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ ამა თუ იმ განვითარების პროგრამით, როგორც წესი, მზაობა ახალი პროექტების და ინოვაციების მიმართ, უფრო მაღალია, ვიდრე იქ, სადაც აქამდე არავის უმუშავია. ცხადია, არსებობს უარყოფითი გამოცდილებებიც იქ, სადაც განვითარების პროგრამამ ბევრი შეცდომა დაუშვა და ამით ადგილობრივი მოსახლეობის ნდობა მსგავსი პროგრამების ან ორგანიზაციების მიერ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა.

ამჟამად (2019-2020 წლის მდგომარეობით) მოქმედი სათემო ჯგუფების დიდი ნაწილი (66 ორგ.) 2010-2020 წლებში შეიქმნა და აქ შედის როგორც ახალგაზრდული თვითორგანიზებული ჯგუფები, ისე სხვადასხვა პროგრამის დახმარებით მობილიზებული ქალთა საინიციატივო ჯგუფები თუ თვითორგანიზებული ჯგუფები მთის რეგიონებში. გასული პერიოდიდან (2000-2010 წწ.) დღემდე მოქმედია 25-ზე მეტი ჯგუფი და შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სულ ცოტა ერთმა ამდენმა დღემდე ვერ მოაღწია. დაახლოებით 2025 წლისათვის მოქმედი სათემო ჯგუფების ბაზა თუ გადამოწმდება, უფრო მეტად შევძლებთ შექმნა-გაუქმების დინამიკაზე დაკვირვებას და მიზეზების ძიებას.

ჩვენთვის საინტერესო იყო, ასევე, სათემო ჯგუფების მიერ საქმიანობის დაწყების/შექმნის მოტივაციის საკითხი. ამ შეკითხვას უპასუხა 93-მა რესპონდენტმა და მათგან 39 ორგანიზაციისთვის შექმნის მიზეზი გახდა გარე შესაძლებლობა (არასამთავრობო ან საერთაშორისო ორგანიზაციის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა სათემო ჯგუფის შექმნას და მობილიზაციის ელემენტებს, ან გამოცხადებული საგრანტო პროგრამა, რომელშიც მონაწილეობა სწორედ სათემო ჯგუფებს შეეძლოთ), 32 ორგანიზაციისთვის წამყვანი იყო საკუთარი და თანამოაზრეთა წრის სურვილი, დაეწყოთ თვითმოქმედება, მიუხედავად გარემო ფაქტორებისა და შესაძლებლობებისა, ხოლო 22 ორგანიზაციისთვის პირადი თუ თანამოაზრეთა სურვილი და გარე შესაძლებლობები თანაბარმნიშვნელოვან მოტივაციად განიხილება. ანუ, მათ უნდოდათ დაეწყოთ სოფლად სხვადასხვა ცვლილებისთვის მუშაობა, ხედავდნენ თვითორგანიზების აუცილებლობას და ამას დაემთხვა გარემოში შექმნილი ესა თუ ის შესაძლებლობა, რამაც ჯგუფის ლიდერს/ლიდერებს გადაწყვეტილების მიღება გაუადვილა.

გარე შესაძლებლობებში, რაც საგრძნობლად განსაზღვრავს სათემო აქტივიზმის წამოწყებას და აქვს წამახალისებელი ეფექტი, მოიაზრება სხვადასხვა საზოგადოებრივი/საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, ამა თუ იმ რეგიონში თემის მობილიზაციის პროგრამის განხორციელება, რომელიც მოიცავს: სწავლებას, კონსულტაციას და მცირე დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას. ეს მიდგომა (ყველა კომპონენტის გათვალისწინებით) იკვეთება საკმაოდ ეფექტიან მიდგომად არა მხოლოდ კონკრეტული ჯგუფების გაძლიერებისთვის, არამედ, პირველ რიგში, სწორედ ისეთი გარემოს შექმნისთვის, რომელიც სათემო აქტივიზმს წაახალისებს. მნიშვნელოვანი მიდგომაა ასევე, არაფორმალური განათლების მაქსიმალური ხელმისაწვდომობა სათემო დონეზე და სათემო ლიდერების კომპეტენციების გაუმჯობესება. როგორც წესი, სწორედ ეს სათემო ლიდერები ხდებიან შემდეგ ადგილზე სათემო ჯგუფის შექმნის ინიციატორები, იქნება ეს ერთჯერადი ჯგუფები კონკრეტული პრობლემის მოგვარების გარშემო თუ უფრო გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული სათემო ინიციატივები.

აღსანიშნავია, რომ სამომავლოდ, სასურველია მეტი ყურადღება დაეთმოს სათემო განვითარების პროგრამების განხორციელებას იმ რეგიონებში, რომლებიც სოფლად მოქმედი ორგანიზაციების სიმცირით გამოირჩევა. ასევე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია იმ ჯგუფების განსაკუთრებული მხარდაჭერა (ტექნიკური, ფინანსური), რომლებიც საკუთარი ინიციატივით შეიქმნა, გარემო პირობების მიუხედავად (32 ორგ), და ხშირად ცოდნის, ფინანსების და სხვა საჭიროებების განსაკუთრებულ დეფიციტს განიცდიან.

სათემო ჯგუფების სტრუქტურა

წევრთა რაოდენობა: სათემო ჯგუფების უფრო დიდ ნაწილში, კერძოდ, 48,4%-ში, აქტიურ წევრთა რაოდენობა არ აღემატება 5 ადამიანს; 5-10-მდე წევრი ჰყავს 29,5%-ს, ხოლო 10-ზე მეტს ასახელებს 22,1%. რეალურად, სათემო ჯგუფებში აქტიურ ადამიანთა რაოდენობა 1-3-მდე მერყეობს და დიდწილად არის დამოკიდებული პიროვნებაზე, კონკრეტულ სათემო ლიდერზე, რომელიც თავის გარშემო თანამოაზრეთა მცირე ჯგუფის შემოკრებას ახერხებს. სამომავლოდ, სათემო ჯგუფების განვითარების მხარდაჭერა სასურველია მოიცავდეს მათი თანამოაზრეთა წრის გაფართოებაზე მიმართულ ღონისძიებებსაც და ზოგადად, მისასალმებელია მსჯელობა ამ მხრივ შესაძლო ფორმებსა და მიდგომებზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აქტიური წევრების, მოხალისეებისა და თანამოაზრეთა რაოდენობით გამოირჩევა აზერბაიჯანულ თემში შექმნილი თვითორგანიზებული ჯგუფები; მათი მოხალისეთა რაოდენობა ხშირად 50-90 ახალგაზრდას აერთიანებს. ეს ჯგუფები თანამონაწილეობის, ჩართულობის მაღალ კულტურას ქმნიან.

გენდერული და ასაკობრივი შემადგენლობა: გამოკითხულთაგან, 50-ზე მეტ სათემო ჯგუფის საქმიანობაში 75%-ზე მეტი ქალია ჩართული. დანარჩენ ჯგუფებში ჩართულ ქალთა რაოდენობა 50-75% შეადგენს. ანუ, სათემო აქტივიზმში ძირითადად ქალები მონაწილეობენ და ეს გარემოება, სხვა მიზეზთა შორის, შესაძლოა, იმითაც იყოს განპირობებული, რომ სა-

ქართველოს რეგიონებში არაერთი ადგილობრივი ორგანიზაცია და საერთაშორისო პროგრამა მუშაობს სოფლად მცხოვრები ქალების გაძლიერებაზე სხვადასხვა ასპექტით. ხშირად ეს პროგრამები ქალთა ჯგუფების თვითორგანიზებას ითვალისწინებენ და ამით უწყობენ ხელს ადგილებზე თემზე დაფუძნებული აქტივიზმის წახალისებას. რაც შეეხება ორგანიზაციებს, სადაც კაცები სჭარბობენ, ეს არიან ძირითადად მთიან რეგიონებში მოქმედი ან ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად შექმნილი ჯგუფები.

ასაკობრივი შემადგენლობის მიხედვით, ჯგუფები განსხვავებულია; შეიძლება ითქვას, რომ სათემო აქტივიზმში ჩართულია ყველა ასაკის ადამიანი – 20-50 წლამდე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვითორგანიზებული ჯგუფების უმრავლესობა, რომლებიც გარე ფაქტორების გავლენის მიუხედავად შეიქმნა – წარმოადგენენ უფრო ახალგაზრდულ ჯგუფებს.

წევრთა რაოდენობის დინამიკა და მოხალისეთა რაოდენობა: გამოკითხული სათემო ჯგუფების 50,5%-ში წევრთა რაოდენობა იგივეა, რაც დაფუძნებისას იყო, თუმცა, შესაძლოა, შეიცვალა შემადგენლობა; ცვლილება, როგორც წესი, არ ეხება ჯგუფის ლიდერს. წევრთა რაოდენობის ზრდა შეინიშნება მხოლოდ 34,4%-ში (ჩაკითხვისას პროექტების ფარგლებში დაქირავებული პერსონალის ხარჯზეც), ხოლო წევრთა რაოდენობის შემცირება 15,1 %-ში. ეს ტენდენცია შესაძლოა მიუთითებდეს, რომ შიდა ორგანიზაციული დინამიკა სუსტია და ესა თუ ის ჯგუფი იშვიათად ახერხებს თანამოაზრეთა წრის (ძირითადი ბირთვის) გაფართოებას და სათემო იდეის გარშემო ახალი წევრების, თანამოაზრეების შემოკრებას.

არცთუ ისე სახარბიელოა ზოგადი მდგომარეობა სათემო ჯგუფის საქმიანობაში მოხალისეების ჩართვის კუთხით, რაც სათემო აქტივიზმისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია. მწირი ადამიანური და ფინანსური რესურსის პირობებში, სწორედ მოხალისეები შეიძლება იყვნენ ის ძალა, რომელთა დახმარებითაც მცირე სასოფლო/სათემო პრობლემების მოგვარება გახდება შესაძლებელი და გარდა ამისა, ჯგუფს სოფ-

ლის სახელით მოქმედების მეტ ლეგიტიმაციას მისცემს. კითხვაზე, რამდენი მოხალისე ჰყავს სათემო ჯგუფს, რომლებიც ყველანაირი ანაზღაურების გარეშე ერთვებიან სათემო ღონისძიებებში, უპასუხა 95 რესპონდენტმა და მათგან 52,6%-ს 10-მდე მოხალისე ეგულება, რომლებიც ორგანიზაციების მიერ ინიცირებულ ღონისძიებებში ჩაერთვებიან, ხოლო 30-მდე მოხალისეს ასახელებს 31,6%.

სათემო ჯგუფების საქმიანობა

მოქმედი სათემო ჯგუფების ძირითადი სამუშაო მიმართულებები შემდეგია: ახალგაზრდული საკითხები და პროგრამები, არაფორმალური განათლება, გარემოსდაცვა, გენდერული თანასწორობის საკითხები და ა.შ.[14] საინტერესო იქნებოდა ამ მონაცემების შედარება მაგალითად, 2000-2010 წლებში მოქმედი ჯგუფების საქმიანობის სფეროებთან, რაც, სათანადო კვლევის არარსებობის გამო, შეუძლებელია. შედარება საშუალებას მოგვცემდა გაგვეცნობიერებინა, თუ რა საკითხები იდგა მაშინ სათემო ჯგუფების დღის წესრიგში, როგორ შეიცვალა აქცენტები და რა იყო ამ ცვლილებების მიზეზი - იმ საერთაშორისო და ეროვნული ორგანიზაციების დღის წესრიგი, რომლებიც სათემო განვითარების პროგრამებს ახორციელებდნენ, სახელმწიფოს მხრიდან რიგი სფეროების და სერვისების მეტ-ნაკლები მოგვარება და მოწესრიგება თუ სხვა? ზოგადად, იქ სადაც მეტად გამოიკვეთა სახელმწიფოს როლი (მაგ., ინფრასტრუქტურული პროექტები, შშმ პირთა დღის ცენტრები და ა.შ.) უფრო ნაკლებად ერთვებიან სათემო ჯგუფები და ცდილობენ სახელმწიფოს მხრიდან ყურადღების მიღმა დარჩენილ სფეროებზე ფოკუსირებას.

---

[14] ქალთა თემატიკაზე მომუშავე ჯგუფების და ზოგადად, ქალთა სათემო ორგანიზაციების სიმრავლე ალბათ განპირობებულია, ერთი მხრივ, ფონდი „ტასოს“ მრავალწლიანი საქმიანობით ამ სფეროში და ასევე, უკანასკნელ წლებში გაეროს ქალთა განვითარების პროგრამის კონტრიბუციით მიზნობრივ რეგიონებში (სამეგრელო და კახეთი).

შეკითხვაზე, თუ რა საქმიანობების განხორციელებას ახერხებენ სათემო ჯგუფები მეტ-ნაკლები სტაბილურობითა და რეგულარობით, პასუხები ასე გადანაწილდა: 67,37% სისტემატურად ახერხებს მოსახლეობის კონსულტირებასა და ინფორმირებას სხვადასხვა მიმართულებით, 61,05 % – სოფლად არსებული პრობლემების მიტანას ხელისუფლებამდე, 57.89 % სისტემატურად ატარებს სხვადასხვა შეხვედრასა და ტრენინგს. ასევე, რეგულარულ საქმიანობათა რიცხვს განეკუთვნება სოფლად დასუფთავების აქციების ორგანიზება (54,74%), სოფლის საჭიროებების კვლევა (50,53 %) და სხვ.

იკვეთება, რომ სათემო ჯგუფებს აქვთ მაღალი პოტენციალი, იქცნენ ერთგვარ შუამავალ რგოლად სოფელსა და მუნიციპალურ ხელისუფლებას შორის, კერძოდ, სულ ცოტა, ყოველწლიურად იკვლიონ სოფლის პრობლემები, საჭიროებები; გამართონ შეხვედრები ამ პრობლემების ირგვლივ და მიიტანონ ისინი ადგილობრივ ხელისუფლებამდე; სასურველი იქნებოდა, ჯგუფების კვლევითი უნარებით უკეთ აღჭურვა.

გარდა ამ შუამავალი ფუნქციისა, იკვეთება სათემო ჯგუფების მნიშვნელოვანი როლი, როგორც არაფორმალური განათლების და საინფორმაციო-საკონსულტაციო სათემო ცენტრებისა. სამსჯელოა, თუ როგორ შეიძლება გაიზარდოს სათემო ცენტრებში არაფორმალური, სათემო განათლების შესაძლებლობები, რა ფორმით შეიძლება თანამშრომლობა სათემო განათლების ცენტრებთან (Dvv International), რა მოდულების დანერგვა და ა.შ. რაც შეეხება კონსულტაციებს - სათემო ჯგუფების წარმომადგენლები, შესაძლოა, უკეთ გადამზადდნენ ამ მიმართულებით (მოქმედი სახელმწიფო პროგრამები, მცირე პროექტების წერა და სხვ.) და მოემსახურონ სოფლის მცხოვრებლებს, რასაც უმეტესობა ისედაც აკეთებს. სათემო ორგანიზაციების გაძლიერება და მხარდაჭერა ზემოთ თქმული მიმართულებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია.

წლიური ბრუნვა, დაფინანსების ძირითადი წყაროები, ფინანსებზე ხელმისაწვდომობა (განხორციელებული პროექტები)

წლიური ბრუნვა: გამოკითხული სათემო ჯგუფების (95-დან 86 პასუხი) 80%-ის წლიური ბრუნვა 20 000 ლარს არ აღემატება. აქედან 34,4%-ს მხოლოდ 5000 ლარამდე აქვს წლიური დაფინანსება და დანარჩენ 45,3%-ს კი 5-დან 20 000 ლარის ფარგლებში. 20 000 ლარზე მეტი შემოსავალი აქვთ უფრო გამოცდილ და „ხანდაზმულ" ჯგუფებს, რომლებიც ხშირად ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციის (CSO) ნიშნებს უფრო ატარებენ, ვიდრე სათემო ორგანიზაციებისა (CBO), ანუ სათემო დონიდან ისინი უკვე ძლიერ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებად ყალიბდებიან.

აღსანიშნავია, რომ ჯგუფების 9,3% საერთოდ არა აქვს გარე დაფინანსება. ეს ჯგუფები არიან ძირითადად თვითორგანიზებული, ახალგაზრდული და შედარებით ახალი 1-2 წლის გამოცდილების მქონე ჯგუფები, რომლებიც მოხალისეობრივად ახორციელებენ მთელ რიგ მცირე მასშტაბის ღონისძიებებს, თუმცა მათ საქმიანობას არა აქვს სტაბილური ხასიათი და ფრაგმენტულობით გამოირჩევა. ამ ჯგუფების მეტად ჩართვა სათემო პროგრამებში მისასალმებელი იქნებოდა.

ჯგუფების დაფინანსების ძირითად წყაროს (71,0%) საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები წარმოადგენს (რომლებსაც, თავის მხრივ, საერთაშორისო დონორების დაფინანსება აქვს); 41% ასევე ასახელებს საერთაშორისო ფონდებს როგორც მთავარ წყაროს, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მათ პირდაპირ მიუწვდებათ ხელი საერთაშორისო ფონდების საგრანტო დაფინანსებაზე; არცთუ იშვიათად, აქ იგულისხმება შემთხვევა, როდესაც საერთაშორისო დონორი დაფინანსებას ახორციელებს ეროვნული საზოგადოებრივი ორგანიზაციის გავლით და სწორედ ამ საგრანტო მექანიზმში არიან ჩართულები ესა თუ ის სათემო ჯგუფები.

საერთაშორისო საგრანტო პროგრამებზე წვდომა სათემო ჯგუფების დიდ გამოწვევად რჩება. მაგალითად, ელექტრონული გამოკითხვების დროს, წინამდებარე კვლევის მკვლევართა გუნდს პრობლემა შეექმნა იმის გამო, რომ სათემო ჯგუფების ნაწილი სათანადოდ არ ფლობს ინტერნეტ-კომუნიკაციის უნარებს და ვერ იყენებს ელექტრონულ ფოსტას; ამას უმრავლეს შემთხვევაში ემატება ჯგუფის წევრთა მიერ ინგლისური ენის არცოდნა და ეს ორი გარემოება, სხვა გარემოებები რომ აღარ გავითვალისწინოთ, საკმარისია იმისთვის, რომ სათემო ჯგუფს პირდაპირ არ მიუწვდებოდეს ხელი საერთაშორისო ფონდების (მათ შორის, საქართველოში მოქმედ) დაფინანსებაზე.

რაც შეეხება მუნიციპალიტეტის მხრიდან დაფინანსების შემთხვევებს (44,0%), ეს ძირითადად არის ან თანადაფინანსების მექანიზმი ან ტექნიკური დახმარება, რადგან ამ თანადაფინანსებას სხვადასხვა დონორი ორგანიზაცია ითხოვს. ეს ტენდენცია აუცილებლად უნდა შენარჩუნდეს, რადგან, შესაძლოა, სწორედ ეს მოთხოვნაა ის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რის გამოც სათემო ჯგუფი საერთოდ ამყარებს ურთიერთობას ადგილობრივ ხელისუფლებასთან, ცდილობს მის დარწმუნებას და იკვეთება დიალოგის ნიშნები, რაც აუცილებელია სოფლის დონეზე მუშაობის პროცესში და, შესაძლოა, გრძელვადიან პერსპექტივაში ზოგადად, სექტორებს შორის თანამშრომლობის კულტურის გაუმჯობესებაზე აისახოს დადებითად.

გამოკითხული ჯგუფების 20% დაფინანსების წყაროდ ასახელებს შემოწირულობას და ქველმოქმედებას; თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამას, როგორც წესი, არ აქვს სისტემატური ხასიათი, არამედ ერთჯერადი ან, იშვიათად, პერიოდული, და სტაბილურ შემოსავლის წყაროდ ნაკლებად შეიძლება განვიხილოთ. ზოგადად, ის, თუ როგორ შეიძლება გაიზარდოს ეს კომპონენტი (სათემო პრობლემების მოგვარებაში შემოწირულობებისა და ქველმოქმედების წილი), მეტ ფიქრსა და მსჯელობას იმსახურებს. მაგალითად, საინტერესო იქნებოდა საზოგადოებრივი ფონდების მოძიების ისეთი პრაქტიკების და მაგალითების გაზიარება, როგორებიც არის „ცოდნის კაფეს“

კამპანია „დადე შენი აგური“, ორგანიზაცია ორბელიანი-საქართველოს პლატფორმა – ორბელიანი მეტი და სხვ.

განხორციელებული პროექტების რაოდენობა: მიუხედავად იმისა, რომ შეკითხვა შეეხებოდა ბოლო სამ წელში გარე დაფინანსებით განხორციელებულ პროექტებს, სათემო ჯგუფები აქ მოიაზრებდნენ ღონისძიებებსაც, რადგან პროექტების განხორციელების გამოცდილება ყველას არა აქვს. ამ ვითარების გათვალისწინებით, ბოლო სამ წელიწადში 1-5 პროექტამდე (ღონისძიებამდე) განხორციელებული აქვს ჯგუფების 47, 4%-ს, 5-10 პროექტამდე - 14, 7%-ს, 10-ზე მეტი კი - 34,7%-ს. პასუხი „არც ერთი“ გაგვცა 3,2 %-მა. ამ უკანასკნელში არიან ის ორგანიზაციები, რომლებიც 3 წლის წინ უფრო აქტიურები იყვნენ და ახლა სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური მიზეზის გამო, დროებით ვერ მუშაობენ, თუმცა თავს გაუქმებულად არ მოიაზრებენ და იმედოვნებენ, რომ ისევ გააქტიურდებიან სათემო დონეზე.

ის, რომ ჯგუფი დროებით აჩერებს საქმიანობას, დიდწილად დამოკიდებულია მის ლიდერზე, ერთ ადამიანზე. პრაქტიკა აჩვენებს, რომ თუკი ლიდერს რაიმე პრობლემა შეექმნა და მაგალითად, ჩამოშორდა სათემო ორგანიზაციის საქმიანობას, ასეთ დროს, ხშირ შემთხვევაში, ჯგუფი შეიძლება მთლიანად გაჩერდეს. ეს გარემოება კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ განვითარების ამ ეტაპზე სათემო ჯგუფები ჯერ კიდევ პიროვნებებზე არის დამოკიდებული და ინსტიტუციურად ნაკლებად მყარ ფუნდამენტზე დგანან. თითქმის არ ხდება როტაცია, საქმის გადაბარება და გაგრძელება სხვა პირების მიერ, შიდა დელეგირება, ახალი კადრების და თანამოაზრეების მოზიდვა და მაგალითად, ლიდერის ცვლილება.

ის, რომ საპროექტო დაფინანსების მაჩვენებელი დაბალია, ხშირად, გარე ფაქტორებით, კერძოდ, ამგვარი დაფინანსების შესაძლებლობების სიმცირით, აიხსნება. ჯგუფებთან საუბრისას ჩნდება შთაბეჭდილება, რომ მათ გაცილებით მეტის გაკეთება შეუძლიათ ადგილზე და მზადაც არიან აიღონ თავიანთ თავზე, მიუხედავად ხშირ შემთხვევაში გამოხატული ადამიანური რესურსის სიმწირისა.

თემთან ანგარიშგების კულტურა

სათემო ჯგუფების თემის წინაშე ანგარიშვალდებულებაც ხშირად პროექტებზეა მიბმული. შეკითხვაზე, რამდენად რეგულარულად აბარებს სათემო ჯგუფი ანგარიშს თემს, გამოკითხულთა მხოლოდ 44,6% პასუხობს – „რეგულარულად“ და დასძენს, რომ ანგარიშგება დამოკიდებულია პროექტზე (კონკრეტული პროექტის არსებობისას ხდება მისი წარდგენა დასაწყისში ან ბოლოში). სამომავლოდ საინტერესო იქნებოდა იმის დადგენა, თუ რა ფორმით ხდება ანგარიშგება: პირისპირი შეხვედრებით, კრებების ინიცირებით, საინფორმაციო ფურცლის გავრცელებით და ა.შ. არაერთი ჯგუფი ახსენებს სოციალურ ქსელს, როგორც ანგარიშგების პლატფორმას. ამ შემთხვევაში, ისინი, შესაძლოა, მოიცავენ თემის გარკვეულ ნაწილს, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ სოფლად მცხოვრებ ყველა ჯგუფს.

გამოკითხულთა 25% ამბობს, რომ ანგარიშგების მოტივი დონორების მოზიდვაა. თუმცა, სათემოების იმ ნაწილისთვის, რომელიც რეგულარულად აბარებს თემს ანგარიშს (სხვადასხვა ფორმით), მნიშვნელოვანი და უპირატესი მოტივაცია სწორედ თემის უკუკავშირი და საქმიანობის გამჭვირვალობაა. თემის უკეთ ინფორმირება ჯგუფის მიზნების, გეგმების, პროექტების და ა.შ. შესახებ, ნდობის მოპოვების წინაპირობაა. თემის მხრიდან სათემო ჯგუფის ნდობის გარეშე კი ჯგუფის ლეგიტიმაცია დაბალია. აღსანიშნავია, რომ 2011-2012 წლებში, როდესაც სხვადასხვა შეხვედრაზე იყო მსჯელობა სოფლად, განვითარების პროცესებში არსებულ მთავარ პრობლემებზე, ერთ-ერთ პრობლემად სწორედ სათემო ლიდერების მიმართ მოსახლეობის ნდობის ნაკლებობა სახელდებოდა.

სათემო ჯგუფების საქმიანობის ხელის შემშლელი გარემოებები

სამუშაო სივრცე: ტრადიციულად, ერთ-ერთ მნიშვნელოვან დამაბრკოლებელ გარემოებას სათემო ჯგუფების საქმიანობაში სამუშაო სივრცის, სათემო ცენტრის არარსებობა წარმოადგენს. საქმე ის არის, რომ, სახელმწიფო ქონება დღემდე არ არის სათანადოდ გამიჯნული. მუნიციპალიტეტში არსებული არაერთი შენობა-ნაგებობა ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა და მისი გადმოცემისათვის მთელი რიგი ბიუროკრატიული პროცედურაა გასავლელი. შესაბამისად, ადგილობრივ ხელისუფლებას ამ ქონების შეხედულებისამებრ განკარგვა არ ხელეწიფება. დღეისათვის, მართალია, ქონების ნაწილი მუნიციპალურ საკუთრებაში დაბრუნდა, თუმცა არა სრულყოფილად. ეს გარემოება იმით არის მნიშვნელოვანი, რომ სათემო ორგანიზაციების აბსოლუტურ უმრავლესობას სამუშაო სივრცე სწორედ ასეთ სახელმწიფო შენობებში (სოფლის ადმინისტრაციის შენობა, ყოფილი კლუბის ან კულტურის სახლის შენობა, სოფლის საბავშვო ბაღის შენობა) აქვთ.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხული ორგანიზაციების 57,9%-ს აქვს სამუშაო სივრცე, ხოლო 9,5%-ს მიაჩნია, რომ მხოლოდ ნაწილობრივ ფლობს სამუშაო სივრცეს. აქ უფრო იგულისხმება ის ორგანიზაციები, რომელთაც სამუშაო სივრცე ან მოკლე ვადით აქვთ გადაცემული, ან საკუთარ სახლში აქვთ მოწყობილი, ან საკითხი ბოლომდე გარკვეული არ არის. აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანულ თემში მოქმედი სათემო ჯგუფების უდიდეს ნაწილს სათემო აქტივიზმისთვის სამუშაო სივრცე სწორედ საკუთარ სახლებში აქვს მოწყობილი. თემთან მომუშავე ეროვნული ორგანიზაციების დიდი დამსახურება უნდა იყოს ის, რომ სათემო ჯგუფების უმრავლესობას კეთილმოწყობილი სამუშაო ფართი აქვს, რადგან ეს (თავშეყრის ადგილის არსებობა) თემთან მუშაობის ეფექტიან მიდგომად განიხილება და, შესაბამისად, სივრცის აღჭურვის და კეთილმოწყობის თანხები სწორედ პროგრამულად არის უზრუნველყოფილი.

სამუშაო სივრცე იძლევა საშუალებას ჩატარდეს სათემო ღონისძიებები, სტაბილური ხასიათი ჰქონდეს უშუალოდ ჯგუფის წევრების შეხვედრას, აზრთა გაცვლა-გამოცვლას, მსჯელობას; არსებობდეს ადგილი, სადაც თემის წევრი მივა და მიიღებს კონსულტაციას და სხვ. ეს ოფისები ასრულებენ სათემო ცენტრების ფუნქციას და ხშირად სწორედ დონორების მიერ კეთილმოწყობილ სივრცეებში ტარდება სოფლის კრებაც და სხვა მნიშვნელოვანი სათემო შეხვედრებიც.

აქ იკვეთება შემდეგი პრობლემა: ამა თუ იმ სახელმწიფო შენობაში სათემო ჯგუფებს ოფისი ან ორწლიანი უზუფრუქტით (კანონის მოთხოვნების შესაბამისად) ან სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე აქვთ გადაცემული. სივრცის კეთილმოწყობისთვის ჯგუფები დაფინანსებას ძირითადად დონორებისგან იღებენ. ორწლიანი ხელშეკრულება შეიცავს იმ საფრთხეს, რომ ის შეიძლება არ გაგრძელდეს (მაგ., ჯგუფის მიმართ კეთილგანწყობილი მოხელის შეცვლის შემთხვევაში. ასეთი შემთხვევები ყოფილა); ასევე, ამ ბიუროკრატიული პროცესის გამეორება, ორ წელიწადში ერთხელ, სათემო ჯგუფებისათვის ადვილი არ არის, მწირი ადამიანური და დროის რესურსის ფაქტორიდან გამომდინარე. მეორე მხრივ, არცთუ იშვიათია შემთხვევა, როცა ფართი ჯგუფს მხოლოდ ზეპირი შეთანხმების საფუძველზე აქვს გადაცემული და ეს ურთიერთობა დოკუმენტით არ არის გამაგრებული. დაბალი პოლიტიკური კულტურის ქვეყანაში ასეთი ურთიერთობები შეიძლება განაპირობებდეს სათემო ჯგუფების ერთგვარ „კონტროლს“ და მათი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას. მით უმეტეს, არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ არსებული სტერეოტიპული დამოკიდებულების ფონზე, რომ ყველა „ოპოზიციონერია“; ამ ფაქტორზე არაერთი რესპონდენტი მიუთითებს საუბრისას.

საქმიანობის ხელშემშლელი გარემოებები: ორგანიზაციის სტრუქტურისა და სამუშაო გარემოს კვლევის გარდა, ჩვენთვის საინტერესო იყო იმ დაბრკოლებების გააზრება, რაც სათემო ჯგუფებს ყოველდღიურ საქმიანობაში ხვდებათ. შეკითხვაზე, თემში არსებული დამაბრკოლებელი გარემოებების შესახებ,

უპასუხა 75-მა ჯგუფმა, რამდენადაც ეს შეკითხვა კითხვარს მოგვიანებით დაემატა.

მთავარი დამაბრკოლებელი ფაქტორი, გამოკითხული ჯგუფების აზრით, არის არასაკმარისი დაფინანსება (76,0%). პრობლემას წარმოადგენს, ერთი მხრივ, მიზნობრივი (სათემო დონე) დაფინანსების სიმცირე, ასევე, ინფორმაციის არქონა ამა თუ იმ ფონდის და საგრანტო პროგრამის შესახებ, კონკურენცია უფრო ძლიერ ორგანიზაციებთან, ცოდნის ნაკლებობა საგრანტო განაცხადის შევსებასთან და სხვა საჭირო მოთხოვნებთან დაკავშირებით და, ასევე, ინგლისური ენის ბარიერი, რის გამოც შედარებით განვითარებული სათემო ჯგუფებიც კი ვერ ახერხებენ უშუალოდ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ პროგრამებში მონაწილეობას.

გარდა დაფინანსებისა, არანაკლებ საყურადღებოა ის პასუხები, რომლებიც თემის სიღარიბეს (38,7%), ნიჰილისტურ განწყობებს (49,3%), საქმის ერთად კეთების კულტურის ნაკლებობას (34,7%) და უნდობლობას (24%) ეხება. ერთიანობაში ეს პასუხები საზოგადოებაში არსებულ მძიმე განწყობებზე მიგვანიშნებს, რომელთა ცვლილებას, ცხადია, სოფლად მოქმედი ერთი სათემო ჯგუფი ვერ შეძლებს და სწორედ ამ პრობლემების ფონზე, განსაკუთრებით დასაფასებელია თითოეული სათემო ლიდერის ძალისხმევა, თავის მიკროსამყაროში დადებითი ცვლილებებისთვის იბრძოლოს.

საზოგადოების პოლიტიზებას პრობლემად აღიქვამს გამოკითხულთა 26,7%. გამოკითხვის მიღმა საუბრისას გაცილებით მეტი რესპონდენტი ასახელებდა დაბალი პოლიტიკური კულტურის გამო შექმნილ იმ პრობლემებს, რომლებიც სათემო ჯგუფების საქმიანობაზეც აისახება; მაგალითად, ის, რომ სათემო ჯგუფები, ისევე როგორც მთლიანად არასამთავრობო სექტორი, აღიქმება მუდმივ ოპოზიციად და საკმარისია, ჯგუფის მხრიდან შეკითხვა დაისვას ან რაიმე უკმაყოფილება გამოიხატოს, მას „ჩასაფრებულის“ და „ოპოზიციონერის“ იარლიყი ეკვრება, რაც შემდგომ ხელისუფლებასთან კონსტრუქციულ მუშაობას თითქმის გამორიცხავს. პოლიტიკურად ნეიტრა-

ლური სტატუსის შენარჩუნებისათვის, რაც ბევრი ჯგუფისთვის მოქმედების თითქმის აუცილებელი წინაპირობაა, სათემო ორგანიზაციები იძულებულები ხდებიან, აღარ შეეხონ თემში არსებულ მწვავე და პრობლემურ საკითხებს, რადგან პოზიციის გამოხატვის თანმდევი გართულებები (ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობის დაძაბვა) უარყოფითად აისახება ჯგუფის საქმიანობაზე მთლიანად. ადგილობრივი ხელისუფლების მიერ რიგ მუნიციპალიტეტებში შექმნილი და დანერგილი ეს პოლიტიკური დღის წესრიგი „ჩემიანი" – „სხვისიანი", სათემო ჯგუფებზე ერთგვარი მანიპულაციის საშუალებად შეგვიძლია განვიხილოთ. ამას ემატება ზემოთ აღწერილი ვითარება სათემო ჯგუფების სამუშაო სივრცესთან დაკავშირებით.

სათემო ჯგუფების გარე ურთიერთობები

ქსელური მუშაობა: სათემო ჯგუფებს შორის ქსელური მუშაობის შესახებ შეკითხვას უპასუხა 75 რესპონდენტმა (დამატებითი კითხვარი). მათგან 76% ამბობს, რომ მათ მუნიციპალიტეტებში სხვა მსგავსი სათემო ჯგუფებიც მოქმედებს და მხოლოდ 67% თანამშრომლობს სხვა სათემო ჯგუფებთან. ერთი მუნიციპალიტეტის ფარგლებში მოქმედი ჯგუფები ხშირად ერთმანეთის შესახებ არ ფლობენ საკმარის ინფორმაციას; ჩაკითხვის შემთხვევაში, ადასტურებენ ამა თუ იმ ჯგუფის არსებობას, თუმცა, ჩანს, რომ კავშირი და თანამშრომლობა მათ შორის სუსტია. თანამშრომლობაში, ჯგუფები ხშირად გულისხმობენ ტრენინგებზე ან სხვა ღონისძიებებზე ერთობლივ დასწრებას, მაგრამ ისეთი მუშაობა, როგორიც არის მაგალითად, მუნიციპალიტეტში არსებული საერთო პრობლემების გარშემო შეკავშირება, სტრატეგიული მიზნების დასახვა, ერთობლივი ადვოკატირება და ა.შ., არ შეინიშნება.

სათემო ჯგუფების ურთიერთობები ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებასთან და მათი გავლენები

გამოკითხული სათემო ჯგუფების 72,6%-ს ცენტრალურ ხელისუფლებასთან ურთიერთობა არა აქვს. ასეთ ურთიერთობას ადასტურებს 27.4%; ამ ნაწილიდან 8,1% აღნიშნავს, რომ მათი ურთიერთობა ცენტრალურ ხელისუფლებასთან (სხვადასხვა სამინისტროსთან და ინსტიტუციასთან) არის კარგი, 4,7% – საშუალო და 3,5% – ძალიან კარგი. ეს ორგანიზაციები ძირითადად არიან ის ახალგაზრდული ჯგუფები, რომლებმაც, მაგალითად, სპორტისა და ახალგაზრდობის საგრანტო პროგრამებში მიიღეს მხარდაჭერა და ურთიერთობის დადებითი გამოცდილება დააგროვეს; ან გარემოს დაცვის სფეროში მომუშავე ორგანიზაციები, რომლებიც შესაბამისი სტრუქტურების სხვადასხვა პროგრამაშიც არიან ჩართულები. უმრავლეს შემთხვევაში, სათემო ორგანიზაციების ხმა ცენტრალურ ხელისუფლებას მაინც ვერ სწვდება და, შესაბამისად, ვერც სათანადო გავლენას ახდენს.

მსჯელობის საგანია, უნდა ისმოდეს თუ არა სათემო ჯგუფების ხმა ცენტრალური ხელისუფლების დონეზე და უნდა ჰქონდეთ თუ არა მათ გავლენა გადაწყვეტილების მიღების პროცესებზე? სათემო ჯგუფები ხომ ადგილობრივი და მაქსიმალურად ქვედა დონეზე მოქმედი ორგანიზაციებია და, შესაძლოა, მათი სამოქმედო არეალი ადგილობრივ დონეს, ანუ მუნიციპალიტეტს ან მხარეს არც უნდა სცდებოდეს? ასე იქნებოდა ისეთ ქვეყანაში, სადაც რეალური დეცენტრალიზაცია და ადგილობრივი თვითმმართველობის მაქსიმალურად გამართული მოდელი მოქმედებს. მაგრამ იქ, სადაც მთელ რიგ საკითხებზე გადაწყვეტილებას ვერ/არ იღებს ადგილობრივი ხელისუფლება, რჩება „ცენტრის შემყურედ“ და არც ფინანსური დამოუკიდებლობა გააჩნია, ვფიქრობთ, სასურველია, სათემო ჯგუფები მეტად ჩანდნენ საზოგადოების დღის წესრიგში და მათი ხმა უკეთ ისმოდეს ცენტრალურ დონეზეც, იქნება ეს საერთო პლატფორმა, უკეთესი მედია-გაშუქება თუ სხვა მხრივ სათემო ჯგუფების ხილვადობის გაზრდა. თუმცა, საუკეთესო შემთხვევაში, სათემო ჯგუფები პრობლემების მო-

გვარებას ადგილზევე უნდა ახერხებდნენ ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით და ამისათვის საჭიროა განხორციელდეს რეალური დეცენტრალიზაცია.

რაც შეეხება ურთიერთობას ადგილობრივ ხელისუფლებასთან, პასუხები (92 პასუხი) ძირითადად მერყეობს შეფასებებში „საშუალო“ (34,8%), „კარგი“ (37%) და „ძალიან კარგი“ (34,8%); ხოლო, აქვს თუ არა ამა თუ იმ სათემო ჯგუფს გავლენა ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე, გამოკითხულთა უმრავლესობა (55.7%) „საშუალო“ გავლენაზე მიუთითებს.

უნდა აღინიშნოს, რომ კითხვარი არ აზუსტებდა ადგილობრივ ხელისუფლებას მუნიციპალურ და სასოფლო (ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის) დონეზე, თუმცა თავად რესპონდენტები ურთიერთობის ხარისხის შეფასებისას განასხვავებდნენ მათ. უმრავლეს შემთხვევაში, აღინიშნებოდა, რომ სათემო ჯგუფს უფრო კონსტრუქციული ურთიერთობა აქვს მუნიციპალურ ხელისუფლებასთან, ვიდრე სოფლის რწმუნებულთან. თუმცა იყო საპირისპირო გამოცდილებაც, როცა სოფლის რწმუნებული სათემო ჯგუფის აქტიურ მხარდამჭერად გვევლინება; ასევე, რიგ სოფლებში მოქმედ ჯგუფებს, ადგილობრივი გეოგრაფიიდან და მუნიციპალური ტრანსპორტის არარსებობიდან გამომდინარე, თითქმის არ აქვს შეხება მუნიციპალურ ხელისუფლებასთან. ძლიერ გავლენას ადგილობრივი სათემო ჯგუფები მაინც ვერ ახდენენ გადაწყვეტილების მიღების პროცესებზე.

ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობის ფორმები და არსებული დაბრკოლებები

ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობების ფორმებში მეტწილად ვხვდებით უფრო ამა თუ იმ პრობლემის გარშემო წარმოებული კონსულტაციების ფორმატს (78.9%); რესპონდენტთა 51,6% აღნიშნავს ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთობლივი პროექტების ინიცირების პრაქტი-

კას, თუმცა, კითხვარიდან გამომდინარე, ბუნდოვანი რჩება, თუ რა იგულისხმება კონკრეტულად „ერთობლივად ინიცირებულ პროექტებში“. გამოკითხვის თანმდევი დისკუსიისას გამოიკვეთა, რომ შესაძლებელია ერთობლივ პროექტებში იგულისხმებოდეს სათემო ჯგუფების მიერ გარკვეული თანადაფინანსების მოთხოვნა იმ პროექტებისათვის, სადაც გარე დონორები ასეთ წინაპირობას დებენ. ამის დასტური შესაძლოა იყოს ის 47,4%, რომელიც ამბობს, რომ „გვაქვს სხვადასხვა პროგრამის განხორციელებისთვის თანადაფინანსება“.

რაც შეეხება ბიუჯეტის განხილვაში მონაწილეობას (40,0%), ეს, როგორც წესი, ფორმალურ ხასიათს ატარებს და ნიშნავს უკვე დამტკიცებული ბიუჯეტის წარდგენაზე დასწრებას. მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში ახერხებს ესა თუ ის სათემო ჯგუფი უშუალოდ ბიუჯეტის შემუშავების პროცესში ჩართვას და საკუთარი პოზიციის გატანას. ამ მხრივ, საინტერესო იქნებოდა იმ მუნიციპალიტეტების პრაქტიკების შესწავლა, რომელთაც დანერგეს თანამონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამა. 24,2% აღნიშნავს, რომ ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად აწარმოებს კონსულტაციებს სტრატეგიების და ადგილობრივი პოლიტიკის განსაზღვრის მიმართულებით; სამწუხაროდ, აქაც არც თუ იშვიათად იგულისხმება ფორმალური მონაწილეობა ამა თუ იმ კომისიასა და საბჭოში, რომელთა შექმნასაც კანონი ავალდებულებს ან უწევს რეკომენდაციას ადგილობრივ ხელისუფლებას. სამომავლოდ, სასურველი იქნებოდა მეტი კონკრეტიკა სათემო ჯგუფების ამ კომპონენტის შესწავლისას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კითხვაზე, თუ რა ფაქტორები განსაზღვრავს სათემო ჯგუფებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ურთიერთობის შედეგიანობას, 49,5% ასახელებს, რომ ხელისუფლება იზიარებს მათ იდეებს, ხოლო 45,3% კი ამბობს, რომ მათ ინტენსიური ურთიერთობა აქვთ ხელისუფლებასთან და აქ იგულისხმება, რომ მათ უარს არ ეუბნებიან შეხვედრაზე, მსჯელობაზე და ა.შ., რაც რიგი სათემო ჯგუფებისათვის პრობლემას წარმოადგენს. ამა თუ იმ მუნიციპალიტეტში სათემო (საზოგადოებრივ) ჯგუფებთან ურთიერთობის ინტენსივობა და ხარისხი დღემდე დამოკიდებულია

არა ინსტიტუციურ პოზიციაზე, არამედ ამა თუ იმ მოხელის კეთილგანწყობასა თუ მის ზოგად დამოკიდებულებებზე.

კვლევისთვის ასევე საინტერესო იყო სათემო ჯგუფებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის შემაფერხებელი ფაქტორების გარკვევა. შედეგები ასე გამოიყურება:

დაბრკოლებები ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობისას		
1	ხელისუფლების წარმომადგენლებს არ აქვთ საჭირო კვალიფიკაცია და უნარები შესაბამის სფეროებში	31.6%
2	რთულია ხელისუფლებასთან კავშირის დამყარება	14.7%
3	ჩვენს თანამშრომლებს არ აქვთ საჭირო კვალიფიკაცია და უნარები შესაბამის სფეროებში	18.9%
4	არ გვყავს საკმარისი რაოდენობის თანამშრომლები/წევრები	17.9%
5	არ გვაქვს საკმარისი ინფორმაცია	11.6%
6	კორუფცია წარმოადგენს ხელისუფლებასთან თანამშრომლობის ბარიერს	1.1%
7	ხელისუფლებას არ სურს ჩვენთან თანამშრომლობა	11.6%
8	ჩვენი ორგანიზაცია არ ენდობა ხელისუფლებას	1.1%
9	ადგილობრივი ხელისუფლება არ ფლობს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან დიალოგის წარმოებისათვის საკმარის რესურსსა და პოტენციალს	32.6%
10	ადგილობრივი ხელისუფლება არ ენდობა ჩვენს ორგანიზაციას	3.2%
11	არ ვიცით, როგორ „დავუახლოვდეთ“ ხელისუფლებას და ჩავერთოთ პოლიტიკის შემუშავების პროცესში	8.4%

თუმცა, როგორც ცხრილიდან ნათლად ჩანს, გვხვდება თვითკრიტიკული პასუხებიც; კერძოდ, ის, რომ სათემო ჯგუფებს თავად აკლიათ ადამიანური რესურსი და ცოდნა ადგილობრივ ხელისუფლებასთან უფრო მჭიდრო და შედეგზე ორიენტირებული თანამშრომლობის ასაწყობად. ამ კომპონენტს უფრო ადვილად შეიძლება ეშველოს თემის განვითარებაზე მიმართული პროგრამების ფარგლებში.

ზოგადად, მაინც რჩება შთაბეჭდილება, რომ არაერთ შემთხვევაში, ურთიერთობა სათემო ჯგუფებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის მეტწილად ფორმალურია და როგორც აღმოსავლეთ საქართველოში მოქმედმა ერთი სათემო ჯგუფის წარმომადგენლებმა შეაფასა: „არც ხელს გვიშლიან, არც გვეთანამშრომლებიან, არც უარს გვეუბნებიან. ფორმალურად ყველაფერზე კვერს გვიკრავენ“.

ჩვენთვის საინტერესო იყო ასევე სათემო ჯგუფების მოსაზრების კვლევა, სახელმწიფოს მხრიდან თვითორგანიზებული ჯგუფების მხარდაჭერის აუცილებლობის თუ შესაძლო ფორმების შესახებ. შეკითხვაზე – უნდა ეხმარებოდეს თუ არა სახელმწიფო სათემო ორგანიზაციებს/ინიციატივებს, უპასუხა 95 რესპონდენტმა და აქედან 93 მიიჩნევს, რომ დიახ, სახელმწიფო (ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება) სხვადასხვა გზით და პროგრამით შეიძლება უჭერდეს მხარს ადგილზე მოქმედ სათემო ჯგუფებს.

რაც შეეხება დახმარების ფორმებს, რესპონდენტთა 88% მიიჩნევს, რომ სახელმწიფო სათემო ჯგუფებს შეიძლება მხარს უჭერდეს სხვადასხვა რესურსის გაზიარებით და აქ მხოლოდ მატერიალური რესურსი არ იგულისხმება, არამედ სათანადო ინფორმაციით აღჭურვა და სასარგებლო კონსულტაციების გაწევა, ინფორმაციის მიწვდენა ამა თუ იმ სოციალური და

სხვა სახელმწიფო პროგრამის შესახებ და ა.შ; სათემო ჯგუფების ნაწილი (26%) არც სახელმწიფოს მხრიდან ჩატარებულ ტრენინგებზე იტყოდა უარს, განსაკუთრებით, საქმიანობის საწყის ეტაპზე. აქ უნდა აღინიშნოს, რომ ეს პასუხი იმ თვითორგანიზებულ ჯგუფებს უფრო ეკუთვნის, ვისაც ხელი არ მიუწვდება საგრანტო დაფინანსებაზე და არ ჰყავს ძლიერი პარტნიორები ეროვნულ დონეზე. ხშირად მათ არ იციან, საიდან და როგორ დაიწყონ სათემო აქტივიზმი.

რესურსების გაზიარების თვალსაზრისით, განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ 80% მხარს უჭერს მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ფართის გამოყოფას სათემო ჯგუფებისათვის, რაც ბევრი ორგანიზაციისთვის ჯერ კიდევ პრობლემად რჩება. ამ საკითხზე ზემოთ იყო საუბარი და რეკომენდაციის სახით მხოლოდ იმას გავიმეორებდით, რომ ფართის გადაცემის უფრო ეფექტიანი სამართლებრივი გზები და პრაქტიკა უნდა არსებობდეს, რათა ისედაც მცირერიცხოვან ჯგუფებს არ უწევდეთ ორ წელიწადში ერთხელ ბიუროკრატიული პროცესის თავიდან გავლა და დროისა და ენერგიის ამაზე დახარჯვა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია სათემო ჯგუფების ხედვა, რომ სახელმწიფო უფრო მეტად უნდა ერთვებოდეს ინოვაციურ პროგრამებში ან თავად იყოს ინიციატორი, იქნება ეს ახალგაზრდული თუ გარემოსდაცვითი; ასევე, საყურადღებოა, რომ სათემოები თავს ამა თუ იმ სოციალური პროგრამების გამტარ ორგანიზაციებადაც მოიაზრებენ (შშმ პირთა, სოციალურად დაუცველების თუ ხანდაზმულების საკითხები და სხვ.); ერთობლიობაში ამ პასუხების ანალიზის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო მეტად უნდა თანამშრომლობდეს სათემო ჯგუფებთან, როგორც მნიშვნელოვან აღმასრულებელ რესურსთან სოფლის დონეზე და, შესაბამისად, მხარს უჭერდეს, რაც, პირველ რიგში, სათანადო ჩარჩო-პირობების შექმნასა (ფართით და კონსულტაციებით უზრუნველყოფა) და კონსტრუქციულ თანამშრომლობაში (მუდმივი და შედეგებზე ორიენტირებული დიალოგი) შეიძლება გამოიხატებოდეს.

კვლევის ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

ქვეყანაში მოქმედი სათემო ორგანიზაციების რაოდენობა დამაკმაყოფილებელი არ არის: არსებული ორგანიზაციების მიმართება საქართველოს იურისდიქციაში მყოფ სოფლების (დაახ. 3600) რაოდენობასთან, დაბალია (დაახ. 4% დაფარვა) და თან, ასიმეტრიული. სათემო ორგანიზაციები ძირითადად კონცენტრირებულია კახეთსა და სამეგრელოში, რაც სავარაუდოდ უკავშირდება ამ მხარეებში საერთაშორისო და ეროვნული ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ, თემის მობილიზებაზე ორიენტირებულ მრავალწლიან საქმიანობას, რომლის შედეგადაც შეიქმნა ესა თუ ის ორგანიზაცია/ჯგუფი, რომელიც სხვადასხვა ორგანიზაციის მხრიდან თუნდაც მცირედი მხარდაჭერის წყალობით დღემდე ახერხებს საქმიანობას.

ორგანიზაციების შექმნის მოტივაცია, არცთუ იშვიათად სწორედ გარე ფაქტორებს, ანუ სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ გარედან შეთავაზებულ შესაძლებლობებს უკავშირდება. ზოგადად, საქართველოში, გარე შესაძლებლობები საგრძნობლად განსაზღვრავს სათემო აქტივიზმის დაწყებას და წამახალისებელი ეფექტი აქვს; აქ მოიაზრება, როგორც ესა თუ ის სპეციალური, სათემო მობილიზება-განვითარებაზე მიმართული პროგრამა, ასევე, სწავლება, კონსულტაცია და მცირე დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობა, არაფორმალური განათლების მაქსიმალური ხელმისაწვდომობა სათემო დონეზე და სათემო ლიდერების კომპეტენციების გაუმჯობესება. როგორც წესი, სწორედ ეს სათემო ლიდერები ხდებიან შემდეგ ადგილზე ამა თუ იმ ჯგუფის შექმნის ინიციატორები, იქნება ეს ერთჯერადი ჯგუფები კონკრეტული პრობლემის მოსაგვარებლად თუ უფრო გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული სათემო ორგანიზაციები. შესაბამისად, სათემო აქტივიზმის დასაწყებად, მნიშვნელოვანია სწორედ ადგილობრივი სათემო ინიციატორების გამოვლენა და პირველ ეტაპზე, მათი საქმიანობის მხარდაჭერა, მათი კომპეტენციების განვითარება.

სოფლებში, თემში არსებული უამრავი ზოგადი თუ სპეციფიური პრობლემის მოსაგვარებლად და მოსახლეობის კეთილდღეობისათვის, სასურველი იქნებოდა თითო სოფელში სულ ცოტა თითო სათემო ჯგუფი ან ინიციატორი მაინც მოქმედებდეს. ამ მხრივ სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია და პირველ რიგში სწორედ შესაბამისი გარემოს შექმნაა საჭირო, რაც სხვადასხვა გზით და პროცესის სხვადასხვა მონაწილის ძალისხმევით შეიძლება განხორციელდეს.

მთავარ პრობლემად ალბათ სათემო ორგანიზაციების სუსტი ორგანიზაციული სტრუქტურა და სტაბილური განვითარების დაბალი მაჩვენებელი უნდა დასახელდეს. როგორც წესი, ჯგუფს წარმოადგენს ერთი ან მაქსიმუმ ორი ინიციატივიანი ლიდერი, რომლებიც ცალკეულ ღონისძიებებში მეტ-ნაკლები წარმატებით ახერხებენ თემის სხვა წევრების ჩართვას, თუმცა დიდი ხნით შენარჩუნებას ნაკლებად. რამდენადაც სათემო ჯგუფების საქმიანობა სწორედ კონკრეტულ ლიდერებზეა დამოკიდებული (წამყვანი ბირთვის ცვლილება, როტაცია და ა.შ., იშვიათია), შესაბამისად სწორედ ამ ლიდერის დღის წესრიგზეა (რამდენად იცლის სათემო საქმიანობისათვის, ჯანმრთელობის მდგომარეობა, საცხოვრებელი ადგილის შეცვლა და სხვ.) დამოკიდებული ორგანიზაციის ყოფნა-არ ყოფნა და აქტიურობაც.

ხშირად ორგანიზაციის საქმიანობის შეჩერების ან განვითარების დაბალი ტემპის მიზეზად რესპონდენტები არასაკმარის დაფინანსებას ასახელებენ. აქ იგულისხმება, როგორც ზოგადად, სათემო აქტივიზმის მხარდაჭერისკენ მიმართული სპეციალური (თემატური) პროგრამების ნაკლებობა, ასევე, არსებულ პროგრამებზე და რესურსებზე სათემო ლიდერების წვდომის (ენობრივი ბარიერი, რთული სააპლიკაციო ფორმები და ზოგადად, შესაბამისი ცოდნის ნაკლებობა) ნაკლებობა და სხვ. გამოკითხული ორგანიზაციების უდიდესი ნაწილის (80%) წლიური ბრუნვა 20 000 ლარს არ აღემატება; აქედან 34,4%-ისა კი – 5000 ლარს. აღსანიშნავია, რომ ჯგუფების 9,3%-ს საერთოდ არა აქვს გარე დაფინანსება. დაფინანსების ძირითად წყაროს კი სათემო ორგანიზაციებისათვის

საქართველოში მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციები/ ფონდები წარმოადგენენ. საკმაოდ სუსტად არის განვითარებული შემოწირულობებისა და სათემო თანამონაწილეობის ფორმები.

არცთუ ისე სახარბიელოა ზოგადი მდგომარეობა სათემო ორგანიზაციებისათვის საქმიანობაში მოხალისეების ჩართვის კუთხით, რაც სათემო ჯგუფებისათვის ძალიან მნიშვნელოვანი და საჭირო ფაქტორია. მწირი ადამიანური და ფინანსური რესურსის პირობებში, სწორედ მოხალისეები შეიძლება იყვნენ ის ძალა, რომელთა დახმარებითაც მცირე სასოფლო/ სათემო პრობლემების მოგვარება გახდება შესაძლებელი და ასევე შესძენს ჯგუფს სოფლის სახელით მოქმედების მეტ ლეგიტიმაციას. მთელ რიგ შემთხვევებში, გასაუმჯობესებელია ადგილობრივ თემთან სათემო ორგანიზაციების მუშაობის ფორმები: ანგარიშვალდებულების ხარისხი და სიხშირე, მოხალისეთა და თანამოაზრეთა მოზიდვის, სათემო ფილანთროპიის საკითხები და სხვ.

სათემო ჯგუფების განვითარების ხელშემშლელი ფაქტორი უნდა იყოს რიგ საკითხებზე არასაკმარისი ინფორმირება და ცოდნის ნაკლებობა – „არ ვიცით როგორ ვიმოქმედოთ“, ასევე, არასაკმარისი ქსელური მუშაობა და სხვების გამოცდილებების, წარმატებული მიდგომებისა და წარუმატებელი მაგალითების არცოდნა. სათემო ჯგუფების საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია მუშაობა ახალგაზრდულ საკითხებზე, არაფორმალური განათლება და სხვ. ხოლო მეტ-ნაკლები სტაბილურობით ორგანიზაციები ახერხებენ მოსახლეობის კონსულტირებასა და ინფორმირებას სხვადასხვა მიმართულებით, სოფლად არსებული პრობლემების მიტანას ხელისუფლებამდე და სხვადასხვა შინაარსის შეხვედრისა და ტრენინგის ჩატარებას. ანუ, სათემო ორგანიზაციები ხშირად პოზიციონირებენ, როგორც ადგილობრივ თემსა და ხელისუფლებას შორის შუამავალი, საკონსულტაციო რგოლები და არაფორმალური განათლების პოტენციური ცენტრები.

სათემო ორგანიზაციების აბსოლუტურ უმრავლესობას არა აქვს არანაირი ურთიერთობა ცენტრალურ ხელისუფლებასთან და, შესაბამისად, მათი საქმიანობა ვერანაირ გავლენას ვერ ახდენს ამ დონეზე. რაც შეეხება ურთიერთობას ადგილობრივ ხელისუფლებასთან, მეტწილად საშუალო ან კარგია და სხვადასხვა, ძირითადად ფორმალურ (საკონსულტაციო და საინფორმაციო შეხვედრები და ა.შ.) ფორმატში ვლინდება; ზოგადად, ამა თუ იმ მუნიციპალიტეტში სათემო (საზოგადოებრივ) ჯგუფებთან ურთიერთობის ინტენსივობა და ხარისხი დღემდე დამოკიდებულია არა ადგილობრივი მმართველობის ინსტიტუციურ პოზიციაზე, არამედ ამა თუ იმ მოხელის კეთილგანწყობასა თუ მის პირად დამოკიდებულებებზე; ასევე იმაზე, თუ რამდენად „ოპოზიციურად" აღიქმება ესა თუ ის ჯგუფი მოქმედი ხელისუფლების მიერ. ქვეყანაში არსებული მაღალი პოლიტიზების დონე და დაპირისპირება, ცხადია, სათემო დონეზე, სათემო აქტივიზმის სფეროშიც აღწევს და უარყოფით კვალს ტოვებს საერთო საქმეზე.

გამოკითხული სათემო ორგანიზაციების აზრით, ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის შემაფერხებელი ფაქტორია ის, რომ ადგილობრივი ხელისუფლება არ ფლობს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან დიალოგის საწარმოებლად საჭირო და საკმარის რესურსს, ხელისუფლების წარმომადგენლებს არა აქვთ საჭირო კვალიფიკაცია და უნარი შესაბამის სფეროებში, ან ხელისუფლებას არ სურს სათემო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. გვხვდება თვითკრიტიკული პასუხებიც; კერძოდ, ის, რომ, თავად სათემო ჯგუფებს აკლიათ ადამიანური რესურსი და ცოდნა ადგილობრივ ხელისუფლებასთან უფრო მჭიდრო და შედეგზე ორიენტირებული თანამშრომლობის ასაწყობად.

სათემო ორგანიზაციების უმრავლესობა ფიქრობს, რომ სახელმწიფო გარკვეულწილად უნდა ეხმარებოდეს მათ სხვადასხვა გზით და პროგრამით, მათ შორის, ფინანსური და ინფრასტრუქტურულით (სამუშაო სივრცის გამოყოფა).

ეს არის კვლევის შუალედური შედეგების მოკლე შეჯამება, ხოლო ქვემოთ წარმოდგენილია ის მთავარი რეკომენდაციები, რომლებიც შეიძლება გამოსადეგი იყოს როგორც საერთაშორისო და ეროვნული გრანტგამცემი თუ სასოფლო/სათემო განვითარებაზე მომუშავე ორგანიზაციებისათვის, ასევე ცენტრალური და მუნიციპალური ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის და უშუალოდ სათემო ორგანიზაციებისთვისაც.

რეკომენდაციები რამდენიმე მსხვილ მიმართულებად არის დაყოფილი და აერთიანებს როგორც ზოგად მოსაზრებებს, რაც სათემო თვითორგანიზების პრაქტიკების შესწავლას შეუწყობდა ხელს, ისე კონკრეტულ შესაძლო ნაბიჯებს, რომელთა გადადგმაც გააუმჯობესებდა სათემო ჯგუფების მუშაობის შედეგიანობას. მოცემული რეკომენდაციები არაერთი მიმართულებით იძლევა კონკრეტული პროგრამების განვითარების საშუალებას.

სათემო კვლევების საჭიროება

სასურველია, მეტი კვლევა ხორციელდებოდეს სათემო დონეზე სხვადასხვა მიმართულებით, რათა ამ სფეროში მაქსიმალურად მეტ შეკითხვას გაეცეს დასაბუთებული პასუხი და შესაძლებელი გახდეს პროცესების დაკვირვება და ანალიზი დინამიკაში. კვლევითი საჭიროებების მხრივ, გამოვყოფდით, მაგალითად, გაუქმებული სათემო ორგანიზაციების გამოკითხვას უახლესი წარსულის რეკონსტრუქციის მიზნით (გაუქმების მიზეზების დადგენა); ასევე, მაგალითად, მცირე საგრანტო პროგრამების თემზე გავლენების კვლევას და სხვ.

სათემო ჯგუფების გაძლიერებაზე მიმართული ზოგადი რეკომენდაციები

• მნიშვნელოვანია, სათემო ჯგუფების ცოდნითა და ინფორმაციით აღჭურვა იმ საკითხებში, რომლებიც, კვლევის მიხედვით, პრობლემატურია: ადვოკატირება, სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის ქონა, სოფლის საჭიროების კვლევის მეთოდოლოგია და სხვ. აღნიშნულ საკითხებს (და სხვებსაც) შეიძლება მიეძღვნას ტრენინგების და განხილვების ციკლი; მსგავსი დახმარება განსაკუთრებით სჭირდებათ იმ თვითორგანიზებულ ჯგუფებს, რომლებმაც, როგორც წესი, არ იციან როგორ დაიწყონ მოქმედება - შესაბამისად, მნიშვნელოვანია მათი ზოგადი კომპეტენციების გაუმჯობესება. მსგავსი არაფორმალური კურსები შეიძლება დაიგეგმოს არა მხოლოდ მოქმედი ჯგუფებისთვის, არამედ, იმ სათემო ლიდერებისთვისაც, ვინც ახლა ფიქრობს ჩართვას სათემო აქტივიზმში.

• სასურველია სათემო ორგანიზაციებისათვის შემუშავდეს სოფლის საჭიროებების კვლევის და ადვოკატირების მოკლე და მარტივი სახელმძღვანელო, რომელიც ონლაინ იქნება ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის, ვინც სოფლად საჭიროებების კვლევას ისახავს მიზნად. კარგი იქნებოდა, საჭიროებების კვლევის შედეგების დამუშავება და, შესაძლოა, სხვადასხვა კამპანიის (მათ შორის, ამა თუ იმ საკითხის ადვოკატირება ან მცირე ფანდრაიზინგის კამპანია და სხვ.) დაგეგმვა და განხორციელების ხელშეწყობა.

• საერთო პლატფორმების მაქსიმალური გაძლიერება (სათემო ლიდერთა ფორუმი, თემის განვითარების რესურსცენტრი, სხვადასხვა პლატფორმა და ა.შ.) – მუშაობა სათემო საკითხებზე მასალის და სასარგებლო რესურსების მუდმივ განახლებაზე. საერთო პლატფორმებში შეიძლება მოვიაზროთ ონლაინ-დისკუსიების ციკლიც ეროვნული საზოგადოებრივი ორგანიზაციების და სათემო ჯგუფების მონაწილეობით, ისეთ თემებზე (კვლევიდან გამომდინარე), როგორებიცაა: მოხალისეების მოზიდვა სათემო საქმიანობაში, თემთან ანგარიშგების

მნიშვნელობა და ფორმები; ქსელური მუშაობის გაუმჯობესება – მათ შორის, სოფლის სკოლასთან, ადგილობრივ ეკლესიასთან, სხვა სათემო ჯგუფებთან, ადგილობრივ ბიზნესთან და ხელისუფლებასთან; სათემო პროექტებისთვის რესურსების ადგილზე მოძიების კამპანიების დაგეგმვა და წარმართვა და სხვ. შესაძლო მოდელების განხილვა და არსებული დადებითი მაგალითების გაცნობა.

• სასურველია, გაიზარდოს სათემო ჯგუფებისათვის მიზნობრივი დაფინანსება/საგრანტო პროგრამების რაოდენობა და თანხის მოცულობა. სათემო აქტივიზმისთვის გამოცხადებული საგრანტო პროგრამები იყოს მიზნობრივი (რაც გამორიცხავს სათემო ჯგუფების კონკურენციას სხვა, უფრო ძლიერ ორგანიზაციებთან) და მონაწილეობის უფლებას აძლევდეს მხოლოდ სათემო ჯგუფებს (განსაზღვრა - გარკვეული წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმებითა და წინაპირობებით).

• საპილოტედ რამდენიმე სათემო ჯგუფის შერჩევა და მათ ბაზაზე მცირე მასშტაბის სათემო განათლების და საკონსულტაციო ცენტრების მოდელის ორგანიზება. ამ კუთხით, სასურველია, კონსულტაციების გავლა არსებულ რეგიონულ სათემო განათლების ცენტრებთან (dvv International) და არაფორმალური განათლების სხვა პროვაიდერებთან, რომლებსაც აქვთ მზა საგანმანათლებლო მოდულები, რომელთა დანერგვაც იქნებოდა შესაძლებელი (CTC, SIQA და სხვ.). ადგილობრივ ტრენერებად შესაძლოა სოფლის სკოლის პედაგოგების მოაზრებაც, რომლებიც, სათანადო გადამზადების შემდეგ, მარტივად ჩაერთვებოდნენ სათემო ჯგუფების საქმიანობაში.

რეკომენდაციები ეროვნულ დონეზე მოქმედი აქტორებისთვის

• გრანტგამცემმა ორგანიზაციებმა, სასურველია, მეტად იფიქრონ, ერთი მხრივ, ინფორმაციის გავრცელების თაობაზე (ყველა შესაძლო გზით, მათ შორის, ადგილობრივი ორგანიზაციების რესურსის გამოყენებით, როგორებიც არის მაგ.,

რეგიონული ჰაბები, დემოკრატიული ჩართულობის ქსელები და სხვ.). სათემო პროექტებისთვის განაცხადის ფორმა, ენა (ინგლისური ენის ცოდნა სათემო ჯგუფების უმეტესობისათვის ჯერჯერობით დაუძლეველი პრობლემაა), მოთხოვნილი წინაპირობები (მაგ., სამუშაო გამოცდილება) და ანგარიშგების ფორმები მაქსიმალურად უნდა იყოს გამარტივებული, რათა დამწყებმა ჯგუფებმაც მოახერხონ პროგრამებში ჩართვა და მონაწილეობა. ამასთანავე, კარგი იქნება, საგრანტო პროგრამებს თან ახლდეს ინტენსიური კონსულტაციების, მენტორობის კომპონენტიც, რათა გრანტის განკარგვის პროცესში სათემო ჯგუფების უნარები გაუმჯობესდეს და განვითარდეს.

• ზოგადად, მისასალმებელი იქნებოდა მეტი მსჯელობა იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს სათემო თვითმოქმედებისთვის ზოგადი გარემო? რამდენადაც გარემოს გაუმჯობესება აუცილებლად უკავშირდება ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემას, ამ მხრივ, სამუშაო ეროვნულ დონეზეც ბევრია. ასევე, საინტერესო იქნებოდა მსჯელობა ისეთ საკითხებზე, თუ რომელი მიდგომები და მეთოდოლოგია ამართლებს და როგორ შეიძლება სათემო განვითარების პროცესის უწყვეტი მხარდაჭერა. ამგვარი დისკუსიების ინიცირება შესაძლებელია სხვადასხვა ფორუმისა და შეხვედრის ფორმატში, რომლებსაც ატარებენ ეროვნულ დონეზე მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სათემო ჯგუფების აქტიური მონაწილეობით.

• მიზანშეწონილი იქნებოდა სათემო ჯგუფები მეტად ჩანდნენ საზოგადოებრივ დღის წესრიგში და მათი ხმა უკეთ ისმოდეს ცენტრალური მმართველობის დონეზე, იქნება ეს საერთო პლატფორმების, უკეთესი მედია-გაშუქების თუ სხვა მხრივ სათემო ჯგუფების ხილვადობის გაზრდის გზით.

• შესასწავლი და გასამარტივებელია მუნიციპალიტეტების მიერ სათემო ჯგუფებისათვის მუნიციპალური ფართის (სამუშაო სივრცეები) დროებით სარგებლობაში გადაცემის პრაქტიკები, ფორმები.

• საფიქრელია, შესაძლებლობების ფარგლებში შემუშავდეს ონლაინ სისტემა (შესაძლოა, რომელიმე კოალიციის ან შესაბამისი სამინისტროს ბაზაზე), სადაც შესაძლებელი იქნება სოფლების წლიური საჭიროებების კვლევების თავმოყრა და დაარქივება. სამომავლოდ ეს მასალა მნიშვნელოვნად შეიძლება დაეხმაროს მკვლევრებს ამა თუ იმ საკითხის შესწავლაში და ასევე, მცირე სათემო საგრანტო პროგრამების პრიორიტეტები სწორედ ამ განზოგადებულ და ერთად თავმოყრილ მონაცემებს შეიძლება დაეყრდნოს ხოლმე.

• მონაწილეობითი ბიუჯეტი, როგორც სათემო იდეების და პროექტების დაფინანსების ფორმა, მაქსიმალურად უნდა იყოს დანერგილი მუნიციპალიტეტების საქმიანობაში. მონაწილეობის ამ მექანიზმის შესახებ მაქსიმალურად უნდა მოხდეს პირველ რიგში სწორედ ადგილობრივი სათემო ჯგუფების ინფორმირება, რათა მათ შეძლონ თემის საჭიროებების მიტანა აღნიშნულ პროგრამამდე.

• მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის ცალკეული სათემო ლიდერები, ინიციატორები, რომლებიც ინდივიდუალურად მოქმედებენ და მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენენ ამა თუ იმ თემში უფრო მობილიზებული და ორგანიზებული საქმიანობის გასავითარებლად. სასურველია, ცალკეული სათემო ინიციატორის ჩართვა ქსელებში ინფორმაციის უფრო მარტივად მიღებისა და მეტად კოორდინირებული მუშაობის მიზნით.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ განვითარების ზემოთ აღწერილი გამოცდილებიდან და სათემო ჯგუფების წინაშე დღეს მდგარი პრობლემებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ სათემო დონეზე მოქმედი ჯგუფების გაძლიერება და ზოგადად სათემო თვითორგანიზების წახალისებაზე მიმართული მეტი პროგრამა მუშაობდეს ქვეყნის მასშტაბით.

ასევე, სასურველია სათემო განვითარების პროცესის ერთგვარი უწყვეტი ციკლის უზრუნველყოფა, რომელიც შემდეგი

პარალელური კომპონენტებისგან/ეტაპებისგან შეიძლება შედგებოდეს:

• სათემო მობილიზება – დაფარვის გაზრდა, აქცენტით ე.წ. პასიურ რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებზე. სათემო ლიდერებისა და ჯგუფების გამოკვეთა და მათი შეკვრა-ჩამოყალიბების პროცესის მხარდაჭერა; აქ მეტი ყურადღება მიექცეს დაბალი სათემო აქტივიზმის მხარეებს.

• დამწყები და თვითნაბადი ჯგუფების „ფეხზე დაყენების“ კომპონენტი: ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერა მათ გასაძლიერებლად და სტაბილური, თემზე ორიენტირებული საქმიანობის წასახალისებლად. აქ ყურადღება განსაკუთრებით იმ ჯგუფებს უნდა მიექცეს, რომლებიც თვითორგანიზებულნი არიან და ხელი არ მიუწვდებათ დაფინანსებასა და კონსულტაციებზე; მათ არ იციან როგორ დაიწყონ მოქმედება და მიაღწიონ შედეგებს, ამიტომ, მათი საქმიანობა ფრაგმენტულია.

• შედარებით გამოცდილი და ძლიერი სათემო ჯგუფების საქმიანობის გაშლა მუნიციპალურ დონეზე და მათი, როგორც საკონსულტაციო, სათემო განათლების ცენტრებად აღჭურვის მხარდაჭერა.

• სამივე ეტაპის ჯგუფების ერთიან ქსელში ინტეგრირების მხარდაჭერა ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ურთიერთგაზიარების მიზნით. კარგ მაგალითებს აქვთ გადამდები ეფექტი.

შესაძლოა, გარედან შეთავაზებული დახმარების ფორმატების მიმართ არსებობდეს კრიტიკა და ჩაითვალოს თავს მოხვეულად, რადგან სათემო აქტივიზმი უფრო თვით-ინიციატივას უნდა გულისხმობდეს. თუმცა, გამოცდილება აჩვენებს, რომ ამ გარე ძალისხმევით არაერთი მნიშვნელოვანი პროცესი დაიწყო (შეცდომებით, წარუმატებელი მაგალითებითაც) და

ის, რომ დღეს 120-მდე სათემო ჯგუფი მოქმედებს საქართველოში და ცდილობს ადგილობრივ პრობლემებზე რეაგირებას, სწორედ გუშინდელი „გარე ძალისხმევის“ შედეგიც არის. ახლა კი, განვითარების ამ ეტაპზე, კიდევ უფრო მეტი მუშაობაა საჭირო, რადგან, წინა დეკადასთან შედარებით, ახლა გაზრდილია საზოგადოებრივი მზაობაც, სიახლეების მიმღებლობაც და მონაწილეობისა და ჩართულობის კულტურაც.

მიუხედავად იმისა, რომ წინა გამოცდილებიდან გამომდინარე, დღესდღეობით აქტიურმა ორგანიზაციებმა ხვალ შეიძლება შეწყვიტონ ფუნქციონირება, მთავარი მაინც დადებითი საზოგადოებრივი ცვლილებების მხრივ, მათი დღევანდელი წვლილი და გაწეული ძალისხმევაა. სათემო ჯგუფი, შესაძლოა, სულ ერთი კონკრეტული მიზნისთვის შეიქმნას და მიზნის მიღწევის შედეგად (მაგ., სოფლად ამა თუ იმ ისტორიული შენობის გადარჩენა) გაუქმდეს. ვფიქრობთ, ეს სრულიად მისაღები პრაქტიკაა, თუმცა, ჩვენი რეალობიდან გამომდინარე, ჯგუფების მდგრადობაზე მაინც მნიშვნელოვანი აქცენტები უნდა გაკეთდეს. მდგრადობის ერთ-ერთი შესაძლო წინაპირობა კი სათემო განვითარების პროგრამებში ეკონომიკური გაძლიერების და სოციალური მეწარმეობის კომპონენტების უფრო მეტად წინ წამოწევა შეიძლება იყოს.

ზოგადად, იქ, სადაც თვითმმართველობა სუსტია, აქტიურ საზოგადოებრივ ჯგუფებს შეუძლიათ სოფლად არაერთი პრობლემის მოგვარება ითავონ და იქცნენ მნიშვნელოვან რგოლად განვითარების ერთიან ჯაჭვში. დღესაც, სათემო ჯგუფების უდიდეს ნაწილს ადგილობრივი რეალობის ადეკვატური აღქმა, პრობლემების მოგვარების ხედვა და უნარი შესწევს, თუმცა არ აქვს წვდომა საკმარის რესურსებზე. შესაბამისად, ამ ჯგუფების არსებობას, (არსებულების გაძლიერებას და ახლების შექმნის წახალისებას) სათემო პრობლემების მოგვარების და ზოგადად, ქვეყნის დემოკრატიული განვითარების კუთხით, ვფიქრობთ, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება და ამ როლის უკეთ შესრულებისთვის, მათ ჯერჯერობით მეტი გარე დახმარება სჭირდებათ.

გამოკითხული ორგანიზაციების სია
2020 დეკემბრის მდგომარეობით

#	დასახელება	მხარე	მუნიციპა-ლიტეტი	სოფელი/ დაბა
1	სამოქალაქო ინიციატივა/ ცოდნის კაფე	კახეთი	სიღნაღი	წნორი
2	პენსიონერების ასოციაცია	კახეთი	სიღნაღი	წნორი
3	სათემო ნუკრიანი/ ნუკრიანის სახელოსნოები	კახეთი	სიღნაღი	ნუკრიანი
4	ქალთა და ახალგაზრდობის საინიციატივო ჯგუფი „არბოშიკი“	კახეთი	დედოფლისწყარო	არბოშიკი
5	ააიპ საზოგადოება „ფიროსმანი“	კახეთი	დედოფლისწყარო	ხორნაბუჯი
6	საინიციატივო ჯგუფი ხორნაბუჯი „თამარის ციხე“	კახეთი	დედოფლისწყარო	ხორნაბუჯი
7	სათემო ფონდი „ლელი“	კახეთი	ლაგოდეხი	ლელიანი
8	ქალთა და ახალგაზრდობის სათემო ცენტრი „ცოდნისკარი“	კახეთი	ლაგოდეხი	ცოდნისკარი
9	სათემო ცენტრი „ვარდისუბანი“	კახეთი	ლაგოდეხი	ვარდისუბანი
10	ახალგაზრდული სათემო ცენტრი „ჰერეთი“	კახეთი	ლაგოდეხი	ჰერეთისკარი
11	სათემო კავშირი „კედელი“	კახეთი	ლაგოდეხი	აფენი
12	სათემო კავშირი ანიბანი	კახეთი	ლაგოდეხი	შრომა
13	„თემი ვარდისუბანი“	კახეთი	თელავი	ვარდისუბანი
14	სათემო განვითარების ცენტრი „აისი“	კახეთი	თელავი	ფშაველი
15	ქვემო ხოდაშენის ქალთა საინიციატივო ჯგუფი	კახეთი	თელავი	ქვემო ხოდაშენი
16	რუისპირის ქალთა საინიციატივო ჯგუფი	კახეთი	თელავი	რუისპირი
17	ახალსოფლის მოსწავლე-ახალგაზრდული ცენტრი	კახეთი	ყვარელი	ახალსოფელი
18	სამოქალაქო საზოგადოება განვითარებისთვის	კახეთი	ყვარელი	ენისელი
19	ორგანიზაცია „ვეჯინი“	კახეთი	გურჯაანი	ვეჯინი
20	სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ასოციაცია სპექტრი	კახეთი	საგარეჯო	ნინოწმინდა
21	ნინოწმინდის ქალთა საინიციატივო ჯგუფი	კახეთი	საგარეჯო	ნინოწმინდა
22	ქალთა საინიციატივო ჯგუფი	კახეთი	ახმეტა	ქვემო ალვანი
23	ორგანიზაცია „თუშეთის სათემოს საბჭო“	კახეთი	ახმეტა	ზემო ალვანი
24	ორგანიზაცია „თუშური ბრენდი“	კახეთი	ახმეტა	ქვემო ალვანი

25	ახმეტის ახალგაზრდობის ჩართულობისა და განვითარების ცენტრი	კახეთი	ახმეტა	ზემო ალვანი
26	ახალგაზრდები სოფლის განვითარებისათვის	კახეთი	ახმეტა	მატანი
27	ორგანიზაცია „ჯოყოლო 21“	კახეთი	ახმეტა/პანკისი	ჯოყოლო
28	პანკისის ხეობის ტურიზმისა და განვითარების ასოციაცია	კახეთი	ახმეტა/პანკისი	ჯოყოლო
29	მრავალფეროვანი და თანასწორი საქართველო	კახეთი	ახმეტა/პანკისი	დუისი
30	პანკისის (უხუცეს) ქალთა საბჭო	კახეთი	ახმეტა/პანკისი	დუისი
31	სათემო კავშირი კასრისწყალის განვითარების ცენტრი	კახეთი	ახმეტა	კასრისწყალი
32	თეთრიწყაროს ახალგაზრდული ცენტრი	ქვემო ქართლი	თეთრიწყარო	თეთრიწყარო
33	სათემო ფონდი „კოდორი 2013“	ქვემო ქართლი	თეთრიწყარო	წინწყარო
34	ხიხანის სათემო სახლი	ქვემო ქართლი	მარნეული	ხიხანი
35	ახალი აზროვნების ინსტიტუტი	ქვემო ქართლი	მარნეული	ხულდარა
36	კასუმლოს ახალგაზრდული ცენტრი	ქვემო ქართლი	მარნეული	კასუმლო
37	ქვემო სარალის სათემო ცენტრი	ქვემო ქართლი	მარნეული	ქვემო სარალი
38	აღმამედლოს სათემო ცენტრი	ქვემო ქართლი	მარნეული	აღმამედლო
39	კავშირი „იმედი 2013“	ქვემო ქართლი	წალკა	საყდრიონი
40	კავშირი „ახალშენი 2014“	ქვემო ქართლი	წალკა	ახალშენი / კირიაკი
41	ფართოპროფილიანი სასწავლო ცენტრი - გუმბათი	ქვემო ქართლი	წალკა	გუმბათი
42	სათემო კავშირი „ახალი გუმბათი“	ქვემო ქართლი	წალკა	გუმბათი
43	„უკეთესი მომავლისათვის“	მცხეთა-მთიანეთი	მცხეთა	წეროვნის დევნილთა ჩასახლება
44	ორგანიზაცია „მთაში“	მცხეთა-მთიანეთი	მცხეთა	ქვ. ლალუბანი
45	სათემო კავშირი „ბურიანი“	მცხეთა-მთიანეთი	მცხეთა	ბურიანი
46	„ხევსურეთი და თემი“	მცხეთა-მთიანეთი / ხევსურეთი	დუშეთი	კორშა
47	ორგანიზაცია „ვერგეტი“	მცხეთა-მთიანეთი /	ყაზბეგი	სოფელი ვერგეტი

48	ორგანიზაცია „სტეფანწმიდა“	მცხეთა-მთიანეთი	ყაზბეგი	ყაზბეგი
49	ყაზბეგის ეროვნული პარკის მეგობართა ასოციაცია	მცხეთა-მთიანეთი	ყაზბეგი	ყაზბეგი
50	სასწავლო-ინტელექტუალური ცენტრი „ხევის მომავალი“	მცხეთა-მთიანეთი	ყაზბეგი	ყაზბეგი
51	ორგანიზაცია „ლომეკი“	მცხეთა-მთიანეთი	ყაზბეგი	სნო
52	ორგანიზაცია „ბეთლემი“	შიდა ქართლი	გორი	სკრა
53	ბერბუკის საბავშვო ბაღი	შიდა ქართლი	გორი	ბერბუკის დევნილთა ჩასახლება
54	წმინდა ილია მართლის სახელობის ცოდნის - ცენტრი	შიდა ქართლი	გორი	შინდისი
55	ჩვენ – ჯანსაღი მომავლისათვის	შიდა ქართლი	მცხეთა	წეროვანი
56	ნიქოზის ახალგაზრდული ჯგუფი	შიდა ქართლი	გორი	ნიქოზი
57	კარალეთის თემის ახალგაზრდული ორგანიზაცია	შიდა ქართლი	გორი	კარალეთი
58	კარალეთის ქალთა სოლიდარობის ცენტრი	შიდა ქართლი	გორი	კარალეთი
59	კავშირი „ლიახვის ხეობა“	შიდა ქართლი	გორი	შავშების დევნილთა ჩასახლება
60	სოფელ მირიანის საინიციატივო ჯგუფი	შიდა ქართლი	კასპი	მირიანი
61	გავაძლიეროთ სოფლად ახალგაზრდები	ზემო სვანეთი	მესტია	ფარი
62	ახალგაზრდები მთისთვის	ზემო სვანეთი	მესტია	მესტია
63	კავშირი „ლალხორი“	ზემო სვანეთი	მესტია	ბეჩოს ხეობა
64	სათემო ფონდი „ნეფა“	სამეგრელო	ზუგდიდი	ანაკლია
65	საინიტიავო ჯგუფი „ელვა“	სამეგრელო	ზუგდიდი	განმუხური
66	ქალთა ჯგუფი „ედელვაისი“	სამეგრელო	ზუგდიდი	ახალკახათი
67	სათემო კავშირი „ხურჩა“	სამეგრელო	ზუგდიდი	ხურჩა
68	სათემო ფონდი „ეგრისი“	სამეგრელო	ზუგდიდი	ორსანტია/ კოკი
69	ახალგაზრდა მოხალისეთა საინიციატივო ჯგუფი	სამეგრელო	წალენჯიხა	წალენჯიხა
70	ინიციატივების სახლი	სამეგრელო	სენაკი	ნოქალაქევი
71	საქართველოს ტრენინგებისა და განვითარების ინსტიტუტი	სამეგრელო	სენაკი	თეკლათი

72	განათლებისა და განვითარების ცენტრი „მაკრონი“	სამეგრელო	აბაშა	სამიქაო
73	განათლებისა და განვითარების ცენტრი „თოლისკური“	სამეგრელო	ხობი	თორსა
74	ქალტა საინიციატივო ჯგუფი „მაღვიძარა“	სამეგრელო	ჩხოროწყუ	მუხური
75	ქალთა საინიციატივო ჯგუფი „თანასწორი“	სამეგრელო	ჩხოროწყუ	ჩხოროწყუ
76	ასოციაცია „ბილიკი“	სამეგრელო	ჩხოროწყუ	ხაბუმე
77	ლესიჭინეს თემის ქალთა საინიციატივო ჯგუფი „დეკა“	სამეგრელო	ჩხოროწყუ	ლესიჭინე
78	კავშირი „ტყემლანა“	სამცხე-ჯავახეთი	ახალციხე	ტყემლანა
79	სათემო კავშირი „აბათხევი“	სამცხე-ჯავახეთი	ახალციხე	აბათხევი
80	კავშირი „წინუბანი“	სამცხე-ჯავახეთი	ახალციხე	წინუბანი (აბათხევთან)
81	წყრუთის „იმედი“	სამცხე-ჯავახეთი	ახალციხე	წყრუთი
82	სამოქალაქო ინიციატივების ასოციაცია	სამცხე-ჯავახეთი	ახალციხე	ვალე
83	სათემო კავშირი „უდე“	სამცხე-ჯავახეთი	ადიგენი	უდე
84	კავშირი „ვარხანი 2010“	სამცხე-ჯავახეთი	ადიგენი	ვარხანი
85	კავშირი „ოცხე“	სამცხე-ჯავახეთი	ადიგენი	ბენარა
86	კავშირი „იმედი 2009“	სამცხე-ჯავახეთი	ახალციხე	წინუბანი (აწყურისკენ)
87	კავშირი „იმედი“	გურია	ოზურგეთი	თხინვალი
88	თვითდახმარების ჯგუფი „ქალთა უნია“	გურია	ოზურგეთი	დაბა ლაითური
89	სათემო ცენტრი „იმედი“	გურია	ოზურგეთი	ქვემო ნატანები
90	სათემო ცენტრი „ჯუმა“	გურია	ოზურგეთი	მერიის თემი
91	სათემო ცენტრი „იმედი“	გურია	ოზურგეთი	მერიის თემი
92	ახალგაზრდული ცენტრი „პროგრესი“	გურია	ჩოხატაური	ჩოხატაური
93	ქალები რეგიონის განვითარებისათვის	გურია	ოზურგეთი	დვაბზუ
94	ქალები ჭიათურის მომავლისათვის	იმერეთი	ჭიათურა	სოფ. რგანი
95	ხონის დევნილთა საინიციატივო ჯგუფი	იმერეთი	ჭიათურა	ხონი